ჟურნალ ჟანტრა

გზა

N29 [illegible] 23/V [illegible] ანი [illegible] თებერვალი

ანი გიუნტერი: „მის გვერდით თავი ქალად უნდა ვიგრძნო"...

ქართველი „მის ბიკინეები" და მათი შეყვარებულები

რატომ ემადლიერება კუნძულზე გარიყული დავით სეგანელიძე გერმანელებს

დეზიუტი

„გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, მამაკაცური იყოს"...

6 სტალინი რუსთაველის თეატრის სცენაზე

ISSN 1987 - 3024

გზაშარაზე გამოსული, მიტოვებული „მოზრდილი ბავშვები"

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№29 (423)
17 - 23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 2008 წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲒᲖᲐᲣᲐᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ „ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲒᲐᲕᲨᲕᲝ“

„მაგალითად, 18 წელი რომ შემისრულდა, თავშესაფრის დირექტორმა რამდენიმე თანაგოლთან ერთად, კაბინეტში დაგვიბარა და გვითხრა: კანონის თანახმად, სახელმწიფო ვალდებული აღარ არის, შეგინახოთ, სრულწლოვნები ხართ და თავს თვითონ უნდა მიხედოთო.“

30

ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲕᲐᲠᲓᲬᲜᲐ ᲒᲐᲐᲝᲒᲜᲐ

„მეეზოვე კი ისეთი პროფესიონალი ყოფილა, რომ თურმე, დილით გადაყრილი ნაგვის მიხედვით ხვდებოდა, რომელი ოჯახის ნაგავი იყო და უკანვე, ბინაში მიართმევდა ხოლმე ზარმაც მობინადრეებს...“

25

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ

ᲒᲖᲐᲡ ᲬᲜᲘᲚᲔᲑᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲪᲘᲚᲝᲔᲑᲘᲗ

ᲩᲥᲕᲘᲐᲜᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲨᲔᲓᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲪᲐᲩᲠᲘᲗ.

ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ

39-70

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲗᲛᲔᲕᲗ, ᲦᲐᲠᲘᲡ ᲕᲐᲫᲚᲔᲕᲗ“
ᲐᲜᲣ XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲜᲔᲑᲘ 5
■ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ
ᲝᲛᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲘᲐ...“ 6
■ ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘ
ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘᲜᲘ ᲓᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ „ᲮᲐᲖᲔᲘᲜᲔᲑᲘ“ 7
■ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲝᲛᲘ ᲗᲣ ᲓᲐᲡᲐᲨᲘᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲘᲖᲜᲣᲚᲘ
ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ? 8
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲡᲐᲛᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲐᲜᲣ ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ
ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ 10
■ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ
✓ „ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲛᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲐᲜ“ 12
✓ ᲠᲣᲡᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ „ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐ“, ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲘ
ᲓᲐ ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲔᲗ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲨᲕᲔᲚᲘᲚᲘ 13
■ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲘ
PRESS-TV — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ
ᲢᲔᲚᲔᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 15
■ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘ
ᲠᲐᲢᲝᲛ ᲔᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲖᲔ ᲒᲐᲠᲘᲧᲣᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ 16
■ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲔᲑᲘ
ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ... 18
■ ᲡᲐᲐᲞᲐᲠᲫᲚᲝ
ᲡᲮᲔᲚ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ „ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ“
ᲙᲝᲪᲜᲐ ᲛᲝᲛᲞᲐᲠᲔᲡ 20
■ ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘ
ᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲢᲧᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲛᲐᲛᲠᲐᲫᲔ 22
■ ᲘᲛᲘᲯᲘ
ᲠᲘᲗ ᲐᲝᲪᲔᲑᲡ ᲐᲜᲘ ᲒᲘᲣᲜᲗᲔᲠᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ
ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲣᲤᲣᲚᲝᲓ 24
■ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲓᲐᲛᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐ
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲛᲔᲔᲖᲝᲕᲔ, ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲘ ᲓᲐ
ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲕᲐᲠᲓᲔᲜᲐ ᲒᲐᲐᲝᲒᲜᲐ 25
■ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ
ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 26
■ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲜᲢᲘ 28

— გამოვცადოთ, ერთი მოფარიკავე მეგულება. ვნახოთ, როგორაა გაწვრთნილი შენი ვაჟი, — მოულოდნელად შესთავაზა ჰასანმა.

— გამოვცადოთ, — უმალ დაეთანხმა გუელმო.

ჰასანმა გაიღიმა, მერე ხელისგულები ერთმანეთს შემოჰკრა და დარბაზში შემოსულ მსახურს მუროჩის ხმობა უბრძანა.

82

■ დედამიწვილები
ოლიმპიური ჩემპიონის 20 წლით უფროსი და
და უმცროსი ძმის გამორჩეული სიყვარული 28
■ თემა
გზაშარაზე გამოსული „მოზარდი ბავშვები“ 30
■ თინეიჯერული პროტესტები
✓ წარმატებული, მაგრამ უპროფესიო
რეპერის არჩევანი 33
✓ „გზა“ ჩემი და ჩემი თანატოლების მეგობარია“ 34
■ ჯანმრთელობა
წითელი ქარი 37
■ ქურნალი ქურნალში 39-70
✓ ცხოვრება 39
✓ გზავნილები 55
■ ეკრანს მიღმა
მეეიოლინე ბიჭი, რომელიც „ზღარბად“ გადაიქცა... 71
■ სცენა
სტალინი სხვადასხვა რაკურსით 72
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ გაკრიტიკებენ? — თავაზიანად
გადაუხადეთ მადლობა... 80
✓ ჩანთა და ქალის ხასიათი 81
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა
ის ჯვარი (გაგრძელება) 82
■ ქართველი მილიონერები
უმდიდრესი ემიგრანტები
(გაგრძელება) 86
■ ვარსკვლავები
✓ ემი უაინჰაუსი 87
✓ ლივ ტაილერი დანგრეული ოჯახის
აღდგენას ცდილობს 89
■ დიზაინერი
შავ-თეთრი ფერები დავით
სულიკაშვილის კოლექციაში 90
■ სექტები
თავისუფლების ხაფანგი (დასასრული) 91
■ ხელმარჯვე ოსტატი
მინიატიურული მუსიკალური ინსტრუმენტები და
ქართულად ალაპარაკებული ზანგი 94
■ სიმღინდეები
ლვთისმშობლის „პანტანასას“ ხატს სიმსივნით
დაავადებულები შესთხოვენ შემწეობას 96
■ მწვრთნელი
ფოლკერ ფინკე: „საქართველოს ნაკრების
მწვრთნელობაზე სერიოზულად ვფიქრობ“ 98
■ კრიმინალი
✓ სისხლისმსმელი ბანდის მრავალეპიზოდიანი
საქმე და ვერსიები მარტოხელა დიასახლისის
ვერაგული მკვლელობის შესახებ 100
✓ „ეს საქმე საჯარო განხილვის
საგნად უნდა იქცეს“ — აცხადებს
ბრალდებულის დედა, ეკა ბესელია 102
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ პროგნოზი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„ტოტოზე ყოველდამე ვფიქრობ და ვტირი...“

„მალე დედიკო დაორსულდა და ამის გამო, ტოტო (ასე ერქვა ჩემს თუთიყუშს) სადმე სხვაგან უნდა წაგვეყვანა. დედაჩემის მეგობრის ნაცნობი — ვალოდია თუთიყუშებს ამრავლებს და გადავწყვიტეთ, მისთვის მიგვებარებინა. ახლა დაიკო მყავს — ნანკა. მართალია, ის ძალიან მიყვარს, მაგრამ ტოტოზეც ყოველდამე ვფიქრობ და ვტირი. არ ვიცი, რა ვქნა, ძალიან ბევრს ვდარდობ“.

36

ჩანთა და ქალის ხასიათი

ვინც პატარა ზომის ხელჩანთას ატარებს, თავდაჯერებული ეგოისტია. მასთან ურთიერთობა არცთუ ისე იოლია. ამ ტიპის ქალს მამაკაცები მასწავლებლებს ადარებენ და არც მაინცდამაინც სწყალობენ.

81

თმატრალური სკოლიდან „უნიჭობის გამო“ გარიცხული გოგონა

უაინჰაუსი დიდმა შოუბიზნესმა 2000 წელს აღმოაჩინა, როდესაც სულ რაღაც 16 წლის იყო. მისი მეგობრისა და პოპ-მომღერლის — ტაილერ ჯეიმსის წყალობით, უაინჰაუსის დემოჩანაწერები კომპანიის — Island/Universal მენეჯერთა ხელში აღმოჩნდა.

87

მორიელის ნიშანი

— რა ქენი, მოკალი?! მოკალი, არა?! ეს გინდოდა, ხომ?! — განწირული ხმით კიოდა თაკო.

გასროლის ხმაზე ეზოდან დაცვის ბიჭები გამოცვივდნენ და შემოსასვლელ კარზე ბრახუნი ატეხეს.

— მინდოდა, მაგრამ არ მომიკლავს, ჰაერში გავისროლე. დაწყნარდი, ჯობია, ჩაიცვა, — მშვიდად წარმოთქვა მორიელმა და კიბეზე დაეშვა, რომ პოლიციელებისთვის კარი გაეღო.

74

„მდიდრის ვართმევთ, ღარიბს ვაძლევთ“ ანუ XXI საუკუნის ვრსენები

არსენა ოძელაშვილის პოლიტიკური კურსი ჩვენმა მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გაატარა და თუ სადმე საეჭვო გზით გამდიდრებული ოფიციალური და არაოფიციალური პირი ნახა, ყველა „გაპარსა“. რასაც თავი მოუყარა, გამოფხეკილ ხაზინაში შეიტანა და ნაწილით, გზებზე ორმოები ამოავსო, ნაწილით, პენსიები გაზარდა ანუ მდიდარს წაართვა და ღარიბს მისცა.

ეს კურსი დღემდე გრძელდება და „გასაპარსი“ რომ შემოგველია, პარტიებს მივადექით და დაფინანსება შევუწყვიტეთ, რასაც მთელი აჟიოტაჟი მოჰყვა. ალბათ იტყვით, სად აქვთ პარტიებს ფულიო, მაგრამ არც მთლად ეგრეა საქმე: როგორც წესი, საქართველოში, პარტია და პოლიტიკა ხომ

სწორედ იმისთვის გჭირდება, რომ საკუთარ ბიზნესსა და სიმდიდრეს უპატრონო?! ასე რომ, დაფინანსების გარეშე დარჩენილი პოლიტიკოსები ისე არ წახდებიან, რომ პური ნისიად აიღონ და ლიფტის ფული ვერ გადაიხადონ.

ხოლო თუ მართლა ასეა, მაშინ, სადღა „იქაჩები“, ბიძიკო, არ შევალ არალეგიტიმურ პარლამენტშიო, რომ გაიძახი! არ შეხვალ კი არა, წინა მერხზე დაჯექი ხუთოსანი მოსწავლესავით და ისე მაინც იაქტიურე, რომ ვინც ხმა მოგცა, არ ინანოს. არალეგიტიმურ პარლამენტში თუ არ შედიხარ, იმ არალეგიტიმურ დაფინანსებასაც უნდა დაემშვიდობო.

თუმცა, „ორი კურდღლის დაჭერა“, ახლაც შეიძლებოდა და „დაიჭირეს“ კიდეც ლეიბორისტებმა: ჭკუა იხმარეს და დეპუტატობის გაუქმების განცხადება ისეთი შეცდომებით დაწერეს, რომ შესვლითაც არ შევიდნენ და ხელფასიც ერიცხებათ. ვერ გეტყვით, ჭკუა იხმარეს და შეგნებულად დაწერეს შეცდომებით თუ ჭკუა და გრამატიკის მთელი ცოდნა რომ გამოიყენეს, იმიტომ მიიღეს ასეთი ტექსტი, მაგრამ ფაქტი ერთია. თქვენ კიდევ, რაღა განცხადების დაწერისას გახდით მართლწერის დიდოსტატები?!

მოკლედ, ასეთი მონდომებით, მდიდარს და წასართმევს ყოველთვის ნახავს ხელისუფლება, მაგრამ ამდენი ღარიბი და დასახმარებელი სად გინდა, იპოვო ამ ქვეყანაში?.. სად და, რა თქმა უნდა, ჯარში. ჯარი და არმია ხომ ყველაზე ძვირად ღირებული სიამოვნებაა. მით უმეტეს, როცა ტერიტორიული მთლიანობა გვაქვს აღსადგენი და მსოფლიოს დასანახავად, ყოველდღე მშვიდობის მტრედებს ვაფრენთ, — მხოლოდ დიალოგით დავიბრუნებთ ომით წართმეულ მიწებსო.

ვერ გავიგე, თუ „ბულბულის სტვენით და შაშვის გალობით“ ვიბრუნებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ეს თოფ-იარაღი და კიდევ 5000 ჯარისკაცით გაზრდილი არმია ვისთვის ან რისთვის გვჭირდება?! 32 ათასი კაცი კი გვყოლია ჯარში და რომ გადავხედე, 5 ათასი ბარემ დახატავდა! ჰოდა, ა, ბატონო, წვევამდელთა რაოდენობას ვზრდით ახლა და ავშენდებით. მერე 3 ათასსაც დავამატებთ, ძირითადად — მანდილოსნებს: რა, სხვაგან თუ მსახურობენ ქალები ჯარში, ჩვენი ქალები რატომ უნდა იყვნენ „კუხნაში“?! გავაკეთოთ დიდი გარნიზონი, სადაც იქნება ქმრების ბატალიონი, ცალკე — ცოლების ბატალიონი და შვილების პატარ-პატარა ქვედანაყოფები... ჯარში პირველ რიგში, პოლიტიკოსები გავიწვიოთ და მთავრობა რომ მათ პარტიებს დაფინანსებას მოუხსნის და ჯარს დააფინანსებს, ვეღარ გააპროტესტებენ.

თუმცა აქაც ერთი პრობლემაა: მილიტარისტობას დაგვწამებენ და აგრესორ ქვეყნად შეგვრაცხავენ. ამიტომ, უფრო ჭკვიანური სვლაა საჭირო, რაშიც ეს მთავრობა ნამდვილი პროფესიონალია! ნახეთ, რა გააკეთა ზემო აფხაზეთში, რუსები რომ კოდორის ხეობას ეძახიან: როცა ბაღაფშმა სამარის დივიზია შემოიყვანა, აქედან სააკაშვილმა მომღერლები და მოდელები შეუშვა. თავართქილაძემ „დეფილე“ მოაწყო და ისეთი მოდელები გაიყვანა პოდიუმზე, რომ რა შეტევა, რის შეტევა, ბაღაფში თურმე ბუჩქებში იჯდა და ღიმილიანი სახით ქართველობას ნატრობდა. კონცერტი ხომ არნახული გამოვიდა: ხომ გაგიგონიათ, როცა ქვემეხები ქუხან, მუზები დუმან და პირიქით, როცა დავით გომართელი ქუხს, ქვემეხები დუმან.

ზემო აფხაზეთის დაცვის მომავალი გეგმა კიდევ უფრო ეფექტურია: „იუმორინის“ გასტროლებია დაგეგმილი და აფხაზეთის მთავრობას წინა რიგებში უკვე დაჯავშნული აქვს თურმე ადგილები, სიცილის დედოფალი და „ქუჩის მუსიკოსები“ მოდიანო... სიცილის დედოფალი და „ქუჩის მუსიკოსები“ მხოლოდ ნიღაბია, თორემ მათ უკან უსერიოზულესი „მძიმე ტექნიკა“ მოდის — ბერულაშვილის, როსტომაშვილისა და ონაშვილის სახით.

„იოსებ ბესარიონის ძე“ ბაღაშვილის სტრატეგია კიდევ, ხომ იცით: იტყვის — ერთი კვირითო და მთელი 6 თვე აგრძელებს გასტროლებს, ამასობაში თოვლი ჩაკეტავს ხეობას და სამარის დივიზია კი არა, ნალებიანი კატა ვერ შემოვა ხეობაში — აი, „გალავა“!..

P.S. მთავრობის დახურულ სხდომაზე:

— ზემო აფხაზეთში სადაზვერვო ჯგუფი რომ გავუშვით, როგორაა საქმე?

— მზვერავი გომართელი უკვე დაბრუნდა.

— ხომ არავინ იცნო?

— ვინ იცნობდა? ეგ მართლა მელოტი კი არაა, პარიკი აქვს!.. ბაღაფში შევამჩნიეო, მაგრამ კოკოითის აფხაზეთში ჩასვლა ვერ დადასტურდა, ჩოჩიევი კი დავინახეო.

— ჰმ, გაიძვერა კოკოითი, ალბათ ჩოჩიევის ულვაშებში იმალებოდა...

პროვოკატორი

„საქართველოსა და რუსეთს შორის ომი გარდაუვალია...“

საზოგადოების დიდ ნაწილს გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად კვლავ აფხაზეთსა და ცხინვალში მიმდინარე ინციდენტები მიაჩნია. ამ ფაქტის გამო, თბილისის მოსახლეობა საკმაოდ აღელვებულია. მას მიაჩნია, რომ საქართველო ომის საფრთხის წინაშე დგას... ახალგაზრდების დიდი ნაწილს კი ეს საკითხი არ აღელვებს: ბიჭები სპორტის სიახლეებით არიან დაინტერესებულნი, გოგონებს კი მოახლოებული „მის საქართველოს“ კონკურსი აინტერესებთ...

„მათ ყველა უბედურება ერთდროულად დაატყდათ თავს“

ხათუნა ბახტურიძე

ლალი ტორონჯაძე, *ბუღალტერი, 46 წლის:*

— ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებია. ამას წინათ ნათესავთან, სოფელ ნიქოზში ჩავედი სტუმრად და მეორე დღესვე თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი, რადგან იქ, მთელი ღამის განმავლობაში, არა მარტო ტყვიებს, არამედ ყუმბარებსაც ისროდნენ. შეშინებულმა ვერაფრით დავიძინე, მასპინძელს კი ჩემი საქციელი სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. მეუბნებოდა, — ნუ გეშინია, არავინ დაშავდებაო. ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა უკვე ისე მიეჩვია სროლებს, რომ ამას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევენ, ჩვენი ხელისუფლება კი ამ ყველაფრის აღმოსაფხვრელად არაფერს აკეთებს. რადგან რუსეთმა საქართველოდან თავისი ელჩი გაიწვია, ამათაც გამოიწვიეს საქართველოს ელჩი — ეროსი კიწმარიშვილი, მაგრამ მეეჭვება, ამით კონფლიქტთან დაკავშირებულ პრობლემას რაიმე ეშველოს. მგონია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ომი გარდაუვალია...

ანა აფციაური, *გამყიდველი, 35 წლის:*

— პოლიტიკით დაინტერესებული ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ამ ბოლო დროს ისეთი ამბები ტრიალებს, რომ ძალაუნებურად, პოლიტიკაში ყველანი ჩავერთეთ. აქამდე მთელი კვირა ისე გავიდოდა, რომ არც ერთ საინფორმაციო გამოშვებას არ ვუყურებდი, ახლა კი მაღაზიაში, სადაც გამყიდველად ვმუშაობ, პატარა ტელევიზორი შევიძინეთ და ყველა „საინფორმაციოს“ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს. ძალიან მნიშვნელოვანია აფხაზეთსა და ცხინვალში მიმდინარე მოვლენები. გარდა ამისა, საინტერესო ფაქტი იყო ისიც, რომ შალვა ნათელაშვილმა ოპოზიციის წევრებს შესთავაზა, — გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი მე ვიქნებიო. ლეიბორისტების ლიდერი რომ არის, ხომ ააშენა ქვეყანა და გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი რომ იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ, რასაც გააკეთებს... მოკლედ, ხელისუფლება მართლაც, ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს, მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენლებზე ჭკვიანები და გაწონასწორებულები ნამდვილად არიან. ამიტომ, ვინც არ უნდა გახდეს მათი ლიდერი, მაინც არაფერი ეშველებათ. ყველაფერს ის აჯობებს, თუკი გაერთიანდებიან და ჩვენი ქვეყნის დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად ერთიანი ძალებით იბრძოლებენ...

ვასილ ბარამიძე, *პენსიონერი, 72 წლის:*

— ცხინვალის რეგიონში ღორის ჭირის გავრცელებამ საოცრად შემაშფოთა. იქაურებს ის არ ეყოფოდათ, ქართულ სოფლებში ციმბირის წყლული რომაა გავრცელებული? მოკლედ, ეს ტერიტორია მთლიანად ჭირმა მოიცვა და ამიტომაც, იქაურ მცხოვრებლებზე ძალიან ვნერვიულობ. მნიშვნელობა არა აქვს, ოსი იქნება თუ ქართველი, სიკვდილისთვის არავინ მემეტება. გარდა ამისა, ცხინვალის მოსახლეობა ომის დაწყების საფრთხის წინაშეც დგას. როგორც ჩანს, მათ ყველა უბედურება ერთდროულად დაატყდათ თავს. მერე რა, რომ თბილისში ვცხოვრობ, მერწმუნეთ, აღნიშნული პრობლემები მეც არანაკლებ მაწუხებს. დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მათ უახლოეს მომავალში მოაგვარებს, თორემ, როგორც ვატყობ, მედვედევი აღარ ხუმრობს. ის და რუსეთის მინისტრები ერთხმად აღიარებენ, რომ არ უნდათ, საქართველო ნატოს წევრი გახდეს. სწორედ ამის გამო ხდება ყველანაირი გაურკვევლობა აფხაზეთსა და ცხინვალში...

გიორგი ბურსულაია, *ეკონომისტი, 53 წლის:*

— ჩემი აზრით, გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა დიდი ქართველის, პაატა ბურჭულაძის საიუბილეო კონცერტები გახლდათ, რომლებიც მისი სცენაზე ყოფნის 30 წლისთავს მიეძღვნა. მიმაჩნია, რომ ბურჭულაძე არა მხოლოდ უნიჭიერესი მომღერალი, არამედ ძალიან დიდი პატრიოტი და კარგი ადამიანია. ყველასთვის ცნობილია, რომ უამრავ გაჭირვებულ ოჯახს ეხმარება, გამუდმებით ქველმოქმედებას ეწევა და სხვებზე ზრუნავს. საქართველოში ასეთი კარგი და თანაც, პოპულარული, მეორე მომღერალი არ გვყავს. ბატონი პაატა მსოფლიო მასშტაბით, თუკი რომელიმე კონცერტში მონაწილეობს, აღებულ თანხას ფონდ „იავნანაში“ რიცხავს. მისნაირი ადამიანები საქართველოს ღმერთმა უმრავლოს!..

ნატალი ანდრიაძე, *თარჯიმანი, 25 წლის:*

— მოუთმენლად ველოდები ფესტივალ „ახალი ტალღის“ დაწყებას. ვფიქრობ, ქართული დუეტი — „ჯორჯია“ ამ ფესტივალზე თავის სიტყვას იტყვის და მათი გამარჯვება კვირის კი არა, წლის საუკეთესო მოვლენა იქნება. პირადად მე, ამ ჯგუფის დიდი გულშემატკივარი ვარ. ჩემი აზრით, რატი დურგლიშვილი და მაკა ზამბახიძე ძალიან ნიჭიერი მომღერლები არიან და თუ რუსეთი მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს არ გაითვალისწინებს, ეს დუეტი „ახალი ტალღის“ ღირსეული გამარჯვებული გახდება. გარდა ამისა, მოუთმენლად ველოდები „მის საქართველოს“ კონკურსს. სამწუხაროა, რომ ეს კონკურსი ყოველთვის ბათუმში ტარდება, მაგრამ წლევანდელ კონკურსს ჩემი აჭარაში დასვენება დავამთხვიე და მას აუცილებლად დავესწრები. სიმართლე გითხრათ, კონკურსანტ გოგონებს შორის ფავორიტი ჯერ არ მყავს, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ „მის მსოფლიოზე“ წელს მაინც წარვდგებით ღირსეულად...

ნიკა გეგეშიძე, *პროგრამისტი, 26 წლის:*

— ქართველი რაგბისტების წარმატებამ ძალიან გამახარა. მათ ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავეს, ბრინჯაოს მედლით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ და ამ გამარჯვებით მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლებაც მიიღეს. კიდევ კარგი, რაგბის ნაკრები მაინც გვყავს ძლიერი და საქართველოს არასოდეს არცხვენენ. ფეხბურთის ნაკრების ასეთ წარმატებაზე ხომ ვერც ვიოცნებებთ.... ■

ერთი კითხვა

— რას მიიჩნევთ ქალისთვის საუკეთესო პროფესიად?

ნიკა გრიგოლია, *შოუმენი:*

— რა მნიშვნელობა აქვს, ქალი რა პროფესიის იქნება? მთავარია, რომ თავის საქმეში პროფესიონალი იყოს და მორჩა!

ქობულეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს გაკოტრება ემუქრება. მართალია, ზღვის სეზონისთვის ქალაქში საკმაოდ ბევრი სასტუმრო, რესტორანი და კაფე-ბარი იხსნება, მაგრამ ამ შენობების მეპატრონეები ძირითადად, თბილისელი ბიზნესმენები არიან. ადგილობრივი მოსახლეობისთვის კი ხშირ შემთხვევაში, იქ დამლაგებლად ან მზარეულად მოწყობაც შეუძლებელია. ქობულეთელთა ერთმა ნაწილმა, ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ბანკიდან კრედიტი აიღო და საკუთარ სახლში საოჯახო სასტუმრო მოაწყო, მაგრამ საბოლოოდ, ბანკისთვის გადასახდელმა თანხამ კიდევ უფრო დაამძიმა მისი მდგომარეობა. არსებული პრობლემების შესახებ უფრო კონკრეტულად, თავად ზღვისპირელები მოგვიყვებიან.

სტუმრებად ქცეული მკვიდრნი და თბილისელი „ხაზეინები“

ხათუნა ბახტურიძე

ლამარა ვასაძე, *49 წლის:*

— ჩემი ოჯახისთვის ყველაზე დიდი პრობლემა — უმუშევრობაა. ავადმყოფი ქმარი (ინსულტი აქვს) და 3 შვილი მყავს. უფროსი 30 წლისაა, უმცროსი — 25-ის. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები და შრომისუნარიანები არიან, სამივე უმუშევარია.

— **ქობულეთში უამრავი სასტუმრო და კაფე-ბარია. ახალგაზრდებს სამუშაოს მოძებნა რატომ გაუჭირდათ?**

— ქობულეთში მართლაც, ბევრი რამ შენდება, მაგრამ მათ მეპატრონეებს მუშახელი ძირითადად, თბილისიდან, ქუთაისიდან და რუსთავიდან ჩამოჰყავთ. ჩვენები კი სამუშაოს გარეშე რჩებიან. ადგილობრივებს იმდენი ფული არა აქვთ, რომ სასტუმრო თავად ააშენონ. ზოგი საკუთარ სახლში აწყობს საოჯახო სასტუმროს, მაგრამ ველარ ამუშავებს და თბილისელებს აძლევს ოჯარით, იმათ კი თავიანთი ხალხი მოჰყავთ. არ გეგონოთ, რომ ჩემი გოგონები რამეს თაკილობდნენ, მზად არიან, ოფიციანტებადაც იმუშაონ. მაგრამ სხვა გზა აღარ აქვთ — სამუშაოს საძებნელად, თურქეთში უნდა წავიდნენ.

— **იქ რა სამუშაოს შეასრულებენ?**

— ძირითადად, ჩაის კრეფენ.

— **როგორც ვიცი, თქვენ თბილისელების ოჯარით აღებულ სასტუმროში მუშაობთ. როგორ მოახერხეთ იქ მოწყობა?**

— თებერვლიდან ყოველდღე აქ დავდიოდი. ყველაფერზე თანახმა ვიყავი, მეეზოვედაც ვიმუშავებდი, ოღონდ ჩემი შვილები მერჩინა და მეუღლისთვის წამალი მეყიდა. როგორც იქნა, ვიღაცას შევეცოდე და დამლაგებლად მომაწყო. დღეში 15 ლარს მიხდის. ახლა რასაც სეზონზე (ორი თვის განმავლობაში) მოვაგროვებ, მთელი წელი უნდა ვიკმაროთ.

— **თქვენ თავად არ აქირავებთ ოთახებს?**

— მე ქობულეთის ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ვცხოვრობ. იქიდან არც ერთი დამსვენებელი არ ივლის ზღვაზე.

— **მიწის დამუშავება არ შეგიძლიათ?**

— შემიძლია, მაგრამ ძალიან პატარა ფართობი მაქვს. რაც მოგვყავს, ოჯახში სადილის მოსამზადებლად გვჭირდება.

— **სახელმწიფოსგან არანაირ დახმარებას არ იღებთ?**

— ადრე სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა პროგრამაში მოვხვდი, მაგრამ ახლა მეუბნებიან, სამსახური უკვე გაქვს და სახელმწიფოსგან დახმარება აღარ გეკუთვნისო. ეს სამუშაო მხოლოდ ორი თვე მექნება, მერე რაღა ვქნა, ჩემს ავადმყოფ ქმარს წამალი რითი ვუყიდო?! ჩვენი პრეზიდენტი რომ ამბობს, ათასობით უმუშევარი დავასაქმეთო, სად არის ის დასაქმებული ხალხი? იქნებ, სააკაშვილს გარემოცვა ატყუებს, თვალს უხვევს და არ იცის, რომ ქართველების უმრავლესობას ძალიან გვიჭირს, შიმშილის ზღვარზე ვართ.

იმისათვის, რომ ქობულეთში არსებული მდგომარეობა მკითხველისთვის სრულად და ობიექტურად გადმომეცა, ამჯერად იმ ქალბატონს ვესაუბრე, რომელიც ქალაქის ცენრტში ცხოვრობს და სეზონზე არც დამსვენებლების ნაკლებობას უჩივის.

— **ქალბატონო ეკა, სეზონზე დამსვენებლებისგან აღებული თანხით, რამდენად ახერხებთ ყოფითი პრობლემების მოგვარებას?**

ეკატერინე გოგორიშვილი, *36 წლის:*

— ზღვის სეზონი ორი თვეც კი არ გრძელდება, ორმოცი დღის განმავლობაში იმდენი რა უნდა მოვაგროვოთ, რომ მერე მთელი წელი გვეყოს?.. ეს ფული კომუნალური ხარჯების დასაფარავადაც არ არის საკმარისი.

— **ადგილობრივ მოსახლეობას შემოსავლის სხვა წყარო თუ აქვს?**

— არანაირი შემოსავლის წყარო არ გვაქვს. მხოლოდ ზღვის სეზონის იმედად ვართ. სოფლებში ზოგს მანდარინის ბაღები აქვს და იმით ირჩენს თავს. ჩვენ ღვთის ანაბარად ვართ მიტოვებულნი. ქობულეთში 20 ოჯახიდან მხოლოდ ერთში თუ ნახავთ დასაქმებულ ადამიანს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა უმუშევარია, ჩვენზე არანაირი შეღავათი არ ვრცელდება. რა გაჭირვებულიც უნდა იყოს ოჯახი, „სიღარიბის ზღვარს მიღმა“ პროგრამაში არ რთავენ, მიზეზად კი იმას გვისახელებენ, რომ საკურორტო ქალაქში ცენტრალურ ქუჩაზე ცხოვრობთ. რაც უნდა ამტკიცო, რომ ზოგჯერ ერთ ოჯახში 10 კაცი ცხოვრობს და სეზონზე დაგროვილი ფული ჭამისთვისაც არ ჰყოფნით, მაინც ვერაფერს გახდები. ზოგმა, საოჯახო სასტუმროს მოსაწყობად, ბანკიდან კრედიტი აიღო, მაგრამ იმხელა პროცენტის გადახდა უწევს, რომ შესაძლებელია, იმ გარემონტებული სახლების გაყიდვაც კი დასჭირდეს.

— **აქ ძირითადად, სად შეიძლება ხალხის დასაქმება?**

— სკოლაში, მაგრამ ალბათ იცით, იქ რა ხელფასებიც არის. ჩვენი გამგეობა ძალიან პატარაა და საშტატო ერთეულიც მცირეა. სულ ორი თუ სამი ქობულეთელი თუ მუშაობს იქ.

— **ქალაქში სხვა დაწესებულება ან კულტურული ცენტრი არ არსებობს?**

— არაფერიც არ არის. არც თეატრი გვაქვს, არც კინოთეატრი და არც სპორტული კომპლექსი. მთელ ქობულეთში ისეთ დარბაზსაც კი ვერ ნახავთ, სადაც რაიმე ნორმალური ღონისძიების ჩატარება იქნება შესაძლებელი. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ადგილობრივი მმართველობა ვერანაირ

დასაწყისი იხ. გვ. 16

გადაწყვეტილებას ვერ იღებს, ყველა დადგენილება თბილისიდან მოდის, ცენტრში კი, როგორც ჩანს, ჩვენი პრობლემები დიდად არ ანაღვლებთ. დავიჯერო, თბილისში არ იციან, რომ აქ კულტურული ცენტრები არ არის? ჩვენს მუნიციპალიტეტს ძალზე მცირე ბიუჯეტი აქვს და ვერაფერს აკეთებს. სერიოზულ დაწესებულებებზე აღარაფერს ვამბობ, ელემენტარულს გეტყვით: ზამთარში გულით რომ მოინდომოთ, ერთ კაფეს ვერ იპოვით. ხომ შეიძლება, ბისტრო ან უბრალო სახაჭაპურე მაინც გვქონდეს?! მით უმეტეს, რომ ზაფხულში, კაფე-ბარებისა და ბუნგალოებისგან სიცოცხლე გვაქვს მობეზრებული: არავის ანაღვლებს, რომ ოჯახებში ბავშვები და მოხუცები გვყავს და მათ შუაღამისას მაინც უნდათ ძილი და მოსვენება.

— ზღვის სეზონისათვის როგორ მოემზადეთ?

— როგორც შეგვეძლო, მოვემზადეთ. ახლა მთავარია, ქალაქის მუნიციპალიტეტმა შეგვიწყოს ხელი. წყლის პრობლემა ჯერ ისევ მოსაგვარებელია, ქუჩები და სანაპირო დასასუფთავებელია, ჯებირები გასამაგრებლია. შტორმის დროს ზღვას, მიწასთან ერთად, დიდი რაოდენობით ხეებიც მოაქვს. ზღვისპირზე მისასვლელებიც მოსაწესრიგებელია. მესმის, რომ სანაპირო ზოგჯერ სუფთავდება, მაგრამ მერე იწვიმებს და ისევ ნაგვინადგება. არადა, გამოსავალი ხომ უნდა მოინახოს?! არ შეიძლება, სანაპირო ყოველდღე დასუფთავდეს?.. თუ ეს პრობლემები არ მოგვარდება, დამსვენებელი ქობულეთის ნაცვლად, თურქეთში წავა და ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.

— წელს გასაქირავებელი ბინის ფასები როგორია?

— 7-დან 25 ლარამდე. ეს კომფორტსა და ადგილმდებარეობაზეცაა დამოკიდებული.

მოსახლეობასთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტე, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, თენგიზ ციკაძეს შევხვედროდი. მან თავაზიანად მიმიღო და განაცხადა, რომ ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ, მზად იყო. ალბათ დამეთანხმებით, რომ ქობულეთელთა სოციალური პრობლემების მოგვარება მის პრეროგატივას არ წარმოადგენს. აი, მოუწესრიგებელ წყალმომარაგებაზე, დაულაგებელ სანაპირო ზოლსა და გასამაგრებელ ჯებირებზე კი საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა; რაც მთავარია, აღნიშნა, რომ ამ პრობლემების მოსაგვარებლად, თანხებიც გამოყოფილია და სარემონტო სამუშაოებიც — დაწყებული.

სიმართლე გითხრათ, ქობულეთი ფეხით მოვიარე, მაგრამ იქ სარემონტო სამუშაოები ვერსად შევნიშნე. აი, ნაგვის პოვნა კი ნამდვილად, არ გამჭირვებია. ქართული ქალაქების ამ განუყრელ „ატრიბუტს“, ქუჩებსა და დასასვენებელ პარკში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებოდი. მართალია, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ლამის ხატზე დაიფიცა — ქუჩები შუადღემდე ორჯერ იგვებაო და ქალაქის დანაგვიანება მთლიანად მოსახლეობის დაუდევრობას მიაწერა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ქობულეთი საკურორტო სეზონს, ყოფითი პრობლემებით დამძიმებული მასპინძლებით, მოუწესრიგებელი სანაპიროთი და დასასუფთავებელი ქუჩებით ხვდება... ■

ომი თუ დასაშინებლად გამიზნული პროვოკაციები?

საქართველოსა და რუსეთს შორის ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას ქართველი პოლიტოლოგები გამორიცხავენ და მიიჩნევენ, რომ შეიარაღებული კონფლიქტი არც თბილისის და არც მოსკოვის ინტერესებში არ შედის, მაგრამ ფაქტია — ჩვენი დიდი მეზობელი დღითი დღე უფრო აგრესიული ხდება, თვითაღიარებულ რეგიონებში კი პროვოკაცია სულ უფრო ხშირ მოვლენად იქცა. ვინ არიან ომის ინიციატორები და რა საფრთხეა მოსალოდნელი კავკასიაში? — ამ კითხვებზე პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე გვიპასუხებს.

ვის აძლევს ხელს ომი კავკასიაში

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო სოსო, ვის ინტერესებში შედის საქართველოსა და რუსეთს შორის ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღება?

— ასეთი ფართომასშტაბიანი ომის წამოწყება დღეს მხოლოდ კოკოითსა და ბაღაფშს აძლევს ხელს: ისინი დარწმუნებული არიან, რომ მსოფლიო, რუსეთს საქართველოსთან ანგარიშსწორების საშუალებას მისცემს და მათაც ხელფეხი გაეხსნებათ, მაგრამ არა მგონია, ასეთ სულელურ გათვლას მოსკოვიც იზიარებდეს. კრემლში გაცილებით სერიოზული და ჭკვიანი ხალხი ზის, ვიდრე კოკოითი და ბაღაფში არიან.

— სწორედ კრემლის მითითებით გაიზარდა ცხინვალის რეგიონში შერეული სამშვიდობო კონტინგენტი, რუსეთის ავიაგამანადგურებლები შემოიჭრნენ საქართველოს საჰაერო სივრცეში და მოსკოვში დაიგეგმა კოდორის ხეობაში შეჭრის ოპერაცია.

— ეს მხოლოდ სამხედრო პროვოკაციებია. კოდორის ხეობაში ფართომასშტაბიანი ბლიცკრიგის განხორციელება შეუძლებელია. დღეს საქართველოს ნამდვილად აქვს ისეთი სამხედრო ძალა, რომ კოდორის ხეობის გეოგრაფიული რელიეფის (ძნელად მისასვლელი გზების) გამოყენებით, ნებისმიერ მომხდურს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს. რაც შეეხება სამხედრო პროვოკაციის მოხშირებას, — ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ რუსეთი ძალზე გაღიზიანებულია ევროპის გააქტიურებით.

— რას გულისხმობთ?

— ადრე ევროკავშირი ძალიან პასიურობდა საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხში. ეუთო თავის მისიებს კი გვიგზავნიდა, მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. დღეს ევროკავშირი გაცილებით აქტიურია.

— საქართველოსა და რუსეთს შორის ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში, თვით სეპარატისტული რეგიონები რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან?

— ასეთ შემთხვევაში, მათ გადაგვარების საფრთხე ემუქრებათ. კოკოითს ეს სულაც არ ადარდებს, მისი ოცნება — რუსეთის „გუბერნიის“ გუბერნატორობაა და ამისათვის ის ნებისმიერ საფასურს გადაიხდის. მისგან განსხვავებით, ბაღაფშს დამოუკიდებელი აფხაზეთის შექმნა სურს. რუსეთი აფხაზებს მხოლოდ საქართველოსგან თავდასაცავად სჭირდებათ, მაგრამ არ იციან, რა საფრთხე ელით თავიანთი „მფარველისაგან“, ამიტომ კარგი იქნება, თუ ციმბირის ისტორიას გაეცნობიან: ნახონ ერთი, ვიდრე იქ ერმაკი (რუსი სარდალი) შეიჭრებოდა, რამდენი ადგილობრივი ტომი ცხოვრობდა და დღეს რამდენია — სრულიად დაიკარგა და გადაჯიშდა იმ ხალხის ეთნოსი...

— რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა ჩვენი საჰაერო სივრცე მაშინ დაარღვიეს, როდესაც თბი-

ფართომასშტაბიანი ომის წამოწყება დღეს მხოლოდ კოკოითსა და ბაღაფშს აძლევს ხელს

სააკაშვილმა ერთ რამეს მართლაც, მიაღწია — ხელი შეუწყო რუსეთის საერთაშორისო იზოლაციას

ლისს კონდოლიზა რაისი სტუმრობდა. რისი მიმანიშნებელი იყო კრემლის ეს დემარში?

— რუსეთმა ამით, საქართველოს და მთელ მსოფლიოს აგრძნობინა, რომ დასავლეთის სიტყვიერი კრიტიკა მისთვის არაფერს ნიშნავს. სააკაშვილმა ერთ რამეს მართლაც, მიაღწია — ხელი შეუწყო რუსეთის საერთაშორისო იზოლაციას. საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად, მოსკოვის კრიტიკა მთელმა მსოფლიომ დაიწყო, მაგრამ ამასთანავე, რუსეთი უფრო გაღიზიანდა და „ნერვიულად“ იქცევა.

— ეს ყველაფერი ჩვენთვისაა უფრო სახიფათო თუ რუსეთისათვის?

— ორივე ქვეყნისთვის ერთანირად სახიფათოა.

— თბილისში სტუმრობისას, კონდოლიზა რაისმა განაცხადა: ძალადობა, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ის, უნდა დასრულდესო. შეერთებული შტატებისგან უფრო ქმედით ნაბიჯებს ხომ არ უნდა ველოდეთ?

— ეს პოლიტიკური მოწოდება იყო და მეტი არაფერი. ჩვენ გვინდა, რომ ამ სიტყვების მიღმა რაღაც სერიოზული იმალებოდეს, მაგრამ ასე არ არის. სასურველს რეალობად ნუ მივიღებთ და ისე ნუ გავიგებთ, რომ ამერიკა აპირებს, შემოიღოს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ ან სამხედრო დესანტი გადმოსხას სეპარატისტულ რეგიონებში. პრეზიდენტი სააკაშვილი, დაუფარავი უკმაყოფილებითა და გაღიზიანებით, მოუწოდებს დასავლეთს, რომ რეალურ ქმედებაზე გადავიდეს, მაგრამ მხოლოდ რეზოლუციები და სიტყვიერი განცხადებები გვაქვს ხელთ. ილუზიების ტყვეობაში მოქცევა არაფერს გვარგებს. 5 ათასი ჯარისკაცით ქართული არმიის გაზრდა სწორ ნაბიჯად მიმაჩნია. ამ კონტინგენტით საქართველო რუსეთს ომს ვერ მოუგებს, მაგრამ ის სავსებით საკმარისია ისეთი პროვოკაციების აღსაკვეთად, როგორიცაა კოდორის ხეობაში დივერსანტების შეყვანა.

— თუ ამერიკა და ევროპა ჩვენს მხარდასაჭერად ქმედით ნაბიჯებს არ დგამს, რუსეთი ომის წამოწყებისგან თავს რატომ იკავებს? ალბათ ძირითადად, იმის შიშით, რომ ის მთელ კავკასიას არ მოედოს?

— საქართველოს გამო რუსეთს ომს მართლაც, არავინ გამოუცხადებს, მაგრამ გაუზრდიან სანქციებს და საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცევენ. რუსეთმა რა საბაბითაც უნდა დაიწყოს საქართველოსთან ომი, ეს მისთვის თვითლუსტრაციის ტოლფასი იქნება. უკვე ისედაც ალაპარაკდნენ „დიდი რვიანიდან“ რუსეთის შესაძლო გარიცხვაზე. გარდა ამისა, ერთი ხელის მოსმით ჩაიშლება ის პროექტი, რომელიც მედვედევის სახელს უკავშირდება.

— რა პროექტი გაქვთ მხედველობაში?

— კრემლის ახალი პროექტის მიხედვით, პუტინის ხისტი პოლიტიკა წარსულს ჩაბარდება და მოსკოვი გარე სამყაროსთვის უფრო გახსნილი და ლიბერალური გახდება. ამ პროექტის ჩაგდება რუს გენერლებს კი სურთ, მაგრამ საბედნიეროდ, რუსულ პოლიტიკაში უფრო სერიოზული ხალხიცაა, ვიდრე „შერეკილი“ და სისხლს მოწყურებული გენერლები არიან.

— რუსულ პრესაში ხშირად იწერება, თითქოს მავანს რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებული დაპირისპირება, მედვედევის დისკრედიტაციისთვის სჭირდება. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— ჩემი აზრით, მედვედევს ასე ცოტა ხანში, ასეთი ძლიერი ოპოზიცია ვერ ჩამოუყალიბდებოდა. არა მგონია, დღევანდელ რუსეთის ოპოზიციას სისხლისმღვრელ ომში კრემლის ჩათრევა შეეძლოს. მედვედევის ასეთი კრახი პუტინსაც არ აძლევს ხელს, იმიტომ, რომ ის, მთავრობის მეთაური და ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსია. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის მოწინააღმდეგე, მისი მოწინააღდეგეც იქნება. მედვედევს ჯერ ისეთი არაფერი გაუკეთებია, რაც პუტინის კურსს ეწინააღმდეგება.

— ესე იგი, სამხედრო პროვოკაციები ძირითადად, რუსი გენერლების თვითნებობის შედეგია?

— ნაწილობრივ, ასეა. რუსული გენერალიტეტი ყოველთვის, „ავტონომიურ რეჟიმში“ ცხოვრობდა და მოქმედებდა. კომუნიზმის დროსაც კი, როდესაც ყველაფერს პოლიტბიურო წყვეტდა, სამხედროების გავლენა ძალზე დიდი იყო. დღეს რუსეთში ორჯერ მეტი გენერალია, ვიდრე საბჭოთა კავშირში იყო. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების სათავეში „ჩეკისტების“ ხვედრითი წონა შემცირდა და მედვედევმა უფრო ცივილიზებული და განათლებული ხალხი მოიყვანა (რა თქმა უნდა, ისევ პუტინის კადრები), სამხედროთა გავლენა მაინც ძალზე დიდია. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ამ პროვოკაციების მიღმა რუსი გენერალიტეტი დგას. თუ დააკვირდებით, რუსულ პრესაში ყველაზე აგრესიულად სწორედ გენერლები გამოდიან.

— რუსებს ჩვენი სუსტი წერტილები კარგად აქვთ შესწავლილი. თუ არსებობს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც სილრმისეულად იკვლევს მნიშვნელოვან საკითხებს, ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობას და სხვა ამდაგვარს?

მედვედევს ჯერ ისეთი არაფერი გაუკეთებია, რაც პუტინის კურსს ეწინააღმდეგება

— სამწუხაროდ, ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი ამ სფეროში საკმაოდ დაბალია. ძალიან მადარდებს ის ფაქტი, რომ საზოგადოების მოწინავე ნაწილის წარმომადგენლები ხშირად, სრულიად უპასუხისმგებლო და დაუსაბუთებელ განცხადებებს აკეთებენ. მაგალითად, იმას, რომ რუსეთთან ომის შემთხვევაში, მას „დედას ვუტირებთ“ და ა.შ. საზოგადოებრივი აზრის ამგვარად შეცდომაში შეყვანა კარგს არაფერს მოგვიტანს. როდესაც დავით ბაქრაძე იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, შეიქმნა ექსპერტთა საბჭო, რომელიც ყოველდღე იკრიბებოდა, მსჯელობდა და გარკვეული დასკვნებიც გამოჰქონდა. ამ სხდომებს თავად მინისტრიც ესწრებოდა. ის წავიდა და საბჭოც „გაქრა“. ალბათ ტყეშელაშვილი ბაქრაძეზე კარგი მინისტრია და არ სჭირდება სხვისი აზრის მოსმენა... ■

სამი ლამაზი გოგონა

გასულ კვირას ჩვენს ქალაქში დაპირებული კონკურსი — „მის ბიკინი“ ჩატარდა, რომელმაც 2008 წლის გამარჯვებული გოგონა გამოავლინა. კომპეტენტურმა ჟიურიმ ნონა დიაკონიძე 22 ლამაზ კონკურსანტს შორის გამოარჩია. სხვათა შორის, მაყურებლის სიმპათიაც ის აღმოჩნდა. იმის გამო, რომ შოუს ორგანიზატორებმა (სააგენტო „ფავორიტი“), „მის ბიკინის“ გარდა, მსოფლიოს კიდევ ორ კონკურსზე უნდა გაგზავნონ კონკურსანტები, ამ ორი გოგონას არჩევაც ჟიურის დაევალა. ამრიგად, კონკურსზე — „მის ევროპა და მსოფლიო იუნიორი“ — თამთა ბერძენიშვილი გაემგზავრება, ხოლო „მის დედამიწაზე“ — საქართველოს, სოფო სვიმონიშვილი წარმოადგენს. ჩვენ კი ეს სამი ლამაზი გოგონა ჩვენს რუბრიკაში მოვიწვიეთ და ჟურნალისტისა და რესპონდენტის როლების მორგება შევთავაზეთ.

ანუ რას ნიშნავს კონკურსში გამარჯვება

ლალი ფაცია

ქურნალისტები – თამთა ბერძენიშვილი და სოფო სვიმონიშვილი

რესპონდენტი – ნონა დიაკონიძე

თამთა:

— **ნონა, როგორ წარუდგენ შენს თავს მკითხველს?**

— ვარ სააგენტო „ნიუ სტარის“ მოდელი, 18 წლის, რომელიც გუშინ (*ინტერვიუ ჩაწერილია 12 ივლისს. — ავტ.*) გახდა „მის ბიკინი — 2008“. მეტი რა უნდა ვთქვა ჩემზე, არც კი ვიცი.

სოფო:

— **როგორ მიხვედი ამ ტიტულამდე? ანუ როდის დაინტერესდი სამოდელო ბიზნესით?**

— ყველაფერი ასე დაიწყო: 14 წლის ასაკში გავხდი სამოდელო სააგენტო „ნიუ სტარის“ მოდელი, სადაც, შეიძლება ითქვას, რომ გავიზარდე... არაერთ ტელეპროექტში მიმიღია მონაწილეობა. სხვათა შორის, შარშანაც ვმონაწილეობდი კონკურსში — „მის ბიკინი“ და ხუთეულში მოვხვდი. წელს კი მაგრად გამიმართლა — პირველობას მივაღწიე.

თამთა:

— **ჯერ 24 საათი არც არის გასული, რაც თავზე „მის ბიკინის“ გვირგვინი დაგადგეს. რა განიცადე?**

— ჯერჯერობით ეს ფაქტი ბოლომდე ვერც გავაცნობიერე. პირველი ის იყო, რომ დილამდე შოკში ვიყავი, მთელი ღამე თითქმის არ მძინებია. ახლა შოკი ნელ-ნელა სიხარულსა და ბედნიერებაში გადადის. ვაცნობიერებ და ვხვდები, რომ მივაღწიე იმას, რაც მინდოდა, რაც ჩემთვის საოცრად სასიამოვნოა. მაგრამ უკვე ახალი მიზანი გამიჩნდა: უცხოეთიდან ანუ კონკურსიდან — „მსოფლიო მის ბიკინი — 2008“ — ხელდამშვენებული დავბრუნდე. პირობას ვდებ, რომ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

— **მაინც, რას გააკეთებ ამისთვის?**

— უპირველესად, ვეცდები, რომ შევინარჩუნო ჩემი ფორმა, პარამეტრები. წონაში ცოტა კიდევ უნდა დავიკლო. ამისთვის ტრენაჟორებზე ვარჯიში მომიწევს.

სოფო:

— **დარბაზში ბევრი გულშემატკივარი გყავდა?**

— დარბაზში იყვნენ: დედაჩემი, მისი დაქალი და ჩემი მეგობარი ბიჭი.

— **შეყვარებული?**

— შეყვარებულიც.

— **მას რაიმე შენიშვნა ხომ არ მოუცია?**

— არა. ის ევროპაში ცხოვრობდა, სხვანაირი მენტალიტეტი აქვს. მისთვის ჩემი საქმიანობა მისაღებია. მართალია, არის პერიოდები, როცა რაღაც არ მოსწონს ჩემს საქმიანობაში და ერევა კიდეც, მაგრამ ძირითადად, არაფერს მიკრძალავს.

თამთა:

— **როგორ ფიქრობ — ევროპელი „მის ბიკინები“ რითი გგვანან და რით განსხვავდებიან შენგან?**

— ჩვენ შორის საერთო ალბათ ის არის, რომ ყველას ერთნაირი ტიტული გვაქვს და ამასთან, უდიდესი პასუხისმგებლობაც გვაკისრია. განსხვავება კი ვფიქრობ, ის არის, რომ ქართველ „მის ბიკინის“ სახელმწიფოსგან ნაკლები მხარდაჭერა და თანადგომა აქვს. ეს ყურადღება ევროპელ „მის ბიკინებს“ არ აკლიათ. არადა, უცხოეთში ხომ შენს ქვეყანას წარმოადგენ!..

სოფო:

— **შენი აზრით, ცხოვრების სტილით ჰგავხართ ერთმანეთს?**

— არა მგონია, ჩვენ შორის დიდი განსხვავება იყოს. უბრალოდ, საქართველოში შოუბიზნესი ისე განვითარებული არ არის, როგორც იქ. ამის გამო, შესაძლოა, მათ ჩვენებაზე გამოსვლის მეტი პრაქტიკა ჰქონდეთ.

თამთა:

— **ელოდი გამარჯვებას?**

— შანსი რომ მქონდა, თითქოს ვგრძნობდი, მაგრამ ბოლომდე ვერ ვუშვებდი იმას, რომ ჟიური მე ამირჩევდა. ხომ იცი, ნებისმიერ ადამიანს აქვს თავისი მინუსები და მეგონა, ჟიური ჩემს მინუსებზე უფრო გაამახვილებდა ყურადღებას, ვიდრე პლუსებზე. ასე რომ, ბოლომდე დარწმუნებული არ ვყოფილვარ.

სოფო:

— **ისე, მაინც არ გვითხარი, ცხოვრების როგორი სტილი გაქვს?**

— აქტიური, მხიარული, მაგრამ მაინცდამაინც დისკოთეკებზე ხშირად დავდივარ-მეთქი, ვერ დავიტრაბახებ. არა ვარ ასეთი გართობის მოყვარული. სახლში ყოფნა და ჩემს კომპიუტერთან ჯდომა უფრო მეტად მსიამოვნებს. მაქვს საყვარელი ონლაინ-თამაშები. გარდა ამისა, მიყვარს ხატვა, წიგნის კითხვა. განსაკუთრებით, ფრანგული ლიტერატურა მიზიდავს. ინგლისურ ენას ვეუფლები და სერიოზულად ვმეცადინეობ. მართალია, სკოლა შარშან დავამთავრე, მაგრამ არც მიცდია, რომ უმაღლესში ჩამებარებინა. სამომავლოდ, ბიზნესლედი მინდა გავხდე და „უცხო ენებზე“ ჩავაბარო. სულ მოდელი ხომ არ ვიქნები! მინდა, ჩემი პროფესია მქონდეს.

თამთა:

— **ნონა, როგორი შეყვარებული ხარ?**

— ყურადღებას ვითხოვ, მაგრამ სითბოს გავცემ კიდეც. ყურადღებას არ ვაკლებ მას, ვინც ამას იმსახურებს.

— **შენს ხასიათზე რას იტყვი?**

— ძალიან მომთმენი ადამიანი ვარ, ცოტათი მკაცრიც...

— **როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— გარეგნობას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, იყოს მამაკაცური და პატივს მცემდეს...

— **წარმატებებს გისურვებთ!**

ჟურნალისტი – ნონა დიაკონიძე
რესპონდენტები – თამთა აბრამენიშვილი და სოფო სვიმონიშვილი

— მე რომ მკითხეთ, საინტერესოა, თქვენ როგორ გააცნობდით თავს მკითხველს?

თამთა:

— მე ვარ სააგენტო „ფავორიტის“ მოდელი, ჯერჯერობით — სკოლის მოსწავლე, მე-12 კლასში გადავედი. 17 წლის გახლავართ. ამ კონკურსისთვის ვემზადებოდი, ცოტა დიეტასაც ვიცავდი, არ მინდოდა, რომ პარამეტრები შემცვლოდა. თუმცა კონკურსში მონაწილეობა საკმაოდ გვიან გადავწყვიტე: რაღაც კომპლექსები მქონდა.

— ანუ ვერ ბედავდი საცურაო კოსტიუმით სცენაზე გამოსვლას, გერიდებოდა?

— კი, ასე იყო...

სოფო:

— მე ვარ სააგენტო „ვიაიპის“ მოდელი, 20 წლის. „მის ბიკინის“ კონკურსისთვის აქტიურად ვემზადებოდი. ეს საკმაოდ სერიოზული შრომის ფასად დამიჯდა, რადგანაც შორს ვიყავი იდეალური პარამეტრებისგან: დასაკლები მქონდა წონა, გასარუჯიც გახლდით და კიდევ არაერთი წვრილმანი მიშლიდა ხელს. მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან აქტიურად ვემზადებოდი. ვვარჯიშობდი. კვების რაციონში კორექტივები შევიტანე. ჩემმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. ასეთ ფორმაში, როგორც დღეს ვარ, არასდროს ვყოფილვარ. თურმე ბევრი შემძლებია. ამრიგად, დავრწმუნდი საკუთარ შესაძლებლობებში. საბანკო-საფინანსო ინსტიტუტში ვსწავლობ, მეოთხე კურსზე გადავედი.

— კონკურსის რომელ მომენტში ნერვიულობდით ყველაზე მეტად?

— სცენაზე გასვლის წინ, სულ თავიდან, ცოტათი დისკომფორტი ვიგრძენი, არ ვიცოდი, როგორ მიიღებდა ჩვენს გამოსვლას მაყურებელი. მერე, როდესაც შოუ დაიწყო, თითქოს დაძაბულობისგან გავთავისუფლდი. წარვუდგენდი საკუთარ თავს მაყურებელს და მგონი, გამომდიოდა. არადა, რომ ვაკვირდებოდი ჟიურის წევრებს, ისეთი მკაცრი სახის გამომეტყველება ჰქონდათ, რომ ბევრისთვის დამაბნეველიც კი აღმოჩნდა მათი მზერა. კიდევ, ყველაზე მომაბეზრებელი და დამღლელი, ჟიურის ვერდიქტის გამოტანის პროცესი გახლდათ: „განაჩენს“ დიდხანს ველოდით.

თამთა:

— ყველაზე მეტად, ინტელექტუალური გამოკითხვის დროს ვინერვიულე: როდესაც კითხვებზე უნდა გაგვეცა პასუხი, რატომღაც, ძალიან დაძაბული ვიყავი.

— თქვენი აზრით, როგორ შეიცვლება თქვენი ცხოვრება მას მერე, რაც საერთაშორისო კონკურსში მიიღებთ მონაწილეობას?

თამთა:

— თუ გამიმართლა და გამარჯვებული დავბრუნდი, ჩემი ცხოვრება მართლა ძალიან შეიცვლება.

— გამარჯვების შანსი გაქვთ?

— იმედი მაქვს...

— რადგან უკვე იმ კონკურსის მონაწილედ ვითვლები, შანსები მაქვს. ხოლო თუ რა მოხდება, ამას წინასწარ ვერ განვსაზღვრავ. თუმცა ვფიქრობ, რომ ფაქტობრივად, უკვე შეიცვალა.

— თამთა, მგონი, ჩვენ შორის ყველაზე უმცროსი ხარ. სკოლაში დადიხარ? როგორი დღის რეჟიმი გაქვს?

— კი, სკოლაში დავდივარ, გამოცდებისთვის სერიოზულად ვემზადები ხოლმე. გართობითაც, ვერთობი. მიყვარს დისკოთეკებზე სიარული, მაგრამ სწავლის გამო, ამას ხშირად ვერ ვახერხებ. მიყვარს ხატვა, კითხვა, კერვა, ცეკვა.

სოფო:

— ძირითადად, სწავლით ვარ დაკავებული. შემდეგ რას მოვიმოქმედებ, არ ვიცი. ისე, ხატვა მეც ვიცი, ჩემთვის ვხატავ ხოლმე და ასე ვერთობი. სპორტი ძალიან მიყვარს, რადგანაც ყოფილი ტანმოვარჯიშე გახლავართ, მხატვრული ტანვარჯიშით ვიყავი დაკავებული. ცეკვაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს და მეგობრებთან ერთად ყოფნაც.

სოფო, ნონა, თამთა.

— შეყვარებულზე მე რომ მკითხეთ, ახლა ის მითხარით, თქვენ თუ ხართ შეყვარებულები?

— ...(*იცინის*).

— გასაგებია.

— შენ, თამთა?

— მე — არა (*იცინის*).

— როგორი ბიჭები მოგწონთ?

სოფო:

— პირველ რიგში, უნდა იყოს ღირსეული ადამიანი, ნამდვილი მამაკაცი. ის ჩემთვის უპირველესად, მეგობარი უნდა იყოს. თუ ჩვენ მეგობრები ვიქნებით, ურთიერთობას ნამდვილად ავაწყობთ.

— მშობლების თემას არ შევხებივართ. ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას, „მის ბიკინის“ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე? და თუ ფიქრობთ, რომ ქართველ საზოგადოებაში ამ მხრივ სერიოზული ცვლილებები მოხდა?

— ეს არის პირველ რიგში, ძალიან ლამაზი შოუ, სადაც ამდენი ლამაზი გოგო გამოდის და თავისი ლამაზი სხეულის დემონსტრირებას ახდენს. ამაში ცუდი არაფერია. მაგრამ ჯერჯერობით ქართული მენტალიტეტი იჩენს თავს. ვფიქრობ, თანდათან ამასაც ეშველება და ყველაფერს ჯანსაღი თვალით შევხედავთ. მე ოჯახში არანაირი წინააღმდეგობა არ მქონია. ყველანაირად მხარი დამიჭირეს.

— ისე, მაინც, თქვენი აზრით, „მის ბიკინი“ როგორი უნდა იყოს?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გარეგნობაა მნიშვნელოვანი. სხეულის დახვწილი და გამოკვეთილი ფორმები სჭირდება. მის ადამიანურ თვისებებსაც ექცევა ყურადღება. სასურველია, რომ კარგი ხასიათის ადამიანი იყოს. მისგან დადებითი მუხტი უნდა მოდიოდეს. მიზნისკენ უნდა ისწრაფოდეს. ბუნებრივი სილამაზის სათანადოდ წარმოჩენის უნარი უნდა ჰქონდეს.

თამთა:

— სოფოს აბსოლუტურად ვეთანხმები. მართლაც, ყველანაირად დახვწილი უნდა იყოს.

— მითხარით, როგორ მოემზადებით შემდგომი ეტაპისთვის — უცხოეთში კონკურსებზე გამოსასვლელად?

სოფო:

— ჯერ კარგად უნდა გავერკვე იმაში, თუ რა მომეთხოვება საერთაშორისო კონკურსზე, რა იქნება საჭირო, რა ინფორმაციას უნდა ვფლობდე, რადგან იქ ჩემი სხვა შესაძლებლობებიც ხომ უნდა გამოვავლინო?! ამრიგად, გავაგრძელებ აქტიურად ვარჯიშსა და დიეტას... აქ გამოვდიოდი და მთელი ენერგია დავხარჯე. ახლა უფრო საპასუხისმგებლო მისია მაკისრია. ამდენი ქვეყნის წარმომადგენელი იქნება იქ და მათ წინაშე ჩვენი ქვეყანა უნდა წარმოვადგინო!..

— ასეთ საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეებს შორის ინტრიგები ხდება ხოლმე. ამისთვის ფსიქოლოგიურად მზად ხართ?

— საერთოდ, ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის ვცდილობ, რომ დიპლომატიურად მოვიქცე. ინტრიგებში ჩართვა ლამაზი საქციელი არ არის.

თამთა:

— კი, მეც ვაპირებ, რომ ფსიქოლოგიურად მეტად მოვემზადო: უფრო გაბედული უნდა გავხდე.

— მინდა, წარმატებები გისურვოთ. გიგულშემატკივრებთ. ■

„აფხაზებმა სვანების ხასიათი კარგად იციან...“

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გამწვავების ფონზე აფხაზეთში ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ ომის საშიშროებაზე. გალის მოსახლეობა ყოველდღე ხედავს, თუ როგორ იზრდება რუსეთის შეიარაღებული კონტინგენტი და მასთან ერთად — სამხედროების გავლენა აფხაზეთში.

ჯოდორის მოსახლეობას იმუნიტეტი იცავს

ასმათ შამუგია

გიორგი, *30 წლის, ზემო აფხაზეთის მკვიდრი:*

— აფხაზებისა და რუსების მხრიდან მუქარები გვესმის, მაგრამ აქაურობის მიტოვების სურვილი არ

არა მგონია, აფხაზებმა შეტევა გაბედონ

გვაქვს... შიში — არა, მაგრამ დაძაბულობა კი მაინც იგრძნობა. არა მგონია, აფხაზებმა შეტევა გაბედონ, თუნდაც იმიტომ, რომ მათ სვანების ხასიათი კარგად იციან: ჩვენ საკუთარი თავის იმედი გვაქვს, იარაღი სადმე სულ გვაქვს შენახული და საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად გამოვიყენებთ. ომის შემდეგ ორივე მხარე ბევრ შეცდომას მივხვდით და ბევრი რამ ვინანეთ კიდევაც. თუ ერი, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩვენი მეგობარი იყო, ჩვენ წინააღმდეგ წამოვა, ეს მისი სურვილით არ მოხდება, ამას ისინი ძალდატანებით გააკეთებენ...

დავითი, *50 წლის, გალის რაიონის სოფელ ზემო ბარლების მკვიდრი:*

— ვისაც საკუთარი თვალით უნახავს, რა ხდებოდა აფხაზეთში 15 წლის წინ, ყველაფერი უნდა დათმოს და ომი არ უნდა დაუშვას. როგორც კი ენგურს გაღმა გადავდივართ, ვხედავთ — იქ ყველა, რაღაც საფრთხის მოლოდინშია. მოსახლეობა უკვე ღიად ლაპარაკობს ომზე, რომელიც არავის უნდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასე ცხოვრებაც ყოვლად შეუძლებელია... სოფელში მომყავს თხილი. მართალია, აფხაზებსაც მიაქვთ წილი, მაგრამ სამყოფი მაინც მრჩება... ერთი თვეა, ცოლი შევირთე. ვცხოვრობ ოჯახთან ერთად. ახლა კვლავ ომი რომ დაიწყოს, ყველაფერი თავდაყირა დადგება და ისევ ტყე და სარეველა წაიღებს აქაურობას. ომი და ხოცვა სიკეთეს არც ერთ მხარეს არ მოუტანს...

მერაბი, *40 წლის, ზემო ბარღების მკვიდრი:*

— ბოლო დროს საერთოდ, აფხაზეთში კარგი არაფერი ხდება. ყოველდღე შეიარაღებული კაცი შემოჰყავთ — კაზაკი, ჩეჩენი თუ რუსი. აფხაზეთი რუსეთის პატარა სამხედრო რეგიონად იქცა... მორიგი ომი არ გვინდა, მაგრამ თუ საჭირო გახდა, კბილებით დავიცავთ ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს...

მინდია, *22 წლის, ზემო აფხაზეთის მკვიდრი:*

— კოდორის ხეობაში პანიკა და დაძაბულობა არ შეინიშნება. მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ცხოვრებაც ჩვეულებრივ რიტმში გრძელდება. ჩვენ არ გვეშინია აფხაზების და რუსების მუქარის, ჯერ არავინ წასულა ხეობიდან — არც ბავშვები, არც ქალები და არც ვაპირებთ აქედან სადმე წასვლას...

კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქართველებს ზაფხულში, სხვა პრობლემებთან ერთად, კიდევ ერთი დაემატა: აფხაზი სეპარატისტები გალელ აბიტურიენტებს ენგურს გამოღმა არ უშვებდნენ. უმრავლესობამ ეს მაინც მოახერხა, შემოვლითი გზებით ზუგდიდამდე ჩააღწია და ეროვნულ გამოცდებზე დროულად გამოცხადდა. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ, საქართველოს განათლების სამინისტროს ტერიტორიული წარმომადგენლობისა და საინფორმაციო მართვის სამმართველოს უფროსს — ***მანანა ქვაჩახიას*** *ვესაუბრეთ.*

— რას გვეტყვით გალელ აბიტურიენტებზე, რომლებმაც თითქმის გადაულახავი ბარიერები გადალახეს, რათა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიეღოთ მონაწილეობა?

— ის, რაც წელს მოხდა, კიდევ

მანანა ქვაჩახია

ერთხელ და უფრო მკაფიოდ ადასტურებს: ქართველ ახალგაზრდებს არ აძლევენ საშუალებას, ისწავლონ, ილაპარაკონ მშობლიურ ენაზე, გაეცნონ მშობლიური ქვეყნის ჭეშმარიტ ისტორიასა და ლიტერატურას, თავისუფლად გადაადგილდნენ მშობლიურ კუთხეში. უკვე რამდენიმე წელია, მეთოდურად მიმდინარეობს კონფლიქტის ზონის აბიტურიენტებისა და უფროსკლასელების „მოხიბვლა“, რუსეთისა და აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერსპექტივით. მათ სთავაზობენ: უკონკურსოდ ჩარიცხვას, საცხოვრებელი პირობების შექმნას, სტიპენდიებსა და სხვა „სიკეთეებს“. ადვილი განსაჭვრეტია, თუ როგორ „განათლებას“ მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდები და რა სულიერებით დაუბრუნდებიან საკუთარ ოჯახებს... ამის გამო, სრულიად საფუძვლიანად გამოთქვამენ შეშფოთებას მათი აღმზრდელები და მშობლები, მაგრამ გადაწყვეტილებას ხშირ შემთხვევაში, გამოუვალი მდგომარეობით ხსნიან და არც გაემტყუნებათ... მიხარია, რომ მიუხედავად „იქითა მხარის“ მიერ ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებისა, აბიტურიენტების უმრავლესობამ, რისკის ფასად, მაინც შეძლო ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა. იმედი მაქვს, მათი მონდომება და სიმამაცე სასურველ შედეგებს გამოიღებს. ამ ახალგაზრდების უმრავლესობას ვიცნობ, რამდენჯერმე შევხვედრივარ და კარგად ვიცი — მტკიცედ მიისწრაფვიან იმისკენ, რომ მიეკუთვნებოდნენ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს, მიიღონ განათლება და ემსახურონ ქვეყანას.

— ზემო აფხაზეთში დღეს შექმნილ ვითარებასა და მოსახლეობის განწყობილებაზე რას გვეტყვით?

— ზემო აფხაზეთში ბოლო დროს აღმშენებლობის პროცესი მიმდინარეობს, ეს კი ბევრს აღიზიანებს და მოსვენებას უკარგავს. ეს მათი პრობლემაა. ჩვენ შევეჩვიეთ მუქარას და უკვე ერთგვარი იმუნიტეტიც კი გამოვიმუშავეთ... მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ზემო აფხაზეთში შენების პროცესი გრძელდება და სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული ხეობის საგანმანათლებლო დაწესებულებები — სამი საშუალო და ექვსი დაწყებითი სკოლა. ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტები, ტარდება კონკურსები. სექტემბრიდან კიდევ რამდენიმე აიღებს სტარტს. ასე რომ, როგორც იტყვიან, „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“. ყველაფერი კარგად იქნება!..

■

რუსი ჯარისკაცის „შეგონება“, აფხაზი მეგზური და უნებლიეთ შეურაცხყოფილი მშველელი

ენგურის ხიდის ჩაკეტვის შემდეგ, სეპარატისტებმა დამატებითი ბლოკპოსტები გახსნეს, რამაც ოჯახისა და ახლობლების მოსანახულებლად ჩასულ გალის მკვიდრთ, უკან დაბრუნების ერთადერთ საშუალებად, შემოვლითი გზით რისკიანი მგზავრობა დაუტოვა...

ლალი პაპასკირი

ნანა კვარაცხელია, *32 წლის:*

— ჩემი მშობლები გალში ცხოვრობენ. არეულობა იქ ყოველ წელს, საკურორტო სეზონის დაწყებასთან ერთად იწყებოდა და თხილის სეზონის დამთავრებამდე გრძელდებოდა. როცა იქ წასვლას ვაპირებდი, ვიცოდი, სიტუაცია დაძაბული იყო, მაგრამ ვიფიქრე, რომ გამონაკლისი არც წლევანდელი წელი იქნებოდა. ამიტომ, როგორც კი არდადეგები დაიწყო, მაშინვე გადავედი გალში. თავიდან ადგილობრივები ხუმრობდნენ კიდეც, — აფხაზეთის თემა რომ არ იყოს, ქართულ მასმედიას რა ეშველებოდა, კრიმინალებს შორის არც ერთი „გარჩევა“ და შეტაკება არ გამორჩებათო (აქვე ვიტყვი: როცა ადგილობრივები ენგურს გადმოღმა მხარეს „საქართველოდ“ მოიხსენიებდნენ, ეს ჩემს ყურს ცუდად ხვდებოდა, მაგრამ მერე თანდათან შევეჩვიე...). აფხაზეთში ჩასვლიდან რამდენიმე ხანში ვითარება მეტად დაიძაბა, ძალიან ხშირად მესმოდა, — ან წელს უნდა გადაწყდეს ჩვენი საკითხი, ან — არასდროსო. რუსეთის მოქალაქეობის მიღებას კიდევ უფრო მკაცრად გვთხოვდნენ. არადა, როგორც ვიცი, პასპორტიზაციას აფხაზებიც სხვადასხვაგვარად უყურებდნენ — ნაწილს არ უნდოდა, ჩვენს ხალხს რუსული პასპორტები რომ მიეღო... დაპირისპირების მიზეზი ხან რა იყო, ხან — რა. ზოგი გვეუბნებოდა: ჩვენ დაგვიჯერეთ, თქვენთვის კარგი გვინდაო; სხვები მათ ლანძღავდნენ. მოკლედ, ჩემ თვალწინ იძაბებოდა სიტუაცია... ჩემს ქუჩაზე რამდენიმე აფხაზი ცხოვრობს. მათთან ნორმალური, ადამიანური ურთიერთობა მაქვს და როცა სხვა ქალაქებსა და სოფლებში თავიანთ ნათესავებთან ჩადიოდნენ, იქიდან შემაშფოთებელი ცნობები ჩამოჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდნენ, თავი შეეკავებინათ და იმასაც ვხვდებოდი, რომ რაღაცებს შელამაზებულად ჰყვებოდნენ, მაინც ვატყობდი, რომ რუსების ქმედებები უკვე ყელში ჰქონდათ ამოსული. იმასაც კი გვეუბნებოდნენ, — თქვენ რა გიჭირთ? ენგურს გადაღმა გადახვალთ, აი, ჩვენ სად წავიდეთო?.. როცა რუსი ე.წ. სამშვიდობოების რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა, მათი აღვირახსნილობაც ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. დღე არ გავიდოდა, რომ რაღაცები არ დაგვეკარგა. მართალია, სამშვიდობოები ხალხს არც ადრე უყვარდა, მაგრამ მათთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მაინც ჰქონდა. ზოგი სადილზეც კი ეპატიჟებოდა, ამბობდნენ, — ადამიანები არიან და ცხელი კერძი მონატრებული ექნებათო... როტაციის შემდეგ შემოყვანილი ჯარისკაცები ოჯახებს აწიოკებდნენ.

— ეს იგივე ხალხი იყო, ვისაც ქართველები ცხელ კერძზე ეპატიჟებოდნენ ხოლმე?

— არა, ახალი „პარტია“ შემოიყვანეს. გალის ცენტრსა და სოფლებში ვერ გაივლიდი, იმდენი შეგხვდებოდა. რამდენჯერმე ჩემი თვალით ვნახე, როგორ შემოუცვივდნენ მამაჩემს ეზოში და მის თვალწინ გარეკეს საქონელი. თავბედს ვიწყევლიდი, როცა ვხედავდი, რა სახე ჰქონდა ჩემს შვილს ყოველღამე, სროლების ხმის გაგონებაზე. ავტომატის ხმას უკვე შეჩვეული ვიყავით, მაგრამ გამაყრუებელი აფეთქებები და მძიმე ტექნიკის გრუხუნი ისმოდა... აფხაზები გვეუბნებოდნენ, — სანამ გვიანი არ არის, მხარი დაგვიჭირეთ, თორემ ხვალ თუ ზეგ აქაურობის სამუდამოდ დატოვება მოგიწევთო!.. ერთმა რუსმა ჯარისკაცმა ისიც კი გვითხრა, — ახლა გადაწყდება, ვისთან იქნებით და თუ ჭკუით მოიქცევით, არ ინანებთო.

— „ჭკუით მოქცევაში“ რას გულისხმობდა?

— ადგილობრივების თქმით, აფხაზები და რუსები დადიოდნენ და ხალხს ეუბნებოდნენ, — ქართულ მხარეს უთხარით, რომ ჩვენთან გინდათ ცხოვრება და არანაირი პრობლემა არ შეგექმნებათო... მივხვ-

დი, რომ იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა, მაგრამ გადმოსვლაც რისკთან იყო დაკავშირებული, მით უმეტეს, რომ ენგურის ხიდი გადაკეტეს და ყველა შემოვლით გზაზე აფხაზები იდგნენ. მართალია, ყველანაირ საშინელებას აფხაზებს აბრალებენ, მაგრამ მათ არც რუსები ჩამოუვარდებოდნენ და არც ჩეჩნები. პრინციპში, მათი ერთმანეთისგან გარჩევა ძალიან ძნელია. რა უსიამოვნოც უნდა იყოს ამის მოსმენა, ქართველებიც ბევრს სცოდავდნენ.

ზუგდიდში გადმოსული ხალხი მიწას კოცნიდა, პირჯვარს იწერდა და ღმერთს მადლობას სწირავდა

— ქართველები რაღას გიშავებდნენ?

— რისი წართმევაც შეეძლოთ, მიჰქონდათ... არეულობა ტალღასავით იყო აგორებული: ხან ერთ სოფელში აიწეწებოდა სიტუაცია, ხან — მეორეში. მამაჩემმა ჩვენს ახლობელ აფხაზს სთხოვა, — შვილი და შვილიშვილი სამშვიდობოს გამაყვანინე და მთელი ცხოვრება შენი მონა ვიქნებიო. ის კაცი თითქოს შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა. უპასუხა, — თუ წასვლა გინდათ, საღამოსთვის მოემზადეთ, თორემ სიტუაცია ყოველდღე იძაბებაო... ეზოდან გასულს, სახლის ჭიშკართან მდგარი, აცრემლებული მშობლების სევდიანი მზერა გვაცილებდა. ასე იყო მაშინაც — 15 წლის წინ. კარგად მახსოვს ატირებული დედ-მამის სახე. მაშინ დედაჩემი არ წამოვიდა, — პატარა შვილის საფლავს ვერ დავტოვებო... მამამ დედა ვერ მიატოვა და ისიც იქ დარჩა. ჩვენ კი — მე და ჩემმა ძმამ — ენით აუწერელი, საშინელი დღეები გამოვიარეთ. მამიდა, რომელთანაც მერე ვცხოვრობდით, სითბოსა და ყურადღებას არ გვაკლებდა, მაგრამ ყოველღამე დედაჩემის ალერსი მესიზმრებოდა... არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ იმიტომ გიყვებით, რომ როცა ჩვენს „მფარველ“ აფხაზს დაურეკეს და უთხრეს, — იმ გზიდან უნდა მოუხვიო, იქ განსაკუთრებით საშიში, აფხაზური ბანდაა შესულიო, — ფერი წამივიდა... ჩვენმა მეგზურმა ნაფატუს ხიდისკენ აიღო გეზი. იქ ჩემსავით „ორჯერ ლტოლვილი“, უამრავი, ზურგზე ხურჯინმოკიდებული ქალი დამხვდა, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვი ახლდა... მანქანიდან გადმოვედით თუ არა, ის აფხაზი დაგვემშვიდობა, გვითხრა, — გაასწარით აქედან, სანამ გვიანი არ არისო, — და უკანმოუხედავად გასწია. წინ აბობოქრებული ენგური მოედინებოდა, მასზე ფიცრებისგან სახელდახელოდ შეკრული და დაზიანებული ხიდი იყო გადებული, სახელურად კი ძალიან მაღლა გაჭიმული, დამპალი თოკი ჰქონდა, რომელსაც ვერ ვწვდებოდი... უკან დაბრუნებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა — უეჭველად აგვიყვანდნენ... არც კი მახსოვს, როგორ შეგვაგდო მე და ჩემი შვილი ხალხის ტალღამ ხიდზე. მდინარის ხმა, ხალხის კივილი და დაუსრულებელი სროლების ხმა დღემდე ყურებში მიდგას. წინ მიმავალი ბიჭები ყვიროდნენ, ძირს არ ჩაიხედოთ, არ შეჩერდეთ, თორემ ყველანი წყალში ჩავცვივდებითო!.. ცალ ხელში ბავშვი მეჭირა, მეორეში — ჩანთა. ვიღაც კაცს შევეცოდე და მითხრა, — ბავშვი მაინც მომეცი, მე წამოვიყვანო. იმდენად ვიყავი შეშინებული, რომ ვერ მივენდე და ვუპასუხე, — თუ დახმარება გინდათ, ჩანთა წამოიღეთ-მეთქი... როგორც ჩანს, მიხვდა, რაც ვიფიქრე და გაბრაზებულმა მითხრა, — შენი ტოლი შვილიშვილი მყავსო!.. — მაგრამ ჩანთა მაინც გამომართვა. ზუგდიდში გადმოსული ხალხი მიწას კოცნიდა, პირჯვარს იწერდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ცოცხლები გადავრჩით. მთელი ამ წლების მანძილზე ჩვენს ხალხს იქ ცხოვრება მუდმივი შიშის ქვეშ უწევდა, მაგრამ ასეთი დაძაბულობა არასდროს ყოფილა. იქ უკვე რუსეთთან შესაძლო ომზე ლაპარაკობენ.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში, ***მამუკა არეშიძე*** *სამხედრო დაპირისპირებას არ გამორიცხავს, მაგრამ მისი აზრით, თუ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდა, მას „ლოკალური ომის“ სახე ექნება და რუსეთის პოზიციის მიუხედავად, ამ კონფლიქტში მაინც, აფხაზი ან ოსი სეპარატისტები მოგვევლინებიან.*

— სამხედრო შეტაკების პროვოცირება რუსეთის მხრიდან ყოველთვის შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქმედება მისი პრესტიჟისთვის საზიანოა, რადგან ნიშნავს, რომ რუსეთმა კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფა ვერ მოახერხა. რუსეთი ცდილობს, მსოფლიო საზოგადოება დაარწმუნოს, რომ აგრესორი — ქართული მხარეა. მაგალითად, ლაპარაკია ქართველების მიერ გახსნილ დამატებით ბლოკპოსტებზე, რომლებიც იურიდიულად დასაბუთებული არ არის. ამ დროს, სეპარატისტებსაც აქვთ უკანონო ბლოკპოსტები გახსნილი... ჩემი აზრით, არც ისე დიდი ხნის შემდეგ — ვთქვათ, აგვისტოში, სეპარატისტები შეუტევენ ჩვენს პოსტებს. ქართული მხარე იძულებული იქნება, თავისი პოზიციები დაიცვას, ეს უკვე ლოკალურ ომს ნიშნავს. სამშვიდობოებს, მათი მანდატის მიხედვით, დადგენილი კვოტების გარდა არსებული პოსტების საწინააღმდეგო მოქმედება ეკისრებათ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ისინი მხოლოდ ქართული პოსტების გაკონტროლებას მოინდომებენ... თუ შეტაკება მოხდა, რა თქმა უნდა, ეს ლოკალურ ომში გადაიზრდება.

— ეს კი რუსეთთან ომს ნიშნავს...

— არა, უბრალოდ, რუსეთი მხარს უჭერს სეპარატიზმს, იარაღითა და მოხალისეებით მოამარაგებს მათ... როცა რუსეთთან ომზე ვლაპარაკობთ, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: აფხაზ სეპარატისტთა არმიაში 15% — რუსი ინსტრუქტორი და მეომარია, რომელიც ვითომ გასულია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სისტემიდან, დანარჩენები — ადგილობრივები არიან. გაცილებით ნაკლები რაოდენობით, მაგრამ დაახლოებით ასეთივე სურათია სეპარატისტული ცხინვალის შეიარაღებულ ძალებში. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი მოხალისეების ჩაყვანა არ გაუჭირდებათ და საბრძოლო მოქმედებებში ისინიც ჩაებმებიან. შეფასება კი ასეთი იქნება: საქართველოს რუსეთი არ ეომება, თუმცა ამ ომში ძალიან აქტიურად მონაწილეობს.

— მაშ, როგორ უნდა ვიმოქმედოთ, ამგვარი სცენარით მოვლენების განვითარებისგან თავის ასარიდებლად?

— ამის საწინააღმდეგო ერთადერთი და ძირითადი მექანიზმი — დასავლეთის პოზიციაა. არც ამერიკას და არც ევროპას ომი, არანაირი ფორმით, არ სურთ. ამის შესახებ ქართულ მხარესაც ძალიან მკაფიოდ ეუბნებიან და ასევე მიმართავენ რუსეთსაც. მაგრამ გაითვალისწინებს თუ არა ჩვენი მეზობელი დასავლეთის პოზიციას, — ეს სხვა საკითხია, რომელზე პროგნოზის გაკეთებაც მიჭირს.

■

Press-TV – ახალი კონკურსი ტელეჟურნალისტებისთვის

ჟურნალისტიკის მედიასაზოგადოებაში ერთ-ბოლომ, ორიგინალურად თორმეტის მჯობი ეფექტურმა — „ტელე ჰალიფაქსმ" 2008 წლის გაზაფხულზე, მკითხველს ახალი რუბრიკა — „თვის ეფექტურობა" და ამცნო, კონკურსი „Press-tv" შეცნობა.

თამუნა პეტრიაშვილი

კონკურსი ივნისში დასრულდა. ამ ხნის განმავლობაში რესპონდენტისა და ჟურნალისტის როლში ერთმანეთის პირისპირ არაერთი ცნობილი ტელესახე წარდგა, რომელთა შორისაც, საუკეთესო ჟურნალისტისა და რესპონდენტის ტიტულის მოსაპოვებლად საკმაოდ დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა. კონკურსში სულ რვა წყვილი იყო ჩართული. მათგან კი გამარჯვებული „სმს"-ების საშუალებით მკითხველმა გამოავლინა.

გამარჯვებულის დაჯილდოება ჟურნალის რედაქციის მიერ, 12 ივლისს კლუბ „დეჟა ვუ"-ში გაიმართა. მოწვეულ სტუმართა შორის ცნობილი ჟურნალისტები და მომღერლები იყვნენ. დაჯილდოება მედიასახლ „კვირის პალიტრის" კრეატიულმა დირექტორმა მარიკა დარჩიამ გახსნა, რომელმაც სიტყვა ჟურნალის რედაქტორს — ლელა მოდებაძეს გადასცა. საღამოს კი ჟურნალისტი მაია ღუღუნიშვილი წაუძღვა.

„ყველაზე გემრიელი ჟურნალისტის" ნომინაცია ვასიკო ოდიშვილს ერგო (ის იმ დღის იუბილარი გახლდათ და ამ საპატიო მიზეზით, საღამოზე ვერ გამოცხადდა). მაია ასათიანს „ყველაზე ცხელი ჟურნალისტის" ნომინაცია გადაეცა. ამის ნიშნად კი, საპატიო დიპლომითა და „პალიტრა L"-ის წიგნითაც დაჯილდოვდა. „ყველაზე ჯანმრთელი ჟურნალისტების" ნომინაცია ერგო გადაცემა „პულსის" წამყვანს — გვანცა მეფარიშვილსა და გადაცემის ავტორს — თიკო დაბრუნდაშვილს. „ყველაზე მაგიურ ჟურნალისტად" კი ნანა ჯანელიძე, გადაცემა — „ლატერნა მაგიკის" წამყვანი დასახელდა.

კონკურსის მთავარი პრიზი — „თვის ჟურნალისტი" სამ წყვილს: ნინო არაზაშვილსა და ოთარ ქირიას, სოფო მოსიძესა და სოსო ბარნაბიშვილს, ირაკლი მაისურაძესა და სოფო ხუნწარიას გადაეცა. რომელთაც კომპანია „ფენიქსის", მარმარილოს მინიატიურული ტელევიზორები გადაეცათ.

საღამოს მუსიკალურად „რონდო" აფორმებდა.

— მაიკო, როგორ გგონია, მართლაც ყველაზე „ცხელი ჟურნალისტი" ხარ?

მაია ასათიანი:

— (იცინის) ეს პრიზი ალბათ გადაცემიდან გამომდინარე მომაკუთვნეს. ვაღიარებ, რომ ძალიან სასიამოვნო ჯილდოა, მით უმეტეს, როდესაც ამას მკითხველი განიჭებს.

— ნინო, რას იტყვით ზოგადად კონკურსის შესახებ?

ნინო არაზაშვილი:

— მივესალმები ახალ წამოწყებას და ძალიან მიხარია, რომ „თვის ჟურნალისტად" დამასახელეს...

— ოთარ ქირია როგორი პარტნიორია?

— ოთარს ყოველ დილით, ეთერში მაგრად ვამწარებ. ისე ვეხუმრები, რომ ვაწითლებ. თვითონაც კარგი იუმორის გრძნობა აქვს, ამყვება ხოლმე, რის შემდეგაც გადაცემა სახალისო გამოდის.

■

რატომ ეჯადოსებოდა კუნძულზე გარიყული დავით საგანელიძე გერმანელებს

თითოეული ჩვენგანისთვის ზაფხული დასვენებასთან და ახალ თავგადასავლებთან ასოცირდება. როგორ და სად ისვენებდნენ ცნობილი ადამიანები, როგორ იხსენებენ წლების წინ თავს გადახდენილ ამბებს და საკურორტო რომანებს? — ამ თემაზე სასაუბროდ შეხვედრაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა „მემარჯვენე“ დავით საგანელიძე, რომელმაც მართლაც, ბევრი საინტერესო რამ გაიხსენა.

თამუნა კვინიკაძე

— ბატონო დავით, თქვენი დაბადების დღის შემდეგ ეკრანზე აღარ გამოჩენილხართ. რა ხდება გაერთიანებულ ოპოზიციაში?

— ჩვენ ხშირად ვიკრიბებით და ერთმანეთთან კონსულტაციებს ვმართავთ. შეიძლება ითქვას, რომ გაერთიანებული ოპოზიცია „გაიწმინდა“. დღეს ვაანალიზებთ, სად დავუშვით შეცდომა და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ახალ სამოქმედო გეგმას ვსახავთ. სექტემბრიდან ჩვენი ამომრჩევლის წინაშე კვლავ წარვდგებით.

— ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა დასვენებაა...

— ძალიან კარგი. ბავშვობაში, მთელი წლის მანძილზე, მოუთმენლად ველოდი არდადეგების პერიოდს. ზაფხულობით რაჭაში, ბორჯომში, ლიკანში, აფხაზეთში ვისვენებდი.

— იქნებ, ის ზაფხული გაიხსენოთ, როცა ძმაკაცებთან ერთად დასასვენებლად პირველად წახვედით.

— ზუსტად არ მახსოვს. ალბათ, რომელიმე ზღვისპირა კურორტზე წავიდოდით. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს ის ზაფხული, როცა ინსტიტუტში ჩავაბარე და ჯგუფელებთან ერთად ლენინგრადში წავედი. კარგი დრო გავატარეთ. ბოლოს, თვითმფრინავის ბილეთის ფულის გარდა, კაპიკი აღარ დაგვრჩა. ჰოდა, ისე მოხდა, რომ თვითმფრინავი, რომლითაც უკან ვბრუნდებოდით, თბილისის აეროპორტმა არ მიიღო და სოხუმში ჩავფრინდით. აფხაზეთში 2 დღით მოგვიწია დაყოვნებამ. იქ ჩასულებმა ჯიბეები ამოვიტრიალეთ და უკანასკნელი კაპიკები შევკრიბეთ — ამ თანხით მხოლოდ 3 „პონჩიკს“ თუ ვიყიდდით, ჩვენ კი ხუთნი ვიყავით. მოკლედ, მაგრად ვიშიმშილეთ და როცა თბილისამდე ჩამოვაღწიეთ, ჩვენი შიმშილობის ამბავი ახლობლებსაც ვუამბეთ. ერთ დღეს, მეგობრის, დათო გადელიას ოჯახში შევიკრიბეთ. როცა დედამისმა ჩვენი თავგადასავლის შესახებ შეიტყო, გვითხრა, — დათო უნდა მოვკლა. როცა მის პიჯაკს ვრეცხავდი, გულის ჯიბეში ჩაკუჭული 50-მანეთიანი ვიპოვეო. დედამისის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებისთანავე, დათოს მოკვლა მართლა განვიზრახეთ (*იცინის*)... ერთ ზაფხულს მე და ჩემი კოლეგა, ექიმი რემა ღვამიჩავა ბუდაპეშტში ვისვენებდით. ლუდი ორივეს ძალიან გვიყვარს და მთელი დღის განმავლობაში, მისი სმის სიამოვნებას არ ვიკლებდით. ბოლოს, ფული შემოგვაკლდა და აღარ ვიცოდით, დარჩენილი 2 დღის განმავლობაში თავი როგორ გაგვეტანა. რემასთვის შიმშილობა წარმოუდგენელია. ერთ დღეს სიგარეტის მოსაწევად აივანზე გავიდა და ცოტა ხანში დამიძახა, — გამოდი, რაღაც უნდა გაჩვენოო. ვკითხე: რა გინდა, რამ გაგახარა-მეთქი? — შეხედე, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ბოთლებს იბარებენ. წამოდი, დაცლილი ლუდის ბოთლები ჩავაბაროთო. აივანი მართლაც, ბოთლებით იყო გატენილი. მის ნათქვამზე გულიანად ვიცინე. გაბრაზდა, — მე მაინც ჩავაბარებ და თუ იმ ფულით ნაყიდი საჭმელი გაჭამო, კაცი არ ვიყოო. ერთი სიტყვით, იმ დღეს 5 „რეისი“ გააკეთა. ყოველ ამოსვლაზე მეუბნებოდა, — მოდი, მომეხმარე, კარგად გვიხდიანო. ბოლოს რომ ჩავიდა, ფოტოაპარატით შეიარაღებული უკან გავყევი და სურათი იმ დროს გადავუღე, როცა დახლთან მივიდა და ჩანთიდან ბოთლების ამოლაგება დაიწყო, მერე კი დავემუქრე, — იცოდე, თბილისში რომ ჩავალთ, ამ ფოტოს დავბეჭდავ, საავადმყოფოში გამოვაკრავ და ყველა ნახავს, ბოთლებს როგორ აბარებდი-მეთქი. თავიდან აპარატის წართმევა მოინდომა, შემდეგ კი შემომთავაზა: 2 ჰამბურგერში გამიცვალეო... სხვათა შორის, ცარიელი ბოთლების წყალობით შიმშილს გადავურჩით.

— ალბათ, საკურორტო რომანიც არაერთხელ გქონიათ...

— სერიოზული საკურორტო რომანი არასდროს მქონია, თბილისში დაბრუნებისთანავე (თუ მანამდე არა) ყველაფერი მთავრდებოდა. როცა ბიჭები პლაჟზე ვნებივრობდით, ბუნებრივია, გოგონებსაც ვათვალიერებდით. რატომღაც, ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ ერთად მყოფი 2 რუსი გოგონადან ერთი ძალიან ლამაზი იყო, მეორე — ძალიან მახინჯი. ვხუმრობდით ხოლმე, — ეტყობა, მეორე დანამატიაო. რა თქმა უნდა, ყველა ლამაზს „ეჩალიჩებოდა“. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენც ორნი ვიყავით, ერთ-ერთი ჩვენგანი რომ არ „დაჩაგრულიყო“, ერთმანეთს ვეუბნებოდით: მაგას თავი დაანებე, თორემ მეორე მე შემრჩებაო და ერთმანეთის წინაშე პირობასაც ვდებდით, რომ ლამაზმანს არც ერთი არ გავეკარებოდით.

— და „ჩალიჩს“ მალულად აგრძელებდით?

— (*იცინის*) არა, „ჯენტლმენსკი დაგავორს“ არასდროს ვარღვევდით.

— როგორც ვიცი, ექსტრემალური გართობის მოყვარული ხართ.

— შარშანწინ, მეგობართან ერთად თურქეთში ვიყავი. შევთავაზე, — მთის მდინარიდან დავეშვათ-მეთქი და ყველაფერი ისე აღვუწერე, თითქოს ეს ძალიან მარტივი გახლდათ. სინამდვილეში, დაშვების რთული კატეგორია მქონდა არჩეული — გზად რამდენიმე ჩანჩქერი შეგვხვდებოდა. როცა ჟილეტი ჩაცვეს და თავზე „კასკა“ მოუჭირეს, თავი არაკომფორტულად იგრძნო. იმ ადგილას, საიდანაც დაშვება უნდა დაგვწყოო, მდორე დინება იყო, ხოლო 5-წუთიანი სვლის შემდეგ დინების სიჩქარემ იმატა, მერე ტალღებიც წარმოიშვა, პირველ ჩანჩქერს მივუახლოვდით და ნავიც ამოგვიყირავდა. როცა წყლიდან ამოვყვინთე, დავინახე, ჩემი მეგობარი ნაპირთან მიცურებულიყო და რაღაცას ეჭიდებოდა. პირველ რიგში, ნავთან მივედი და წყალს რომ არ წაერთმია, დავიჭირე,

5-წუთიანი სვლის შემდეგ დინების სიჩქარემ იმატა, მერე ტალღებიც წარმოიშვა

მერე კი მეგობარს გავძახე, — როგორ ხარ-მეთქი? — რაღა როგორ ვარ, მე შენიო... — მიყვიროდა და თან, გემრიელად მაგინებდა. მერე, როგორც იქნა, წყლიდან ამოვიდა და ფერდობზე ასვლა დაიწყო. — სად მიდიხ-არ-მეთქი? — ზემოთ ავძვრები და მანქანას გავაჩერებ, შენ კი რაც გინდა, ის ქენიო. — ტყეში ხარ, აქ მანქანას რა უნდა? აუცილებლად დაიკარგები! სხვა გზა არ გაქვს, ისევ ნავში უნდა ჩაჯდე-მეთქი... ნახევარსაათიანი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, წყალში ჩამოსვლაზე დავითანხმე. მდინარეზე მშვიდობიანად დავეშვით. ბოლოს, სპორტის ეს სახეობა იმდენად მოეწონა, რომ მთხოვდა, — კიდევ წავიდეთო.

— ექსტრემალური გართობის დროს, სერიოზული საფრთხის წინაშე არასდროს აღმოჩენილხართ?

— წყალში ყვინთვა და წყალქვეშა სამყაროს დათვალიერება ძალიან მიყვარს. ერთხელ წითელ ზღვაზე ვიყავი. წყალქვეშა სამყარომ იმდენად გამიტაცა, ამოსვლა აღარ მინდოდა, რიფებში დავძვრებოდი. ჟანგბადის ბალონი 40-45 წუთი გყოფნის, მე კი ასეთი წესი მაქვს: სანაპიროდან 20 წუთი ერთი მიმართულებით მივცურავ, ხოლო დარჩენილ 20 წუთს უკან დაბრუნებას ვანდომებ. იმ დღეს უკან დაბრუნება რომ გადავწყვიტე, რატომღაც, ცურვა გამიჭირდა. თურმე, დინებას გავყოლივარ და საპირისპირო მიმართულებით სვლა გამიჭირდა. ვიფიქრე, — ხომ არ დავიკარგები-მეთქი და ისევ დინებას გავყევი. ბოლოს, წყლიდან რომ ამოვედი, კუნძული, რომლის სანაპიროსთანაც უნდა მივცურებულიყავი, წერტილივით მოჩანდა. თავი დავიმშვიდე, — მომძებნიან-მეთქი, მაგრამ რას მიპოვიდნენ? — თურმე, კუნძულის მეორე მხარეს ამომიყვინთავს. წყალში 8 საათი დავყავი. ბოლოს, მზემ ჩასვლა რომ დაიწყო, ცოტათი შევშინდი, მაგრამ რა უნდა მექნა? რაც დრო გადიოდა, თანდათან უფრო და უფრო



თურმე, კუნძულის მეორე მხარეს ამომიყვინთავს. წყალში 8 საათი დავყავი

ვნერვიულობდი. შებინდებისას იახტა დავინახე და ყვირილი ავტეხე. შემამჩნიეს. იცით, მაშინ რამხელა სიხარული განვიცადე?! ჩემი მხსნელები გერმანელი ტურისტები აღმოჩნდნენ, რომლებიც ძალიან ბედნიერები იყვნენ იმით, რომ ადამიანი გადაარჩინეს. მათ სამახსოვრო ფოტოებიც გადამიღეს.

— რომელ ქვეყანაში გსურთ, რომ დაისვენოთ?

— დასასვენებლად იმიტომ არ მივდივარ, რომ დავისვენო. მე აქტიური დასვენება მიყვარს. როცა უცხო ქვეყანაში ჩავდივარ, სასტუმროში გვიანობამდე არ შევდივარ, მთელი დღე ფეხით დავდივარ და ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი რამ ვნახო. საერთოდ, მთას ზღვა მირჩევნია.

— ვიცი, რომ ლოკოკინებს, ხამანწკებს და სხვა ეგზოტიკურ საკვებს სიამოვნებით მიირთმევთ...

— ზღვის პროდუქტები მართლაც, ძალიან მიყვარს. ლოკოკინების და ხამანწკების გარდა, უგემრიელესია ბაყაყის თეთრი ბარკლები, ვეშაპის და ზვიგენის ხორციც. ერთხელ გველის ხორციც გავსინჯე, მაგრამ დიდად არ მომეწონა. ძაღლის ხორცს და მწერებს ვერ ვჭამ...

— რომელი ქვეყნის სამზარეულოს ანჭებთ უპირატესობას?

— ქართულს. ამას იმიტომ არ გეუბნებით, რომ ქართველი ვარ. უბრალოდ, ჩემი აზრით, ქართულ სამზარეულოსა და ქართულად ქეიფს არაფერი შეედრება. ამას უცხოელებიც აღიარებენ. ერთხელ მეგობრებთან ერთად თბილისის ერთ-ერთ რესტორანს ვესტუმრე. ჩვენ შორის იყვნენ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები: ზურაბ ქაფიანიძე, ჯემალ ჭკუასელი, მამუკა ხაზარაძე, თემურ ქევხიშვილი, „რონდოს“ გოგონები... ქართული სუფრა სიმღერის გარეშე ხომ წარმოუდგენელია? ჰოდა, ჩვენი სუფრიდან სიმღერის ხმა გაისმა თუ არა, უცხოელები, რომლებიც გვერდით მაგიდასთან ისხდნენ, წამოცვივდნენ — ზოგმა დიქტოფონი ჩართო, ზოგმა ფოტოების გადაღება დაიწყო. 15-20 წუთი თავზე გვადგნენ და გვეხვეწებოდნენ, — კიდევ იმღერეთო... მოგეხსენებათ, ზურაბ ქაფიანიძეს ანტიქართული არაფერი მოსწონს. უცხოელების საქციელით შეწუხებული, ფეხზე წამოდგა და წარმოთქვა: ეს სიტყვები მე არ მეკუთვნის, დიდმა შოთამ ჯერ კიდევ საუკუნეების წინ თქვა: „რა ესმოდათ მღერა ყმისა, სმენად მხეცნიც მოვიდიან“. ლამის სიცილით დავიხოცეთ. ჩვენს რეაქციაზე უცხოელები კიდევ უფრო გაგიჟდნენ, მამუკა ხაზარაძეს მივარდნენ და ჰკითხეს: რა თქვა იმ კაცმა, გვითარგმნეო... ჰო, მამუკაზე და ჯემალ ჭკუასელზე გამახსენდა. ცოტა ხნის წინ „გზა“ წავიკითხე, სადაც მათთან ინტერვიუ იყო დაბეჭდილი. სტატია მამუკას კითხვით მთავრდებოდა: ბატონო ჯემალ, რომ დაგვპირდით, სიმღერას — „ზამთარო“ გასწავლით, პირობა როდის უნდა შეასრულოთო? ჯემალი პასუხობდა: ეგ ისეთი რთული სიმღერაა, მაგის თქვენთვის სწავლებას, მირჩევნია, ბანკი ვმართოო. სტატიის წაკითხვისთანავე ჯემალს დავურეკე და მოვიკითხე, — როგორ ხარ-მეთქი? — რა ვიცი, კარგად ვარ, შენ როგორ ხარო? — მეც ვარ, რა, პარლამენტში შესვლაზე უარი ვთქვი და ახლა უმუშევარი ვარ. ჰოდა, თუ მამუკას არ ეწყინება, ბანკის გახსნა მინდა-მეთქი. იდეა მოეწონა, — კარგი იქნება, კარგი, მამუკას კი არ ეწყინებაო. — ბანკს რომ გავხსნი, მმართველად არ წამოხვალ-მეთქი? — შენც მე მატყუებო? — მკითხა და ბევრი იცინა. მერე დავპირდი, თუ პოლიტიკაში გამიმართლა, აღმასკომის თავმჯდომარედ დაგნიშნავ-მეთქი.

— ბატონო დავით, წელს სად გეგმავთ დასვენებას?

— მე და ჩემმა ინსტიტუტის მეგობრებმა გადავწყვიტეთ, როგორც სტუდენტობის წლებში, წელსაც ერთად წავიდეთ დასასვენებლად. ერთ-ერთი მეგობარი ხუმრობდა, — ამ დასვენებას „30 წლის შემდეგ“ დავარქვათო. ცოლებს და შვილებს აქ ტოვებენ და მარტო მოდიან. ივლისის ბოლოს, მათთან ერთად თურქეთში გავემგზავრები.

— ბედნიერ დასვენებას გისურვებთ!

— გმადლობთ.

ინტერბიზნესისაკადემია
AiB
INTERBUSINESSACADEMY

ინტერბიზნესის აკადემია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული ინტერბიზნესის აკადემია აცხადებს მიღებას 2008-2009 სასწავლო წლისათვის უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრისა და მაგისტრატურის I კურსზე.

აკადემია ფუნქციონირებს 1992 წლიდან და მასში გაერთიანებულია ბიზნესის, ეკონომიკის, სამართლის, მედიცინის, ხელოვნებისა და სხვა ფაკულტეტები.

ინტერბიზნესის აკადემიის დიპლომი აღიარებულია მსოფლიოს 102 სახელმწიფოს მიერ.

მის: თბილისი, გურამიშვილის გამზ: 66 დ
ტელ: 605 423, 615 423

სრული ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით



astrologis TvaliT danaxuli politikosebi anu rogori „politikuri Semodgoma" dadgeba saqarTveloSi

პოლიტიკური დუღილის ტემპერატურამ აშკარად იკლო. ალბათ, ამაზე ოპოზიციის მიერ აღებულმა ტაიმ-აუტმაც იმოქმედა. ცხელი ზაფხულის შემდეგ თუ როგორი „პოლიტიკური შემოდგომა" გვექნება, ვინ გააქტიურდება და ვისთვის იქნება განსაკუთრებით რთული ეს პერიოდი, ამის გასარკვევად ასტროლოგ მიხეილ ცაგარელს ვესტუმრეთ.

თამუნა კვინიკაძე

— ბატონო მიშა, ჩვენს ქვეყანაში მოვლენები როგორ განვითარდება?

— „ნაციონალური მოძრაობა" ქვეყნის მართვას კვლავ გააგრძელებს, მაგრამ წინა 4 წელთან შედარებით ცოტა უფრო ჭკვიანურად. მათ ისეთი გამოცდილება მიიღეს, რომელიც მანამდე არ ჰქონდათ, მაგრამ შეცდომებისგან დაზღვეული მაინც არ არიან. თუ ადრე ფიქრობდნენ, — რუსეთი ვერაფერს დაგვაკლებს, რადგან ამერიკა ჩვენ გვერდით არისო, დღეს მიხვდნენ, რომ საჭიროა დაბალანსებული პოლიტიკა. ამ მხრივ, სასიკეთო ცვლილებები გველის.

— ოპოზიციამ პოლიტიკური ტაიმ-აუტი აიღო. მათი ეს ნაბიჯი გამართლებულად მიგაჩნიათ?

— მათ სხვა გზა არც ჰქონდათ, რადგან სერიოზული პრობლემები შეექმნათ, როგორც ფინანსური, ისევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. დასვენებული გონებით და მომხდარის კარგად გაანალიზების შემდეგ, მათ სამომავლო გეგმები უნდა დასახონ. აგვისტოში, მზისა და მთვარის დაბნელების რთული დღეებია მოსალოდნელი, რის შედეგადაც, შეცდომების დაშვების ალბათობა მოიმატებს. შარშანდელი აგვისტო გაიხსენეთ, როცა რედაქციის შენობიდან გამოყარეს ჟურნალ-გაზეთები, პრობლემები შეუქმნეს ტელეკომპანია „კავკასიას", ამას დაემატა თაბუკაშვილის ქუჩის ცნობილი ამბები. შესაძლოა, მსგავსი შეცდომები ხელისუფლებამ აგვისტოში კვლავაც დაუშვას, რაც ოპოზიციის გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

მან უნდა იმოქმედოს პრინციპით — შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი!

— როგორც ოპოზიციამ განაცხადა, პოლიტიკურ აქტიურობას ისინი სექტემბრიდან აპირებენ. როგორი იქნება მათთვის აღნიშნული პერიოდი?

— ასტროლოგიურად, ოქტომბრის ბოლო და ნოემბრის დასაწყისი რომ რთული პერიოდია, ამაში შარშანაც დავრწმუნდით. წელსაც „ცხელი" შემოდგომა გველის. ნოემბერში მორიელები, ქალწულები, კირჩხიბები, თხის რქები ძლიერდებიან, მშვილდოსნები — სუსტდებიან. ეს პერიოდი 23 ნოემბრამდე გასტანს. ნუ დაგვავიწყდება, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი მშვილდოსანია. მან უნდა იმოქმედოს პრინციპით — შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი! წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ის შეცდომები, რომელიც შარშან, ნოემბერში დაუშვა, კვლავ გაიმეოროს.

— მორიელის ნიშნის ქვეშ რომელი პოლიტიკოსები არიან დაბადებულები?

— ზვიად ძიძიგური, გიორგი თარგამაძე, ირაკლი ოქრუაშვილი. ეს უკანასკნელი შესაძლოა, სექტემბრიდან კვლავ გააქტიურდეს. მორიელის გარდა, შემოდგომიდან კირჩხიბებიც მოიკრებენ ძალას. ამ ნიშნის ქვეშ კი ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე არიან დაბადებულები.

— პარლამენტის თავმჯდომარეზე რას გვეტყვით?

ნინოს, სხვებთან შედარებით, დახვეწილი მანერები აქვს

— დავით ბაქრაძის დიდი იმედი მაქვს. მას ხელისუფლებაში ყველაზე ძლიერ პოლიტიკოსად მივიჩნევ, რადგან ყველა ის თვისება აქვს, რაც კარგი პოლიტიკოსისთვისაა საჭირო.

— მაგალითად?

— შინაგანი სიმშვიდე, ინტუიცია, გონებამახვილობა, წინდახედულება. ის აგრესიას არ იწვევს. არასდროს არავის შეურაცხყოფს. ბაქრაძე არის პოლიტიკოსი, რომელიც ძალიან სწრაფად „იზრდება".

— დავით ბაქრაძის გარდა, კიდევ რომელი პოლიტიკოსის იმედი გაქვთ?

— შეიძლება, ბაქრაძის დონის არა, მაგრამ სერიოზული პოლიტიკური ფიგურაა დავით უსუფაშვილი. მას გვერდით სჭირდება სააკაშვილის მსგავსი, ქარიზმატული პიროვნება, რომელიც მის გაპიარებას შეძლებს, მაგრამ ჯერჯერობით, ოპოზიციაში ასეთ ადამიანს ვერ ვხედავ.

— ლევან გაჩეჩილაძეზე რას გვეტყვით?

— მას პოლიტიკოსად არ მივიჩნევ. კარგი პიროვნებაა და კარგი ბიზნესმენია, მაგრამ არა — პოლიტიკოსი.

დუშეთში დიდი დურბინდი აქვს და ღამღამობით ვარსკვლავებს უყურებს

ბაქრაძის მსგავსად, ისიც კირჩხიბია. სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური კულტურა დაბალ დონეზეა და ამ კულტურიდან არა მარტო გაჩეჩილაძე, არამედ პრეზიდენტი სააკაშვილიც შორს დგას.

— ნინო ბურჯანიძის შესახებ რას გვეტყვით?

— ნინოს, სხვებთან შედარებით, დახვეწილი მანერები აქვს. მან ახალგაზრდობაში კომკავშირული სკოლა გაიარა, სადაც დიპლომატიურ ჟესტებს დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ბოლო პერიოდში, მას როგორც პოზიციასთან, ასევე ოპოზიციასთან პრობლემები შეექმნა, რის შედეგადაც, მისმა რეიტინგმა დაიწია. მაგრამ ბურჯანაძის აღზევების დროც დადგება — ეს 2001 წლისთვისაა მოსალოდნელი.

— მანამდე გააქტიურებას არ ურჩევთ?

— მანამდე ის უნდა მოძლიერდეს და გაარკვიოს, ვის შეიძლება დაეყრდნოს და ვის — არა. თუ ასე არ მოიქცევა, ჩათვალეთ, რომ შეცდომას დაუშვებს.

— თქვენ აზრი დავით გამყრელიძის შესახებაც საინტერესოა...

— დავით გამყრელიძე ვერძია. ის ინტელექტუალი და განვითარებული პიროვნებაა. როცა პარლამენტში იყო, მისი პარტია უფრო შეკრული გახლდათ, მათი გზა და ხედვა სხვებისგან განსხვავდებოდა, ახლა კი, „ეროვნულ საბჭოსთან“ გაერთიანების შემდეგ, თითქოს, დავით გამყრელიძეც და მისი პარტიაც დაიკარგა.

— მიგაჩნიათ, რომ „მემარჯვენეებისთვის“ ცალკე დგომა უკეთესი იქნებოდა?

— ჩემი აზრით, ოპოზიციურ გაერთიანებაში შესვლის შემდეგ, მათ პარტიას შინაგანი შარმი დაეკარგა. ახლა ტრიბუნაც აღარ აქვთ და შესაბამისად, დღეს ვერ იქნებიან ისეთი ნაყოფიერები, როგორებიც პარლამენტში შესვლის შემთხვევაში იქნებოდნენ. ოპოზიციას ბოიკოტი კი არ უნდა გამოეცხადებინა, არამედ ძლიერი ოპოზიციური ფრაქცია უნდა ჩამოეყალიბებინა. ასე საკუთარ ხმას, როგორც ამომრჩევლებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს უფრო იოლად მიაწვდენდნენ და თუ დარწმუნდებოდნენ, რომ ვერაფრის შეცვლას ვერ მოახერხებდნენ, შემდეგ პროტესტის ნიშნად გამოსულიყვნენ. მერწმუნეთ, ეს უფრო სერიოზული და „ხმაურიანი“ ნაბიჯი იქნებოდა.

— როგორია ასტროლოგის თვალით დანახული შალვა ნათელაშვილი?

— ის სოციალური რევოლუციონერია! მუდმივად ოპოზიციაში უნდა იყოს, რადგან ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, შესაძლოა, ბევრი რამ დაკარგოს. მას აქვს ქარიზმა. ის გაერთიანებული ოპოზიციისთვის საუკეთესო ლიდერი იქნება, ნათელაშვილი — მერწყულია.

— ეი. გაერთიანებულ ოპოზიციას ნათელაშვილის ლიდერობას ურჩევთ...

— ნამდვილად. თუ ასე მოხდება, ოპოზიცია ხელისუფლებას სულ დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფებს. მათთვის ის იმ ეკალივით იქნება, რომელიც არასდროს მოასვენებს.

— შალვა ნათელაშვილის გარდა, ოპოზიციონერთა რიგებიდან ლიდერად ვის მიიჩნევთ?

— სიმართლე გითხრათ, ასეთი ადამიანი არ მეგულება...

— პოლიტიკოსები რჩევისთვის ხშირად გაკითხავენ?

— რომ მაკითხავდნენ, ასეთ შეცდომებს აღარ დაუშვებდნენ. ჩემთან მოდიან შუა აზიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, უკრაინიდან, ესპანეთიდან, რუსეთიდან. ქართველი პოლიტიკოსები კი ამ მხრივ, პასიურობენ. ეს ამბავი ძალიან მიკვირს გია თორთლაძისგან, რადგან ის კარგად მიცნობს და ამ მეცნიერების შესახებაც ბევრი რამ იცის. მიკვირს შალვა ნათელაშვილისგანაც, რომელიც ასტრონომიით სერიოზულადაა გატაცებული — ვიცი, რომ დუშეთში დიდი დურბინდი აქვს

დავით ბაქრაძის დიდი იმედი მაქვს

და ღამღამობით ვარსკვლავებს უყურებს. მსოფლიოს ყველა ძლიერ პოლიტიკოსს პირადი ასტროლოგი ჰყავს... სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ასტროლოგის რჩევებს ყურადღებას აქცევს ნიკო ლეკიშვილი. ერთხელ, იაპონიიდან განცვიფრებული ჩამოვიდა და თქვა, რომ ერთ-ერთმა დიდმა ფირმამ, პირადი ასტროლოგის რჩევის გარეშე, მასთან კონტრაქტი არ გააფორმა. ამ ამბის შემდეგ, ასტროლოგიით თავადაც დაინტერესდა, განსხვავებით გიორგი თარგამაძისგან, რომელსაც ჯერ კიდევ „იბერვიზიიდან“ ვიცნობ და ვიცი, რომ ასტროლოგიის ეშინია. ირაკლი ოქრუაშვილს პირადი ჰოროსკოპიც კი შევუდგინე და 1 წლით ადრე ვუთხარი — შეიძლება, საქმე საციხოდ გაგიხდეთ, 2007 წლის 23 ოქტომბრამდე ნუ

კარგი პიროვნებაა და კარგი ბიზნესმენია, მაგრამ არა — პოლიტიკოსი

იაქტიურებთ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. მერე როგორც განვითარდა მოვლენები, თქვენც კარგად იცით.

— ასეთი რთული პერიოდი ახლა რომელი პოლიტიკოსისთვის დგება?

— მიხეილ სააკაშვილისთვის. მან ჯანმრთელობას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, განსაკუთრებით — ყელს. ასევე, ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარ გარემოცვასაც, რადგან შესაძლოა, მათგან არასწორი ინფორმაციაც მიიღოს.

— დაბოლოს, თუ შეგიძლიათ, მითხარით, ზოდიაქოს რომელი ნიშნისთვის, სად და როდის არის დასვენება უკეთესი?

— ვისაც საშუალება აქვს, ზღვასაც უნდა ესტუმროს და მთასაც. აგვისტოში მინის და წყლის ნიშნებმა (კურომ, თხის რქამ, კირჩხიბმა, თევზებმა, ქალწულმა, მორიელმა) აუცილებლად უნდა დაისვენონ, რადგან ამ პერიოდში მათ ჯანმრთელობა უსუსტდებათ და ენერგოტონუსი უქვეითდებათ, ხოლო ჰაერის და ცეცხლის ნიშნებისთვის დასვენება ივლისსა და სექტემბერშია სასურველი. ■

ცხელ გოგონას „ვარსკვლავების აკადემიაში“ ჰოცნა მოჰპარეს



ამ კვირის საპატარძლო „ვარსკვლავების აკადემიის“ ერთ-ერთი ფინალისტი და ყველაზე „ცხელი“ მონაწილე, ანი სუგელიანია. მას საკუთარ თავზე ლაპარაკი უჭირს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავის დადებით და უარყოფით თვისებებზე მაინც გულახდილად ისაუბრა. მან „გზას“ ისიც გაუმხილა, რომ შეყვარებულია. მისი რჩეული ასევე „ვარსკვლავების აკადემიის“ მონაწილე, ლევან დობაძიშვილი გახლავთ.

„როცა მამაკაცისგან უყურადღებობას ვგრძნობ, ძალიან ვბრაზდები“

მარეხ ჭონიშვილი

— მყავს დედა, მამა, ორი და და ძმა. მამა პროფესიით ინჟინერია. და ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში მუშაობს. დედა კი ექიმი გახლავთ, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია, უმუშევარია. ძმა და ერთი და უკვე დაოჯახებულები არიან. დედმამიშვილებში ყველაზე პატარა მე გახლავართ.

— რამდენი წლის ხარ?

— 18-ის.

— სად სწავლობ?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციოლოგიურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — ფსიქოლოგიის განხრით.

— ჰოროსკოპით რა ხარ?

— ლომი და ამ ნიშნისთვის დამახასიათებელი უამრავი თვისება მაქვს, მაგრამ სიმართლე გითხრა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჰოროსკოპს ყურადღებას არ ვაქცევ.

— როგორი ადამიანი ხარ და რას მიიჩნევ შენს საუკეთესო თვისებად?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია... ვარ ერთგული, გულწრფელი, კომუნიკაბელური, მხიარული, ვერ ვეგუები უსამართლობას და ვამბობ ყოველთვის იმას, რასაც ვფიქრობ. ამ ორი თვისების გამო, ბევრჯერ უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოვჩენილვარ, განსაკუთრებით, სკოლაში სწავლის პერიოდში. ვერასდროს ვეგუებოდი, როცა ერთი ბავშვი მეორეს ჩაგრავდა და ყოველთვის სუსტს ვუჭერდი მხარს.

— შენს უარყოფით თვისებებზე რას იტყვი?

— ძალიან ფიცხი და ფეთქებადი ვარ. შეიძლება, პატარა რაღაცის გამოც „ავვარდე“ და სკანდალი მოვაწყო, მაგრამ ჩემი დაშოშმინებაც იოლია — ერთი ტკბილი სიტყვით შესაძლებელია, ადამიანმა გული მომილბოს და ყველაფერი უმალვე დამავიწყდეს.

— საოჯახო საქმეების კეთება თუ გეხერხება?

— (*იცინის*) აკადემიაში ბიჭები ხშირად მთხოვდნენ, რომ მათთვის ტანსაცმელი დამეუთოებინა, მაგრამ ყველას უარს ვეუბნებოდი, რადგან ვიცოდი, რაღაცას აუცილებლად დავწვავდი. ასევე, არ მიყვარს სამოსის რეცხვა. ჯერჯერობით ამ საქმეს დედა მიგვარებს. ბავშვობაში ვიჩენდი ინიციატივას და რაღაც კერძებს ვამზადებდი, ამ ბოლო დროს კი აღარაფერი გამიკეთებია.

— ამის გამო ოჯახში არ გიბრაზდებიან?

— ადრე ძირითადად, იმაზე მეჩხუბებოდნენ, — საწოლს რატომ არ ასწორებო? ახლა იმდენად „ვქაჩავ“, რომ ჩემი საწოლი ყოველთვის მილაგებულია.

— ეი. ზარმაცი ხარ?

— არა, ზარმაცი სულაც არა ვარ. საოჯახო საქმეების კეთება არ მიყვარს, თორემ, თუ მოვინდომე, ყველაფერს გავაკეთებ. ყოფილა შემთხვევა, როცა სახლში მარტო დავრჩენილვარ და იქაურობა ისე კარგად დამილაგებია, ყველა გაკვირვებული დარჩენილა. თუმცა, ეს ხშირად არ ხდება, რადგან ოჯახში ბევრნი ვართ და მარტო იშვიათად ვრჩები.

— როგორი მამაკაცები მოგწონს?

— ამ მხრივ რაღაც განსაკუთრებული სტერეოტიპი არ მაქვს ჩამოყალიბებული. ყველა, ვინც კი მომწონებია, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ სიმპათიური მამაკაცები მომწონს. რაც შეეხება თვისებებს, მამაკაცი ჯენტლმენის თვისებებით დაჯილდოებული და სამართლიანი უნდა იყოს, ქალის პატივისცემა იცოდეს და რაც მთავარია, ყურადღება არ უნდა მოგაკლოს, თორემ, როგორც კი მამაკაცისგან უყურადღებობას ვგრძნობ, ძალიან ვბრაზდები.

— ეჭვიანი ხარ?

— კი. ხშირად, მეგობრებზეც მიეჭვიანია, მაგრამ ამ თვისებას არასდროს ვამჟღავნებ. შეიძლება ითქვას, ჩემი ეჭვიანობა ნორმის ფარგლებს არ სცილდება.

— შეყვარებული ხომ არ გყავს?

— ჩემს ცხოვრებაში ყოფილა ისეთი მომენტი, როცა მეგონა, რომ შეყვარებული ვიყავი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ის მხოლოდ გატაცება იყო, დღეს კი თამამად შემიძლია გითხრათ, რომ შეყვარებული და ბედნიერი ადამიანი ვარ.

— შენი შეყვარებულის ვინაობას ხომ არ გაგვიმხელ?

— (*იცინის*) ჩემს შეყვარებულს მთელი საქართველო იცნობს. აღარ დავმალავ და გაგიმხელთ, რომ მე და ლევან დობაძიშვილს ერთმანეთი ძალზე გვიყვარს.

— ამას ბევრი ამჩნევდა, მაგრამ თქვენ ყველაფერს უარყოფდით...

— ვმალავდით იმიტომ, რომ ჩვენს გრძნობებში დარწმუნებულები არ ვიყავით. ჩვენი სიყვარული „ვარსკვლავების აკადემიაში“ დაიწყო და მეგონა, როგორც კი პროექტი დამთავრდებოდა და გარეთ გამოვიდოდი, ეს გრძნობაც გაქრებოდა, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად მოხდა. გარეთ გამოსვლის შემდეგ ერთმანეთი უფრო შეგვიყვარდა. დღეს ძალიან ბედნიერები ვართ და ერთმანეთის გარეშე წუთითაც ვერ ვძლებთ.

ლევანი სახლში ხშირად მაკითხავს და ჩემებს ის ძალიან შეუყვარდათ

— თქვენმა მშობლებმა თუ იციან ამ სიყვარულის შესახებ?

— კი, იციან. ლევანი სახლში ხშირად მაკითხავს და ჩემებს ის ძალიან შეუყვარდათ. ლევანმა თავისი მშობლები მეც გამაცნო. ისინი არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. რაც შეეხება ლევანის ძმას, ჩვენ დავმეგობრდით.

— ლევანმა სიყვარული როგორ აგიხსნა?

— ის დღე ძალიან კარგად მახსოვს და არც არასოდეს დამავიწყდება. პროექტიდან ლევანის გამოვარდნის მეორე დღეს ფინალისტები „სანო-სტუდიაში“ წაგვიყვანეს სიმღერის ჩასაწერად. ეს ნიკამ და ლევანმა გაიგეს თუ არა, მაშინვე იქ გაჩნდნენ. როცა სტუდიაში შევედი და ლევანი დავინახე, სიხარულისგან ლამის გავგიჟდი. ჩვენ ისეთი შეხვედრა გვქონდა, თითქოს, ერთმანეთი წლების მანძილზე არ გვენახა. სწორედ იმ დღეს მითხრა, — მიყვარხარო. ლევანის პროექტიდან გამოვარდნამ და მასთან განშორებამ უფრო ნათლად დამანახვა, რომ ეს ადამიანი ჩემთვის ძვირფასი იყო. ჩვენ ერთად თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ, სხვათა შორის, ლევანმა პირველად პროექტში ყოფნისას მაკოცა.

— დაქორწინებას ხომ არ აპირებთ?

— ჯერჯერობით გათხოვებას არ ვაპირებ.

— როგორი ქორწილი გინდა, რომ გქონდეს?

— ჩემი ქორწილი ორიგინალური იქნება — გემზე, ზღვის სანაპიროზე ან ბუნების წიაღში. ჩემ გვერდით კი მხოლოდ ის ადამიანები იქნებიან, ვინც მე ძალიან მიყვარს. ადამიანის ცხოვრებაში ქორწინების დღე ყველაზე დასამახსოვრებელია და ამ დროს უზომოდ ბედნიერი უნდა იყო. არ მიყვარს ტრადიციული, 500-კაციანი ქორწილები, გრძელი სუფრით და მუსიკოსებით. დარწმუნებული ვარ, მე ასეთი ქორწილი არ მექნება.

— ქართული ტრადიციები არ მოგწონს?

— ტრადიციებს პატივს ვცემ, მაგრამ მათ ვერ დავიცავ. რადგან ვფიქრობ, რომ ტრადიციები ადამიანს ჩარჩოებში აქცევს და აკომპლექსებს.

— მზითევი თუ გაქვს?

— ჩემთვის სიტყვა „მზითევი“ სასაცილოდ ჟღერს. ასეთი რაღაცები მაღიზიანებს. როცა გავთხოვდები, ჩემი მშობლები საჩუქარს ისედაც გამიკეთებენ და წინასწარ არაფრის მომარაგება არაა საჭირო.

— ქალისა და მამაკაცის ქორწინებამდე ურთიერთობის შესახებ რა აზრის ხარ?

— ქორწინებამდე ურთიერთობა ჩემთვის მიუღებელი ნამდვილად არ არის, რადგან, მიმაჩნია, რომ იმ ადამიანის შესახებ, რომელთან ერთადაც ოჯახს ქმნი, ყველაფერი უნდა იცოდე...

— ლევანმა მსგავსი რამ რომ შემოგთავაზოს, დათანხმდები?

— არ ვიცი, ჩემს შემთხვევაში რა როგორ მოხდება, ამას დრო მიჩვენებს. თუმცა, მერწმუნეთ, ამაში ამორალური არაფერია.

— როგორ ფიქრობ, დაქორწინების შემდეგ წყვილმა ცალკე უნდა იცხოვროს?

— რაც უნდა კარგი ოჯახის წევრები გყავდეს, უმჯობესია, წყვილმა ცალკე იცხოვროს. აქედან გამომდინარე, სანამ ამის საშუალება არ ექნებათ, არ უნდა იქორწინონ.

— შენი მომავალი ქმრის მატერიალური მდგომარეობით თუ დაინტერესდები?

— ფული ურთიერთობაში მთავარი ნამდვილად არ არის, მაგრამ ცხადია, მის გარეშეც ვერ იცხოვრებ. ოჯახის რჩენის პასუხისმგებლობას მარტო ჩემს მეუღლეს არ დავაკისრებ, ამაზე მეც ვიზრუნებ. მთავარია, კაცი ზარმაცი არ იყოს და ყველაფერს მიაღწევს. არ მიყვარს ისეთი ტიპები, ვინც ფულიანი დედიკოს და მამიკოს ხარჯზე ცხოვრობენ. ასეთი უსაქმური მამაკაცი ჩემ გვერდით არასოდეს იქნება.

— ოჯახსა და კარიერას შორის არჩევანის წინაშე რომ დადგე, რომელს აირჩევ?

— დარწმუნებული ვარ, ჭკვიან ქალს ასეთი მომენტი არასოდეს დაუდგება. ჩემი აზრით, ამ ორი საქმის ერთმანეთთან შეთავსება თავისუფლად შეიძლება.

— პროექტში ჟიურომ ყველაზე „ცხელ“ კონკურსანტად დაგასახელა. კმაყოფილი ხარ ამით?

— ყველა ქალის ოცნებაა სექსუალური და მომხიბვლელი იყოს, მე კი ასეთი კომპლიმენტი ყოველგვარი მცდელობის გარეშე დავიმსახურე, რაც მართლაც, ძალზე მესიამოვნა. ის შარმი, რომელიც მე მაქვს და რომელზეც ჟიურომ არაერთხელ გაამახვილა ყურადღება, ჩემი პროფესიის ადამიანისათვის ძალზე დიდი პლუსია. ჟიურომ ისიც აღნიშნა, რომ ამ სექსუალურობას ვულგარულობასთან არავითარი კავშირი არა აქვს და მეც ასე ვფიქრობ. გარდა სექსუალურობისა, „ცხელში“ ქალურობა, ენერგიულობა, ქარიზმატულობა მოიაზრება. მოკლედ, ძალიან ვამაყობ იმით, რომ „ვარსკვლავების აკადემიაში“ ერთადერთი გოგო გახლდით, ვინც ასეთი სტატუსი დაიმსახურა.

— ანი, ამ ინტერვიუს შემდეგ, ბევრი შენი თაყვანისმცემელი გამოგეხმაურება. თუ გაგიჩნდება სურვილი, რომ რომელიმე მათგანს შეხვდე და გაესაუბრო?

— როცა ადამიანი გგულშემატკივრობს და მისთვის მნიშვნელოვანი ხარ, გაცნობაზე უარის თქმა უხერხულია. თან ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. გავიცნობ და შევხვდები იმ მესიჯის ავტორს, რომელიც მომეწონება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ურთიერთობა სხვა მხრივაც აეწყობა. მე ხომ შეყვარებული ვარ! ■

ბოროტმოქმედი გასკვანჩეს

17 წლის რუდი სანდოვალმა პიცერიის გაძარცვის მცდელობა აღკვეთა — მან ნოკაუტში ჩააგდო ბოროტმოქმედი. სათვალთვალო ვიდეოკამერებმა დააფიქსირა, თუ როგორ შეიჭრა მექსიკურ პიცერიაში 41 წლის ბენჯამინ რამირესი და პისტოლეტით ხელში მოითხოვდა, მისთვის იმ დღის მთელი ამონაგები მიეცათ, თანაც ერთ-ერთ მოსამსახურეს სახეშიც გაარტყა. რუდი სანდოვალი, რომელიც ასევე ამ დაწესებულების მუშაკი გახლავთ, არ შეეპუა მოძალადეს, შეება მას და სახეში ძლიერი დარტყმით, ძირს დასცა. დამნაშავემ წამიერად გონებაც კი დაკარგა, შემდეგ, გონს მოსული, გაქცევას შეეცადა, მაგრამ — ამაოდ: რუდის, სხვებიც მიეშველნენ და ბოროტმოქმედი გასკვანჩეს. ■

ჩემში გამოვლაყდა ჭეშმარიტ მამაძე

მას ძალიან უყვარს პოეზია და ზეპირად 1000-ზე მეტი ლექსი იცის. ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ნიშნიანიძე, პუშკინი, ელიოტი, ბროცკი: ეს მის საყვარელ პოეტთა ჩამონათვალია. წაკითხულ წიგნებს ხელმეორედ ხშირად უბრუნდება. ამბობს, რომ დოსტოევსკის დიდი მოყვარულია, მისი ნაწარმოებების კითხვა 13-14 წლიდან დაუწყია. თანამედროვე ქართველი მწერლებიდან — ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობები და აკა მორჩილაძის — „მოგზაურობა ყარაბაღში“ მისი სამაგიდო წიგნებია. ამრიგად „ერუდიტის“ სტუმარია პარლამენტარი პეტრე მამრაძე.

თამუნა კვინიკაძე

— 1526 წელს, ესპანელთა ექსპედიციამ სანდრო კაბოტის ხელმძღვანელობით ამ ქვეყნის ტერიტორიაზე დიდძალი ვერცხლის ნივთი ნახა, ამიტომ ამ ადგილს ლაპლატა (ვერცხლი) უწოდეს. 1826 წელს ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. რა ჰქვია დღეს მას?

— არგენტინა.

— დედამიწაზე ორი უცნაური ქალაქია. ერთი მათგანი ერთი კონტინენტის 2 სხვადასხვა ნაწილში მდებარეობს და სახელმწიფოს დედაქალაქია. მეორე კი — ორ ნახევარსფეროში და სახელმწიფოს ყოფილი დედაქალაქია. დაასახელეთ ეს ქალაქები.

— (ფიქრობს) სტამბოლი და ლონდონი.

— სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ ვინ უთხრა ბოლშევიკებს შემდეგი სიტყვები: „სული ღმერთს ეკუთვნის, გული — საქართველოს, მძორი კი — წაიღეთ, სადაც გინდათ“?

— ამბროსი ხელაიამ.

— რა საკითხს მიუძღვნა ილიამ 1871 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი — „გამოცანები“?

— ვერ ვიხსენებ.

— მამათა და შვილთა ბრძოლას. საფრანგეთი, ჩინეთი, საქართველო, ავსტრალია — ჩამოთვლილთაგან რომელ ქვეყანას არა აქვს სახმელეთო საზღვარი?

— ავსტრალიას.

— რომელი ტბა მდებარეობს მსოფლიოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა?

— ეს ყველაფერი ჩემმა ქალიშვილმა ლიზიმ შესაშურად იცის, მე — ნაკლებად. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა, თუ არ ვცდები, ტბა ტანგანიკა მდებარეობს.

— დასახელება შეგეშალათ, ამ ტბას ტიტიკაკა ჰქვია და ანდების მთებში, ზღვის დონიდან 3821 მეტრზე მდებარეობს. ვინ შეადგინა პირველი გეოგრაფიული ატლასი?

— ვიცოდი (*ფიქრობს*), მაგრამ ვერ ვიხსენებ.

— პტოლემეუსმა. ტაივანი, ურუგვაი, ეთიოპია, ნიკარაგუა — ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, რომელი მდებარეობს აფრიკის კონტინენტზე?

— ეთიოპია.

— რომელია შავი და კასპიის ზღვების მდინარეთა წყალგამყოფი ქედი?

— ლიხის ქედი.

— იტალიის ამ დიდ სავაჭრო ქალაქში, დიდი სამხატვრო გალერეა უფიცი მდებარეობს. დაასახელეთ ეს ქალაქი.

— ვენეცია.

— ცდებით, ფლორენცია. „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!.. მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული!“ ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ეს ძალზე ცნობილი სიტყვებია (*ფიქრობს*). ვერ ვიხსენებ. შემდეგ როგორ გრძელდება?

— „...შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამეცანა, ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული...“ ეს სიტყვები ერთ-ერთ ცნობილ პოემაში გვხვდება.

— ილია ჭავჭავაძის „აჩრდილში“, როგორც იქნა, გავიხსენე.

— დაასახელეთ ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც თეატრში გოგი გეგეჭკორმა, ხოლო კინოში იმედა კახიანმა განასახიერა.

— თეატრში არ დავდივარ, ფილმებსაც იშვიათად ვუყურებ.

— მიგანიშნებთ, ის დავით კლდიაშვილის ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟია.

— ვერ გიპასუხებთ. მიუხედავად იმისა, რომ დავით კლდიაშვილი ძალიან მიყვარს.

— პლატონ სამანიშვილი. რა გვარი იყო ბაშიაჩუკი?

— აბაშიძე.

— ცდებით. ის ბაქრაძე იყო და სახელად გლახუნა ერქვა. ორმა კაცმა 900 ლარი გაიყო, მეორეს 500 ლარით მეტი შეხვდა, ვიდრე პირველს. რამდენი ლარი შეხვდა პირველს?

— (*ფიქრობს*) 200 ლარი.

— რისი ერთობლიობაა არქიპელაგი?

— კუნძულების.

— რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია ბეირუთი?

— ლიბანის.

— რომელ მხატვარს ეძღვნება ალა პუგაჩოვას ცნობილი სიმღერა მილიონი ვარდის შესახებ?

— წარმოდგენა არ მაქვს.

— ფიროსმანს.

— დიახ, ახლა გამახსენდა. წლების წინ, როცა იაპონიაში ფიროსმანის გამოფენას ვაწყობდით, იყო მოსაზრება, რომ პუგაჩოვას დისკიც უნდა წაგვეღო.

— თბილისის რომელი ეკლესიაა ორსართულიანი, სადაც პირველი სართული დიდმოწამე მარინეს სახელობისაა, მეორე — წმინდა გიორგის?

— ქაშუეთის ეკლესია.

— ლონდონი, პარიზი, ჰავანა, ზუგდიდი. რა აქვს საერთო ამ 4 ქალაქს?

— (*ფიქრობს*) ვერ გეტყვით. ლონდონი, პარიზი და ჰავანა ქვეყნების დედაქალაქებია, მაგრამ ზუგდიდი მათთან რა კავშირშია?

MK

— მიგანიშნებთ, ამ ქალაქებში რაღაც ნივთი ინახება.

— გამახსენდა, ნაპოლეონის ნიღაბს გულისხმობთ?

— დიახ, რომელ წელს ამუშავდა თბილისში მეტროპოლიტენი?

— მშენებლობა 1965 წელს დაასრულეს და 1966 წელს გახსნეს.

— რა სახელი ერქვა ალექსანდრიის ბიბლიოთეკას?

— არ ვიცი.

— მუზეიონი. ვინ არის გამოსახული 5-დოლარიან კუპიურაზე?

— ვერ ვიხსენებ.

— ლინკოლნი. რა ჰქვია გზას, რომელზედაც ციური სხეულები მოძრაობენ?

— ორბიტა.

— რას ეძახიან რქებმოგრეხილ ხარს კორიდაზე?

— არ ვიცი.

— აფეიტადოს. სადაური ცეკვაა „მაზურკა“?

— პოლონური.

— რომელი ზღვა უერთდება ხმელთაშუა ზღვას სუეცის არხით?

— წითელი ზღვა.

— რომელია დონ-კიხოტის სათავადაზნაურო ტიტული?

— იდალგო.

— რა ჰქვია რიცხვთა ჯამის განაყოფს ამ რიცხვთა რაოდენობაზე?

— საშუალო არითმეტიკული.

— მონარქის მცირეწლოვნების შემთხვევაში რა ჰქვია მეფის უფლება-მოვალეობის დროებით შემთავსებელს?

— (*ფიქრობს*) ვერა, ვერ გავიხსენე.

— რეგენტი. რომელი ქართველი დიდებულის თავგანწირულმა საქციელმა იხსნა კოხტასთავის შეთქმულები?

— ცოტნე დადიანმა. მას და მონღოლებსაც შოთა ნიშნიანიძემ ასეთი სტრიქონები უძღვნა: „ცოტნე გმირია, / დიდებული გმირი... ოღონდაც/ თუ ბიჭები ვართ,/ ნუ ვადიდებთ მარტოდენ ცოტნეს,/ ვახსენოთ სახედაღრეჯილი ლომი მონღოლიც,/ გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე...“ შოთა ნიშნიანიძეს ახლოს ვიცნობდი. პოეზიაზე არაერთხელ გვისაუბრია. მან საკუთარი კრებულიც მაჩუქა წარწერით: „ადამიანს, რომელსაც პოეზია უყვარს, ჩემთვის დიდი კაცია“.

— ვინ იყო თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი?

— ქემალ ათათურქი.

— ისინი 1960-1967 წლებში აღმოაჩინეს. ეს იყო მძლავრი კოსმოსური რენტგენული წყაროები. რას უწოდებენ მათ შემოკლებით?

— კვაზარებს. კვაზი — ცრუს ნიშნავს.

— ერთხელ XVII საუკუნეში ინგლისის სასამართლოს წინაშე მსჯავრდადებულები რიდი და ბონი წარდგნენ, მაგრამ სასამართლო პროცესზე მოხდა ისეთი რამ, რის გამოც სასიკვდილო განაჩენი, შედარებით მსუბუქი განაჩენით შეუცვალეს. რა მოხდა ასეთი?

— ვერ გეტყვით.

— აღმოჩნდა, რომ ფეხმძიმედ იყვნენ. ვინ შემოიღო ხმარებაში პირველად ტელესკოპი?

— გალილეო გალილეიმ.

— რა აღმოაჩინა მან ტელესკოპით?

— იუპიტერის თანამგზავრები, სატურნის რგოლები, ვენერას ფაზები და ა.შ. ასტრონომია კარგად ვიცი.

— მაშინ მითხარით, რომელი პლანეტის თანამგზავრია არიელი?

— ურანოსის.

— ატმოსფერო შედგება 8-დან 18 კილომეტრამდე სისქის სხვადასხვა ფენისგან. დაალაგეთ ეს ფენები დედამიწასთან სიახლოვის მიხედვით: სტრატოსფერო, მეზოსფერო, ტროპოსფერო, ეგზოსფერო, თერმოსფერო.

— რთულია, მაგრამ შევეცდები. ტროპოსფერო, თერმოსფერო, მეზოსფერო (რადგან ვიცი, რომ „მეზოს“ ნიშნავს შუაში), შემდეგ სტრატოსფერო და ბოლოს — ეგზოსფერო. სწორად ვთქვით?

— მე-2 და მე-4 სფეროები ერთმანეთში აგერიათ ანუ სწორია შემდეგი თანამიმდევრობა: ტროპოსფერო, სტრატოსფერო, მეზოსფერო, თერმოსფერო და ეგზოსფერო. დაალაგეთ დაბლიდან ზევით დიპლომატიური რანგები: ატაშე, ელჩი, დესპანი.

— ატაშე, დესპანი, ელჩი.

— აბუ-ზაბი, შარჯა, აჯმანი, რას-ელ-ხაიმა, უმ-ელ-კაივანი, დუბაი: რა ჰქვია ყველაფერ ამას ერთად?

— არაბთა გაერთიანებული საამიროები.

— მისი ოფიციალური გახსნა 1973 წლის 20 ოქტომბერს, ინგლისის დედოფლის ელისაბედ II-ის თანდასწრებით მოხდა. ახლა ბევრი ამტკიცებს, რომ ეს არის II მსოფლიო ომის შემდგომი წლების ყველაზე ლამაზი შენობა. გემის ბორტიდან ის გიგანტურ, ფრთებგაშლილ თეთრ გედს მოგაგონებთ. მისი სიმაღლე 67 მეტრს აღწევს. მშენებლობაზე 100 მილიონი დოლარი დაიხარჯა. დაასახელეთ ეს შენობა.

— 1973 წელს უკვე 21 წლის ვიყავი. წესით უნდა მახსოვდეს, მაგრამ ჩემდა სამარცხვინოდ, ვერ გიპასუხებთ.

— ეს გახლავთ სიდნეის ოპერის შენობა.

— ჩემი ფიქრი სხვა მიმართულებით წავიდა, დავიბენი, თორემ გამოვიცნობდი.

— აშშ-ის ამ შტატს მკვიდრი მოსახლეობის ენაზე (ალეუცთა ენაზე) „დიდი ქვეყანა“ ეწოდება. რომელია ეს შტატი?

— ალასკა.

— დაასრულეთ ცნობილი ფრანგი მსახიობის პიერ რიშარის აზრი: „ჩვენს ქვეყანაში ხალხისთვის ის ოპიუმი, რომელიც აიძულებს, დაივიწყოს ყველა სიძნელე და უსიამოვნება, ეს არის...“

— „...ტელევიზია.“

— ცდებით, „...ეს არის პიერ რიშარი“.

■

ერუდიტი +

— ქვეყნის ნაწილების მიხედვით ყველაზე მეტი მოსახლეობა აზიაში ცხოვრობს. 1996 წლის მონაცემებით, 3247 მილიონი კაცი ირიცხებოდა. შემდეგ მოდის — აფრიკა, ამერიკა და ევროპა.

— ყველაზე დიდი თავსხმა წვიმა 1952 წელს, კუნძულ რეუნიონზე (ინდოეთის ოკეანე) სოფელ სილაოს მიდამოებში იყო. 15-16 მარტს დღე-ღამის განმავლობაში 1870 მმ ნალექი მოვიდა.

— ამერიკის სმიტსონის მუზეუმში, რომელიც ვაშინგტონში მდებარეობს, 50 მილიონზე მეტი ექსპონატია დაცული. აქედან 300 ათასი ძუძუმწოვარი ცხოველის ტყავია, 3 მილიონი — მცენარე, 16 მილიონი — მწერი, 90 ათასი — მინერალოგიური ექსპონატი და ა.შ. მათ შორის საგულისხმოა სპილოს ფიტული, რომელიც აფრიკაში 1955 წელს მოუკლავთ. ვეებერთელა სპილოს სიმაღლე 4 მეტრი ყოფილა. მისი ფიტულის წონა 11 ტონაა. ფიტულის დამზადებისას ტყავი 900 კილოგრამს იწონიდა, ხოლო გიგანტის ტერფის დიამეტრი 60 სანტიმეტრი იყო.

მუზეუმის მეორე ღირსშესანიშნავი ექსპონატია ლურჯი ვეშაპი. იგი 1926 წელს დაიჭირეს. მისი სიგრძე — 28 მეტრი, ხოლო წონა 135 ტონა ყოფილა. ვეშაპი ყველაზე დიდი ცხოველია მათ შორის, რომლებიც ოდესმე ცხოვრობდნენ დედამიწაზე.

რით ვიკვებს ანი გიუნტერი ნაკნობებს და რატომ გამოდის სახლიდან უფულოდ

„ბავშვობაში მამა მირჩევდა ხოლმე რა უნდა წამეკითხა“, — ამბობს „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის „კოსმოგონა“ ანი გიუნტერი, რომლის გემოვნების ჩამოყალიბებაში მშობლებს დიდი წვლილი მიუძღვით. რატომ დააქვს ჩანთით ფენი, თმის უთო, პარფიუმერია, ტანსაცმელი და სხვა ნივთები, როგორი ბიჭები მოსწონს და რის მიხედვით ირჩევს სამოსს? — ამ და სხვა კითხვებზე თავად ანი გვიპასუხებს.

„ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ, ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲠᲔᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲝ...“

ᲛᲐᲠᲔᲮ ᲭᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

— მამა ბავშვობიდანვე ზრუნავდა ჩემი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. 10 წლის ვიყავი, როცა ცნობილი მევიოლინეების შესრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებებს მასმენინებდა და ამან ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა — მეც მევიოლინე გავხდი.

— ყველაზე ხშირად, როგორ მუსიკას უსმენ?

— ძალიან მიყვარს კლასიკური მუსიკა. ასევე ვუსმენ ჯაზს, სოულს. თუ მეგობრებთან ერთად ვარ და ვერთობი, ყველანაირ მუსიკას შემიძლია, მოვუსმინო.

— წიგნის კითხვა თუ გიყვარს?

— ლექსების კითხვა მიყვარს, სერიოზულ ლიტერატურას კი იშვიათად ვეცნობი, ამისთვის დრო არ მრჩება. სკოლაში სწავლის პერიოდში დოსტოევსკის, ჩეხოვის მოთხრობების კითხვა მიყვარდა და ახლაც, როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავ, ამ მწერლების ნაწარმოებებს ხელახლა ვკითხულობ. ისინი ბევრ კარგ მოგონებას აღმიძრავს. ბავშვობაში მამა მაძლევდა რჩევებს, თუ რა უნდა წამეკითხა.

— თანამედროვე მწერლების ლიტერატურას თუ კითხულობ?

— მათ ნაწარმოებებს იშვიათად ვეცნობი, უფრო ხშირად, რუსულ დეტექტივებს ვკითხულობ.

— ჩაცმის როგორ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— ბავშვობიდანვე კლასიკურად ჩაცმული ქალები მომწონდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი ჩაცმულობა მეც მომიხდებოდა. თუკი რაიმე შეხვედრაზე მივდივარ, აუცილებლად კოსტიუმს ვიცვამ. იცი, ექსპერიმენტების მოყვარული ვარ და ეს ჩემს სამოსზეც აისახება... ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ტანისამოსის გამო კომპლიმენტს მეტყვიან თუ არა. განსაკუთრებით, მამაკაცების აზრი მაინტერესებს.

— როგორი მამაკაცები მოგწონს?

— განსაკუთრებული სტერეოტიპი არ მაქვს. ჩემი რჩეული გარეგნულად სიმპათიური უნდა იყოს და ბუნებით — ძლიერი. გადაწყვეტილებები მამაკაცმა უნდა მიიღოს.

— შენი აზრით, მამაკაცმა ჩაცმის როგორ სტილს უნდა მიანიჭოს უპირატესობა?

— ოფიციალურად ჩაცმული მამაკაცები არ მომწონს. ისე, თუ მამაკაცი მომეწონება, მის ჩაცმულობას ყურადღებას არ მივაქცევ. ჩემთვის მთავარია, ისეთი თვისებები ჰქონდეს, რომ მის გვერდით თავი ქალად ვიგრძნო.

თუ მამაკაცი მომეწონება, მის ჩაცმულობას ყურადღებას არ მივაქცევ

— ყოველდღიურ მაკიაჟს თუ იკეთებ?

— ყოველთვის სადა მაკიაჟს ვიკეთებ, მუქ ტონებს ძალზე იშვიათად ვიყენებ. კანის მოვლის საშუალებებში ფული არასოდეს მენანება და თუ მომეწონა, შემიძლია, კრემი განვადებითაც გამოვიტანო.

— აქსესუარებზე რას გვეტყვი?

— არ მომწონს, როცა ბევრი აქსესუარი უკეთიათ. ძალიან მომწონს სათვალე, მაგრამ მიმაჩნია, რომ არ მიხდება და ამიტომაც, იშვიათად ვატარებ. ბეჭედიც სადა მიკეთია, რადგან დიდთვლიანი სამკაულები არ მიყვარს.

— შოპინგზე სიარული თუ გიყვარს?

— მიყვარს, მაგრამ ვცდილობ, შოპინგზე ხშირად არ ვიარო, რადგან ამ დროს ბევრ ისეთ რაღაცას ვყიდულობ, რასაც მერე აღარ ვიცვამ და ისინი მხოლოდ ჩემს კარადას ამშვენებს. ის კი არა, ამ ბოლო დროს, როცა სახლიდან გავდივარ, ფული აღარც მიმაქვს, მაგრამ გამყიდველები მცნობენ და რაღაც თუ მომეწონება, მეუბნებიან: წაიღე და როცა შემოივლი, მაშინ მოიტანეო. მეც, ცდუნებას ვერ ვუძლებ და ვყიდულობ.

— რაღაცის ყიდვის დროს ხარისხს აქცევ ყურადღებას თუ ფასს?

— რა თქმა უნდა, ხარისხს. ინგლისელებს აქვთ ერთი კარგი გამოთქმა: არც ისე მდიდარი ვარ, იაფფასიანი საქონელი რომ ვიყიდოო. ასევე, ყიდვის დროს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ფერებს. ამ ბოლო დროს ღია ფერის ტანსაცმელი მომწონს.

— ქართველი დიზაინერების მიერ შეკერილ სამოსს თუ ატარებ?

— თეონა თავართქილაძისა და იკა ბობოხიძის შექმნილი კოსტიუმები მაქვს. ძალიან მომწონს ავთო ცქვიტინიძის დიზაინით შექმნილი სამოსი, მაგრამ სამწუხაროდ, მისი არც ერთი კოსტიუმი არ მაქვს.

— სილამაზის სალონს ხშირად სტუმრობ?

— ვცდილობ, თმა ყოველთვის წესრიგში მქონდეს და ამიტომაც, სალონის ხშირი სტუმარი ვარ. მახსოვს, სკოლაში სწავლის პერიოდში დედა მეხვეწებოდა, — ორი კიკინა გამეკეთებინა, მაგრამ არ ვიკეთებდი. ახლა კი ასეთი ვარცხნილობა ძალზე მომწონს და როცა კიკინებს ვიკეთებ, დედა გაოცებული მიყურებს ხოლმე.

— როგორი ჩანთები მოგწონს?

— ყოველთვის დიდ ჩანთას ვირჩევ, თან რომ ვატარო — ფენი, თმის უთო, პარფიუმერია, ტანსაცმელი და ა.შ. ხშირად, ჩემი ჩანთა იმ ყველაფერს ვერ იტევს, რისი წაღებაც მინდა და ამიტომ, დამატებით მუყაოს პარკსაც ვიმარაგებ ხოლმე. მთელი დღე ერთსა და იმავე ტანსაცმელში ვერ ვძლებ და დღეში რამდენჯერმე ვიცვლი. ვცდილობ, ამ თვისებას ვძლიო, მაგრამ არ გამომდის. ჩემი მავნე ჩვევის შესახებ ყველამ იცის. რამდენიმე დღის წინ დათო ფრანგიშვილმა ნემსი და ძაფი მთხოვა. როცა ვუთხარი, — არ მაქვს-მეთქი, ძალიან გაუკვირდა. ■

პროფესიონალი მეეზოვე, წიგნების ქურდი და ქალი, რომელმაც ვარდენა გააოგნა

ცოტა ხნის წინ, მწერალი დათო ტურაშვილი კიდევ ერთხელ გახდა ლიტერატურული პრემია „საბას“ მფლობელი. ცნობილია — მწერლებს მდიდარი მეხსიერება და იმის უნარი აქვთ, რომ ჩვეულებრივი ადამიანიც კი სრულიად უჩვეულო და საინტერესო კუთხით დაინახონ. ჰოდა, დათო ტურაშვილს სწორედ ამიტომაც ვთხოვეთ, მისთვის დაუვიწყარი ადამიანის ან ადამიანების შესახებ მოეთხრო.

ემა ტუხიაშვილი

— საერთოდ, კარგი მეხსიერება მაქვს და არასდროს მავიწყდება ადამიანი, რომელიც ოდნავ მაინც საინტერესოა. შეიძლება ითქვას, რომ ჩემთვის უინტერესო პიროვნება სამყაროში არც არსებობს, რადგან ჩემი ღრმა რწმენით, ნებისმიერ ადამიანში არის რაღაც განსაკუთრებული და სურვილის შემთხვევაში, ამას აუცილებლად აღმოაჩენ. მაგრამ რადგანაც დღევანდელ საქართველოში პროფესიონალების დეფიციტია, ყველაზე მაგარ პროფესიონალს გავიხსენებ მათ შორის, ვინც კი შემხვედრია — ის ლონდონში სწავლის პერიოდში გავიცანი... მოდი, სანამ მასზე გიამბობთ, სერგეი დოვლატოვს გავიხსენებ, რომელიც პეტერბურგელი მეეზოვის პროფესიონალიზმმა გააოგნა. მაშინ პეტერბურგს ლენინგრადი ერქვა და სადაც დოვლატოვი ცხოვრობდა, იმ კორპუსის გვერდით, კიდევ ორი ათასართულიანი სახლი იდგა. ამ სამ კორპუსს ჰქონდა ერთი დიდი ნაგვის ბუნკერი, რომლითაც სამივე კორპუსის მცხოვრებლები სარგებლობდნენ, მაგრამ ზამთარში, ზოგიერთებს ბუნკერამდე მისვლა ეზარებოდათ და ნაგავს იქვე ყრიდნენ. მეეზოვე კი ისეთი პროფესიონალი ყოფილა, რომ თურმე, დილით გადაყრილი ნაგვის მიხედვით ხვდებოდა, რომელი ოჯახის ნაგავი იყო და უკანვე, ბინაში მიართმევდა ხოლმე ზარმაც მობინადრეებს...

ლონდონში ყველაფერი ძვირია, მათ შორის, წიგნებიც. ამ ქვეყანაში გაცნობილი ინგლისელი, პეტერბურგელზე არანაკლები პროფესიონალი იყო — მას ლონდონის ნებისმიერი მაღაზიიდან ნებისმიერი წიგნის მოპარვა შეეძლო. თუ ეტყოდი, რა წიგნები გჭირდებოდა ან სასურველი წიგნების სიას ჩამოუწერდი, ფასებს მაშინვე დაგისახელებდა. თავიდან ვერ ვხვდებოდი, ფასებს რის მიხედვით ამბობდა, მაგრამ მერე, თვითონვე ამიხსნა — როგორი ძვირად ღირებული წიგნიც უნდა ყოფილიყო, თუ ისე იდო თაროზე, რომ მისი მოპარვა იოლი გახლდათ, მაშინ ძალიან იაფად მოგიტანდა, ხოლო მაღალი რისკის შემთხვევაში, ძვირად მოგყიდდა. მისი პროფესიონალიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ ზეპირად ახსოვდა (თანაც, ზუსტად), თუ რომელი წიგნი რომელი მაღაზიის რომელ თაროზე იდო. მართალია, მისი პროფესიონალიზმით მხოლოდ ერთხელ ვისარგებლე (ისიც, გამოცდების წინ), მაგრამ ინგლისური მართლმსაჯულებისთვის ალბათ, მაინც დანაშაულის თანამონაწილედ მივიჩნევი და ამას დღემდე განვიცდი... რადგან დანაშაული ვახსენე, ბარემ, თბილისურ პროფესიონალიზმსაც გავიხსენებ, რომელიც შეიძლება, ორივე ზემოთქმულზე დახვეწილი და საშიში იყოს. ვერის უბნის ძირძველ მოქალაქეს, პაატა ვახტანგის ძე ვარდოსანიძეს (მეტსახელად ვარდენას) საყვარელ უბანში ისეთი ხრიკი ჩაუტარეს, რომელსაც ვერასოდეს წარმოიდგენდა. ამას წინათ, ვარდენას ტაქსიში ახალგაზრდა ქალი დაემგზავრა, რომელიც იქვე, სიამოვნებით გაიცნო, სახლში მისულმა კი აღმოაჩინა, რომ თავისი მშვენიერი მობილურის ნაცვლად, ჯიბეში სხვისი უმახინჯესი ტელეფონი ედო. თბილისში მობილურის მოპარვა ან გაცვლა საკვირველი ამბავი ნამდვილად არაა, მაგრამ გაოგნებულმა პაატა ვარდოსანიძემ ისიც აღმოაჩინა, რომ ახალგაზრდა ქალს სიმბარათის გამოცვლაც მოესწრო. საქართველოში, კრიმინალურის გარდა, მგონი, არანაირი პროფესიონალიზმი არ არსებობს და ჩვენი მთავარი პრობლემაც, სწორედ ეს არის... ■

კალეიდოსკოპი

პეკინის რესტორნებში ძაღლის ხორცს არ შემოგთავაზებენ

ტრადიციულ ჩინურ კერძებს, რომლებსაც ძაღლის ხორცისგან ამზადებენ, ოლიმპიური თამაშების დროს პეკინის რესტორნების კლიენტებს არ შესთავაზებენ. ამის შესახებ პრესას ჩინეთის დედაქალაქის სახელმწიფო ტურისტული ბიუროს წარმომადგენელმა სიუნ იუმეიმ ამცნო და ისიც დასძინა, რომ რესტორნების მესვეურებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, შესაძლო კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. ცოტა ხნით ადრე, პეკინის წარმოებისა და მომსახურების ასოციაციამ 112-ვე სპეციალიზებულ რესტორანს, რომელიც სწორედ ძაღლის ხორცის კერძებს სთავაზობს მომხმარებელს, ოლიმპიადის დროს მათი მომზადება აუკრძალა. ამის შესახებ გამოცემულ დოკუმენტში ისიცაა მითითებული, რომ ყველა სამედიცინო პრეპარატს, რომელიც ძაღლის ხორცს შეიცავს, უნდა ახლდეს მასში გამოყენებული ინგრედიენტების სრული ჩამონათვალი: საქმე ის გახლავთ, რომ ჩინელების რწმენით, ძაღლის ხორცი მაღალი წნევის დაწევას უწყობს ხელს.

ᲨᲔᲣᲩᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-28

ᲘᲜᲒᲐ ᲧᲐᲧᲔᲚᲘ

მისტიკა...

ბუნებრივია, პარიზში მყოფი, როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავდი, მაშინვე ირაკლისა და ეკას ვესტუმრებოდი. შემიყვარდა მათი სახლი, სადაც ყოველთვის ცდილობდნენ, სადილიც კი ქართული წესით მოემზადებინათ. ეკას ძალიან უჭირს თბილისისა და დედის გარეშე, ირაკლის კი სამშობლოში დაბრუნება არ შეუძლია, თორემ ყველაფერზე უარს იტყოდა, ოღონდ ეკას ტანჯვას (სხვას ვერაფერს ვუწოდებ ამ პატარა გოგოს განცდებს!) არ უცქიროს. გოგონას თბილისიდან გაგზავნილი იმ უამრავი ვიდეოკასეტის ნახვა ამშვიდებს, რომელთაც ახლობლები მისი თხოვნით იღებენ... მე ხომ სულ რამდენიმე თვით ვიყავი წასული და ვიცოდი, რომ ნებისმიერ დროს შემეძლო უკან დაბრუნება, მაგრამ მაინც იყო მომენტი, როცა საოცრად ცუდად ვგრძნობდი თავს და სიმშვიდეს ვერ ვპოულობდი, რადგან სულ საქართველო მესიზმრებოდა. ვიცი, ვერ დამიჯერებ, მაგრამ იმასაც ვნანობდი, ცოტაოდენი ქართული მიწა რომ არ წავიღე. უზარმაზარი ქალაქის ქუჩებში მოსიარულეს სერიოზულად მეშინოდა, ხომ შეიძლებოდა, რაღაც ისეთი მომხდარიყო, რაც ჩემს სიცოცხლეს წერტილს დაუსვამდა და ერთხელაც, ირაკლის მთელი სერიოზულობით ვუთხარი:

— თუ აქ მიწერია სიკვდილი, გევედრები, არ დამტოვო, ჩემი ცხედარი საქართველოში ჩაიტანე და იქ დამმარხე!

ირაკლის სევდიანად გაეღიმა და მიპასუხა:

— არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, მაგრამ მე და ეკასაც ერთმანეთისთვის იგივე გვაქვს ნათქვამი და ყველაფერზე მეტად ეგ გვაშფოთებს... შეამჩნიე ალბათ, რომ დათოს საფლავზე ოთხიხუთი ადამიანის დასაკრძალავი ადგილია დატოვებული. ეს ჩვენი თხოვნის საფუძველზე მოხდა — თავის დროზე მეც და ეკაც იქ დავიმარხებით. შენც, რა თქმა უნდა, თუ ამის სურვილი გაქვს...

ბიჭს უსიტყვოდ გადავეხვიე და სიცილნარევი ტირილი ამივარდა. ხალხით სავსე ქუჩას გავხედე და ის ვთქვი, რასაც მთელი არსებით განვიცდიდი:

— ალბათ, ამათგან ერთიც ვერ მიხვდება, რას ნიშნავს ქართველობა, მართლმადიდებლობა, სამშობლოსა და მშობლიურ მიწაზე მიჯაჭვულობა...

— მისტიკური ამბების გჯერა? — მკითხა ირაკლიმ. ვერ მივუხვდი, რა იგულისხმა და მხრები ავიჩეჩე:

— მე უფრო რეალისტი ვარ...

— მეც ასე მეგონა, სანამ მუსიე დიუპონს არ შევხვდი. ვცოდავდი, მაგრამ არც იმისი მჯეროდა, რასაც ჩვენი რწმენა გვასწავლის იმასთან დაკავშირებით, რომ სიკვდილი დასასრული კი არა, ახალი სიცოცხლის დასაწყისია...

— მუსიე დიუპონი ვინაა? — ბუნებრივია, მაშინვე გამიცხოველდა ცნობისმოყვარეობა.

— მას ჯადოქარს ეძახიან. მისი ბევრს სჯერა, ბევრი კი დასცინის და შარლატანს ეძახის. დაჭერითაც ემუქრებიან, მაგრამ აქამდე თმის ბეწვიც ვერავინ ჩამოუგდო. სხვათა შორის, ხელისუფლების ბევრი ავტორიტეტი ცხოვრობს მისი რჩევებით...

— არ გადამრიო! ე.ი. ჯადოქრების გჯერა?

ირაკლიმ მანქანა გააჩერა და კარგა ხნის დუმილის შემდეგ მითხრა:

— ახლა მე გიამბობ, როგორ შემახვედრა განგებამ ამ უცნაურ კაცთან და თავად გამოიტან დასკვნას... ვერ წარმოვიდგენდი, თუ დათოს გარეშე ჩემს ცხოვრებას აზრი ექნებოდა. ის ჩემთვის მარტო უფროსი ძმა არ იყო და ალბათ, ვცოდავდი კიდეც, როცა ვამბობდი, რომ თუ ის მეყოლებოდა კარგად, ღმერთიც აღარაფერში მჭირდებოდა. ჰო, დათო ჩემთვის ღმერთზე მნიშვნელოვანი იყო. ეკლესიაშიც არ დავდიოდი, სანამ ცოცხალი გახლდათ. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ მისი სიკვდილი შესაძლებელი იყო... წარმოიდგინე, რა დღეში ჩავვარდებოდი, როცა ერთ მშვენიერ დღეს, სამსახურში მისულს შეფმა დამიძახა და მითხრა, — დღეს თავისუფალი ხარ და საერთოდაც, იმდენი ხნით შეგიძლია წასვლა, რამდენიც საჭირო იქნებაო. არ ვიცოდი, რა მეფიქრა, რადგან საფრანგეთი საქართველო არაა, ვინმემ იზრუნოს შენზე. აქ ისიც მომხდარა, რომ თუ საქმეს სჭირდებოდა, თანამშრომელი ახლობლის დაკრძალვაზეც არ გაუშვიათ ან რამდენიმე წუთის დაგვიანებისთვის სამსახურიდან ისე დაუთხოვიათ, რომ თავის მართლების საშუალებაც არ მიუციათ... როცა შეფს მიზეზი ვკითხე, მხრები აიჩეჩა:

— მე მეტს ვერაფერს გეტყვი. რამდენადაც ვიცი, გასასვლელში ვიღაცები გელოდებიან და ყველა თქვენს კითხვას ისინი უპასუხებენ...

მართლაც, გასასვლელში ორი მამაკაცი მელოდებოდა. ერთ-ერთში ვაჟას დაცვის წევრი შევიცანი და მივხვდი, რაღაც საშინელი მოხდა. ხელი ისე ჩამომართვეს, აშკარად მომისამძიმრეს. მერე ერთ-ერთი მათგანი ჩემი მანქანის საჭეს მიუჯდა, მეორე კი უკან გამოგვყვა... ბოლოს, იმ სახლში მიმიყვანეს, სადაც ახლა შენ ცხოვრობ. ვაჟა, რომელიც წესით, საფრანგეთში არ უნდა ყოფილიყო, ღია კარში მელოდებოდა. მან გულში ჩამიკრა და გაბზარული ხმით ყურში ჩამჩურჩულა:

— ის მოხდა, რაც მოსალოდნელი იყო... ოპერაცია ჩავარდა... ძმა აღარ გყავს, დათო მოკლეს!..

ჩემი მაშინდელი რეაქცია არ მახსოვს. როგორც ჩანს, გონი დავკარგე. როცა ცნობიერება დამიბრუნდა, თავზე შეშინებული, თვალცრემლიანი

ეკა და ექიმი მადგნენ... ეკამ ვაჟას გახედა და უთხრა, — გონს მოვიდაო! ვაჟა მომიახლოვდა და მკაცრად, მაგრამ მაინც დამთმობი კილოთი მითხრა:

— იწექი და შეეცადე, მომხდარს შეეგუო. მე საქმეს უნდა მივხედო. ცოცხალი დავკარგეთ, მაგრამ მკვდარს მეტი პატრონი სჭირდება. თუ სასწრაფოდ არ ვიმოქმედეთ, მიცვალებულიც სანატრელი გაგვიხდება...

საწოლიდან მაშინვე წამოვხტი და მიუხედავად ექიმის წინააღმდეგობისა, კატეგორიულად განვაცხადე, რომ ძმის წინაშე ვალი ბოლომდე უნდა მოვეხადა. მზად ვიყავი, თბილისში წამოვსულიყავი და შიშველი ხელებით შეებრძოლებოდი მთელ ქართულ ჯარსა და უშიშროებას, ოღონდაც ძმის ცხედარი დამეხსნა... ვაჟამ ძლივს დამარწმუნა, რომ ეს მხოლოდ ზედმეტ პრობლემებს შექმნიდა და შეიძლებოდა, საქართველოში ჩასვლა მეც სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა. არის მიზეზი, რომელზეც ჯერ ვერაფერს გეტყვი და რომლის გამოც საზღვარს ლეგალურად ვერასოდეს გადავლახავ... საქართველოში სხვები წავიდნენ და უკვე იცი, რომ საქმეს მშვენივრად გაართვეს თავი. ის ჩანაწერი რომ ნახო, სადაც ფულის გადაცემის მომენტია ასახული, გაგიჟდები — ვერ წარმოიდგენ, რა სახელებია ნახსენები და რა დონეზე გადაწყდა მიცვალებულის ჩვენთვის გადმოცემის საკითხი. ამ კადრების ნახვის შემდეგ სასაცილოდ მოგეჩვენება ხელისუფლების ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ საქართველოში კრიმინალთა თარეშს ბოლო მოეღო. მერწმუნე, ყველაფერი პირიქითაა — სინამდვილეში, ჯერ რომ არასოდეს ყოფილა, იმ დონეზე ავიდა კრიმინალებისა და სახელისუფლებო წრეების ურთიერთობა. პრინციპში, ამ საკითხს საქართველომ კი არა, მსოფლიოს უდიდესმა ქვეყნებმა ვერაფერი მოუხერხეს და აშკარად, ვერც ვერასოდეს მოერევიან... უკვე ვიცოდი, რომ დათოს ცხედარი ჩვენი იყო და მას პატივითაც დაკრძალავდნენ. სწორედ დაკრძალვის დღეს თავი განსაკუთრებით ცუდად ვიგრძენი, სახლიდან წავედი და რომელიღაც სასტუმროს რესტორანში, ვისკით გონების დაბნელებამდე გამოვტყვერი. ისიც არ მახსოვს, საჭეს როგორ მივუჯექი ან საით მივდიოდი. ფაქტია, რომ მანქანა ავამუშავე, ტრასაზე გავიყვანე და ფაქტობრივად მძინარემ გავიარე ოთხი თუ ხუთი კილომეტრი, შემდეგ კი ვიღაცის მანქანას შევეჯახე... კიდევ კარგი, გვიანი ღამე იყო და მანქანების ნაკადი დიდი არ იყო, თორემ შეიძლებოდა, მოვმკვდარიყავი. მე და ის კაცი, ვისაც დავეჯახე, ჩვენ-ჩვენი მანქანებით პოლიციაში გადაგვიყვანეს. სწორედ დაზარალებული აღმოჩნდა მუსიე ჟან დიუპონი, რომელმაც რატომღაც, არ მიჩივლა. მოგვიანებით, მას ისევ შევხვდი და მითხრა:

— ვიცოდი, მსგავსი რამ რომ შემემთხვეოდა და თუ იმ საღამოს შინიდან არ გამოვიდოდი, ხიფათსაც ავიცილებდი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემს ადგილას სხვა აღმოჩნდებოდა, შედეგი კი ორივესთვის ბევრად მძიმე იქნებოდა, რასაც თავს ნამდვილად ვერ ვაპატიებდი!

— ეგ როგორ? — გავიკვირვე. სიმართლე გითხრა, თავიდან მეც ბოდვად მივიჩნიე ამ უცნაური კაცის ნათქვამი, რომელიც XIX საუკუნის რომელიღაც მხატვარს მაგონებდა, წითელი კუბოკრული კოსტიუმითა და ასევე წითელი პომპონებიანი ქუდით, მაგრამ მისი მადლიერი ვიყავი, რადგან არ მიჩივლა და პატიმრობას გადავურჩი. ამიტომაც, რესტორანში დავპატიჟე. ალკოჰოლს არ გაეკარა და არც მე მირჩია სმა, მერე კი ისეთი რამ მითხრა, რის გამოც, მის ნორმალურობაში ეჭვი შემეპარა. ეს არ გამოჰპარვია:

— მე კლიენტი არ მაკლია და არც იმის მტკიცება მჭირდება, რომ მართლა ზებუნებრივი ძალის მფლობელი ვარ. შენ გჭირდება იმაში დარწმუნება, რომ ყველაფერი უფლის ნებაა. ამქვეყნად თითოეულ ადამიანს თავისი მისია აკისრია. საკმარისია, ბედისწერის მიერ დასახულ გზას ასცდე, რომ შენს სიცოცხლეს აზრი ეკარგება და უკან გიხმობენ...

კაცს უსიტყვოდ ვუსმენდი და არ ვეკამათებოდი, რადგან ჭკუაარეულ ბერიკაცად მივიჩნიე. როგორც ჩანს, მიმიხვდა, რადგან მალევე წამოდგა და მთხოვა:

— ხომ იცით, თქვენი წყალობით ჩემი მანქანა პროფილაქტიკაშია. იმედია, ტაქსის არ გამომაძახებინებთ და შინ მიმიყვანთ!

— რა თქმა უნდა, აუცილებლად მიგიყვანთ! — წამოვდექი მაშინვე, რადგან მისი სისულელეების მოსმენის აღარავითარი სურვილი არ მქონდა.

მანქანიდან რომ გადადიოდა, ძალიან უბრალოდ და შინაურულად მითხრა:

— მინდა, ჩემთან დაგპატიჟოთ და უარს ნუ მეტყვით, თორემ ამას ვერასოდეს აპატიებთ თავს — ნამდვილ თურქულ ყავას მოგართმევთ, უძველესი რეცეპტეით დამზადებულს, თურქეთშიც რომ ვეღარ ხარშავენ, ისეთს!

დავემორჩილე. ალბათ, ცნობისმოყვარეობამაც ითამაშა თავისი როლი.

მუსიე დიუპონის სახლი გარედან ტიპური ნაგებობაა, მაგრამ კარს მიღმა შეაბიჯებ თუ არა, ნამდვილ აღმოსავლეთში აღმოჩნდები. გამეცინა:

— ახლა მგონი, მართლა ვირწმუნებ, რომ ჯადოქრის სამფლობელოში ვარ!..

— ეწევით? — მკითხა დიუპონმა.

— ჩემდა სამწუხაროდ, კი...

— აღმოსავლურ ნარგილეს მოგაწევინებთ. ის ისეთი ბალახებითაა დამზადებული და ისეთი არომატი აქვს, რომ მის გემოს ცხოვრების ბოლომდე ვერ დაივიწყებთ, მაგრამ იცოდეთ, ამ საოცრებას აღარასდროს გაზიარებთ. თუ რატომ, ამას მოგვიანებით, თავად მიხვდებით...

ყავა მართლაც, უგემრიელესი იყო. მძაფრ შეგრძნებას აღმოსავლური ჰანგებიც აძლიერებდა:

— თავი ფადიშაჰი მგონია. ისლა მაკლია, კარი გაიღოს და ათობით ულამაზესი ქალი შემოგოგმანდეს, შიშველი თეძოების რხევით! — დავცინე საკუთარ თავს.

— ქალების რა მოგახსენოთ, ეს ჩემს ძალებს ნამდვილად აღემატება, მაგრამ ფადიშაჰივით წამოწოლა შეგიძლიათ. ახლა მოსაწევს შემოგიტანთ და მარტო დაგტოვებთ! — მითხრა მუსიე დიუპონმა და ამის შემდეგ რაც მოხდა, ნამდვილი მისტიკა იყო...

P.S. *ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99).71.89.39.*

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ერთი კითხვა

— რას მიიჩნევთ ქალისთვის საუკეთესო პროფესიად?

ზურა, მენეჯერი, *36 წლის:*

— ვფიქრობ, რომ ქალს პედაგოგობა უხდება. ისე, მანდილოსნის პროფესიას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. საერთოდ, ჩემი აზრით, მამაკაცმა უნდა იმუშაოს, მისმა მეუღლემ კი ოჯახსა და შვილებს მიხედოს. ქალს განათლება იმისთვის სჭირდება, რომ შვილები კარგად აღზარდოს.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. დუთმა ნესვის ჯიშია.
2. კაბაბური ბავშვის საბანია.
3. სალა ბრტყელი და მრგვალი რიყის ქვაა.
4. მედუზებს წონასწორობის დაცვა შეუძლიათ.
5. კეისარი არასდროს აღიარებდა საკუთარ შეცდომებს.
6. ლადო ასათიანის მამას მელქისედექი ერქვა.
7. სახრახნისი („ოტვიორტკა“) 500 წლის წინ გამოიგონეს.
8. ელდარ რიაზანოვი ლია ახეჯაკოვას საკუთარ თილისმას ეძახის.
9. ეიფელის კოშკზე 1899 წელს დამონტაჟებული ლიფტები დღესაც მუშაობს.
10. ფურს ერთიდან ორ-სამ წლამდე (პირველი ხბოს მოგებამდე), დეკეული ჰქვია.

11. ციმბირული წყლულის გამომწვევი ბაქტერიები ერთ-საათიან დუღილს უძლებენ.
12. ჭადრაკში დაოსტატების საუკეთესო საშუალებაა, ეთამაშო შენზე ძლიერ მოწინააღმდეგეს.
13. „შჩასტია ვააბშე ნე ბივაეტ, ა იესლი ი ბივაეტ, ტო ფრაგმენტამი, ი ტო ნა ვეს ზოლოტა“, — ამბობენ რუსები.
14. ხუნხუზები XIX-XX საუკუნეებში მანჯურიასა და ჩრდილოეთ ჩინეთში მოქმედი შეიარაღებული ბანდების მონაწილენი იყვნენ.
15. კაუჭს, რომელსაც ავიაგამანადგურებელი ავიამზიდზე დაჯდომისას გემბანზე გაჭიმულ ტროსს გამოსდებს ხოლმე დასამუხრუჭებლად, გაკი ეწოდება.
16. ახლახან ავსტრალიელ აბორიგენებს ალკოჰოლური სასმელების მოხმარება აუკრძალეს. ერთმა კომენტატორმა ამაზე თქვა: „გამოთქმა „უკრალ, ვიპილ, ვ ტიურმუ“ აბორიგენთათვის ერთი პუნქტით შემცირდაო.
17. საკუთარ ქვეყანაში ავადმყოფთა, დავრდომილთა და ინვალიდთა ევთანაზია ადოლფ ჰიტლერმა 1939 წლის 1-ელ სექტემბერს დააკანონა.
18. ჩინეთში, სახელგანთქმულ ცათამბჯენ „ძინ მაოში“ ლიფტები ისე რბილად მოძრაობს, რომ მის იატაკზე გვერდულად დადებული მონეტა ადგილიდან არ იძვრის.
19. ერთხელ ანატოლი პაპანოვმა ქუჩაში მილიციელს ჰალსტუხი ჩამოჰგლიჯა, რის გამოც, ხულიგნობის მუხლით, ციხეში 15 დღით ჩასვეს.
20. რეფლექსის ცნება ფრანგი ფილოსოფოსისა და მათემატიკოსის, რენე დეკარ-

ოლიმპიური ჩემპიონის 20 წლით უფროსი და და უმცროსი ძმის გაპოკრეული სიყვარული...

„რვა დედამიშვილი ვართ...“

„ის ბავშვობიდანვე შრომისმოყვარე და მიზანდასახული იყო“ — ამბობს პარლამენტარ გიორგი ასანიძის და, ქალბატონი თინათინი, რომელიც მისით ძალიან ამაყობს და იმასაც დასძენს: გიორგი დედმამიშვილებში ყველაზე ყურადღებიანია.

ეკა მინდაძე

— გიორგის შვიდი დედმამიშვილი ვყავართ: ხუთი და და ორი ძმა. უფროსი მე ვარ, უმცროსი — გიორგი.

— როგორი ბავშვი იყო?

— საოცრად ჯანმრთელი და მკვრივი (*იცინის*). გიორგი ჩემზე 20 წლით უმცროსია და ცხადია, მისი ბავშვობა კარგად მახსოვს. ის პატარაობიდანვე გულჩათხრობილი, მიზანდასახული და პრინციპული იყო. საქმეს, რომელსაც მიზნად დაისახავდა, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანდა. ყოველთვის უნდოდა, სახელოვანი სპორტსმენი გამხდარიყო. ჩვენთან, საჩხერის რაიონში ერთი სალოცავია, რომელსაც „გორიჯვარი“ ჰქვია. გიორგი ხშირად ამბობდა: ჩემპიონი რომ გავხდები და ფული მექნება, იქ ჯვარი უნდა ავიტანო და დავდგაო.

— მერე, შეასრულა დანაპირები?

— რა თქმა უნდა.

— თქვენ შორის რომელი უფრო ბეჯითი იყო?

— გიორგი. ერთი სიტყვით, ის ჩვენ ყოველთვის და ყველაფერში გვჯობნიდა (*იცინის*).

— სკოლა საჩხერეში დაამთავრა?

— დიახ.

— პატარაობისას ხშირად ჩხუბობდა?

— არა, გიორგი ბავშვობიდან სპორტით კი იყო დაკავებული, მაგრამ ბუნტისთავი არასოდეს ყოფილა. უფრო მეტიც, მას არასდროს არავინ გაუბრაზებია.

— დედმამიშვილებში როგორც ყველაზე უფროსს, თქვენ გიწევდათ გიორგისთვის ჭკუის დარიგება, არა?

— გიორგი ისეთი იყო, რომ ზედმეტად ჭკუის სწავლება არ სჭირდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხშირად ვეუბნებოდი: გიორგი, ჩემო ძამიკო, ჭკვიანად იყავი, იცოდე, ყოველთვის გიყურებ და გაკონტროლებმეთქი. ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის პერიოდში საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და ბუნებრივია, ვნერვიულობდი, რამე არ შეშლოდა. იმის გამო, რომ მასზე ოცი წლით უფროსი ვარ, ჩემ მიმართ ყოველთვის მორიდებული იყო. სხვათა შორის, ახლაც ასეა. საერთო ენას ის ჩემს შვილებთან უფრო პოულობს (ისინი თითქმის თანატოლები არიან).

— იქნებ, გაიხსენოთ ჩვევა, რომელიც თქვენს ძმას ბავშვობიდან გამოჰყვა...

— შრომისმოყვარეობა. 1991 წელს, საჩხერეში მომხდარმა მიწისძვრამ ჩვენი სახლი მიწასთან გაასწორა. იმ დროს გიორგი 16 წლის იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შეძლო და თავისი ხელით ქოხი ააშენა, ღამე ღია ცის ქვეშ რომ არ გაგვეთენებინა.

— როგორც უფროსი და, გიორგიმ თუ ჩაგაყენათ საქმის კურსში, როცა ცოლის მოყვანა გადაწყვიტა?

— კი. რა თქმა უნდა, ერთ დღეს მოვიდა და მითხრა, — ცოლის მოყვანა გადავწყვიტეო. როცა ვკითხე, თუ ვინ იყო მისი რჩეული, მიპასუხა: ჩვენებურია, კარგი ბავშვიაო (*იცინის*). აბა, მე რაღა უნდა მეთქვა?

ბიძა-დისშვილი (მარჯვნივ — გიორგი ასანიძე)

მთავარია, მას უყვარდა. მადლობა ღმერთს, არჩევანში არ შემცდარა, — ჩემი რძალი მართლაც, არაჩვეულებრივი მეუღლე და დედაა.

— დედმამიშვილებიდან რომელი უფრო ყურადღებიანი ხართ?

— გიორგი. მას არც ერთი დედმამიშვილის, მათი შვილების, რძლებისა და სიძეების დაბადების დღეები არ ავიწყდება. ეს თარიღები მე ჩამოწერილი მაქვს, მას კი ზეპირად ახსოვს. სადაც უნდა იყოს, თავს მოიკლავს და იუბილარს დაბადების დღეს მაინც მიულოცავს. მაგას ვენაცვალე, ძალიან თბილი და ყურადღებიანია.

— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ კარგი დაძმობა გაქვთ. ასეა?

— რა თქმა უნდა! სულს ამოვიღებ და ჩემს ნებისმიერ დედმამიშვილს მივცემ. ისინი თუ კარგად არიან, მეც კარგად ვარ, ხოლო თუ მათ რაღაც უჭირთ, მეც შეწუხებული გახლავართ.

— თქვენი ოჯახი გაგვაცანით.

— რვა დედმამიშვილიდან დასაოჯახებელი არც ერთი არ ვართ. ყველას გვყავს შვილები და უკვე — შვილიშვილებიც. პირადად მე, ქალვაჟის დედა და ხუთი შვილიშვილის ბებია ვარ.

— როგორი მამა და მეუღლეა გიორგი ასანიძე?

— ძალზე თბილი და მოსიყვარულე. ოღონდ, პრობლემა ის არის, რომ შვილები მამას ხშირად ვერ ნახულობენ.

— ქალბატონო თინათინ, თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?

— საბუღალტრო ტექნიკუმი მაქვს დამთავრებული, მაგრამ ამჟამად დიასახლისი გახლავართ.

— დამეთანხმებით ალბათ, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონობამ გიორგი ასანიძეს ხალხის დიდი სიყვარული მოუტანა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსობა გადაწყვიტა, მისდამი ხალხის სიყვარულმა გარკვეულწილად იკლო. თუ გინდოდათ, რომ ის პოლიტიკაში წასულიყო?

— რა თქმა უნდა, არ მინდოდა იმიტომ, რომ ეს საქმე მუდამ შიშსა და დაძაბულობას იწვევს. მაგრამ რას ვიზამთ? — გიორგის ამ გადაწყვეტილებასაც პავიტს ვცემ. ის ყოველთვის მიზანსწრაფული გახლდათ. სპორტსმენსაც და პოლიტიკოსსაც ბრძოლის უნარი უნდა ჰქონდეს, უბრძოლველად არაფერი გამოვა. მერწმუნეთ, გიორგიმ ყველაფერს მხოლოდ თავისი შრომით მიაღწია და არა ვიღაცის დახმარებით. ახლა რომ ვიხსენებ, ამისთვის რამდენი იწვალა, ტირილი მინდება.

— როცა მისი მისამართით ნათქვამ კრიტიკას ან ლანძღვას ისმენთ, ამაზე როგორი რეაქცია გაქვთ?

— საშინლად განვიცდი. კრიტიკა საჭიროა, რომ შენს შეცდომას მიხვდე, მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანი ლანძღო?! ზოგჯერ ტელეეკრანიდან გიორგის ისე ლანძღავენ, ტელევიზორის გათიშვის სურვილი მიჩნდება.

— არასოდეს გიკამათიათ პოლიტიკაზე?

— არა, ჩვენ, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ერთნაირი მოსაზრება გვაქვს. მჯერა, რომ მას თავისი ქვეყნისთვის კარგი უნდა და იმედი მაქვს, გიორგი პოლიტიკაშიც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც სპორტში.

— ბოლოს, ჟურნალის საშუალებით თქვენს ძმას რა მესიჯს გაუგზავნით?

— დალოცვილი და ბედნიერი იყავი, შენს ცოლ-შვილთან ერთად! ■

და-ძმა თინათინი და გიორგი ასანიძეები

თამაზი, გიორგი, მაიკო

ასანიძეები — შვიდი დედმამიშვილი და რძალ-დედამთილი (მარჯვნივ გიორგის მეუღლე)

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

ტის შემოღებულია. XVII საუკუნის დასაწყისში მანვე აღწერა ადამიანის თვალის აგებულება. ეს აღწერილობა იმდენად სრულყოფილი გახლდათ, რომ რამდენიმე შესწორების შეტანის შემდეგ, მასზე ნებისმიერი თანამედროვე ოპტიკოსი სიამაყით მოაწერდა ხელს.

21. საკარცხული მოჩუქურთმებული ხის ერთგვარი სკამი იყო ქართულ ოჯახებში, რომელიც ოჯახის უფროსის ან სხვა პატივსაცემი პირისთვის იყო განკუთვნილი.

22. ხევსურეთის აჯანყების დროს ფშავის მილიციის უფროსად ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანაკლასელი და ძმადნაფიცი, ლევან რაზიკაშვილი მსახურობდა.

23. ტაძრელ რაინდს, ბრიან დე ბუა გილბერს, რომელსაც ებრაელი ისააკის ქალიშვილი რებეკა უყვარდა თავდავიწყებით, აივენჰოსთან ბოლო შებრძოლებისას გაუსკდა გული.

24. „გრიგორი რასპუტინ უნიჩტოჟაეტ პასლედნიე ოსტატკი დავერია როსიან კ მონარხიი!..“ — აფრთხილებდნენ ნიკოლოზ მეორეს მისი ხელქვეითები.

25. სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც ერთნაირად იკითხება თავიდან და ბოლოდან, პალინდრომი ეწოდება. კონსტანტინოპოლში, სოფიის ტაძრის მარმარილოს ემბაზზე ამოკვეთილი იყო: nisponanomimatamimonanopsin — განიბანეთ არა მარტო პირისახე, არამედ თქვენი ცოდვებიცო. არსებობს ლათინური ორმაგი, ჰორიზონტალურ-ვერტიკალური შედეგრი:

SATOR
ARETO
TEHET
OTERA
ROTAS

რაც ქართულად ასე ითარგნება: „მთესველ არეტოს მეორე სვრელი გააქვს“. ცნობილია რუსული პალინდრომი „Àðãåíòèíà ìàíèò íåãðà“. საყოველთაოდ ცნობილია გალაკტიონის პალინდრომი: „აი, რა მზის სიზმარია, აირევი ივერია... აი, დროშა აშორდია, აერების სიბერეა“. ვახტანგ ჯავახაძეს საკუთარი პალინდრომები — „აგოგმანა ანამ გოგა“, „აბესა-აბესალომი მოლას ებაასება“, „სეზანის სინაზეს აქებს ბექა“, „1001 დაისი ნისიად“, „ევათა სათავე“, „ადიდა მარატი გიტარამ“, „დანტე აიწია ეტნად“, „დელგმა სამგლედ აირია“ — გრაფიკულ ნახატებად აქვს შექმნილი.

ვზაფრაზე ვამლლული „ამბრდილი ბავშვი“

ანუ როგორ გაუჭლავდეს ცხოვრების ორეკს ეფოზლების მიერ მიტოვებული



ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება ეტაპი, როდესაც პრობლემებს დამოუკიდებლად უნდა შეეჭიდოს. დღეს, ცხოვრებასთან გამკლავება მეტად ჭირს, მით უფრო მათთვის, ვისაც ზურგს არც მშობელი უმაგრებს, არც ახლობელი და არც ნათესავი. მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ ბავშვთა სახლიდან გამოსულ ზრდასრულს არც საკუთარი ჭერი აქვს და აღარც თავშესაფარი. ტოტალური უმუშევრობის პირობებში კი სამსახურის შოვნა ლამის ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. ამგვარ პირობებში ძნელია, სულის სიმტკიცე შეინარჩუნო და ეშმაკის დაგებულ მახეში არ გაება.

ემა ტუხიამვილი

ლიკა, *20 წლის:*

— ხუთი წლის ძლივს ვიქნებოდი, მამა რომ გარდამეცვალა. მალე დედა მეორედ გათხოვდა. უფრო სწორად კი ჩვენს სახლში უშანგი მოიყვანა, რომელსაც თავის ქმარს უწოდებდა. უშანგი მალე გაშინაურდა, თავი ოჯახის უფროსად და ბატონ-პატრონად წარმოიდგინა და ბრძანებების გაცემას შეუდგა: ის მომართვით — ეს გამირეცხეთო. იმთავითვე შევიძულე და „ბრძოლა გამოვუცხადე“. ვერც მან მიგუა და მალე დედა იძულებული გახდა, ბავშვთა თავშესაფარში მივებარებინე. დედაჩემმა ბევრი ცრემლი ღვარა, როდესაც ჩემი მოკრძალებული ბარგით ბავშვთა სახლში მტოვებდა, მაგრამ თავს იმართლებდა: უშანგი ჩვენი ერთადერთი მარჩენალია და რომ დავკარგო, შიმშილით სული გამძვრებაო. თავიდან დედა ხშირად მოდიოდა ჩემს სანახავად. მართალია, სახლში არასდროს მივყავდი, მაგრამ სადმე სკვერში ვსხდებოდით და ვლაპარაკობდით. მერე კი ჩემთან სიარულს უკლო, ცოტა ხანში კი საერთოდ დაიკარგა. როდესაც წამოვიზარდე, ჩემს სახლს მივაკითხე, შესვლა ვერ გავბედე, შორიახლოს ვიდექი და ვიხსენებდი იმ წლებს, როდესაც მამა ცოცხალი იყო და მეც ოჯახი მქონდა. მოულოდნელად ჩემი სახლის ფანჯრიდან ქალმა გადმოიხედა. წამით დედას მივამსგავსე და გული მღელვარებისგან ლამის ამომივარდა, მაგრამ მერე დავინახე, რომ სრულიად უცხო ქალი იყო. გულმა აღარ მომითმინა, მეზობლის კარზე ზარი დავრეკე და ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხე. დედას თურმე ჩვენი ბინა უშანგის ვალების გამო გაუყიდია, თვითონ კი უსახსროდ დარჩენილი, სადღაც ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდა. დედაჩემის კვალს ვერსად მივაგენი და მის შესახებ დღემდე არაფერი ვიცი. ამას ასე დაწვრილებით იმიტომ გიყვებით, რომ მიხვდეთ, როდესაც 18 წელი შემისრულდა და იძულებული გავხდი, ბავშვთა სახლი დამეტოვებინა, წასასვლელი არსად მქონდა. ერთხანს, ჩემს იქაურ მეგობართან ერთად, მის ბებია-ბაბუასთან სოფელში ვცხოვრობდი, მაგრამ იმათ თავი გასჭირვებოდათ და ჩვენს რჩენას როგორღა მოახერხებდნენ?! გადავწყვიტეთ, ისევ თბილისში დავბრუნებულიყავით და სამსახური გვეშოვა. დამივიწყერეთ, არაფერს ვთაკილობდი, ერთხანს სასადილოში დამლაგებლადაც ვმუშაობდი, ბაზრობაზე ფასიან საპირფარეშოშიც მიმუშავია, მაგრამ ჩემი ხელფასი ბინის ქირის გადასახდელადაც არ მყოფნიდა. ჩემი მეგობარიც ამ დღეში იყო. რა არ გადავიტანეთ: გვციოდა, გვშიოდა... მერე კი „კეთილი“ ადამიანების დახმარებით, მაღალანაზღაურებადი სამსახური ვიშოვეთ. ერთ-ერთ საუნაში ვმუშაობთ, კლიენტებს გამამხნევებელ მასაჟს ვუკეთებთ. ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რით მთავრდება ეს პროცედურა. გაწეული სამუშაოსთვის კარგად გვიხდიან, ჩვენც კმაყოფილი ვართ და კლიენტებიც. ღმერთია მოწამე, მე ასე ცხოვრება არ მინდოდა, ყველა ღონე ვიხმარე, პატიოსანი შრომით რომ მერჩინა თავი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. პროფესია მე არ მაქვს და არც პატრონი მყავს, რომ სადმე დამასაქმოს. საუბედუროდ, არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვინც გაჭირვების გამო პროსტიტუციას მიჰყო ხელი. ბავშვთა სახლებში გაზრდილი გოგონების უმეტესობა თავს საკუთარი სხეულის გაყიდვით ირჩენს.

გვანცა ლიპარგელიანი „მომავლის სახლის“ აღსაზრდელებთან ერთად

ირმა, *24 წლის:*

— ჩემი მშობლების შესახებ არაფერი მსმენია. ისიც კი არ ვიცი, როგორ მოვხვდი თავის დროზე თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში და სიმართლე გითხრათ, ამის გარკვევა არასდროს მიცდია, რადგან ახლა ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. 6 წლის ვიყავი, როდესაც კოჯრის ბავშვთა სახლში გამანაწილეს და იქ მანამ ვცხოვრობდი, ვიდრე ერთ-ერთმა აღმზრდელმა სამსახური არ მიშოვა. მის ნათესავს სახლში დამხმარე სჭირდებოდა, გაწეული სამუშაოს სანაცვლოდ კი საცხოვრებელს, საჭმელსა და სამოსს დამპირდნენ. საქმე არც ბავშვთა სახლში გვაკლდა, ამიტომ სახლის დალაგება, სადილების მომზადება თუ სხვა მოვალეობების შესრულება ახალ სამუშაო ადგილზე არ გამჭირვებია. დილით ადრე ვდგებოდი, ღამე კი გვიან ვწვებოდი, რომ ყველაფერი მომესწრო და ოჯახი, სადაც ვცხოვრობდი, ჩემით კმაყოფილი ყოფილიყო. ამის მიუხედავად, მცირე შეცდომაც კი საკმარისი იყო, რომ დიასახლისს ჩემთვის წამოეძახებინა: რა მოეთხოვება, უპატრონო ბავშვთა სახლშია გაზრდილიო. წელიწადზე მეტხანს ვითმინე შეურაცხყოფა, შემდეგ კი იმ სახლიდან ავიბარგე. წასასვლელი არსად მქონდა, ამიტომ ქუჩაში ვცხოვრობდი. ხან სკვერში ვათევდი ღამეს, ხანაც რკინიგზის სადგურში. ჩვენს ქვეყანაში განათლებული ხალხიც კი დაუსაქმებელია და მე ვინ მომცემდა სამსახურს?! ვინც მხედავდა, რომ ქუჩაში ვათევდი ღამეს, უკვე სხვა თვალით მიყურებდა, ყველას ქუჩის ქალი ვეგონე. ბოლოს იძულებული გავხდი, საკუთარი სხეული გამეყიდა. ოღონდაც ლუკმაპური მეშოვა და ვის არ ვემსახურებოდი — ბაზრის მტვირთავით დაწყებული, მეეზოვით დამთავრებული. ფულთან ერთად

გამოცდილებაც შევიძინე და დღეს უკვე შედარებით სოლიდური კლიენტები მყავს. საღამო ხანს, სანაპიროზე, ბარათაშვილის ხიდის მახლობლად ვიკრიბებით და კლიენტებს ველით. თუ გაგიმართლა, ერთ ღამეში შეიძლება იმდენი იშოვო, რამდენსაც ზოგი, პატიოსანი შრომით თვის განმავლობაშიც ვერ იშოვის. არც მე მომწონს ასეთი ცხოვრება, მაგრამ ამ ყოფაში პროსტიტუცია ჩემნაირებისთვის გადარჩენის ერთადერთი გზაა.

გიორგი, *25 წლის:*

— 18 წელი რომ შემისრულდა, თავშესაფრის დირექტორმა რამდენიმე თანატოლთან ერთად, კაბინეტში დაგვიბარა და გვითხრა: კანონის თანახმად, სახელმწიფო ვალდებული აღარ არის, შეგინახოთ, სრულწლოვნები ხართ და თავს თვითონ უნდა მიხედოთო. რა თქმა უნდა, დავიჩივლეთ: წასასვლელი არსად გვაქვს და ქუჩაში ხომ არ გაგვყრით-თქო?! მაგრამ დირექტორმა მხრები აიჩჩა: სახელმწიფო თქვენს სარჩენ ფულს აღარ გადამიხდის და ჩემს ხარჯზე ხომ არ გაცხოვრებთო. მახსოვს, ბიჭებს რამდენიმე ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, სულ იმაზე ვფიქრობდით, რა უნდა გვექნა, თავი როგორ უნდა გვერჩინა. რამდენიმე დღეში ბავშვთა სახლის დირექტორმა ისევ გვიხმო კაბინეტში, სადაც მასთან ერთად რამდენიმე მკაცრი გარეგნობის მამაკაცი დაგვხვდა. უცნობებმა, სპეციალური სამხედრო სასწავლო კურსების გავლა შემოგვთავაზეს და თუ თავს გამოვიჩენდით, სპეცრაზმში დასაქმებასაც დაგვპირდნენ. თუ მათ წინადადებას მივიღებდით, საცხოვრებლის და კვების პრობლემაც მოგვარდებოდა. მართლაც მაცდუნებელი წინადადება იყო, მაგრამ სამხედრო სამსახური არასდროს მიზიდავდა. რამდენიმე ბიჭი იმ დღესვე დაითანხმეს და წაიყვანეს კიდეც. მე და რამდენიმე ჩემი თანატოლი კი ქუჩაში აღმოვჩნდით. ჯერ იყო და, თავს ჯიბის ქურდობით ვირჩენდით. ამ საქმისთვის კი ყველაზე კარგი ადგილი მეტროს ვაგონებია, მაგრამ რაც მეტროპოლიტენებში საპატრულო პოლიცია გაჩნდა, ქურდობას ვეღარ ვბედავთ. ამის შემდეგ, ფულის შოვნის კიდევ ერთ ხერხს მივაგენით. ავტომობილებს სანომრე ნიშნებს ვხსნიდით, შემდეგ მათ მფლობელებს ვურეკავდით და ნომრებს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ვუბრუნებდით. ახლაც წვრილმანი ქურდობით ვირჩენ თავს, ვიქურდებ, ვიდრე პოლიცია არ დამიჭერს. ციხეში ჯდომა არ მაშინებს, სახლი მე არ მაქვს და არც გულშემატკივარი მყავს ვინმე, ერთ ლუკმას საპატიმროშიც მაჭმევენ.

გვანცა ლიპარტელიანი, *„მომავლის სახლის“ დირექტორი:*

— ზოგადი მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, ინსტიტუციაში მყოფი ბავშვი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს, იქნება ეს უფასო სამედიცინო მომსახურება ყველა შესაძლო დონეზე, საშუალო თუ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. აღარაფერს ვამბობ საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაზე. ყველა ამ სიკეთით, მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი 18 წლამდე სარგებლობს, მაგრამ როგორც კი ის სრულწლოვანი ხდება, არსებული კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო იხსნის ყველა ჩამოთვლილ ვალდებულებას, რადგან სრულწლოვანმა ადამიანმა თავად უნდა შეძლოს თავის რჩენა. მიუხედავად იმისა, რომ ამას კანონი გვავალდებულებს, მორალურად რთულია, ბედის ანაბარად დატოვო ბავშვი, რომელიც შენ თვალწინ იზრდებოდა. ამიტომ, იშვიათად ხდება, როდესაც სრულწლოვნების მიუხედავად, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს აიძულებენ, დატოვონ ინსტიტუცია. დამოუკიდებლად ცხოვრების მოწყობა იმისთვისაც კი რთულია, ვინც ოჯახში გაიზარდა და მშობლები უმაგრებენ ზურგს, ვისაც სახლიც აქვს და შესაძლოა, სამსახურიც. მატერიალურ მხარეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, 18 წლის ასაკში ამისთვის ბევრი არ არის მორალურად მზად. მით უფრო უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა მიუსაფარ ბავშვებს. ზოგს საერთოდ, არავინ ჰყავს, რაც

შოგლანდიელი მეგობრები სტუმრად მომავლის სახლში

იმას ნიშნავს, რომ წასასვლელიც არსად აქვთ. ვიღაცას შეიძლება, ბებია ან სხვა ნათესავები ჰყავს სადმე, მაგრამ თავის რჩენა ხომ მაინც უნდა. მესამე წელია, ამ ბავშვთა სახლს ვხელმძღვანელობ და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორი ჩვენი აღსაზრდელის დასაქმება შევძელით. საქველმოქმედო ფონდ „იავნანასთან“ ერთად განვახორციელეთ პროექტი, რომლის წყალობითაც, ჩვენი სახლის აღსაზრდელმა მაღალანაზღაურებადი სამსახური მიიღო ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში. ჩვენი ინსტიტუცია თავისი ნებით დატოვა, მშენებარე კორპუსში ბინა შეიძინა და თავისი ხელფასით დედას და დას არჩენს. გვქონდა კიდევ შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი სოფლიდან მოგვაკითხა 16 წლის გოგონამ და დახმარება გვთხოვა. როგორც გაირკვა, მას ბავშვი გაუჩენია, რის გამოც მშობლებს სახლიდან გამოუგდიათ, მაგრამ შვილის წაყვანის უფლება არ მიუციათ. კეთილი ადამიანების დახმარებით, სამსახური ამ გოგონასთვისაც მოიძებნა და ის თავს არ ზოგავს, რომ მყარი მატერიალური მდგომარეობა შეიქმნას, რათა თავისი შვილის დაბრუნება და მისთვის ღირსეული მომავლის უზრუნველყოფა შეძლოს. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია. უფრო ხშირად კი ბედის ანაბარად დარჩენილი გოგონები პროსტიტუციის გზას ადგებიან, ბიჭები კი დანაშაულებრივი საქმიანობით ირჩენენ თავს. ჩვენ ასეთი მძიმე ხვედრისთვის ვერ ვიმეტებთ ჩვენს აღსაზრდელებს, ამიტომაც ისინი, ვინც სრულწლოვნების მიუხედავად, სამსახური ვერ იშოვა, კვლავ ჩვენს ბავშვთა სახლში ცხოვრობენ. ერთი მხრივ კანონს ვარღვევთ, როდესაც ინსტიტუციაში ერთმანეთის გვერდით 5 წლის ბავშვსა და 22 წლის მამაკაცს ვაცხოვრებთ. მაგრამ სინდისი არ გვაძლევს უფლებას, ბედის ანაბარად მივატოვოთ ჩვენი აღსაზრდელები.

— ზოგადი განათლების გარდა, რაიმე პროფესიულ განათლებას თუ აძლევთ ბავშვს?

— მოგეხსენებათ, რომ წლების წინ არსებობდა პროფესიული სასწავლებლები, სადაც ბავშვთა სახლის აღსაზრდელები სხვადასხვა ხელობას ეუფლებოდნენ. დღეს კი ამ მიმართულებით არანაირი სახელმწიფო პროგრამა არ არსებობს. შესაბამისად, ექნება თუ არა მიუსაფარ ბავშვს სამომავლოდ პროფესია ან ეცოდინება თუ არა რაიმე ხელსაქმე, — ეს მხოლოდ ბავშვთა სახლების პედაგოგების სინდისსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ბავშვის პროფესიულ განათლებაზე ზრუნვას 15 წლის ასაკიდან ვიწყებთ. ჩვენს ბავშვთა სახლში ბევრი ისეთი წრეა, რომელიც ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს, მომავალში ამ ბავშვების ადაპტაციას საზოგადაოებაში და ზოგადად, მათ სოციალიზაციას. ასეთია მაგალითად, მომინანქრების წრე. გოგონები უმეტესწილად სხვადასხვა ხელსაქმეს ეუფლებიან: კერავენ, ქარგავენ. ამ საქმიანობისთვის მათ ბავშვთა სახლის ყველაზე დიდი ოთახი დავუთმეთ. მუშაობენ თექაზე, ბატიკაზე, ქმნიან სხვადასხვა აქსესუარს და წარმატე-

MK

ბით ყიდიან მათ. შექმნილი გვაქვს ტანისამოსის მოკრძალებული კოლექცია და პერიოდულად გამოფენა-გაყიდვასაც ვაწყობთ ხოლმე. ჩვენთან მოქმედებს ასევე ინგლისური ენის შემსწავლელი წრე, ცოტა ხნის წინ ფრანგულის წრეც გავხსენით. ბავშვებს ვასწავლით ცეკვას, მუსიკას, ხატვას, ძერწვას. ერთხელ განვახორციელეთ პროექტი დალაქთა ასოციაციასთან ერთად და რამდენიმე დაინტერესებულ ბავშვს ეს საქმეც შევასწავლეთ. მსგავსი პროექტი გვქონდა მზარეულთა ასოციაციასთან ერთად და კერძების მომზადების გარდა, ბავშვებმა სუფრის გაწყობა და სტუმრების გამასპინძლების ეტიკეტიც შეისწავლეს. ბიჭებს მეწაღეობაც შევასწავლეთ, საცდელად პატარა საამქროც გავაკეთეთ, მაგრამ წარმოება დიდ ფინანსურ სახსრებთან იყო დაკავშირებული და იძულებული გავხდით, ამ საქმიანობაზე უარი გვეთქვა. ბევრმა ჩვენმა აღსაზრდელმა ვერცხლზე მუშაობა იცის. ბიჭებიც, გოგონების მსგავსად, კარგად ქარგავენ. სხვათა შორის, როდესაც სოფო ხალვაში „ევროვიზიის“ კონკურსზე მიემგზავრებოდა, ქართული ორნამენტებით დამშვენებული 300 სამაჯურის დამზადება შეგვიკვეთეს. ბავშვებმა ამ ყველაფერს მშვენივრად გაართვეს თავი და გასამრჯელოც მიიღეს.

სტამბოლში მოგზაურობა. 2007 წ. გაზაფხული. გვანცა და ბავშვები

— საინტერესოა, რა თანხას იხდის სახელმწიფო მშობლის მზრუნველობას მოკლებული ერთი ბავშვის აღსაზრდელად?

— ერთი ბავშვისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დღეში 7 ლარი გამოიყოფა. ეს თანხა კი მხოლოდ კომუნალურ გადასახადებს, თანამშრომელთა ხელფასებსა და ბავშვების კვებას თუ გასწვდება. მეტსაც გეტყვით, მოგეხსენებათ, რომ ყველა მიუსაფარი ბავშვი, რთული და მძიმე ფსიქიკის მქონეა. ამიტომ, ვიდრე მათი დასაქმების პრობლემაზე ვისაუბრებდეთ, მათი ფსიქოლოგიური მზაობის საკითხი უნდა მოვაგვაროთ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, საუბრის დასაწყისში გიამბეთ ჩვენს აღსაზრდელზე, რომელიც კეთილი ადამიანების დახმარებით, ერთ-ერთ სასტუმროში დავასაქმეთ. მის გარდა, სასტუმროს ხელმძღვანელობამ კიდევ სამ ჩვენს აღსაზრდელს მისცა შანსი, ჰქონოდა მაღალანაზღაურებადი სამსახური, მაგრამ მათ ვერც ჩვენი და ვერც დამსაქმებლის იმედი ვერ გაამართლეს. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მზაობა, რასაც 56 ბავშვზე გათვალისწინებული მხოლოდ ერთი ფსიქოლოგი ვერაფრით გასწვდება.

— წელან ასეთი ბავშვებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაც ახსენეთ...

— ერთ-ერთი ჩვენი აღსაზრდელი სამხატვრო აკადემიაში, ფასიან განყოფილებაზე სწავლობს. ასეთი ბავშვებისთვის არსებობს განათლების სამინისტროს შიდა პროგრამები, რითაც განათლების სამინისტრო მათი სწავლის საფასურს სრულად ფარავს. მესამე წელია უკვე, რაც ფრანგულ ფონდ „ჟონა“-სთან ერთად, ვახორციელებთ პროექტს, რომლის ფარგლებშიც 20-მდე ჩვენს აღსაზრდელს მუსიკის კურსს უტარებენ. ამ პროექტის წყალობით, ბავშვები სტუმრობდნენ სახელმწიფო კონსერვატორიას, ოპერისა და ბალეტის თეატრს. შარშან კი ორი და შვეიცარიაში მუსიკალურ ბანაკში ისვენებდა. ერთი ჩვენი აღსაზრდელი — ლიკა კოშელევა, ვირსალაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს და კონსერვატორიაში ჩასაბარებლად ემზადება.

— მართალია, რომ ბავშვთა სახლის აღსაზრდელი ვაჟები, უმეტესწილად, სამხედრო სამსახურს ირჩევენ?

— მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენგან ორი ძმა — მჭედლიშვილები, ბავშვთა სახლიდან სამხედრო სამსახურში წავიდნენ და ერთ-ერთი ახლა სამშვიდობო მისიით ერაყში იმყოფება.

თამთა გოლუბიანი, *განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ბავშვზე ზრუნვის სამსახურის ხელმძღვანელი:*

— ბუნებრივია, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, პირველ რიგში, განათლების მიღებაში ეხმარება მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს. არა აქვს მნიშვნელობა, რაიმე ხელობის შესწავლას გადაწყვეტს ბავშვთა სახლის აღსაზრდელი თუ უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელებს სწავლას, მთელი ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფო მათ ყოველთვიური სტიპენდიით უზრუნველყოფს.

— საინტერესოა, რა თანხით განსაზღვრება ეს სტიპენდია?

— 50 ლარის ოდენობით ყოველთვე. მაგრამ, თუ ბავშთა სახლის აღსაზრდელი უმაღლესი სასწავლებლის ფასიან განყოფილებაზე ჩაირიცხება, ყოველთვიური სტიპენდიის გარდა, სახელმწიფო მას სრულად დაუფარავს სწავლის საფასურს. გარდა ამისა, ძალზე იშვიათია, როდესაც ბავშვთა სახლში ყოფნის შემდეგ, ჩვენს აღსაზრდელს წასასვლელი არსად აქვს. ბავშვთა სახლებში მყოფი ბავშვების თითქმის 97%-ს მშობლები ან ერთი მშობელი მაინც ჰყავს. ამიტომ, შეიძლება ასიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდეთ ისეთი დილემის წინაშე, როდესაც განათლების და დასაქმების გარდა, ჩვენი აღსაზრდელისთვის საცხოვრებელის მოძიებაც გვიწევს. ხშირად ხდება, რომ ასეთ ბავშვებზე ზრუნვის ინიციატივით, რომელიმე კერძო ორგანიზაცია გამოდის. გვქონდა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი ბიზნესჯგუფის სპონსორობით ჩვენი აღსაზრდელისთვის შევიძინეთ ბინა რუსთავში და იქვე, ერთ-ერთ ბავშვთა სახლში დავასაქმეთ კიდეც. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოსავალი ვინმესთვის არ მოიძებნა, გამონაკლისს ვუშვებთ და კანონდარღვევის მიუხედავად, 18 წელს გადაცილებული ადამიანი კვლავ ბავშვთა სახლში რჩება. სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 18 წელს გადაცილებული, მიუსაფარი ადამიანების რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე იმუშავებდა. ბავშვთა სახლის შემდგომი თავშესაფარი, ჩვენი რეფორმიდან გამომდინარე, მიუღებელი ფორმაა, ამიტომ რაღაცნაირად უნდა ხდებოდეს ამ ბავშვების ოჯახურ გარემოში, ან მასთან მიახლოებული სიტუაციის გამორჩეულ სპეციალურ დაწესებულებაში მოხვედრა. დიდი ხანია, რაც ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე ვმუშაობთ. რა თქმა უნდა, საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა, რათა დროულად მოხდეს შესაბამისი პროგრამის შექმნა და ამოქმედება. 2009 წლიდან ბავშვებზე ზრუნვა მთლიანად დაეკისრება ჯანდაცვის სამინისტროს. იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეთა სოციალური დაცვა ერთ კონკრეტულ სამინისტროს დაევალება, ჯერ ბავშვზე, შემდეგ კი ზრდასრულ ასაკში მასზე ზრუნვა უწყვეტი პროცესი და შესაბამისად, უფრო ეფექტიანი იქნება.

P.S. როგორც ხედავთ, პრობლემა გადაუჭრელი რჩება. ალბათ ამიტომაც, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები თავს არიდებენ მასზე ლაპარაკს. ქალბატონი თამთა ამ შემთხვევაში, გამონაკლისი აღმოჩნდა და სიტუაციის გარკვევაში მაინც დაგვეხმარა, რისთვისაც მადლობას ვუხდით. სხვებს კი — კანონმდებლებსაც და ჩინოვნიკებსაც შევახსენებთ, რომ დასაკარგი შვილები არ გვყავს...

წარმატებული, მაგრამ უპროფესიო რეპეტიტორის არჩევანი

„პრივეტ“, ლიკ. იცი, წესით წელს აბიტურიენტი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის არანაირი სურვილი არ მაქვს. საინტერესოა, პროფესიის არქონის გარეშე ვერ ვიარსებებ? გამიგონია ისეთი ცნობილი ადამიანების შესახებ, რომლებსაც არსად უსწავლიათ, მაგრამ გზა მაინც გაუკვლევიათ და დღეს წარმატებულნი არიან. ნუთუ, არ შეიძლება, მშობლებს არ მოვუსმინო და მათ გამო სამედიცინოზე ან იურიდიულზე არ ჩავაბარო? P.S. **ლიკ, თუ შეგიძლია, ბედინა მოიწვიე, რა. ამ საკითხთან დაკავშირებით, მის მოსაზრებას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მე მისი ფანი ვარ. გმადლობ“, — მომწერა 17 წლის ლადომ და ისიც დასძინა, რომ უკვე მუშაობს, მაგრამ სად, არ დაუკონკრეტებია. ჩვენ მისი თხოვნა გავითვალისწინეთ და ბედინას დავუკავშირდით.**

„ციხის აკადემიაში“ სტომატოლოგობას ვერ მასწავლიდნენ“...

ლიკა ქაჯაია

— ბედინა, როგორ ხარ?

— ძალიან მაგრად!

— შენკენ რა სიახლეებია?

— რა ვიცი, ვწერ სიმღერებს და ვმუშაობ ვიდეორგოლზე, რომელზე მუშაობასაც უახლოეს მომავალში დავასრულებ. სხვათა შორის, ამ ვიდეორგოლისთვის სიმღერა ჯერ არ ჩამიწერია.

— ეს რას ნიშნავს?

— იმისდა მიხედვით, თუ როგორი გამოვა კლიპი, სიმღერასაც ჩავწერთ. მას „თბილისი ღამით“ ერქმევა.

— კიდევ, რა თემაზე წერ სიმღერებს?

— ყველაფერზე, რასაც ჩემ გარშემო ვხედავ და ვგრძნობ.

— ბოლოს რა დაინახე ან იგრძენი?

— ძალიან ცხელა (*იცინის*).

— სიყვარულმა არ „შემოგიღუტუნა“?

— (*იცინის*) არა, არ მოდის და რა ვქნა?..

— ბედინა, ახლა არჩევანის წინაშე რომ დადგე, რომელ პროფესიას აირჩევდი?

— ოოო... სამართალმცოდნეობაზე ჩავაბარებდი.

— რატომ?

— დღევანდელი კანონები არ მომწონს და როცა იურისტის პროფესიას ავითვისებდი, მერე მათ შეცვლაზეც ვიზრუნებდი.

— მაინც, რა არ მოგწონს?

— ბევრი რამ. საერთოდ, როცა რაღაცას აკანონებენ, იხილავენ, ხელს აწერენ, ვფიქრობ, ხალხის აზრიც უნდა გაითვალისწინონ. ერთეულებს რომ აწყობთ, ეგრე სად არის?!.

— ყველაზე მეტად რა გაღიზიანებს?

— ის, რომ პატრულის თანამშრომლები საკუთარი სურვილისდა მიხედვით გაჩერებენ. შეიძლება, არაფერი დააშავო, მაგრამ მაინც გაგაჩერონ და განყოფილებაში წაგიყვანონ.

— ასეთ გაუგებრობაში შენც აღმოჩენილხარ?

— სხვათა შორის, მსგავსი რამ არაერთხელ შემემთხვა. არ ვიცი, შეიძლება, იმიტომ მაჩერებენ, რომ ბედინა ვარ და რაღაც ჰგონიათ...

— ყველაზე შემოსავლიან პროფესიად რას მიიჩნევ?

— ალბათ, ბიზნესსაქმისა და მარკეტინგის შესწავლას.

— ამ ფაკულტეტზე არ ჩაბარებდი? თუნდაც იმისთვის, რომ ბევრი ფული გქონოდა...

— ფული არსებობისთვის აუცილებელია, მაგრამ ჩემთვის ბევრი ფული არ არსებობს. ყველაფერს ნიჭი უნდა. არ მომწონს, როცა შვილების პროფესიულ არჩევანში მშობლები ერევიან და მათ აიძულებენ, ვთქვათ, მაინცდამაინც სამედიცინოზე ისწავლონ. ზოგიერთს იმის ამბიცია აქვს, რომ მისი შვილი აუცილებლად პროფესორი უნდა იყოს და ა.შ. მაგრამ იმას კი არ ფიქრობენ, რომ შეიძლება, მას ამ სფეროში არაფერი გამოუვიდეს და საერთოდ, ცხოვრებაში დაიკარგოს.

— შენს მშობლებს არ უნდოდათ, რომ რეპერი კი არა, ექიმი ყოფილიყავი?

— ალბათ, უნდოდათ, მაგრამ მე არც ერთ ფაკულტეტზე ჩაბარების მცდელობა არ მქონია.

— ისე, საინტერესოა, შენგან როგორი ექიმი დადგებოდა?

— რა თქმა უნდა, ძალიან კარგი ექიმი ვიქნებოდი (*იცინის*).

— რატომ არ გაგიჩნდა სურვილი, სადმე ჩაგებარებინა?

— იმ პერიოდში, როცა აბიტურიენტი უნდა ვყოფილიყავი, „ციხის აკადემიაში“ ვაბარებდი გამოცდებს, იქ კი სტომატოლოგობას ნამდვილად ვერ მასწავლიდნენ (*იცინის*).

— ციხიდან რომ გამოხვედი, ბედი მერე რატომლა არ სცადე?

— უკვე 25 წლის ვიყავი და ჩემთვის რაიმის სწავლა დაგვიანებული იყო. მათემატიკა აღარ მაინტერესებდა, რადგან მე ჩემი, ცხოვრებისეული „გამრავლების ტაბულა“ მქონდა დაზეპირებული...

— რა პროფესიის ადამიანად მიიჩნევ თავს?

— მე პროფესია არ მაქვს...

— ეს ცხოვრებაში ხელს არ გიშლის?

— არა, პირიქით, ეს სრული თავისუფლებაა.

— პროფესიის გარეშე მყოფს, თავის რჩენა არ გიჭირს?

— რატომ უნდა მიჭირდეს, როცა შეიძლება, ფული ათასი გზით იშოვო. მთავარია, ადამიანმა მოინდომო და ყველაფერს მიაღწევ.

— რას ურჩევ მათ, ვინც წელს სახელმწიფო გამოცდებს ვერ ჩაბარებს?

— მიზნის მისაღწევად ბოლომდე იბრძოლონ და კიდევ, ცხოვრება გრძელდება!

— და რას ურჩევ მათ, ვინც სტუდენტები გახდებიან?

— მაქსიმალურად შეეცადონ, ეს დრო სწავლას დაუთმონ, რათა თავიანთ საქმეში პროფესიონალები იყვნენ. ამ ცხოვრებაში ან პირველი უნდა იყო, ან კიდევ — უკანასკნელი.

— შენ შენს საქმეში პირველი ხარ?

— დიახ, ნამდვილად პირველი ვარ.

— ეს შენი მოსაზრებაა თუ ამას გარშემო მყოფებიც გეუბნებიან?

— ეს ჩემი აზრია, მაგრამ რა თქმა უნდა, არა უსაფუძვლო — სხვებიც იმავეს მეუბნებიან. თუმცა, ისინი ჩემზე უკეთ ვერასდროს მიხვდებიან, რას ვაკეთებ.

— შენ მითხარი, — ძალიან ცხელაო. თბილისიდან გასვლას არ აპირებ?

— ალბათ, თბილისს 10 დღით მაინც გავეცლები, მაგრამ ჯერ ვერ გადამიწყვეტია, მთაში წავიდე თუ ზღვაზე. ეს ამბავი თუ დაგაინტერესებს, გადაწყვეტილებას მივიღებ თუ არა, მაშინვე დაგიკავშირდები.

— კარგი, გელოდები და წარმატებებს გისურვებ!

— გაიხარე, გმადლობ.

„ამ რუბრიკის წყალობით ბევრი თინეიჯერი დაუბრუნდა საკუთარ თავს“

„გზის“ №28-ში დაიბეჭდა უცნობი ადამიანის მესიჯი, რომელიც „თინეიჯერული პონტების“ გაუქმებისკენ მომიწოდებდა და მირჩევდა: კარგი იქნება, თუ საკუთარ პროფესიას დაუბრუნდები და ფსიქოლოგების საქმეს არ მიითვისებო. უცნობის წერილს თინეიჯერები გამოეხმაურნენ და ამჯერად, სწორედ მათ მესიჯებს (სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, თითოეული თქვენგანის „ესემესს“ ვერ ვბეჭდავთ) გაგაცნობთ.

„გზა“ რემი და რემი თანატოლების მეგობარია“

პუსკუ:

„პირადად მე, ამ რუბრიკამ ბევრი რამ მასწავლა. სხვის დარდს რომ ვიზიარებთ და თანატოლებს რჩევას ვაძლევთ, ამაში ცუდი არაფერია. ვისაც „თინეიჯერული პონტები“ არ მოსწონს, შეუძლია, არც წაიკითხოს, ხოლო ვისაც მოგვწონს, გაგვატარეეეთ!.. და საერთოდაც, ვერ ვხვდები, ვინ მისცა ამ ადამიანებს უფლება, რომ ჟურნალისტს ჭკუა ასწავლონ და განიკითხონ? თქვენთვის არავის უთხოვია, ჩვენ შესახებ საკუთარი მოსაზრება დააფიქსირეთო. ჩვენ ლიკას რესპონდენტები გვთხოვენ, მათ რჩევები მივცეთ. ასე რომ, ყველამ თქვენს საქმეს მიხედეთ!“

აზიელი:

„ნუთუ გგონიათ, რომ მათ, ვინც ლიკას დახმარებისთვის მიმართავენ და მესიჯებს სწერენ, იმდენი ფული აქვთ, რომ პროფესიონალ ფსიქოლოგებთან იარონ? ასეც რომ იყოს, შეიძლება, მათთან მაინც არ წავიდნენ. რატომ ფიქრობთ, რომ ეს რუბრიკა სიბილწეს ემსახურება? „პონტების“ კითხვით საშინელებას კი არ ვეზიარები, არამედ პირიქით, სხვისი შეცდომების წყალობით ბევრ რამეს ვსწავლობ და ამ შეცდომებს არასდროს გავიმეორებ. მაგრამ თქვენ ამ ყველაფრის შესახებ საკუთარი მოსაზრება გაქვთ და რამდენი ადამიანიც უნდა გამოგეხმაუროთ, ვერაფერში დაგარწმუნებთ. მინდა გითხრათ, რომ ვარ წმინდა სულის მქონე ნამდვილი ქართველი და სხვათა შორის, ჩემნაირები, თუკი ისინი ოდესმე სიბილწეს ეზიარებიან, მერწმუნეთ, მაინც წმინდანებად დარჩებიან. თუ დახმარება დამჭირდება, ლიკას მესიჯს აუცილებლად მივწერ და თანატოლებს რჩევას ვთხოვ. ზუსტად თქვენი წერილის თავზე ჩემი „ესემესი“ დაიბეჭდა და იქნებ, გულმოდგინედ წაიკითხოთ...“

ეშმაკუნა:

„თუ გგონიათ, რომ ის, რაც ამ რუბრიკაში იბეჭდება, უგუნურებაა, ძალიან ცდებით. გეტყობათ, „თინეიჯერული პონტები“ ყურადღებით არასდროს წაგიკითხავთ და გგონიათ, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტი იცით. სანამ ლიკას და მის რუბრიკას აუგად მოიხსენიებთ, ბოდიში მოიხადეთ. „თინეიჯერული პონტები“ ბევრ მოზარდს დაეხმარა პრობლემის მოგვარებაში. ჩვენ სხვების ამბების მოსმენით ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვიძენთ და ადამიანურ ურთიერთობებს ვეჩვევით. ვცდილობთ, თანატოლებს გავუგოთ და მძიმე მდგომარეობაში მყოფებს მხარში ამოვუდგეთ, დავეხმაროთ. ამბობთ, — მათ ფსიქოლოგებს უნდა მიმართონო. გეტყობათ, თქვენი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავთ. აბა, დავიჯერო, არ იცით, როგორ უჭირს ხალხს? ალბათ, მხოლოდ ერთეულებს აქვთ იმის საშუალება, რომ ფსიქოლოგებთან იარონ. ჰოდა, დანარჩენებმა რა ქნან? მათ დახმარება და გაგება არ სჭირდებათ? უცნობო მკითხველო, თუ ეს რუბრიკა ასე გაღიზიანებთ, „გზას“ ნუღარ იყიდით. P.S. ლიკა, მაპატიე, რაღაც ისე თუ ვერ ვთქვი, მაგრამ ამ ადამიანის მესიჯმა აღმაშფოთა. სამწუხაროდ, ზოგიერთი დაუფიქრებლად ლაპარაკობს!“

კამელია:

„ლიკ, შენ მიმართ გამოთქმულმა საყვედურმა აღმაშფოთა. ყველანაირად ცდილობ, ახალგაზრდებს დაეხმარო და საინტერესოა, ამას ზოგიერთი უკუღმა რატომ ხედავს?“

ტუტუცკა:

„მინდა გითხრათ, რომ ეს რუბრიკა და ჩვენი რჩევები ძალიან ეხმარება მათ, ვისაც პრობლემა აქვს. ალბათ, გაგიგონიათ: ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს, გიჟი კი არც საკუთარზე და არც — სხვისაზეო. ლიკას პროფესიონალიზმი თქვენი გასარჩევი ნამდვილად არაა. აი, თქვენ კი გეტყობათ, რაც ხართ...“

იკუშკები:

„საშინლად აღვშფოთდი და არ შემიძლია, საკუთარი აზრი არ დავაფიქსირო. მივმართავ ჩვენს ანონიმ მკითხველს: ჯერ ერთი, თუ მიგაჩნიათ, რომ ლიკა სიბილწესა და უზნეობას უდებს სათავეს, რატომღა კითხულობთ ამ „საშინელებას“? დარწმუნებული ვარ, ყოველ ხუთშაბათს, სისხამ დილით გარბიხართ „გზის“ საყიდლად და კითხვას სწორედ ამ გვერდიდან იწყებთ. წერილზეც გეტყობათ, რომ ჩვენს ცხოვრებაში საკმაოდ ჩახედული ხართ. თქვენ იცით, ეს რუბრიკა რამდენ ახალგაზრდას დაეხმარა? არა მარტო მათ, ვისაც რჩევა სჭირდება, არამედ ჩვენც, მრჩეველებსაც. ნუთუ ვერ ხედავთ, აქ რამდენი მორწმუნე ამესიჯებს? რამდენი ჩემი თანატოლი აზროვნებს საღად, რაც ჩვენს დროში მართლაც, იშვიათობაა. თქვენ კი ზიხართ და შეურაცხყოფას გვაყენებთ. ახლა თვითონ გვიბიძგებთ ცუდისკენ და ჩვენში აგრესიას აღძრავთ. ასე რომ, ჯობს, კარგად დაფიქრდეთ. ჩვენი რუბრიკა კარგის მეტს არაფერს აკეთებს. უდანაშაულოდ ბრალს ნუ გვდებთ! მერწმუნეთ, აქ მხოლოდ კეთილგონიერი და საღად მოაზროვნე ხალხი ამესიჯებს. აზიელს კი აბსოლუტურად ვეთანხმები — გაჭირვებაში მყოფი ადამიანის განსჯა და გაკიცხვა ყველაზე იოლია. მოექეცით სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ მოგექცნენ“.

ელე, *24 წლის:*

„გამაღიზიანა კი არა, ამ „ესემესმა“ ლამის გადამრია. ეს ვიღაც არამკითხე მოამბის ნაჯღაბნია და სხვა არაფერი. ეტყობა, ამ ადამიანს პრობლემა არასდროს ჰქონია. დავიჯერო, ამაზე დიდ სიბილწეს ვერსად ხედავს? ან რა პროფესია აქვს ასეთი, ჭკუას რომ გარიგებს? ვაი, საცოდავო საქართველოვ. ლიკ, ეტყობა, შური ალაპარაკებს. აბა, რა უნდა, რას გერჩის?..“

GREEN GIRL:

„რამდენი უგუნური დადის ამქვეყნად. ამ რუბრიკის წყალობით ბევრი თინეიჯერი დაუბრუნდა საკუთარ თავს. თქვენ ეს თუ არ მოგწონთ, გაიარეთ!“

მიკა:

„მინდა, ახალგაზრდების „მხსნელს“ მივმართო: ძალიან გთხოვთ, თქვენს საქმეს მიხედეთ. ირგვლივ მიმოიხედეთ და გარყვნილებას უფრო ნათლად დაინახავთ. „გზა“ ჩემი და ჩემი თანატოლების მეგობარია, მეგობრებზე ცუდს კი არავის ვათქმევინებთ. თქვენი დამოკიდებულება ამ რუბრიკისა და ლიკასადმი ძალიან სასაცილოა. ლიკ, გვიყვარხარ და შენთან ვართ“. ■

„ყველა ხელიდან წასული ვინ უნდა ვაამოასწოროთ და ვეიყვაროთ?"

„გზის" №28-ში დაიბეჭდა ფსიქოლოგას მესიჯი, სათაურით — „დამეხმარეთ საყვარელი ადამიანის გადარჩენაში!" შეგახსენებთ, გოგონა გვწერდა, რომ ჰყავს შვილი, მეუღლეს კი იმიტომ დაშორდა, რომ ის მოთამაშე და ნარკომანი იყო. ამჟამად ფსიქოლოგა საზღვარგარეთ ცხოვრობს, სადაც გაიცნო ასევე ნარკომანი, მომპარავი და ძებნილი ბიჭი, რომელიც უზომოდ შეუყვარდა. გოგონა გვწერდა: „მან ამის შესახებ არაფერი იცის. იცით, მისგანაც სიყვარულს ვგრძნობ — თვალებით, ქცევით. ვხვდები, ამ წუმპიდან ამოსასვლელად, დახმარება სჭირდება, მაგრამ დამხმარე არავინ ჰყავს... მირჩიეთ, რა ვქნა?"

„მისთვის ხელის ყვრის უფლება არ გვაქვს..."

მაფიოზა:

„თუ გიყვარს და მასაც უყვარხარ, არ მესმის, ბედნიერებაზე უარს რატომ ამბობთ? შენზე კარგი ფსიქოლოგი ვინ ეყოლება? დაელაპარაკე, ეს აუცილებლად დაეხმარება".

მეოცნებე:

„ფსიქოლოგა, ქმარს ხომ სწორედ იმიტომ დაშორდი, რომ ნარკომანი იყო? ჰოდა, შეცდომის მეორედ დაშვების უფლება ნამდვილად აღარ გაქვს. ვფიქრობ, შენი შვილის მამას რომ დახმარებოდი, უკეთესი იქნებოდა".

„თავს ნუ დაიღუპავ... საქართველოში ჩამოდი"

ნათუშკები:

„ეგ შენი „ლოვე" ძებნილსა და ჯერონიმოს თუ ჰგავს, იქნებ, მისთვის ბრძოლა ღირდეს კიდეც, მაგრამ ნარკომანიც რომ ყოფილა? მერწმუნე, ამ სენით დაავადებულს არაფერი ეშველება. მისი მსგავსი ხომ გყავდა გვერდით, ქმრის სახით და უშველე რამე?! ჰოდა, პასუხიც შენს მესიჯშია. ისე, იმ ცუდ ბიჭს გია ხომ არ ჰქვია? თუ ასეა, ჩემი მეზობელი ყოფილა და მას მართლა არაფერი ეშველება. შენს პატარას ჩაეხუტე, დაია".

აზიელი:

„უნდა უთხრა, რომ ძალიან გიყვარს. იქნებ, ამის შემდეგ მაინც იბრძოლოს თქვენი ბედნიერებისთვის და ერთად ახალი ცხოვრების დაწყებაც შეძლოთ. აბა, თქვენ იცით".

თიკო, *ბათუმიდან:*

„შენმა მესიჯმა ცუდ გუნებაზე დამაყენა. მე ასაკით არც ისეთი დიდი ვარ, რომ ვიღაცას რჩევა მივცე, მაგრამ მინდა, ჩემი სათქმელი მაინც გითხრა: შენს ადგილას იმ ბიჭს დაველაპარაკებოდი, საკუთარ გრძნობებში გამოვუტყდებოდი და თუ ამის საშუალება მექნებოდა, საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიყვანდი. ფსიქოლოგა, საყვარელ ადამიანზე სრული კონტროლი დააწესე! როცა „ლომკაში" იქნება, მოეფერე და უთხარი, რომ ძალიან გიყვარს და ნარკოტიკების გამო თავს ნუ დაიღუპავს. იცხოვრე იმ პრინციპით, რომ ყველაფერი გამოგივა. ეგ აზრი შენს შეყვარებულსაც შთაუნერგე. დაარწმუნე, რომ ნებისმიერ პრობლემას აუცილებლად გადალახავთ და სულ ერთად იქნებით. ბედნიერებას გისურვებთ".

უცნობი:

„ფსიქოლოგას ნაამბობმა საკუთარი ტკივილი კიდევ ერთხელ შემახსენა. მართალია, ჩემი ძმა მომპარავი და ძებნილი არაა, მაგრამ ნარკომანებთან და ასეთ ტიპებთან ძალიან დაახლოებული იყო... თუ შენს მეგობარს გამოსწორება სურს, ეს კარგია, მაგრამ ამისთვის, მხარში ამოდგომის გარდა, მისი დიდი ძალისხმევა და ნებისყოფაა საჭირო, ასევე, სოლიდური თანხაც. გარშემო მყოფებმა მასზე მუდამ უნდა იზრუნონ, სულ მის გვერდით უნდა იყვნენ. თან, ამ ადამიანებსაც დიდი ნებისყოფა სჭირდებათ, რადგან ეს ყველაფერი ფსიქოლოგიურად იმდენად მძიმეა, შეიძლება, ამ სენით დაავადებულების განკურნების შემდეგ, მკურნალობა მათაც დასჭირდეთ... ეს ამბავი მის ოჯახს შეატყობინე, მათზე უკეთ ვერავინ დაეხმარება. ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ!"

ტუტუცკა:

„შეიძლება, ამ ადამიანში ისეთი რაღაც არის, რაც შენ მოგწონს, მაგრამ არა მგონია, მასთან ურთიერთობის დაჭერა ღირდეს. ვთქვათ, ნარკოტიკს შეეშვა, მაგრამ გგონია, მოპარვასა და ყაჩაღობასაც შეეშვება? თავს ნუ დაიღუპავ და იმავე სიტუაციაში ნუ ჩავარდები. მესმის, რომ გინდა, დაეხმარო, მაგრამ ნუთუ არ სჯობდა, ქმარს დახმარებოდი?"

იკუშკები:

„ჩემო კარგო, მომეჩვენა, რომ ძალიან საღად აზროვნებ, მაგრამ მაინც, მინდა გაგაფრთხილო: შვილის მომავალს საფრთხეს ნუ შეუქმნი. განა, ის ბიჭი მასზე მეტად გიყვარს? მესმის, რომ იმ ტიპს დახმარება სჭირდება, მაგრამ შენ, ქალს, რომელმაც ნარკომანთან ერთხელ უკვე იცხოვრე, თავი ჯოჯოხეთისთვის კიდევ გემეტება? შენს ადგილას მხოლოდ შვილზე ვიფიქრებდი. ალბათ, მართლა გჯერა, რომ იმ ბიჭს წუმპიდან ამოსვლა უნდა, მაგრამ იქნებ, ტყუის? ხომ შეიძლება, წრფელი არ იყოს? ისე ნუ მოიქცევი, რომ მომავალში შვილმა ზურგი შეგაქციოს. მერწმუნე, ამქვეყნად შვილის ფასი არავინაა, მით უმეტეს, მამაკაცი..."

უცნობი:

„რა თქმა უნდა, უნდა დაეხმარო (ეს მხოლოდ შენი კი არა, თითოეული ჩვენგანის ვალია). არ შეიძლება, ადამიანი გაჭირვებაში მიატოვო, რადგან ამის შემდეგ ის უფრო გაუბედურდება. გაუწოდე დახმარების ხელი და იქნებ, ამ სიკეთემ ნაყოფი გამოიღოს — ის ჯანსაღ ცხოვრებას დაუბრუნდეს და უფლის წყალობით, ბედნიერებაც პოვოთ. წარმატებები!".

თუფაძა, *15 წლის:*

„მგონია, მაგას ვერავინ უშველის, რადგან ნარკომანია, ქურდი და ძებნილი. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ მასთან ურთიერთობას გაწყვეტ. ასეთ ადამიანთან კონტაქტი, არა მარტო შენთვის, არამედ შენი

„მგონი, სიყვარულის ლაბირინთში გმა აგებნა"

შვილისთვისაც ძალიან ცუდია. გირჩევ, ვინმე ნორმალური ბიჭი იპოვო და ახალი ოჯახი შექმნა".

სანი:

„ახლანდელ ახალგაზრდებში ბევრი ნარკომანია, რაც გულს ძალიან მტკენს. თანაგგრძნობ. მართლა მინდა, რომ ამქვეყნად ერთით მეტი ბედნიერი ოჯახი და ერთი ნაკლები ნარკომანი იყოს".

ელე, *24 წლის:*

„ჩემო კარგო, მე პროფესიით მასწავლებელი ვარ და შესაბამისად, ფსიქოლოგიური ტრენინგებიც გავლილი მაქვს. ვიცი, ცნება „ყოფილი ნარკომანი“ არ არსებობს. ძალიან მძიმე მისიის შესრულება გადაგიწყვეტია. თავადაც იცი, რომ ამ ადამიანის წუმპიდან ამოყვანა არც ისე იოლი იქნება და ამისთვის ორივეს უდიდესი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ეტყობა, საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძინე და ისიც იცი, რომ პატარას გამო შეცდომის დაშვების უფლება აღარ გაქვს. კარგად დაფიქრდი, ამ ყველაფერს გაუმკლავდები? წარმატებებს გისურვებ! გონების კარნახით იმოქმედე, მხოლოდ გულს ნუ მიენდობი. ღმერთი გფარავდეს. ჰო, მოძღვარს დაელაპარაკე“.

ეკა:

„არ მოტყუვდე! თუ იმ ნარკომანის გამოსწორება გინდა, შავნაბადას წმინდა გიორგის ეკლესიაში მიიყვანე (იქ ასეთებს მართლა შველიან). რატომღაც მგონია, რომ შენი მოტყუება უნდა. ნარკომანს სიყვარული არ შეუძლია. გაიგე, სულელო დიდო გოგო? დაფიქრდი, პირველმა ნარკომანმა რა გარგო? მართალია, არჩევანის უფლება ყველას აქვს და ამ შემთხვევაშიც არჩევანი შენზეა, მაგრამ პატარაზე არ ფიქრობ? შენ ვიღაც კაცი უნდა აღზარდო თუ შვილი? ნარკომანებთან შეხება მაქვს და ვიცი, რომ მათთან ურთიერთობა იოლი სულაც არაა. ჭკუით იყავი.“

განძის მაძიებელი:

„შენს ნიკს ისეთი დატვირთვა აქვს, წესით, ფსიქოლოგიაში კარგად უნდა ერკვეოდე. მე ჯერ არ მინახავს, რომ ნარკომანი საზღვარგარეთიდან გამოჯანმრთელებული დაბრუნებულიყოს. მერწმუნე, მისთვის მსუყე ნანადირევად არ უნდა იქცე. გაჭირვებით შეგროვილი 2 თეთრი შენს შვილს მოახმარე და არა ვიღაც კაცს. მგონი, სიყვარულის ლაბირინთში გზა აგებნა და ჩემი რჩევა „ხმა მღაღადებლისად“ დარჩება... P.S. ლიკა, ძალიან მინდა, შენ და აზიელს ორიოდე სიტყვა გითხრათ: ეგ პრობლემური საკითხები, რომელთაც შენ აშუქებ, სამყაროსავით ძველია, მაგრამ რადგანაც მათ გადასაჭრელად მზა რეცეპტი არ არსებობს, ძიების პროცესში ხელს ნურავინ შეგიშლის! აზიელო, აღფრთოვანებული დავრჩი შენი ზნეობრივი კრიტერიუმებით და მორალური ნორმებით. იქნებ, დამეკონტაქტო?!“

GREEN GIRL:

„ასე მგონია, თავს მოიტყუებ. ვფიქრობ, ის სწორედ უთქმელობით „გაბამს“. შენს ადგილას მხოლოდ პატარაზე ვიფიქრებდი. მართალია, ყველა მატარებელს თავისი მგზავრი ჰყავს, მაგრამ არ მინდა, დაიტანჯო“.

სოფი:

„ცუდ სიტუაციაში ყოფილხარ. გაითვალისწინე, ისეთი შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს, რომელიც შენს პატარას დააზარალებს. გახსოვდეს, ასეთი ადამიანების გამოსწორება შეუძლებელია. ვფიქრობ, მასთან ურთიერთობით მხოლოდ ზედმეტ პრობლემებს შეიქმნი“.

მიკა:

„ძალიან დამაბნიე!.. შენი საქციელი სამარცხვინოა არა იმიტომ, რომ მისი დახმარება გინდა, არამედ იმიტომ, რომ იცი, აღმოჩნდები სიტუაციაში — ვაის გავეყარე და უის შევეყარე, მაგრამ მაინც, რისკზე მიდიხარ. ეტყობა, ასეთი ტიპები გევასება. რა, კაცები დაილია თუ დედა ტერეზა ხარ და ყველა ხელიდან წასული შენ უნდა გამოასწორო, შეიყვარო? კარგად დაფიქრდი!..“

თავისუფალი ჩიტი:

„ფსიქოლოგა, იმ ბიჭს შანსი ნამდვილად უნდა მისცე. შეცდომას ყველა ვუშვებთ და ამიტომაც, მისთვის ხელის კვრის უფლება არ გაქვს. დახმარებაზე უარს ვერავის ეტყვი. თუ ჩემი რჩევა რამეში დაგეხმარება, მოხარული ვიქნები. ბედნიერებას გულით გისურვებ. უფალს ებარებოდე. გკოცნი“.

უცნობი:

„ჩემო უცნობო მეგობარო, უცხო ქვეყანაში რომ ხარ, ეს არ გეყოფა? თავს ნუ დაიღუპავ. ყველაფერი მიატოვე და საქართველოში ჩამოდი. აქ კარგი ახალგაზრდების მეტი რაა, რომლებიც შენნაირ მოსიყვარულე გოგონებს ეძებენ. ის იმიტომ არ გეუბნება, — მიყვარხარო, რომ ხვდება, რა დღეშიც ხარ და ნერვებს გიმოწმებს. ეს ადამიანი შენ კი არა, ექიმებმა უნდა გადაარჩინონ. გთხოვ, თავს ნუ დაიღუპავ“.

გრუზინკა:

„დაარწმუნე, რომ მართლმსაჯულებას ჩაჰბარდეს. თუ მართლა უყვარხარ და გამოსწორება სურს, ასე მოიქცევა. იბრძოლე მისთვის და გიყვარდეს. ყველანაირად დაეხმარე“.

„ვერ ვიმეგობრებ ადამიანთან, რომელსაც ღაღ აღარ მივაჩნივარ...“

პარიჟანკა:

„გამარჯობა. საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, ბანალური და მარადიულია, მაგრამ მაინც, თქვენი აზრი მაინტერესებს. ერთ ბიჭთან წლების მანძილზე ვმეგობრობდი, ახლა კი გამომიტყდა, რომ ჩემ მიმართ სხვა გრძნობა გაუჩნდა. მან ძალიან კარგად იცის, რომ არ მიყვარს და ამიტომაც, ისევ მეგობრობა შემომთავაზა, მე კი ამის სურვილი აღარ მაქვს — ვერ ვიმეგობრებ ადამიანთან, რომელსაც დად აღარ მივაჩნივარ. ვფიქრობ და ვერ ვხვდები, რა მოხდა ჩვენ შორის? რა დაინახა ამდენი წლის მერე ჩემში?.. გადავწყვიტე, საერთოდ დავშორდე. როგორ ფიქრობთ, სწორად მოვიქცევი? წინასწარ გიხდით მადლობას“.

„ტოტოზე ყოველლამე ვფიქრობ და ვტირი...“

ნაღვლიანი გოგო:

„პრივეტ“, ბავშვებო. როგორ ხართ? მინდა, ჩემი ამბავი გაგიმხილოთ. 2006 წლის ოქტომბერში დედიკომ თუთიყუში მიყიდა. ძალიან მიყვარდა და მალე, ისიც შეგვეჩვია. გალიაში მხოლოდ ღამით შედიოდა, სხვა დროს კი ხან რომელ ოთახში გახლდათ და ხან — რომელში. მოკლედ, ძალიან შევუყვარდით, განსაკუთრებით კი მე შემეჩვია. მალე დედიკო დაორსულდა და ამის გამო, ტოტო (ასე ერქვა ჩემს თუთიყუშს) სადმე სხვაგან უნდა წაგვეყვანა. დედაჩემის მეგობრის ნაცნობი — ვალოდია თუთიყუშებს ამრავლებს და გადავწყვიტეთ, მისთვის მიგვებარებინა. ახლა დაიკო მყავს — ნანკა. მართალია, ის ძალიან მიყვარს, მაგრამ ტოტოზეც ყოველლამე ვფიქრობ და ვტირი. არ ვიცი, რა ვქნა, ძალიან ბევრს ვდარდობ“.

P.S. ამ ბოლო დროს, ისეთი მესიჯები, სადაც მოზარდები რჩევას გვთხოვენ, სულ უფრო მომრავლდა. სამწუხაროდ, თითოეულის დაბეჭდვას ვერ ვახერხებთ და ზოგიერთი წერილი დაგვიანებით იბეჭდება, რის გამოც, შესაძლოა, თქვენივე უკმაყოფილება დავიმახსოვროთ. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, თითოეულ ნომერში ორი თინეიჯერის მესიჯი დავბეჭდოთ. მაშ ასე, თუ პარიჟანკასა და ნაღვლიანი გოგოს წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

წითელი ქარი

წითელი ქარი კანისა და ლორწოვანი გარსების ინფექციური დაავადებაა. კერძოდ კი მწვავე სტრეპტოკოკური ინფექციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ახასიათებს კანისა და ლორწოვანი გარსების შემოფარგლული ანთება. ძირითადად ავადდებიან მოხუცები, უფრო ხშირად ქალები; დამახასიათებელია სეზონურობა გაზაფხულ-შემოდგომაზე. წითელი ქარის გამომწვევია A ჯგუფის ჰემოლიზური სტრეპტოკოკი, რომელიც მგრძნობიარეა სადეზინფექციო ხსნარებისა და ანტიბიოტიკებისადმი, 560 ტემპერატურაზე კი — 30 წთ-ში იღუპება.

ინფექციის ძირითად წყაროს წითელი ქარით ან სტრეპტოკოკური ინფექციის სხვა ფორმით დაავადებულები წარმოადგენენ. არ არის გამორიცხული დაავადების გავრცელება ადამიანებისგან, რომლებიც წითელი ქარით დაავადებულნი — არა (კლინიკა არ ვლინდება), მაგრამ მისი გამომწვევი ჰემოლიზური სტრეპტოკოკის მატარებელნი კი არიან.

დაავადების კონტაგიუზურობა (გადამდებობა) უმნიშვნელოა. წითელი ქარის გამომწვევი ბაქტერიები ჰაერის გზით არ გადადის. დაავადება ვითარდება მხოლოდ დაზიანებულ კანსა და ლორწოვანში სტრეპტოკოკის შეჭრის შედეგად (შედარებით ხშირად ზიანდება სახისა და მუხლის მიდამო), აგრეთვე შესაძლებელია ორგანიზმში არსებული სტრეპტოკოკური ინფექციის კერიდან მიკრობის ლიმფოგენური ან ჰემატოგენური გზით გავრცელებაც. უნდა აღინიშნოს, რომ წითელი ქარის განვითარებისათვის კანსა და ლორწოვანში სტრეპტოკოკის შეჭრის გარდა, აუცილებელია ზოგიერთი სხვა ფაქტორის არსებობაც. კერძოდ:

- სპეციფიკური იმუნიტეტის არასრულფასოვნება;
- ჰემოლიზური სტრეპტოკოკისადმი გაძლიერებული მგრძნობელობა;
- არასპეციფიკური დაცვის მექანიზმის აქტივობის დაქვეითება;
- მიკრობის შეჭრის ადგილას კანის საწყისი ფუნქციური ან მორფოლოგიური არასრულფასოვნება;

ამ ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში, მიკრობი კანში კიდეც რომ შეიჭრას, განვითარდება მხოლოდ ბანალური ჩირქოვანი პროცესი ფურუნკულის, აბსცესის ან ფლეგმონის სახით.

წითელი ქარის სიმპტომები და მიმდინარეობა

დაავადება უფრო მეტად სხეულის შიშველ ადგილებში — სახესა და კიდურებზე ლოკალიზდება, რადგან აქ კანის დაზიანება (მიკროტრავმირება) ყველაზე ხშირად ხდება.

დაავადების სიმპტომატიკა დამოკიდებულია მის ფორმებზე, მიმდინარეობაზე, გართულებებზე.

მიმდინარეობის მიხედვით, წითელი ქარი შეიძლება იყოს: მსუბუქი, საშუალო, მძიმე. დაავადების ინკუბაციური პერიოდი 6-7 დღეა (ანუ მიკრობის შეჭრიდან 6-7 დღეში იწყებს გამოვლინებას), თუმცა შეიძლება შემცირდეს რამდენიმე საათამდე. ზოგჯერ დაავადების დაწყებას წინ უსწრებს საერთო სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება, სიმძიმის შეგრძნება შესაბამის კიდურებში, რეგიონული ლიმფური კვანძების მტკივნეულობა. უმეტეს შემთხვევაში კი — დაავადება იწყება მწვავედ, თავის ტკივილით, შემცივნებით, საერთო სისუსტით, ზოგჯერ — გულისრევითა და ღებინებით. პირველ საათებშივე აღინიშნება ტემპერატურის მომატება 39°-40°-მდე. მძიმე შემთხვევაში ავადმყოფს ცნობიერება ებინდება, ბოდავს, ხშირად აღებინებს, პულსი და სუნთქვა გახშირებულია, ავადმყოფთა უმრავლესობას აღენიშნება ღვიძლისა და ელენთის გადიდება.

წითელი ქარის ერითემატოზული ფორმისათვის დამახასიათებელია:

- კანის შეწითლება;
- შეშუპება;
- კანი შეხებით ცხელია;
- დაჭიმულობა;
- მტკივნეულობა.

შეწითლებული უბნის საზღვრები დაკბილულია გეოგრაფიული რუკის მსგავსად, შეშუპების ხარისხი დამოკიდებულია პროცესის ლოკალიზაციაზე: ყველაზე მეტად გამოხატულია სახის არეში — ქუთუთოებზე, ტუჩებზე, სასქესო ორგანოთა არეში, მუცლის წინა კედელზე.

წითელი ქარის ბულოზური ფორმისათვის, გარდა ზემოდ აღნიშნული სიმპტომებისა, დამახასიათებელია: კანზე ბუშტუკების გამოვლენა.

ფლეგმონოზური ფორმის შემთხვევაში გამოხატულია ზოგადი ინტოქსიკაციის ნიშნები კანის ჩირქოვანი დაზიანებით

ნეკროზული ფორმა ხასიათდება დაავადების მძიმე მიმდინარეობით, კანის დანეკროზებით.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ასევე წითელი ქარის:

პირველადი ფორმა. ამ დროს პროცესი უფრო ხშირად ლოკალიზდება სახეზე;

განმეორებითი დაავადება. ვითარდება წინა დაავადების გადატანიდან 2-3 წლის შემდეგ, ხშირად ახასიათებს პროცესის სხვაგვარი ლოკალიზაცია. კლინიკური გამოვლინებითა და მიმდინარეობით განმეორებითი დაავადება არ განსხვავდება პირველადისაგან.

მორეციდივე ფორმები, რომლებიც ვითარდება პირველადი დაავადების გადატანის შემდეგ, რამდენიმე დღიდან 1,5-2 წლის ფარგლებში. ამ დროს პროცესი ხშირად ლოკალიზდება ქვედა კიდურებზე, იშვიათად კი — ზედა კიდურებზე.

ლორწოვან გარსებზე პროცესი გადადის დაზიანებული კანიდან. ცხვირის, ხახის, ხორხის იზოლირებული დაზიანება თითქმის არ გვხვდება.

რეციდივი

რეციდივის განვითარებას ხელს უწყობს მრავალი ფაქტორი:

- პირველადი პროცესის არასრული და არასწორი მკურნალობა;
- კანის ქრონიკული დაავადებები;
- ქრონიკული სტრეპტოკოკური ინფექციის კერები;

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის ჩემპიონი	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

ელვა
ელექტრონული
ბიბლიოთეკა
ქ. თბილისი
ოთხვილის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com
აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

მუშაობის არახელსაყრელი პირობები, გაცივება, მიკროტრავმები და სხვა.

რეციდივები მსუბუქად მიმდინარეობს, ზოგჯერ შეიძლება ცხელება არც იყოს გამოხატული, ან ხანმოკლე ხასიათი ჰქონდეს. ასევე უმნიშვნელოა ადგილობრივი გამოვლინებებიც.

გართულება

გართულებები გვხვდება 4-8%-ში და მათ მიეკუთვნება: აბსცესი; ფლეგმონა; კანის წყლულები; ნეკროზები; ფლებიტი და თრომბოფლებიტი; იშვიათად სეფსისი, პნევმონია, ნეფრიტი, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა.

გართულებული წითელი ქარის მკურნალობა გაცილებით რთულია. ამიტომ მათი თავიდან აცილების მიზნით, პირველსავე საეჭვო ნიშნების შემჩნევის შემთხვევაში ავადმყოფმა უნდა მიმართოს ექიმს.

მკურნალობა

მკურნალობა დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე, ჯერადობაზე (პირველადია, განმეორებითი თუ რეციდივი), ინტოქსიკაციის გამოხატულებაზე, ადგილობრივი გამოვლინებების ხასიათსა და გართულებების არსებობაზე. კომპლექსური თერაპია მოიცავს:

- ანტიბიოტიკოთერაპიას;
- ჰორმონთერაპიას;

არასპეციფიკური მასტიმულირებელი პრეპარატების, ფიზიოთერაპიული პროცედურების გამოყენებას.

პირველადი, განმეორებითი წითელი ქარისა და იშვიათი რეციდივების დროს მიზანშეწონილია პენიცილინთერაპია. ეფექტურია აგრეთვე ამპისიდი, ტეტრაციკლინისა და ერითრომიცინის აბები. თუ ავადმყოფი ანტიბიოტიკს ვერ იტანს, მკურნალობენ ნიტროფურანებით, ფუროზოლინით, ფურადონინით და სხვა.

მძიმე ფორმებისა და ხშირი რეციდივების შემთხვევაში რეკომენდებულია ნახევრად სინთეზური პენიცილინი-ოქსაცილინი ამპიცილინი, კომბინირებული ანტიბიოტიკები — ოლეტეტრინი და მისი ანალოგები. ძალზე ხშირი რეციდივების, გამოხატული ნარჩენი მოვლენებისა და რეგიონული ლიმფადენის დროს პირველი კურსის ჩამთავრებიდან 7-10 დღის შემდეგ, მიზანშეწონილია მეორე კურსის ჩატარება ანტიბიოტიკის შეცვლით.

ხშირი რეციდივების, ანამნეზში წამლისმიერი დაავადებების შემთხვევაში, რეკომენდებულია გლუკოკორტიკოსტეროიდები. ჰორმონოთერაპიის ჩატარების უკუჩვენებაა დაზიანებულ კერაში კანის ნეკროზი და აბსცესი. რეკომენდებულია აგრეთვე ასკორბინმჟავა რუტინთან ერთად, B ჯგუფის ვიტამინები, ნიკოტინმჟავა. წამლისმიერი გართულებების პროფილაქტიკისთვის გამოყენებულია — დიმედროლი, პიპოლფენი, ტავეგილი.

გარკვეული ჩვენებებისას რეკომენდებულია ბიცილინოპროფილაქტიკა ბიცილინ-5-ით. მას აქვს ანტიჰისტამინური თვისებები, ამცირებს ალერგიულ რეაქციებს. ბიცილინოპროფილაქტიკას ატარებენ დაავადების სრულფასოვანი კომპლექსური მკურნალობის შემდეგ.

ფიზიოთერაპიულ პროცედურებს ატარებენ დაავადების მწვავე პერიოდში. გამოჯანმრთელების პერიოდში შეშუპებების არსებობისას მიზანშეწონილია პარაფინი და ელექტროფორეზი კალციუმქლორიდით; ხშირი რეციდივებისას — ოზოკერიტი, ლიდაზით ელექტროფორეზი და სხვა. მყარი ნარჩენი მოვლენებისას ფიზიოთერაპიული პროცედურები შეიძლება გაიმეორონ 3-4, 6-7, 12-14 თვის შემდეგაც.

პროფილაქტიკა

წითელი ქარის პროფილაქტიკისათვის აუცილებელია:

- პირადი ჰიგიენის წესების დაცვა;
- კანის თანმხლები დაავადებებისა და პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობა;
- ქრონიკული სტრეპტოკოკური ინფექციის კერების სანაცია და სხვა.

„ყველაფრის პატიება არ შეიძლება“

მარინა ბაბუნაშვილი

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში, ქართველები დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ. 9 აპრილის ტრაგედიიდან მოყოლებული, ამოსუნთქვის საშუალება არ მოგვეცა. „კვირის პალიტრაში“ მოდიოდნენ ადამიანები და თავს გადახდენილ ამბებს მიყვებოდნენ. ზოგს ოჯახი დაენგრა, ზოგმა ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია, ზოგი თვითმკვლელობის ზღვარზეც კი აღმოჩნდა. ქვემოთ მოთხრობილიც იმ ამბებიდან ერთ-ერთია. ლია ის ერთადერთი რესპონდენტი გახლავთ, რომელთანაც ურთიერთობა დღემდე მაქვს. თავიდან იმ წერილის („რა ჰქვია ამ კაცის საქციელს?“) შინაარსს გაგაცნობთ, რომელიც 2004 წლის 23 თებერვალს დაიბეჭდა გაზეთში.

თავი პირველი

„ნუთუ, ეს ის კაცია, რომელიც მიყვარდა?“

ლიამ და ზურამ სიყვარულით შექმნეს ოჯახი... ლია ბავშვს დღე-დღეზე ელოდებოდა, როცა ზურამ აიჩემა, — ბიზნესს ხელი უნდა მოვკიდო, სხვანაირად ოჯახს ვერ ვარჩენო. ლიას, ზურასი სჯეროდა, ეგონა, მისი ქმარი შეუძლებელს შეძლებდა.

თავიდან საქმე აეწყო. შემოსავალი მათ პატარა ოჯახსაც ჰყოფნიდა და მშობლებსაც ეხმარებოდნენ. ამასობაში, სანდროც გაჩნდა. საქმის გასაფართოებლად ზურამ დიდი თანხა ისესხა (პროცენტით), მაგრამ აღარ გაუმართლა. ბინაც გაყიდეს და ერთოთახიანში გადავიდნენ, მაგრამ ვალი მაინც ვერ დაფარეს. ზურას მშობლები სოფელში გადავიდნენ საცხოვრებლად, რომ რამენაირად თავიც ერჩინათ და შვილსაც დახმარებოდნენ. ზურა ცოლს ამშვიდებდა, მაგრამ მათი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა.

ნაწყვეტი წერილიდან: „...ჩემი მშობლები გვეხმარებოდნენ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. პური და სხვა საჭმელი ნისიად მომქონდა მაღაზიიდან. ზურა კი ვითომც არაფერი, ისეთი უდარდელი გახდა, გაოგნებული ვიყავი... მევალეებმა კარი აგვიტალახეს. ერთხელ, მევალე დილიდან გვიან ღამემდე შინ მეჯდა, ზურამ კი „გმირულად“ გაძლო პატარა საკუჭნაოში. როცა „სტუმარი“ ძლივძლივობით გავისტუმრე და დავარწმუნე, ზურა რაიონშია და ათი დღე არ იქნება-მეთქი, სამალავიდან გამოსულ ქმარს სიცილი აუტყდა, — რა მაგარი მსახიობი ყოფილხარო! შევხედე ზურას და მივხვდი, რომ აღარ მიყვარდა. იმ ერთ დღეში საოცრად დავშორებოდი ჩემი შვილის მამას... ვფიქრობდი, ნუთუ, ეს ის კაცია, რომელიც მიყვარდა, ქვეყანას მერჩივნა და ვაუკაცად მიმაჩნდა-მეთქი?!“

ლიამ მოსწავლეების მომზადებას მოჰკიდა ხელი და ასე გაჭირვებით „გადააგორეს“ 1 წელი. ზურამ, — აქაოდა, ლიას რაღაც შემოაქვს ოჯახშიო, — საერთოდ დაივიწყა საქმე და მევალეებსაც ძველებურად ემალებოდა. ერთხელ, ერთმა მაინც გამოიჭირა და კატეგორიულად მოსთხოვა ბინის გაყიდვა. ზურა იძულებული იყო, დასთანხმებოდა, მაგრამ იმავე ღამეს ცოლს თავისი გეგმა გაანდო: სამგზავრო ფულს თუ მიშოვი, თურქეთში წავალ, იქიდან საბერძნეთში გადავალ, მუშაობას დავიწყებ, თანხას გამოგიგზავნი და შენც გაგათავისუფლებ ამ გიჟებისგანო.

ნაწყვეტი წერილიდან: „ბრილიანტის „სამეულიღა“ მქონდა შემორჩენილი. კარგი თანხა გადამიხადეს. ცოტა ჩემთვის დავიტოვე, 500 დოლარი ზურას მივეცი“.

ცოტა ხანში, მევალეებმა მართლაც დაანებეს თავი. თვეები გავიდა, ზურა არ შეხმიანებია... სამი წელი დარდსა და წუხილში გაატარა. მშობლებმა ლიას ნელ-ნელა შეაპარეს: შეეგუე, რომ ზურას რაღაც დაემართა და ვეღარ დაბრუნდებაო. მერე დედამთილ-მამამთილმაც იგივე გაიმეორა...

ნაწყვეტი წერილიდან: „ჩემმა მშობლებმა საკუთარი სახლი გაყიდეს და იმ ფულით ერთი ბინა ჩემს უმცროს ძმას უყიდეს, მეორე — მე. თვითონ ჩემთან გადმოვიდნენ. ის ერთოთახიანი არ გამაყიდვინეს, — გავაქირაოთო. ცოტა ხანში, რუსული ენის მასწავლებლად, სკოლაში დავიწყე მუშაობა, კერძო მოსწავლეებიც მყავდა. ვალებიც ნელ-ნელა გავისტუმრე და ცოტათი ამოვისუნთქე, მაგრამ დარდი, რომ ქმარი ასე უგზო-უკვლოდ დავკარგე, ლოდივით მაწვა გულზე“.

ერთხელ შემთხვევით ლიას თავისი კლასელი, ქეთი შეხვდა. ის დიდი ხნის წასული იყო საბერძნეთში, ქმართან ერთად.

ნაწყვეტი წერილიდან: „...როცა ქეთის ვუამბე, რაც თავს გადამხდა, მითხრა, — მთლად დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ერთი ქართველი ბიჭი გავიცანით მე და კოტემ (*ქეთის ქმარი. — ავტ.*), ზურა ერქვა, მშენებლობაზე მუშაობდა, ოღონდ ცოლიც ახლდა, ისიც ქართველია, რომელიც იქვე გაუცნიაო... ქეთი ჩემს ქმარს არ იცნობდა. ის საბერძნეთში იყო, როცა მე გავთხოვდი. სასწრაფოდ ამოვიღე ზურას სურათი — ეს ხომ არ იყო-მეთქი? ქეთის ფერი ეცვალა — ის არისო"...

ქეთი დახმარებას დაჰპირდა, ნაცნობების საშუალებით ზურას ხმა მიაწვდინა და ცოტა ხანში, „დაკარგული" კაცისგან ბარათი მიიღეს. ის ბოდიშს უხდიდა ყველა ახლობელს, თავის გაუჩინარებას კი იმით ამართლებდა, — საბერძნეთში ბევრი ქართველია, მეშინოდა, მოვალეს ჩემს მოსაკლავად ვინმე არ გამოეგზავნაო... ცოლის მოყვანაზე არაფერი დასცდენია. ბოლოს, ლიას სწერდა — ახალ ოჯახზე იფიქრე, ბედნიერებას გისურვებო.

თავი მეორე

„ყველაზე მწარე — დაკარგული სიყვარულია"

ჩემი და ლიას ურთიერთობა გაცნობიდან სულ ცოტა ხანში მეგობრობაში გადაიზარდა. ამიტომაც, მისი ცხოვრების შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცოდი. ახლა კი ჩვენს ინტერვიუს გთავაზობთ.

— ლია, როცა „კვირის პალიტრაში" შენი ოჯახის ამბავი გაშუქდა, უამრავი მეხმიანებოდა და მეკითხებოდა: ახლა როგორ არის, ხომ არ ინახულა თავისი ქმარყოფილიო? ზურას გაუჩინარებიდან დღემდე საკმაოდ ბევრი დრო გავიდა და მოდი, უამბე ჩვენს მკითხველს, რა მოხდა.

— გაზეთის მკითხველს, ვინც მაშინ შეწუხდა ჩემ გამო, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. მე მშობლები ამომიდგნენ მხარში... ჩემი ძმა გერმანიაში წავიდა, იქიდან უფრო მოგეხმარებითო... ოჯახში „მამა-მარჩენლიც" და „დედაბოძიც" მე გახლდით. და მაინც, ყველაზე მძიმე — დაკარგული სიყვარული აღმოჩნდა. როცა ყველაფერს ფარდა აეხადა, გაოგნებული დავრჩი. მას მერე, რაც ვალები დაედო, სულ სხვანაირი ზურა დავინახე — მხდალი, სუსტი, იოლ ცხოვრებაზე მეოცნებე, მაგრამ სხვა ქალზე თუ იფიქრებდა, ვერ წარმომედგინა. საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი.

— ერთხანს, აპირებდი კიდეც მის მონახულებას...

— დიახ, მინდოდა მენახა, თვალებში ჩამეხედა და მეკითხა, რატომ მოიქცა ასე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს დამამცირებდა. ამიტომ გადავწყვიტე, საერთოდ ამომეშალა გულიდან და ცხოვრებიდან.

— მის მშობლებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?

— ნერვიულობისგან ჩემს დედამთილს ინსულტი მოუვიდა, ძლივს გადავარჩინეთ. მამამთილმა კი მითხრა, — მე მაპატიე ჩემი შვილის უსაქციელობაო.

— როგორც ვიცი, მეორე მეუღლეს მალე გაშორდა.

— როცა ზურამ გაიგო, რომ ყველა ვალი გასტუმრებული იყო და არანაირი საფრთხე აღარ ელოდა, თავის მშობლებს დაუკავშირდა, ხან ფულს უგზავნიდა, ხან — წერილს, ხან ტელეფონით ურეკავდა. მე კატეგორიულად ავუკრძალე დარეკვაც და დახმარებაც. 2006 წელს მეორე ცოლს გაშორდა და ამის შესახებ მშობლებს აცნობა. ჩემი დედამთილი გახარებული მოვიდა და მითხრა: ეტყობა, გონს მოეგო, იმ ქალს გაშორდა და იქნებ, შერიგდეთო. წონასწორობიდან გამოვედი და მივუგე, — ამას კიდევ ერთხელ თუ გაიმეორებთ, სანდროს თვალითაც აღარ დაგანახვებთ-მეთქი. მის მშობლებს მაინც ჰქონდათ იმედი, რომ ადრე თუ გვიან შევურიგდებოდი ზურას, მაგრამ...

— იმედი გაუცრუვდათ, რადგან გათხოვდი...

— ჩემი გათხოვება არა მარტო დედამთილ-მამამთილისთვის, არამედ ჩემი მშობლებისთვისაც შოკი იყო. ადრე თუ ძალიან გულახდილი ვიყავი მათთან, ზურას გაუჩინარების მერე ძალიან შევიცვალე, საკუთარ თავში ჩავიკეტე. ჩემს ცხოვრებაში ირაკლი რომ გამოჩნდა, არავისთვის მითქვამს, ერთადერთი მეგობრის გარდა... მერე ისე განვითარდა მოვლენები, რომ გადავწყვიტე, ჩემი ცხოვრების მეგზურად ირაკლი ამერჩია. ახლა, ჩვენი პატარა კესო 10 თვისაა. ყოფილი დედამთილი და მამამთილი გამინაწყენდნენ, მაგრამ იმას არ ფიქრობდნენ, რომ მათმა შვილმა მორალურად გამანადგურა. დაღლილი ვიყავი მარტოობითა და ყოველდღიური ჯაფით და გავრისკე...

— ზურამ ადრინდელ წერილში ბედნიერება გისურვა, მაგრამ ვიცი, რომ შენი გათხოვება ძალიან განიცადა.

— მას მართლაც უნდოდა ჩემთან შერიგება, მაგრამ აღარ გავიკარე. სანამ გავთხოვდებოდი, დამირეკა და მთხოვა, — არ გამითიშო ყურმილი, ბოლომდე მომისმინე, მინდა, რომ შენ და სანდრო აქ ჩამოხვიდეთ და ერთად ვიცხოვროთო... ვუპასუხე, — ეგ გამორიცხულია, რადგან ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა კაცი, რომელმაც ცოლად მივყვები-მეთქი. ხმა ჩაუვარდა, ველარაფერი თქვა, დაუმშვიდობებლად დავუკიდე ყურმილი.

— ახლაც საბერძნეთშია?

— კი. მუდმივი სამუშაო იშოვა და ნორმალური გასამრჯელოც აქვს. აქამდე უფლებას არ ვაძლევდი, მერე კი ცოტათი მოვლბი, ირაკლიმაც მირჩია, არ დამეშალა შვილთან ურთიერთობა და სანდროს ხან ტანსაცმელს, ხან ფულს უგზავნის. ამას წინათ, მთხოვა, ერთი თვით გამოუშვი ჩემთანო, მაგრამ უარი ვუთხარი.



სანდრო ჯერ მაინც ბავშვია, მეშინია, ამხელა გზაზე მარტომ როგორ უნდა იმგზავროს, ან იქ, უჩემოდ როგორ იქნება? ის ხომ ძალიან პატარა იყო, როცა მამამისმა მიგვატოვა.

— ხომ იცი, „გზა" საბერძნეთშიც ვრცელდება და იქაური ქართველების საყვარელი ჟურნალია. როგორ ფიქრობ, რას გეტყვის, როცა თავის ამბავს წაიკითხავს?

— არც არაფერს. მან ისიც იცოდა (დედამისმა უთხრა), რომ „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნდა ჩემი თავგადასავალი. ახლა მეორეც იხილოს და გაიგოს, რა გამოვიარე და რა განვიცადე მასთან ერთად და მის გარეშე...

მკითხველის წერილები

„კვირის პალიტრაში“ რუბრიკით — „თქვენთვის, ქალბატონებო“ — დაბეჭდილ წერილებს, სადაც ჩვენი დღევანდელი ყოფა-ცხოვრებაა აღწერილი, უამრავი გამოხმაურება მოსდევს. ამიერიდან, მათ ნაწილს „ცხოვრებაშიც“ შემოგთავაზებთ.

ჩვენს მკითხველებს ვთხოვთ, მხოლოდ ემოციებისა და შთაბეჭდილებების გაზიარებით ნუ შემოიფარგლებიან. გვიამბეთ თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების შესახებ...

სასიყვარულო ხაფანგი

16 ივნისს, „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა წერილი — „თანამედროვე ალფონსები ანუ გოგონებო, იყავით ფრთხილად!..“ მაშინვე უამრავი მკითხველი გამოგვეხმაურა. ისინი აღშფოთებას ვერ ფარავდნენ წერილში აღწერილი ამბის გამო... მოგვიანებით, 23 წლის გოგონამ დამირეკა და პატიმარი ალფონსისა და მისი სიყვარულის შესახებ მიამბო.

თამუნა: „უჭკუო გოგო არასოდეს ვყოფილვარ და ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე თაღლითის, ისიც პატიმრის ხელში აღმოვჩნდებოდი. როცა თქვენს რუბრიკაში წავიკითხე ის წერილი, მივხვდი, რომ ოთხ კედელში გამომწყვდეულ ადამიანს თვითგადარჩენისთვის უამრავი შავბნელი აზრი შეიძლება გაუჩნდეს. მეც, თქვენი რესპონდენტივით, მახეში გავები. მძიმე პერიოდი მქონდა — შეყვარებულს დავშორდი და ძალიან განვიცდიდი. როცა ჩემს მობილურში უცნობი ნომრიდან მივიღე — „გამარჯობა, ჩემო სიყვარულო, იცი, როგორ მომენატრე?“ — ვიფიქრე, კახაა (ჩემი შეყვარებული) და ალბათ, მცდის, გამოველაპარაკები თუ არა უცნობს-მეთქი. რა თქმა უნდა, პასუხი არ გამიგზავნია. პირველს მეორე და მესამე მესიჯი მოჰყვა. ბოლოს, მოთმინების ფიალა ამევსო და ვკითხე, ვინ ხარ-მეთქი? მიპასუხა: ამას წინათ, ძმაკაცთან ვრეკავდი, შეცდომით შენთან მოვხვდი და ისე სასიამოვნოდ ჩამესმა შენი ხმა, ვერ დაგივიწყე, შენთან მეგობრობა მინდაო. მოკლედ, გამომიტდა, რომ პატიმარი იყო და მისთვის ჰაერივით საჭირო იყო ჩემნაირ გოგოსთან ურთიერთობა. შემეცოდა. ცოტა ხანში კი მივხვდი, რომ მის გარეშე ვეღარ ვძლებდი. ის ვახოდ გამეცნო. ყოველ დილით მხვდებოდა მისი თბილი, ალერსით სავსე მესიჯი, მერე საღამოს მიგზავნიდა მთელი დღის „შთაბეჭდილებებს“ და მაცნობებდა, რა მოხდა იმ დღეს მნიშვნელოვანი! ღამით კი მირეკავდა და დილამდე მელაპარაკებოდა. სულ მიკვირდა, პატიმარი კაცი, სად შოულობდა ამდენ „მონოს“?! ეს ერთხელ ვკითხე კიდეც და — ახლობლები მირიცხავენ თანხასო. ძალიან მომინდა, მისთვის რამე გამეკეთებინა და მეც დავიწყე მისთვის ანგარიშის შევსება. თავიდან, თითქოს გამიბრაზდა, — მე კაცი ვარ, იქით უნდა გირიცხავდე თანხას და პატივს გცემდეო, მერე კი „დამნებდა“. ორი თვის შემდეგ, მთელი არსებით შეყვარებული გახლდით და ამას არც მეგობრებთან ვმალავდი. ისინი გაოცებულები იყვნენ... ვახო მოითხოვდა, ხშირად მეთქვა მისთვის, რომ მიყვარდა და უსასრულოდ დაველოდებოდი. მეც ამას ათასჯერ ვუმეორებდი. ვახოს ხან 100, ხან 200, ბოლოს კი 500 ლარი დასჭირდა. ვუშოვე და მის ძმას გავატანე. ისეთი ბედნიერი ვიყავი, როცა მადლიერებითა და სიყვარულით სავსე მის სიტყვებს ვისმენდი, ვერ აღგიწერთ, მერე მოხდა ის, რაც ალბათ უნდა მომხდარიყო. ვახო გათავისუფლდა და გაქრა. მისმა გაუჩინარებამ ძალიან იმოქმედა ჩემზე. თუკი, აქამდე ვუჯერებდი, როცა მეუბნებოდა, — ციხესთან მოსული არ დაგინახო, იქ ძალიან ჭრელი ხალხი იკრიბება და არ მინდა, ჩემს შეყვარებულს ვინმემ უკადრებელი აკადროსო, — ახლა გავბედე და მივედი... იქ ყველაფერს ფარდა აეხადა... „ვახო“ დათო აღმოჩნდა, რომელიც სასჯელს იხდიდა არა ჩხუბისთვის, არამედ ბინების გატეხისა და გაქურდვისთვის. მაშინვე მის ძმას დავურეკე, რომელიც ბოლო სამი კვირის მანძილზე მარწმუნებდა, საშიში არაფერია, „შმონი“ იყო და მობილური წაართვესო. ბესომ ძველებურად დაიწყო — ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება, ჩემი ძმა გამოვა და დიდ ქორწილს გადავიხდითო. ბოლომდე ვაცალე ლაპარაკი, მერე კი ვთხოვე, აუცილებელი საქმე მაქვს. უნდა გნახო-მეთქი. ისეთი ხმა მქონდა, ალბათ, მიხვდა რაღაცას. „წერეთლის“ მეტროსთან უნდა შევხვედროდით ორი საათის მერე, მივედი, ვუცადე და არ მოვიდა. მობილური გათიშა და ისიც გაქრა. მივხვდი, „ვახომ“ გამომიყენა და ფული ამწაპნა. მერე რაღაში ვჭირდებოდი?! ძალიან განვიცადე ეს ყველაფერი, მაგრამ ღმერთს მაინც მადლობას ვწირავ, ხომ შეიძლებოდა უარეს დღეში ჩავვარდნილიყავი?!

„მეგონა, ურჩხულთან ვცხოვრობდი“

„ვკითხულობდი წერილს — „ის, რაც საამაყო მეგონა, სინამდვილეში ჯოჯოხეთი აღმოჩნდა“ — და ცრემლებს ვერ ვიკავებდი. ზოგს რა აწუხებს და რაზე შესტკივა გული, ზოგი კი რამხელა პრობლემის წინაშე დგას. მარინა, თქვენი რესპონდენტი ქეთი იმაზე წუხს, რომ მეუღლე კრიმინალური ავტორიტეტი იყო, არაფერს აკლებდა ოჯახს, რასაც მოვისურვებდი, ყველაფერი მქონდა, მაგრამ იმდენს ვნერვიულობდი, რომ მერჩივნა, სიღარიბესა და სიმშვიდეში მეცხოვრაო. ეტყობა, მან არ იცის, რა არის სიღარიბე და დღენიადაგ იმაზე ფიქრი — „რა ვაჭამო შვილებს?“ რა თქმა უნდა, სანერვიულოა, როცა ოჯახში ჩხრეკისთვის მოდიან, როცა გემუქრებიან, მაგრამ მერწმუნეთ, ქეთი, იმაზე საშინელება არაფერია, როცა შვილი გეტყვის: „დედა, მშია“ და შენ ვერ აჭმევ, თქვენი ცხოვრების გაცნობის მერე ვერ მოვითმინე და გამოგეხმაურეთ... აქამდე არასოდეს მომიწერია წერილი, თუმცა „კვირის პალიტრის“

„სხვას რატომ სთხოვ გმირობას?"

7 ივლისის ნომერში, რუბრიკით „თქვენთვის, ქალბატონებო" გამოქვეყნდა წერილი — „ყველა ხომ ვერ იქნება გმირი?" — სადაც მოთხრობილია დეასა და ირაკლის სიყვარულზე. დეა და ირაკლი ახალდაქორწინებულები იყვნენ; ირაკლის კარგი სამსახური ჰქონდა, მაგრამ თავის დიდ გატაცებას — მთამსვლელობას — ვერ ღალატობდა. იგი დეასგან უჩუმრად წავიდა მთაში მეგობრებთან ერთად. იქ კი უბედურება მოხდა — კლდიდან მოწყდა და დაინვალიდდა. დეა მაშინ ორსულად იყო და იმდენად განიცადა ეს ამბავი, რომ ბავშვი დაკარგა. ეს ვერ აპატია ქმარს. თანაც იცოდა, თუკი ირაკლისთან დარჩებოდა, ველარასოდეს გახდებოდა დედა, ამიტომ მიატოვა ინვალიდი ქმარი, ცოლშვილიან კაცს „დაუ-



მეგობრდა" და მისგან შვილიც გააჩინა. როგორც კი მიზანი აისრულა, მიხვდა, რომ მთლად მართალი არ იყო ირაკლის წინაშე... იმასაც მიხვდა, რომ კვლავ ის უყვარდა და მასთან დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ ირაკლიმ იგი აღარ მიიღო. მათ ამბავს ბევრი მკითხველი გამოეხმაურა და არც რჩევა-დარიგება დაენანათ დეასთვის.

„წავიკითხე დეას ამბავი, რომელმაც ძალიან ამაფორიაქა. კაცებს გაუჭირდებათ მისი საქციელის გამართლება, მაგრამ მე ქალი ვარ და ვიცი, რა ძნელია უშვილობა. ყველა ქალის ოცნება ხომ დედობაა. ახლა რომ უჭირს ირაკლის გარეშე ყოფნა, ესეც გასაგებია ჩემთვის, რადგან მას გულწრფელად უყვარდა თავისი ქმარი, თუმცა ის შვილზე წინ მაინც ვერ დააყენა. დეა, კიდევ სცადე, ირაკლისთან მისვლა. მართალია, მე რამაზიც მეცოდება, რომლისგანაც შვილი გყავს, მაგრამ მას ცოლ-შვილი ჰყავს და გადაიტანს უშენობას, ირაკლის კი შენ სჭირდები. ნუ დაყრი ფარ-ხმალს. მას გვერდში დაუდექი. ამით შენს შეცდომასაც გამოისყიდი. თამარი. თბილისი".

„მარინა, გადაეცით დეას, რომ თუ თავად ვერ შეძლო გმირობა, ნურც ირაკლისგან ითხოვს ამას. გაზარდოს შვილი და გაუწიოს მას ღირსეული დედობა. თქვენი მუდმივი მკითხველი".

„დეა, მესმის შენი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ დაგეთანხმები... არ უნდა მიგეტოვებინა ირაკლი, შენ ახლა სინდისი გაწუხებს და ამიტომაც განიცდი იმ შეცდომას. გირჩევ, რამაზი მის ცოლ-შვილს დაუთმო, შენ კი ირაკლის დაუბრუნდე. 56 წლის გახლავარ. მე და ჩემს ქმარს სკოლიდან გვიყვარდა ერთმანეთი. მერე ის ჯარში წავიდა. იქ ქართველ ბიჭებს რუსებთან დიდი შეხლა-შემოხლა მოუვიდათ, დაიჭრა რამდენიმე, მათ შორის, ჩემი საქმროც... ექიმებმა უთხრეს, რომ მას შვილი აღარ ეყოლებოდა. იმდენად მიყვარდა, მაინც გავყევი ცოლად. მალევე ავიყვანეთ ბავშვი და გინდა, სასწაული გითხრა?.. 7 წლის მერე შვილი შეგვეძინა! უსაზღვროდ ბედნიერები ვიყავით. გავზარდეთ შვილები და ახლა უკვე ბებია-ბაბუა ვართ. გირჩევ, ირაკლის მხარში ამოუდგე. მას ახლა ყველაზე მეტად უჭირს და რა იცი, იქნებ, თქვენთანაც მოხდეს სასწაული. ნუ დაყრი ფარ-ხმალს. იმედით გახედე მომავალს და თუ მეორედ ველარ ეზიარე დედობას, ერთი შვილი ხომ გყავს! ეჭვიც არ მეპარება, რომ ირაკლის შენი შვილი ძალიან ეყვარება! ლეილა, თბილისი".

მუდმივი მკითხველი ვარ... ცხოვრება რომ გაჭირდა, ჩემმა ქმარმა, იმის ნაცვლად, რომ რაიმე სხვა საქმე მოეძებნა (ადრე, მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა), ლოთობა დაიწყო. იმდენად დაკარგა ადამიანის სახე, ასე მეგონა, ურჩხულთან ვცხოვრობდი. არ აინტერესებდა, შვილებს შიოდათ, სციოდათ თუ სტკიოდათ რამე. ამან ჭკუიდან გადამიყვანა. გამუდმებით ჩხუბი გვქონდა, ხელდახელ იწევდა ჩემზე, ბავშვები ისტერიკაში ცვივდებოდნენ. ბოლოს, მივხვდი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. მის ლოთობას და ჩემს ნერვებს ხომ არ შევწირავდი შვილების სიმშვიდეს? რატომ უნდა გავჩერებულიყავი კაცთან, რომელიც საერთოდ არ ზრუნავდა ჩვენზე და კიდევ იქით მთხოვდა არყისა და სიგარეტის ფულს? 8-წლიანი ტანჯვის მერე, მოვკიდე ჩემს შვილებს ხელი და მშობლებთან დავბრუნდი, მაგრამ იქაც ვერ გავჩერდი დიდხანს. ჩემი ძმა ცოლშვილიანი იყო და მას კისერზე ვერ დავაჯდებოდი. მათაც საკმაოდ უჭირდათ. ვიქირავე ბინა და ვაჭრობას მივყავი ხელი. ჯერ ტკბილეულობით ვვაჭრობდი, მერე ნათესავ ქალს ფული გავატანე თურქეთში, რომ ტანსაცმელი ჩამოეტანა... ახლა ბაზრობაზე ჩემი ადგილი (დახლი) მაქვს, სადაც ტანსაცმლით ვვაჭრობ. ძალიან მიჭირს, ბევრს ვწვალობ, სამაგიეროდ, შვილები მშიერი აღარ მყავს, რაც მთავარია, აყალმაყალს გამოვარიდე და მშვიდად ვცხოვრობთ. ისე, ნუ გამიგებთ, რომ კრიმინალურ ავტორიტეტებს თაყვანს ვცემ, მაგრამ მე ვაფასებ იმ კაცს, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში ზრუნავს თავის ცოლ-შვილზე და ცდილობს, არაფერი მოაკლოს. არც იმას აქვს გამართლება, როცა კაცები ამბობენ: „არა მაქვს და რა ვქნა? მე არ მინდა, რომ ოჯახში რამე შემოვიტანო?" ეს უსუსური კაცის განცხადებაა, ადექი და მზიდავად ან შავ მუშად იმუშავე და რაღაც შეიტანე ოჯახში, ქალივით წუწუნს და ვიშვიშვს, ეგ არ სჯობს? მანონი, რუსთავი".

იბრძოლეთ თქვენი ბედნიერებისთვის!

გთავაზობთ გამოხმაურების ნაწილს, რომელიც მკითხველმა წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილის — „ვერ მოვისვენებ, სანამ მათ ერთად არ ვნახავ“ — საპასუხოდ გამოგვიგზავნა.



„წავიკითხე ქეთის ნაამბობი და გავოგნდი. ღვთისმოშიშმა ადამიანმა ასეთი რამ როგორ უნდა გააკეთოს? თუმცა, რა მიკვირს?! ასეთი ფაქტებით ხომ სავსეა ჩვენი ცხოვრება?! მეც მსგავსი რამ გადამხდა თავს. სამწუხაროდ, მე და ჩემს მეგობარს ერთი ბიჭი შეგვიყვარდა. იმ ბიჭს კი — მე. მზად ვიყავი, ჩემი სიყვარული დამეთმო, ოღონდ მეგობარი ბედნიერი მყოლოდა: ყველას როდი შეუძლია მეგობრობა?! ის ვერ შეეგუა იმას, რომ დათოს მე ვუყვარდი და ისიც ქეთის მსგავსად მოიქცა. თურმე, მართლა ადვილი ყოფილა კაცების მოტყუება. დათოსაც არ უკითხავს ჩემთვის არაფერი, არც ეცადა, რომ რაიმე გაერკვია, ისე მიმატოვა. ქეთისგან განსხვავებით, ჩემს მეგობარს სინანული არ სწვევია, სამაგიეროდ, დათო ცოტა ხანში დამიბრუნდა და მევედრებოდა, მეპატიებინა გულუბრყვილო შეცდომა, მაგრამ ვერ შევძელი პატიება. ნამდვილ სიყვარულს ეჭვი და უნდობლობა არ ახლავს, მას კი ჩემში ეჭვი შეეპარა. „მეგობარს“ ორი წელი არ ველაპარაკებოდი. დეკემბერში კი მაინც ვაპატიე. რატომ? მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და მივხვდი, უფლება არ მქონდა, არ მიმეტევებინა...

მარინა, მინდა გთხოვოთ, დამიბეჭდოთ ეს წერილი, რადგან ვიცი, ქეთის ძალიან ბევრი გაკიცხავს და ადამიანურად მებრალება იგი. სამწუხაროდ, ქეთი არც პირველია და არც უკანასკნელი, ვინც მსგავს სიტუაციაში ასე იქცევა, მაგრამ მისი დიდი უპირატესობა ისაა, რომ მან გააცნობიერა თავისი ცოდვა და დიდი სინანულითაც აღიარა, ახლა კი ყველანაირად ცდილობს, რომ გამოასწოროს იგი. ჩემი აზრით, ამ ამბავში „მთავარი დამნაშავე“ გიო გახლავთ, რომელიც სხვის სიტყვას ენდო. სათანადოდ არ ჰყვარებია თაია, თორემ ასე იოლად არ წავიდოდა მისგან... და მაინც, მინდა, ეს ამბავი მათი ბედნიერებით დასრულდეს. ლელა“.

„მოგესალმებით საბერძნეთიდან. მარინა, ძალიან მომწონს „ცხოვრება“ და მოუთმენლად ველოდებით აქ მცხოვრები ქართველები „გზას“, რათა ახალ-ახალი ცხოვრებისეული ამბები წავიკითხოთ. მინდა მივმართო გიოს: ერთხელ დაუშვი შეცდომა, სხვის ლაპარაკს რომ აჰყევი და თაიას დაშორდი. ქეთიმ თავისი შეცდომა მოინანია და გთხოვ, შენც დაუფიქრდე შენს საქციელს... თაიას შეურიგდი. თქვენ ხომ ისევ გიყვართ ერთმანეთი. სხვის ლაპარაკს ნუღარ აჰყვები და იბრძოლე შენი ბედნიერებისათვის. ფიქრია, 22 წლის, სალონიკი“.

„ვეხმაურები ქეთის, თაიას და გიოს ამბავს... თაია აუცილებლად უნდა შეურიგდეს გიოს. ისინი ბედნიერებას იმსახურებენ. ახლა კი გიოს მივმართავ: მშობლების გამო ნუ იხევ უკან, ამხელა კაცს საკუთარი აზრი როგორ არ გაგაჩნია? ხალხის ჭორაობასაც ნუ დაუგდებ ყურს... ისინი მალე გაჩუმდებიან. მთავარია, ღვთის წინაშე და საკუთარ თავთან იყო მართალი! მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. 17 წლის სულხანი, ქობულეთი“.

„გამარჯობა, მარინა! მართლაც საინტერესო რუბრიკა შემოგვთავაზე. თითოეული წერილი ძალიან ემოციური და გულთან მისატანია. მინდა, ყველას დასასრული ბედნიერი იყოს. ქეთი! შენმა აღსარებამ გული მატკინა. ცხოვრებაში ერთ შეცდომას ყველა ვუშვებთ, ჩემო კარგო. თაიას და გიოს მთელი სულითა და გულით ბედნიერებას ვუსურვებ! ეკა, 33 წლის, თბილისი“.

„მინდა, ქეთის ვუთხრა, რომ ძლიერი ადამიანია. ყველას როდი შეუძლია შეცდომის აღიარება. თანაც ასე საქვეყნოდ! მჯერა, რომ შენი გულმოდგინება დაფასდება და ღვთის შეწევნით, შეძლებ, შეარიგო თაია და გიო. დარწმუნებული ვარ, რომ თაია გამოგყვება ბათუმში. მათ აღარ უნდა იფიქრონ წარსულის შეცდომაზე. წარმატებებს გისურვებთ სამივეს. ინა, 20 წლის, ტყიბული“.

„მარინა, ძალიან მომწონს „ცხოვრება“. ვერც ერთი მკითხველი ემოციის გარეშე ვერ წაიკითხავს ამ წერილებს... ძალიან მინდა, თაიას და გიოს ამბის გაგრძელებაც გაგვაგებინოთ. როგორც ვიცი, ქეთის სურს, რომ ისინი ბათუმში შეახვედროს. „კვირის პალიტრის“ რუბრიკას — „თქვენთვის, ქალბატონებო“ არ ვეცნობოდი, რადგან მეგონა, ის მხოლოდ ქალებისთვის იყო განკუთვნილი. მე კი ბიჭი ვარ. ყოველთვის მაინტერესებდა ცხოვრებისეული ამბები. აწი, გაზეთშიც გავეცნობი ამ ამბებს. თქვენი მუდმივი მკითხველი მიკა“.

„მინდა, შვილები ბავშვთა სახლში ჩავაბარო...“



ახლობლები ხშირად მეუბნებიან ხოლმე, საინტერესო პროფესია გაქვს, ათასი ჯურის ადამიანთან შეხვედრა, სხვადასხვა თემაზე მუშაობა გიწევს და ერთფეროვნებისგან არ მოიწყენო. ერთი მხრივ, მართალია ის ხალხი, ვინც ასე ფიქრობს, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს და ასეა ჩემი პროფესიაც. როცა ერთ რესპონდენტს ესტუმრები თავის უზარმაზარ სახლში, სადაც იმდენი ოთახია, რომ ოჯახის წევრები ერთმანეთს შემთხვევით, დერეფანში თუ შეეჩეხებიან ხოლმე, ყველა ოთახში, იატაკზე ძვირფასი ნოხია, კედლებზე — ცნობილი მხატვრების სურათები და კარადებში — ძვირფასი ჭურჭელი, რესპონდენტი კი გამალებით გიყვება, რა თანხას ხარჯავს დღეში, სად ისვენებს და როგორ ერთობა, იქიდან წამოსული, მეორე რესპონდენტს ქუჩაში ხვდები და ისმენ, რომ თურმე მის შვილებს 3 დღის განმავლობაში ჩაით შეფერილი, დაუმტკბარი წყლის გარდა არაფერი მიუღიათ, ალბათ მიხვდებით, რომ არც ჟურნალისტის სამუშაოა ყოველთვის სახალისო და სახარბიელო; რადგან ხვდები, რომ უძლური ხარ და შესაძლოა, მეორე რესპონდენტს ვერაფერი უშველო. რაც ძალგიძს, მხოლოდ ის გახლავს, რომ ჯიბე მოიქექო, რა თანხაც აღმოგაჩნდება, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს ჯიბეში ჩაუკუჭო და მერე კიდევ ერთი სევდიანი ამბავი ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდო იმ იმედით, რომ იქნებ რომელიმე, თუნდაც ზემოთ აღწერილმა, პირველი რესპონდენტივით დღედალხენილმა ადამიანმა წაიკითხოს და მეორე რესპონდენტს დაეხმაროს.

მარი ჯაფარიძე

— როცა გავთხოვდი, მეგონა, ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ თურმე, სულ ტყუილად მქონდა იმედი. დედამთილი და მული ძალზე მავიწროებდნენ. გაჭირვებული ოჯახი იყო და ზედმეტი სულის დამატება ვერ აიტანეს. სამი ზრდასრული ადამიანი დედამთილის პენსიას შეჰყურებდა, ხელის განძრევა არავის უნდოდა, მეც სარჩენად დავემატე და ლამის გაგიჟდნენ. მაცივართან მიკარებასაც კი მიკრძალავდნენ. როცა თვითონ მოისურვებდნენ, თეფშზე ცოტაოდენ კერძს დამიდებდნენ, დამიძახებდნენ და ჭამეო, მეტყოდნენ ხოლმე, რომ შიმშილისგან სული არ გამეფრთხო. ფეხმძიმობის დროს, მოგეხსენებათ, ქალს ჭამის მადა ემატება. მე კი ნახევრად მშიერი დავდიოდი და ცხარე ცრემლით ვტიროდი. გადავწყვიტე, ხელი გამენძრია და ორიოდე „კაპიკი“ მეშოვა. იმ პერიოდში დაშვებული იყო გზებზე სიგარეტით ვაჭრობა. ახლობელს ფული ვესესხე და ვაჭრობა დავიწყე. ფეხმძიმე ქალი ალბათ ყველას ვეცოდებოდი და სიგარეტს ბლომად ვყიდდი. დღეში ხანდახან 10 ლარიც კი მრჩებოდა და კმაყოფილი ვიყავი.

— ქმარმა რა გითხრა, როცა გაიგო, რომ მუშაობდი?

— არაფერი უთქვამს, გაუხარდა კიდეც, მაგრამ მავალდებულებდნენ, რომ ფული ოჯახში მიმეტანა. მთელი დღის ნამუშევარ თანხას საღამოს მულს ვაბარებდი ხოლმე. ჩემი მდგომარეობა არაფრით გაუმჯობესებულა. მერე ხერხს მივმართე, — როცა მუშაობას მოვრჩებოდი, იქვე, კაფეში შევდიოდი და ვჭამდი, რამდენიმე ლარს კი შავი დღისთვისაც ვინახავდი. შინ მხოლოდ დარჩენილი ფული მიმქონდა. ისინიც, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მართმევდნენ ჩემს ნაშრომს და თავის გემოზე ხარჯავდნენ. სამშობიაროდ პირდაპირ ქუჩიდან წავედი. მუცელი რომ ამტკივდა, ტაქსი გავაჩერე და სამშობიაროს მივადექი. გოგონა შემეძინა, მაგრამ იმავე დღეს გარდაიცვალა. ჩემი აზრით, ამის მიზეზი ჩემი არანორმალური დღის რეჟიმი იყო. ექიმებს ფული ჩემი დანაზოგიდან გადავუხადე. ბავშვის გარდაცვალება ძალზე განვიცადე. მშობიარობაც მძიმე მქონდა და ლამის ლოგინად ჩავვარდი. მერე ჩემს თავს შემოვუძახე და ვაიძულე, რომ 2 კვირის შემდეგ კვლავ სამუშაოზე წავსულიყავი. მშობიარობიდან 7 თვის შემდეგ კვლავ დავფეხმძიმდი. მული და დედამთილი დღედაღამ ჩამჩიჩინებდნენ, რომ ბავშვი მომეშორებინა. — ხომ ხედავ, თავს ძლივს ვირჩენთ, ერთ ქალს ოჯახის რჩენა გიჭირს(?!) და ბავშვს ჯერ ნუ გააჩენო. როდესაც პირველი შვილი დამეღუპა, მაშინ დავიფიცე, ღმერთი რამდენ შვილსაც მომცემს, იმდენს გავაჩენ-მეთქი, ამიტომ, გავჯიუტდი და ბავშვი შევინარჩუნე, მაგრამ ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად მექცა. ყოველ საღამოს ოჯახში ჩხუბი და დავიდარაბა მქონდა, რასაც ვეღარ გავუძელი და 6 თვის ფეხმძიმე შინიდან წამოვედი. ქმარს ვეხვეწე, ჩემთან ერთად წამოდი, ვიმუშავებ, თავის რჩენა არ გაგვიჭირდებამეთქი, მაგრამ უარი მივიღე. ოჯახიდან ისე წამოვედი, არც მიფიქრია, რომ ღია ცის ქვეშ ვრჩებოდი.

— მშობლები არ გყავს?

— არა, მხოლოდ ძმა მყავს. ჩემმა მშობლებმა გვიან იქორწინეს და საკმაოდ ასაკოვანები იყვნენ, როცა მე და ჩემი ძმა გაგვაჩინეს. 16 წლის ვიყავი, როცა დედა გარდამეცვალა, 18 წლისას — მამა. წლების განმავლობაში მარტო ვზრდიდი ძმას. მაშინ რაიონში ვცხოვრობდი და კეთილი მეზობლების დახმარებით გაგვქონდა თავი. მერე თბილისში წამოვედი, რომ მემუშავა და გათხოვებამდე ქირით ვცხოვრობდი. ჩემი ძმა რომ წამოიზარდა, უცხოეთში წასვლა გადაწყვიტა, სოფელში სახლი გაყიდა და გაემგზავრა. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ხანდახან თუ შემეხმიანებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა კარგა ხანია, ისიც აღარ გამოჩენილა.

— ქმარს რომ გასცილდი, მერე როგორ განაგრძე ცხოვრება?

— სოფლიდან თბილისში რომ ჩამოვედი, გადავწყვიტე, რაიმე განათლება მიმეღო და ტექნიკუმში ჩავაბარე. იქ ერთ, რაიონიდან ჩამოსულ გოგონას დავუმეგობრდი და ქირითაც ერთად ვცხოვრობდით. ჰოდა, შინიდან წამოსული ისევ მას მივადექი. კვლავ ვმუშაობდი, ღვთის მადლით, მშიერი აღარ ვიყავი და აღარც ნერვებს მიშლიდა ვინმე. მეგობარი გოგონაც მეხმარებოდა, თავად მაღაზიაში, გამყიდველად მუშაობდა და ცოტაოდენი შემოსავალი მასაც ჰქონდა. მანუგეშებდა, ერთად გავზრდით ბავშვს, ორი დედა ეყოლებაო. კვლავ გოგონა შემეძინა. ბავშვის დაბადების შემდეგ ველარ ვმუშაობდი, იძულებული ვიყავი, შინ ვყოფილიყავი და ბავშვისთვის მომევლო. იმდენი ფული არ მქონდა, რომ ძიძა დამექირავებინა, ბავშვს კი ვერავისთან ვტოვებდი და მეც და ჩემი შვილიც ნინოს შესანახი გავხდით. თავიდან ნინო ხმას არ იღებდა, მაგრამ მერე, როგორც ჩანს და არც გასაკვირია, მოჰბეზრდა ჩვენი შენახვა და ბუზღუნი დაიწყო. ვეუბნებოდი, ცოტა ხანს მომეხმარე, ვიდრე ბავშვი 1 წლის გახდება, მერე ბაგაში მივიყვან და მეც ვიმუშავებ-მეთქი, მაგრამ ის მაინც მუდამ შუბლშეკრული დადიოდა და ხანდახან მთელი კვირა შინ არ მოდიოდა ხოლმე. როგორც გავიგე, ნათესავთან ათევდა ღამეს. მე კი ისევ საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. იძულებული გავხდი, იქიდანაც წამოვსულიყავი. რამდენიმე ღამე ქუჩაში გავათენე, მერე ერთ ღვთისნიერ ქალს შევეცოდე და კერძო სახლში ერთი ოთახი სიმბოლურ ფასად, 20 ლარად მომაქირავა და მითხრა, თუ გინდა, ბავშვს მე შეგინახავ და შენ იმუშავეო. სიხარულით დავთანხმდი, მაგრამ სამუშაოს მოძებნა ძალზე გამიჭირდა. ისევ დიასახლისმა მიშველა და თავისი ნაცნობისთვის სახლის დალაგება შემომთავაზა. რაღა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს. ის ქალი ჩემით ძალიან კმაყოფილი დარჩა და თავის რამდენიმე მეგობართან რეკომენდაცია გამიწია. ასე მომემატა საქმე და შესაბამისად — შემოსავალიც. ამას ისიც დაემატა, რომ ერთმა ნაცნობმა თურქეთის საელჩოს თანამშრომელთან ჩამიწყო საქმე და მის სახლსაც ვალაგებდი. ის კაცი კარგად მიხდიდა, ხანდახან მისი ცოლი ზედმეტ ფულს და ბავშვისთვის საჩუქრებსაც მაძლევდა ხოლმე. ამოვისუნთქე, მაგრამ ბედმა ამჯერადაც მიმუხთლა და ჩემი დიასახლისი მოულოდნელად გარდაიცვალა. მისმა შვილებმა სახლი გაყიდეს და მეც იქიდან წამოსვლამ მომიწია. იძულებული გავხდი, ისევ ნინოს მივდგომოდი კარზე, მაგრამ ამჯერად თამამად მივედი, რადგან სამსახური მქონდა და მისი სამადლო არაფერი მექნებოდა.

— მიგიღო?

— კი, მიმიღო, მაგრამ წინანდებურად ცხვირს მიბზუებდა. ვთხოვე, სულ ცოტა ხნით შემიფარე და როგორც კი იაფფასიან ბინას ვიშოვი, გადავალ-მეთქი. ერთხელ, ნინოსთან მორიგი კამათისას ატირებული წავედი სამუშაოდ. თურქმა ქალბატონმა ტირილის მიზეზი მკითხა და მეც დაუფარავად ვუამბე. 1.000 დოლარი მომცა და მითხრა, ამ ფულით სადმე ბინა იგირავეო. გამიხარდა და დავიწყე ბინის ძებნა (მაშინ ამ თანხით გარეუბანში, ერთოთახიანი, გაურემონტებელი ბინის დაგირავება იყო შესაძლებელი). არც აქ გამიმართლა, თაღლითებს გადავეყარე და რომ მეგონა, მე და ჩემს შვილს, როგორც იქნა, წესიერი ცხოვრება გვეღირსამეთქი, სწორედ მაშინ გამომასახლეს ბინიდან. მესამედ მივადექი ნინოს და მესამედ ვთხოვე, შინ შევეშვი. ამასობაში ერთი თაყვანისმცემელი გამომიჩნდა, ძალზე კარგი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ბინაც ჰქონდა და თანახმა იყო, მე და ჩემი შვილი მასთან საცხოვრებლად გადავსულიყავით. ბევრი აღარ მიფიქრია, ჭერი მექნება, პატრონი მეყოლება და ნორმალურად ვიცხოვრებ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ არც აქ გამიმართლა.

— შენს გოგონას მამა არ ნახულობდა?

— კი, როგორ არა, ხანდახან მოდიოდა და შინაც მიჰყავდა ხოლმე. ჩემმა პირველმა მეუღლემ მუშაობაც დაიწყო, სადღაც, მშენებლობაზე მუშობს და თავის რჩენის საშუალებაც გაუჩნდა.

— მეორე ქმართან რატომ ვერ ააწყვე ცხოვრება?

— აღმოჩნდა, რომ თურმე აზარტული თამაშებით ყოფილა გატაცებული და უამრავი ვალი ჰქონია. ბინაც, რომელშიც ვცხოვრობდით, ვალში ჰქონდა ჩადებული. თავს არ ვზოგავდი, ვმუშაობდი და ვცდილობდი, მისი ვალები გამესტუმრებინა, რომ მშვიდად გვეცხოვრა. ვემუდარებოდი, ახალ ვალს ნუ დაიმატებდა, მაგრამ იმ იმედით, რომ ვალს დაფარავდა, ისევ თამაშობდა და ვალს ვალი ემატებოდა. ბოლოს, იმდენი დაგროვდა, რომ შინიდან გაიქცა და დღემდე არავინ იცის,

ცოცხალია თუ მკვდარი. ერთად 4 წელი ვიცხოვრეთ და 2 გოგონა გავაჩინე. მისი გაუჩინარების შემდეგ ვიღაცები მოვიდნენ, მითხრეს, სასამართლოს აღმასრულებლები ვართო და ბინიდან გამოგვასახლეს. ნინომ თავისთან აღარ შეგვიშვა — გავთხოვდი და



ქმარს სამშვილიან ქალს კისერზე ვერ დავასვამო. იძულებული გავხდი, ჭერგადახდილი, დანგრეული ბინისთვის შემეფარებინა თავი. იქ ერთი წელი ვიცხოვრეთ. ამ ორომტრიალში სამსახურსაც ვერ მივხედე წესიერად და ყველამ დამითხოვა. ჩემი მფარველი თურქი ქალბატონი და მისი ქმარი სამშობლოში დაბრუნდნენ. ასე დავრჩი უსახლკაროდ, უმუშევრად და 3 შვილით. იძულებული გავხდი, უფროსი გოგონა მამასთან გამეგზავნა საცხოვრებლად.

— მისმა მამიდამ და ბებიამ მიიღეს?

— კი, კარგად უვლიან, ლამაზად და სუფთად ჩაცმულ-დახურული დაჰყავთ და წელს სკოლაშიც ისინი მიიყვანენ.

— თქვენ სად ცხოვრობთ?

— ხან სად, ხან — სად. ვეღარც სამსახურს ვშოულობ, ამ რამდენიმე კვირის წინ ისევ ნინომ შემიფარა, მაგრამ ამ დილით გამომიცხადა, წაიყვანე შენი შვილები და ბინა მოძებნე, ჩემთან ვეღარ გაგაჩერებო.

ახლა წამოსული ვარ, იქნებ რამე მოვძებნო-მეთქი, მაგრამ ქირა რით უნდა გადავიხადო? ჩემს შვილებს 3 დღეა, უშაქრო ცხელ ჩაის ვასმევ და პურის გემო ხომ ლამის მთლად გადაავიწყდათ.

— რა ხნის არიან შენი შვილები?

— უფროსი 3 წლისაა, პატარა — წლის და 7 თვის.

— ახლა რას აპირებ?

— ახლა თქვენ იმიტომ დაგირეკეთ, რომ იქნებ დამეხმაროთ, რომ ბავშვები ბავშვთა სახლში მომაწყობინოთ. ჩემთან ალბათ შიმშილით სიკვდილი უწერიათ. მე, მარტო თავს ყველგან გავიტან, ვიმუშავებ და ღამეს თუნდაც, ღია ცის ქვეშ გავათენებ. ბავშვებს იქ სამუდამოდ კი არ დავტოვებ, კვირაში ერთხელ მოვინახულებ და როგორც კი ელემენტარულ პირობებს შევიქმნი, მაშინვე წამოვიყვან. გული მიკვდება, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავ. ამას წინათ, სამსახურის ძებნაში ერთ დასაქმების ფირმას მივადექი. იქ ჩემი კოორდინატები ჩაიწერეს და რამდენიმე დღის შემდეგ ვიღაც ქალმა მომაკითხა. მითხრა, კარგი სამსახური მაქვს, ანაზღაურებაც კარგი გექნებაო. კარგად რომ გამოვკითხე, რა საქმე უნდა შემესრულებინა, მივხვდი, „მამაშა“ იყო და მეძავად ვუნდოდი. სულ კინწისკვრით გავაგდე ის ქალი. ჩემთვის ნებისმიერი სამუშაო მისაღებია — ჭურჭლის მრეცხავად, დამლაგებლად, ავადმყოფის მომვლელადაც ვიმუშავებ, მაგრამ ჩემი სხეულით ვაჭრობას შვილების გამოც კი ვერ დავიწყებ. მარი, იქნებ დამეხმარო, დაწერე ჩემი ამბავი „გზაში“, იქნებ ვინმე მადლიანმა სამსახური შემომთავაზოს, ან სწორი გზისკენ მიმითითოს. განა ბევრს ვითხოვ ცხოვრებისგან? მხოლოდ იმას, რომ ჩემს შვილებს ღია ცის ქვეშ არ ეძინოთ და ყოველდღე პურის ფული ჰქონდეთ. გული მიკვდება, როცა ქუჩაში ხეტიალის დროს ბავშვი მეკითხება — დედა, როცა ფული გექნება, ისეთს ხომ მიყიდი, ის ბავშვი რომ ჭამსო? ისიც კი არ იცის, რა არის ნაყინი და როგორი გემო აქვს... რადგან სხვა ბავშვები ჭამენ, ხვდება, რომ გემრიელი იქნება.

●

მოკლე ჩართვა

რა უპირატესობა აქვს გასათხოვრობას?

• როცა გასათხოვარი ხარ, ის უპირატესობა გაქვს, რომ საქმროს ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ჰგონიხარ, მაგრამ როცა ცოლად გაჰყვები, ყველა — შენზე ლამაზი. კამელია.

• ის უპირატესობა აქვს, რომ არავინ გიშლის იმას, რისი გაკეთებაც გინდა. გლოკუნია.

• გასათხოვრობას ბევრი უპირატესობა აქვს. თავისუფალი და შეუზღუდავი ხარ. სიტყვა — „ოჯახი“ შენთვის ჩხუბთან და მოვალეობებთან არ ასოცირდება. როცა გინდა და ვისაც გინდა, იმას გაეპრანჭები, პაემანზე ყოველგვარი შიშის გარეშე წახვალ, მერე კი ღალატის საშინელი განცდა არ დაგეუფლება... თუმცა, გასათხოვრობის ყველაზე დიდი პლუსი მაინც ისაა, რომ გასათხოვარი ხარ და მაშინ გათხოვდები, როცა მოგესურვება. :) იკუშკები.

>>>24

ყველაზე სულელური ბიზნესგადაწყვეტილებები

ჟურნალმა Business 2.0, გასული წლის ყველაზე სულელური ბიზნესგადაწყვეტილებების რეიტინგი გამოაქვეყნა. ამა თუ იმ პროდუქციას, მომსახურებასა თუ პრესმდივნის გამოსვლას აქ შეფასებას იმიტომ კი არ აძლევენ, რომ შემოსავლის შედეგებზე ისაუბრონ, შეფასების კრიტერიუმი ერთია — აშკარა სისულელე ან უგემოვნობა.

ბიზნესმენებისთვის ამ რეიტინგში მოხვედრა ძალზე არაპრესტიჟულ მოვლენად მიიჩნევა.

ყველაზე სულელური რეკლამა

✓ ერთ-ერთმა კომპანიამ თავისი პროდუქციის — საღეჭი კანფეტების გაყიდვის რაოდენობის გაზრდა გადაწყვიტა. საამისოდ მულტიპლიკაციური რგოლი შექმნეს და ინტერნეტში განათავსეს და შედეგად — კანფეტების წარმოება შეწყვიტეს. სარეკლამო რგოლის მთავარი „გმირები“ საყვარელი ცხოველები იყვნენ, რომლებიც ღამით გზას კვეთდნენ, სასაცილოდ გამოხატავდნენ შიშს და სწრაფად მომავალი ავტომობილის ფარების სინათლეში ეხვეოდნენ. რგოლი აქ მთავრდებოდა. რა ემართებოდათ ცხოველებს, ამის გაგებას მაშინ შეძლებდით, როცა კანფეტს ქაღალდს შემოაცლიდი, იქ კი ავტომობილის საბურავებით გადაჭყლეტილი, რეკლამში მონაწილე ციყვები, დათვები და წიწილები გხვდებოდნენ.

✓ კომპანია Byeing Integrated Defense Systems-მა ხალხის გაოცება შეძლო. ერთ-ერთ გაზეთში კომპანიამ თავისი ყველაზე გრანდიოზული პროდუქციის — მრავალფუნქციური საბრძოლო-სატრანსპორტო კონვერტოპლანის რეკლამა განათავსა. მასზე საბრძოლო მანქანა იმ მომენტში იყო გადაღებული, როცა ის საჰაერო თავდასხმას მეჩეთზე აწარმოებდა. სურათს კი ასეთი წარწერა „ამშვენებდა“: „სადაც ის დაეშვება, იქ ჯოჯოხეთი იწყება“. კომპანიას სახალხოდ ბოდიშის მოხდამ მოუწია.

✓ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სარეკლამო გამოგონებებმა შესაძლოა, სასამართლომდე მიგიყვანოს. ლოს-ანჯელესის ერთ-ერთმა რადიომ ვიქტორინის ჩატარება გადაწყვიტა და მთავარ პრიზად ავტომობილი, „ჰამერი-2“ დააწესა. პრიზი ვინმე შენონ კასტილოს ერგო. გამარჯვებული პრიზის მისაღებად გაემართა, ბავშვთან კი სპეციალურად ამ „მოვლენისთვის“ დაქირავებული ძიძა დატოვა. რადიოსადგურის შტაბბინაში ქალს ნამდვილი მანქანის გასაღების ნაცვლად, სათამაშო „ჰამერის“ პულტი მისცეს. შენონმა პრიზზე უარი თქვა და ახლა სასამართლოს საშუალებით ნამდვილი მანქანის გასაღებს ან მისი მოტყუების გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს.

სულელური პროდუქცია და მომსახურება

✓ კომპანია Russel Staver-მა 15 სანტიმეტრი სიგრძის შოკოლადი გამოუშვა, რომელსაც ჯვარცმის სახე ჰქონდა. მორწმუნე ადამიანები გაოგნდნენ. მოგვიანებით აღშფოთება გამოთქვეს კათოლიკური ეკლესიის მესვეურებმაც და აღნიშნეს, რომ რელიგიური მრწამსის გამოსახატავად კომპანიამ არასწორი გზა აირჩია.

✓ გაზეთ Los Angeles Times-ის წერილებისა და კომენტარების განყოფილების რედაქტორმა, მაიკლ კინსლიმ გადაწყვიტა, რომ გაზეთის ვებგვერდზე ახალი წესი შემოეღო და მკითხველებისთვის სარედაქციო მასალების კორექტირების საშუალება მიეცა. ამით მკითხველებმა ბოროტად ისარგებლეს და ვებგვერდი უცენზურო სიტყვებით გაავსეს. პროექტმა 3 თვე იმუშავა, რის შემდეგაც კინსლიმ გადადგომაზე განცხადება დაწერა.



გაგრძელება იხ. გვ 24

პროტოლეა



„ანა, არ ულალატო ალენას, რა. ის არ ეყოფა, რომ გაანაწყენე. მაგარი ტიპია და მაგრად მომწონს ეგ კაცი. მე შენს ადგილზე, მის წინადადებაზე დავფიქრდებოდი. აშკარაა, რომ უყვარხარ და ხელს ნუ ჰკრავ“.

„ანა, რაში გჭირდება ალენასთან ასეთი თამაში? უთხარი, რომ შენც მოგწონს და ამით ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მისი სახით მფარველიც გეყოლება და რჩევის მომცემიც. ეგ შენი ქმარი კი ცოტა ვერ არის, ხომ იცი. ლაშქარა“.

„მარი, ანას უთხარი, რომ მის თაყვანისმცემლებს შორის მეც ჩამწეროს. გოგო ვარ, კაცი არ ვეგონო, მაგრამ მისი ფანი ვარ. საინტერესო ადამიანია და მინდა, რომ ბედნიერი იყოს“.

„მე არაჩვეულებრივი კაცი ვარ, გახსოვვარ, მარი? შენი თავგადაკლული თაყვანისმცემელი ვარ. შემთხვევით, ანა შენ ხომ არ ხარ? თუ ვინმეს ოდესმე რაიმე სისულელე უთქვამს, ახლა მე გადავაჭარბებ და ყველაზე დიდ სისულელეს ვიტყვი: შენი ნაწერებით შემიყვარდი. იცი, როგორი წარმომიდგენიხარ? 30-ს გადაცილებული, დარბაისელი, სერიოზული, რომანტიკული ქალბატონი, რომელსაც დიდი ჭკუა და ლამაზი, მოციმციმე თვალები აქვს, მუდმივად სიკეთესა და სითბოს ასხივებს და მის გარშემო თავს ყველა არაჩვეულებრივად გრძნობს. დაანებე ანას თავი და შენი ბიოგრაფია დაწერე, კარგად გამოგივა. ქედს ვიდრეკ შენი ნიჭიერების წინაშე“.

ახლა კი ამბის თხრობას იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როდესაც შინ დაბრუნებულ ანას ყოფილი ქმარი გვერდით მიუწვა და მის ოთახში დაძინების ნებართვა სთხოვა.

დასაწყისი — „გზა“, №11-28

მარი ხაშარიძე

მახო მშვიდად სუნთქავდა, მე კი ვერა და ვერ დავიძინე. მისი მკლავისგან თავი ნელა გავითავისუფლე, საწოლის კიდესთან მივიწიე, მახოს მთლიანად მოვშორდი და როგორც იქნა, ჩამეძინა.

დილით თვალი რომ გავახილე, აღმოვაჩინე, რომ ისევ მახოს მკლავებში ვიყავი მომწყვდეული, თავი ჩემს ზურგზე ჰქონდა მოყრდნობილი და ტკბილად ეძინა. როგორც კი გავინძერი, მაშინვე გაეღვიძა.

— გამიშვი, — ვუბრძანე და ასადგომად წამოვიწიე. დამემორჩილა, ხელები გამიშვა და გემრიელად გაიზმორა.

— ასე კარგად დიდი ხანია, არ მძინებია, — სააბაზანოში მიმავალს თვალი გამომაყოლა.

— შენი გამკვირვებია, — თავი გადავაქნიე, შევჩერდი და გამოვხედე: — თუ ასე გიყვარდი, აქამდე სად იყავი? როგორ გაძელი უჩემოდ ამდენი წელი?

— გავძელი, მაგრამ ახლა უკვე ვეღარ ვძლებ.

— ახლა ყველაფერი გვიანია, ძვირფასო ყოფილო მეუღლევ, ახლა ჩვენი ურთიერთობის ძველ კალაპოტში მოქცევა გაგვიჭირდება. თანაც, მე სხვა მიყვარს და ჩემს გულში მის გარდა ადგილი არავისთვის არის, — ვთქვი, სააბაზანოს კარი მივხურე და საგულდაგულოდ ჩავკეტე.

კარგა ხანს ვინებივრე წყლის ჭავლის ქვეშ, თანაც, ველოდი, როდის გავიდოდა მახო ჩემი ოთახიდან, მაგრამ მოსულს, ის ისევ ნებივრად გადაწოლილი დამხვდა, ტელევიზორი ჩაერთო და უყურებდა. ყურადღება აღარ მიმიქცევია, სამზარეულოში ხალათით გავედი და ყავის მოდუღება დავიწყე. ოთახიდან მზიას ბუზღუნი ისმოდა, სალომეს რაღაცის გამო უბრაზდებოდა. ვიდრე ჩაიდანი ადუღდებოდა, მათთან გავედი.

— რა მოხდა? — საქმეში გართულ მზიას თავზე დავადექი.

— ცხელა, ეს კი გრძელმკლავიან მაისურს იცვამს, — მიმითითა სალომეზე და თვალი ამარიდა.

— დაანებე თავი, რაც უნდა, ის ჩაიცვას, — გამოვესარჩლე ბავშვს, — ყავას დალევ?

— დიახ, მე თვითონ მოგიდუღებ, — ისევ ამარიდა თვალი.

მივხვდი, რომ მისი გაანაწყენების მიზეზი მახოს ჩემს ოთახში ძილი იყო და მზია შემეცოდა. მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, მეც გავბრაზდებოდი.

— მე მოგიმზადებ, სალომეს კი ჩაის დავუსხამ.

მაგიდა უცებ გავაწყვე. მზია ჩემ პირისპირ დაჯდა და ხმას არ იღებდა.

— რა იყო, გაწყენინე რამე?

— არა, როგორ გეკადრებათ.

— როდის იყო, თქვენობით მომმართავდი? აშკარად ნაწყენი ხარ ჩემზე. მითხარი, რა ხდება?

— არაფერი, უბრალოდ, ცუდად მეძინა.

— რატომ, მახოსთან რომ არ გეძინა, იმიტომ? — ჯიქურ მივახალე.

მზია გაწითლდა, აიწურა, უხერხულობისგან აღარ იცოდა, რა ექნა.

— ნუ ინერვიულებ, მე ყველაფერი ვიცი და არ ვბრაზობ, რაც შეეხება მახოს, ის ჩემთან სალაპარაკოდ შემოვიდა, მერე კი იქვე, ტანისამოსიანად ჩაეძინა. ეჭვიანობის საბაბი არ გაქვს. ახლა სალომეს არდადეგები დაეწყება, საგზურს აგიღებთ და სამივეს დასასვენებლად გაგიშვებთ.

— სამივეს? — მის თვალებში უზარმაზარი გაოცება იკითხებოდა.

— ჰო, სამივეს, თუ მახომ მოისურვა, რა თქმა უნდა. თუ არა და შენ და სალომეს მაინც გაგიშვებთ.

— ანა, იცი...

— ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი და არაფრის ახსნა არ არის საჭირო. მე არც იმის წინააღმდეგი ვიქნები, თუ მას ცოლად გაჰყვები. სალომეს შენზე უკეთესი დედობილი ვერასოდეს ეყოლება. ამ ბინას დაგითმობთ, მე და სალო კი ახალ ბინაში გადავალთ. როცა მოგინდება, სალომესაც გამოვუშვებ თქვენთან.

— ძალიან მრცხვენია, ამას რომ მეუბნები. დაქორწინებას არ ვაპირებთ, ამაზე არც მიფიქრია, — ისევ გაწითლდა.

— ჰოდა, უნდა გეფიქრა. თუმცა, მახოსთვის ეჟვნის შებმა ცოტა გაგიჭირდება.

— დე, სკოლაში შენ წამიყვან? — თავზე სალომე წამოგვადგა და საუბარი შევწყვიტეთ.

— თუ ასე გინდა, მე წაგიყვან.

— იცი, ჩემი კლასელები შენზე გიჟდებიან, მაგარი დედა გყავსო, მეუბნებიან.

— შენც ასე ფიქრობ? — კალთაში ჩავისვი და გულში ჩავიხუტე.

— კი, მეც ასე ვფიქრობ. შენ მსოფლიოში საუკეთესო დედა ხარ, ყველაზე ლამაზი და ყველაზე გემრიელი.

— აბა, კლაუდია შიფერის შვილებს ჰკითხე, ვის ჰყავს ყველაზე ლამაზი დედა, — გამეღიმა მის სიტყვებზე.

— კლაუდია, ცნობილია, თორემ მასზე ლამაზი ნამდვილად ხარ, — დაამატა მზიამ.

— კარგი ახლა, თორემ დავიჯერებ, — გულიანად გამეცინა. — ისაუზმე და წავედით, მეჩქარება.

გზაში სალომე კარგა ხანს ჩუმად იჯდა.

— დე, ეჟვნის შებმა რას ნიშნავს? — მკითხა მოგვიანებით. მივხვდი, ჩვენი საუბრისთვის ყური მოუკრავს.

— ეჟვნის შებმა დამორჩილებას ნიშნავს, როცა ადამიანს შენს ჭკუაზე ატარებ და რასაც გინდა, იმას გააკეთებინებ.

ბავშვი ჩაფიქრდა. მისი გონება ალბათ გაგონილის ანალიზს აკეთებდა. ხელი არ შევუშალე და ფიქრი არ გავაწყვეტინე.

— მოვედით, — სკოლასთან დავამუხრუჭე.

— საღამოს შენ წამიყვანე, რა!

— ვნახოთ, თუ მოვიცალე, წაგიყვან, — შევპირდი.

— თუ მოიცალე არა, რაა, აუცილებლად წამიყვანე.

— კარგი, წაგიყვან.

— ახლა მე შენ ეჟვანი შეგაბი, არა? — გაიცინა სალომემ.

— ჰო, ასე გამოდის, — მეც გულიანად გამეცინა.

სამსახურში მისულს ერთი სული მქონდა, ალენას როდის ვნახავდი. მინდოდა, მის სახეზე წამეკითხა, გაბრაზებული იყო თუ არა გუშინდელი დღის გამო. კარგა ხანს ვიჯექი კაბინეტში და საბუთებში ვიქექებოდი, მაგრამ ალენა არა და არ ჩანდა. თავისი ჩვეული ღიმილით აღარ შემოუღია კარი და არ მოვუკითხივარ. ამასობაში დათომ ჩემთან შეხვედრა ინება და კაბინეტში დამიბარა.

მომიკითხა, იქაური ამბებითა და ჩემი შთაბეჭდილებებით დაინტერესდა და არც გაბოს მოკითხვა დავიწყებია. როგორც ჩანს, უკვე გაეგო, რომ ყველაფერი ვიცოდი.

— ანა, ჩვენ ისევ ძმაკაცებად ვრჩებით, ხომ? — მკითხა, როცა მისგან წამოსვლა დავაპირე.

— როდის ვიყავით ძმაკაცები?

— კარგი, ნუ მიბრაზდები, ყველაფერი კარგადაა, ვიცი, რატომაც ხარ გაბრაზებული და გპირდები, ასეთი რამ არ განმეორდება.

— რას გულისხმობ?

— მეორედ ასეთ დავალებას აღარ მოგცემ. იყავი, იმუშავე მშვიდად და ძმაკაცებად დავრჩეთ.

— ძმაკაცობა არ მინდა, იქნებ სხვა რამ მაქვს ჩაფიქრებული? — მაინც არ მოვიშალე და ძველ ტალღაზე დავდექი. რატომღაც, ძალიან მინდოდა, რომ ამ კაცს გულით შევყვარებოდი, ჩემზე ოცნებაში ღამეები ეთენებინა, მე კი მისი გრძნობებით ისე მეთამაშა, როგორც კატა ეთამაშება შესაჭმელად განწირულ თაგვს.

კაბინეტში დაბრუნებულს მაგიდაზე ფურცელი დამხვდა. ალენას განცხადება იყო, სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვდა. ფურცელი საგულდაგულოდ შევინახე და ტელეფონის ზარს ვუპასუხე. ნიკა იყო, ვიღაც ჩემთან აუდიენციას ითხოვდა და საშვის დაშვებას მთხოვდა. არც მიკითხავს, ვინ იყო, ნებართვა ისე მივეცი. ორიოდე წუთში კაბინეტის კარი გაბომ შემოაღო.

— ვაა, ეს ვინ მობრძანებულა! — მართლა გამიკვირდა მისი დანახვა.

— მომენატრე და მოვედი, ხომ ხედავ, ერთი დღეც ვერ გავჩერდი უშენოდ, — ხელი გამომიწოდა და საკოცნელად გამოიწია, მაგრამ კოცნის საშუალება არ მივეცი.

— შეგიძლია, ერთი წუთით დამელოდო? — წამოვდექი.

— თუნდაც, მთელი ცხოვრება, — მისი ღიმილი წრფელი მეჩვენებოდა.

მაგიდაზე დაგდებულ გასაღებს ხელი წამოვავლე, ოთახიდან გავედი, კარი გარედან გადავკეტე და კიბეზე დავეშვი. მანქანაში რომ ჩავჯექი, ტელეფონზე ალენას ნომერი ავკრიბე და ვთხოვე, ცოტა ხნით საქმეზე გამომყოლოდა. ორიოდ წუთში უკვე გვერდით მეჯდა.

ეზოდან დიდი სიჩქარით გავედი და ქალაქის გასასვლელისკენ გავწიე.

— სად მივდივართ, ანა?

— იქ, სადაც ღამღამობით მხოლოდ მგლები ყმუიან.

— და რას მიპირებ?

— მაგას იქ ნახავ, როცა ადგილზე მივალთ, — შევპირდი და სიჩქარეს მოვუმატე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ეის აღვილზე არჩევანის გაკეთება გაჭირდებოდა“

მაგდასა და მისი თაყვანისმცემლების ურთიერთობა გრძელდება. ვინც ახლა შემოგვიერთდა, ვეტყვი, რომ მაგდა ახალგაზრდა, გასათხოვარი გოგონაა, რომელსაც „გზამ“ ერთგვარ რეალურ შოუში მონაწილეობა შესთავაზა. მან თავისი მონაცემები გამოაქვეყნა და თაყვანისმცემლების გამოჩენას დაელოდა. ახლა მას მხოლოდ 2 მამაკაცთან აქვს კონტაქტი, მაგრამ მათ ერთმანეთის კოორდინატები არ იციან და მხოლოდ ჟურნალის საშუალებით ურთიერთობენ. უახლოეს ხანში მაგდა არჩევანს გააკეთებს და კავალერი შეხვედრაზე დაპატიჟებს. როგორ განვითარდება მოვლენები, ამის შესახებ მკითხველი აუცილებლად შეიტყობს. ახლა კი ჯერ მკითხველთა გამამხნევებელ მესიჯებსა და რჩევებს გაეცანით, რომლებსაც მაგდა დიდი ინტერესით ელის ხოლმე.

„ე.ი. გინეკოლოგს კოცნაც გაუგზავნე და სიხარულიც უწოდე, არა? ეს აპასნიც ახურებს, მაგრად და ნერვებს მიშლის. გამიფრთხილდი, ფისო, თორემ ინანებ. თუ ასე მოგწონს, მეც მოგიყვები რაღაცებს ჩემი ცხოვრებიდან. ჯერ შენი ამბავი დაასრულე. გეხუტები, ლამაზო და მშვენიერო. კაროლი“.

— რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ რამეს მომიყვები. რაც უფრო ახლოს გაგიცნობ, მით უკეთესი. რაც შეეხება ჩემს ამბავს, გავაგრძელებ: ერთი სიტყვით, ვატო ერთი კვირის შემდეგ გამოჩნდა. ბოდიში მოიხადა გაუჩინარებისთვის და ასეთი მიზეზი მითხრა: ჩემს გრძნობებში კარგად უნდა გავრკვეულიყავი და კონკრეტული გადაწყვეტილება მიმეღო. ამას კი დრო სჭირდებოდა და მეც იმიტომ დავიკარგე, ახლა კი უკვე ვიცი, რა მინდა და დავბრუნდიო. კი გამიკვირდა მისი საქციელი, მაგრამ აღარაფერი მითქვამს, რადგან მისი დაბრუნებით ისეთი ბედნიერი ვიყავი, აღარაფერი მაინტერესებდა. ერთადერთი, რაც ვკითხე, ის იყო, რა გადაწყვეტილება მიიღე-მეთქი? მე შენთან ყოფნა მინდა და რამდენიმე თვის მერე ვიქორწინებთ კიდეცო. სიხარულისგან მეცხრე ცაზე დავფრინავდი. მე და ვატო შევრიგდით და ცხოვრება ძველებურ რეჟიმში გავაგრძელეთ. ცოტა უცნაურად იქცეოდა, ჩემს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან შეხვედრას გაურბოდა და არც თავის ახლობლებს მაცნობდა.

კაროლ, წავედი, ისევ რეგლამენტი, ამხანაგო! გკოცნი და დროებით გემშვიდობები. მართლა მინდა, რომ შენზე რამე მომიყვე. მაგდა.

„მაგდა, აპასნი ვარ, როგორ ხარ? ნუ მებლატავები, თუ ძმა ხარ, რა. შენ რომ იცოდე, როგორი კარგი ბიჭი ვარ, ეგრევე ხელში ჩამადნებოდი. მაგ გინეკოლოგისა და კაროლის ბაიათებს რას უსმენ? შენ მეზღაპრეები კი არა, ნამდვილი მამაკაცი გჭირდება, ზვავივით რომ მოვარდება და ალერსით წაგლეკავს, თავს რომ დაგაკარგვინებს და ხელისგულზე გატარებს. იცოდე, ასე იოლად ვერ მომიშორებ, არ ვარ ფარ-ხმალის დაყრას შეჩვეული. იმ შენს თაყვანისმცემლებს კი ვეტყვი, რომ ცოტა ფრთხილად იყვნენ, ზედმეტი არაფერი გაბედონ, თორემ ხომ გახსოვს, რომ აპასნი ვარ“...

— რა თავში ვიხლი შენს მესიჯებს? ძალიან კი გათამამდი, ხომ იცი, ჩემი მეგობრული რჩევა იქნება — აღარ მომწერო და თავი დამანებო. წყალს ნუ ამღვრევ.

„რა არის, მარი, ყველა გოიმი კი არ უნდა გააბლატავო? ვინაა ახლა მაგდა თუ ვილაც ჯანდაბა? მაინც რით მიიქცია შენი ყურადღება? „გზა“ მაგადია, მაგდა — არა. :-) მიკალქალთ. ნატალი“.

„ერთი სიტყვით, მაგდას მეტი საქმე არ აქვს, არა? ამ კაცებს მაგრად ეკაიფება და მათ ვერ გაუგიათ. მაგდა, დავიჯერო, რომ მართლა გათხოვება გინდა?“

„მე მაგდას ორივე თაყვანისმცემელი ძალიან მომწონს. მის ადგილზე, არჩევანის გაკეთება გამიჭირდებოდა. ალბათ ცოტა ხანს კიდევ უყურებს შორიდან და საბოლოო გადაწყვეტილებას მერე მიიღებს. ხათო“.

„მარი, მაგდა არჩევანს რომ გააკეთებს და თაყვანისმცემელს შეხვდება, ჩვენ რა უნდა ვქნათ? როგორ გავიგებთ მათ ამბებს? პირობა მოგვეცი, რომ მოგვიყვები. შუხურა“.

„ისე, არც მე ვიტყოდი უარს, მაგდას ადგილზე ყოფნაზე. რა საინტერესო იქნება, არა? ალბათ ერთი სული აქვს, ორივე მამაკაცი ნახოს და არჩევანი ისე გააკეთოს. ლოკოკინა“.

„ეს აპასნი ვილა ოხერია? საიდან გამოძვრა, ნეტავ? აუჰ, მაგარი ვაუკაცი ვარო, იმის თქმა უნდა, არა? არაფერი გამოუვა და ტყუილად შერცხვება. „დავაი“, რა, აპასნი ხარ თუ ვილაც და აცადე გოგოს ცხოვრება“.

„მაგდა, ჩემი რჩევა იქნება, ორივე მამაკაცი ნახო და არჩევანი ბრმად არ გააკეთო. შესაძლოა, ბუნებით გინეკოლოგი სჯობია, მაგრამ იქნებ ფიზიკურად კაროლმა აჯობოს?“

„მაგდა, კაროლი აირჩიე, რა, მაგარი ტიპი ჩანს და მინდა, რომ მასთან იყო ბედნიერი. თვალყურს მთელი საქართველო გადევნებს და არ შეცდე, იცოდე“.

„ბიჭებო, მაგრად დადექით, იმ აპასნის არ მოუსმინოთ. „ნაგლია“, ვილაცა. მოვარდა გიჟივით და „პალაჟენიე“ უნდა, რომ დააყენოს. თქვენს ადგილზე მე მაგრად გავუხურებდი“.

„აქ ისეთი ამბავია, უკვე აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ამ აპასნის რაღა უნდა? ცხოვრებას არ გაცდიან, მოკლედ. მაგდა, ჩემკენ მოაპყარი შენი მშვენიერი თვალები და მისმინე: ვერ მოვითმინე და ბავშვის დედას იმ საღამოსვე დავუკავშირდი. რომ ვუთხარი, ბავშვი მოვძებნე და როცა ჩამოხვალ, მაშინვე გაჩვენებ-მეთქი, ლამის გული წაუვიდა. დანვრილებით გამომკითხა, როგორი იყო გარეგნობით, გამხდარი იყო თუ პუტკუნა, რა უყვარდა, რა სძულდა. რაც ვიცოდი, ვუთხარი. მეორე დღესვე დამადგა თავზე და ბავშვთან წაყვანა მთხოვა. მშობიარე მყავდა და ცოტა ხნით მოცდა ვთხოვე. იმავე ოთახში დარჩა, სადაც ქალს ვამშობიარებდი და თვალებგაფართოებული უყურებდა ახალი სიცოცხლის დაბადებას. გოგონა დაიბადა და დედამისს ბავშვი რომ დაანახვეს, თვალიც არ გაახილა. მერე ექთანს ჩასჩურჩულა, რაც შეიძლება, სწრაფად გამიყვანეთ აქედან და ბავშვი თვალით აღარ დამანახვოთო. შვილს ჩვენთან ტოვებდა და დედობაზე უარს ამბობდა. ისე აღვშფოთდი, მინდოდა, იქვე მომეკლა. ეს რომ ჩემმა სტუმარმა თავისი თვალით იხილა და თავისი ყურით მოისმინა, ტირილი დაიწყო. შემეხვეწა, ბავშვი გამატანეთ, ჩემს გოგონასთან ერთად მოვუვლი, ცივ ნიავს არ მივაკარებო. ახალშობილი ხელში აიყვანა და სიყვარულით დაჰყურებდა. შევპირდი, რომ ბავშვს მას გავატანდი. მაშინ სხვა დრო იყო და ყველაფერი იოლად ხდებოდა. საღამო ხანს ერთად გავემგზავრეთ იმ სოფლისკენ, სადაც მისი შვილი იმყოფებოდა. დედობილს ბავშვისთვის წინასწარ უთქვამს, დედაშენი გამოჯანმრთელდა და მალე მოვაო. როგორც კი გოგონამ უცხო ადამიანები დაინახა, „დედას“ ძახილით გამოიქცა და ქალს ფეხებზე შემოეხვია. დღემდე თვალწინ მიდგას მათი შეხვედრა, მერე დედობილთან დამშვიდობება. გოგონასთვის დედას ახალი ტანისამოსი ჰქონდა წამოღებული. იქვე ჩააცვა და თიჯინასავით გამოაწყო. ამის შემდეგ უკან დავბრუნდით, ქალს შევთავაზე, რამდენიმე დღით ჩემთან დარჩენილიყვნენ, ვიდრე ახალშობილის გატანებას შევძლებდი. სიხარულით დამთანხმდა. შინ გახარებული დავბრუნდი, მაგრამ იმ საღამოს თურმე ახალი სიურპრიზი მელოდა.

მაგდა, ერთი კვირით გემშვიდობები და შენს გამოხმაურებას ველი. გკოცნი, ტკბილო. რაც შეეხება ჩემს გარეგნობას, რომელიც გაინტერესებდა, დანვრილებით აღწერას არ დავიწყებ. გეტყვი მხოლოდ იმას, რომ ჭაღარა, სიმპათიური მამაკაცი ვარ და ვერავინ დამიწუნებს. აბა, დროებით, გინეკოლოგი“.



— გინეკოლოგო, ისე საინტერესოდ ჰყვები, ლამის შეხვედრა დაგინიშნო, რომ ამბავი ერთბაშად მომიყვე. კვირის განმავლობაში ძალიან მენატრები ხოლმე. არ დამივიწყო და ჩემზე ხშირად იფიქრე.

ყველაზე შეძლებულ მილიარდერად და ამერიკის მიერ ნავთობში გაცვლილი „ჩელსი"

ოლეგ დერიპასკა

მიხაილ ფრიდმანი


ალექსანდრ მორდაშოვი

ჟურნალ „ფორბსის" რეიტინგის მონაცემებით, მილიარდერების რაოდენობის მიხედვით, რუსეთი მსოფლიოში მეორე ქვეყანაა და ის მხოლოდ ამერიკას ჩამორჩება. პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში რუსეთის 87 მოქალაქეა. გასულ წელს მათი რაოდენობა მხოლოდ 53 გახლდათ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღნიშნულ სიაში, რუსეთმა პირველად დაიკავა მეორე ადგილი. სულ იოლად გადაუსწრო გერმანიას, რომელიც წლების განმავლობაში ინარჩუნებდა ამ საპატიო ადგილს 59 მილიარდერით. გასულ წელს რუსეთი მესამე ადგილზე გახლდათ და რუსი მილიარდერების საერთო ქონება 282 მილიარდად იყო შეფასებული. რუსეთის ყველაზე მდიდარ ადამიანად ოლეგ დერიპასკაა მიჩნეული, რომლის ქონება 28 მილიარდ დოლარს შეადგენს, თუმცა, ამბობენ, რომ მისი კაპიტალის რეალური ფასი 40 მილიარდი დოლარია. მსოფლიო რეიტინგით მას მეცხრე ადგილი უჭირავს.

დერიპასკამ რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანის ტიტული რომან აბრამოვიჩს წაართვა (23,5 მილიარდი დოლარი).

საერთოდ, პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანების ოცეულში რუსეთის 4 მოქალაქეა შესული. ზემოთ ნახსენები დერიპასკასა და აბრამოვიჩის გარდა, ალექსანდრ მორდაშოვი (21,2 მილიარდი დოლარი) და მიხაილ ფრიდმანი (20,8 მილიარდი დოლარი).

ბილ გეიტსი ყველაზე მდიდარი ადამიანი აღარ არის

ჟურნალ „ფორბსის" ვერსიის მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანის ტიტული ამერიკული ჰოლდინგური კომპანიის, Berkshire Hathaway-ს მფლობელს, უორენ ბაფეტს ეკუთვნის, რომლის ქონებაც 62 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. გეიტსმა უორენს ეს ტიტული 13-წლიანი ლიდერობის შემდეგ დაუთმო. ბაფეტმა, რომელიც გეიტსს რეიტინგის მიხედვით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, გასულ წელს თავისი ქონება 10 მილიარდით გაზარდა. გეიტსი, თავისი 58 მილიარდით მესამე პოზიციაზე გადავიდა, მეორე ადგილი კი მექსიკელ მედიამაგნატს, კარლოს სლიმს ერგო, რომლის ქონებაც 60 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

მდიდრები უფრო გამდიდრნენ და გაახალგაზრდავდნენ

მსოფლიოში 1125 მილიარდერია. გასულ წელს მათი რიცხვი 946 გახლდათ. მათ მიერ კონტროლირებადი საერთო კაპიტალი 4,4 ტრილიონს შეადგენს. მილიარდერების საშუალო ასაკი 1 წლით გაახალგაზრდავდა. ყველაზე მდიდარი ადამიანების 50% ჯერ 40 წლისაც არ არის. ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი კი 23 წლის ამერიკელი, მარკ ზაკერბერგია, რომელმაც სოციალური ინტერნეტ-ბადე შექმნა.

სიმდიდრის შოვნა ნებისმიერ ქვეყანაში და ნებისმიერ ბიზნესშია შესაძლებელი — ამბობს „ფორბსი" და ამის დასტურად მდიდრების სია მოჰყავს. მდიდრების სიაში კანონზომიერად შედიან ცნობილი ადამიანები — ჯორჯო არმანი და რალფ ლორენი; ნიუ-იორკის მერი და ბიზნესმენი, მაიკლ ბლუმბერგი; „ვარსკვლავური ომების" შემქმნელი ჯორჯ ლუკასი და მწერალი ქალი — ჯოან როულინგი, რომელმაც თავისი პირველი მილიარდი „ჰარი პოტერის" დაწერით იშოვა.

მსოფლიოში არსებული, 99 მილიარდერი ქალის სიაში ერთადერთი რუსი, ელენა ბატურინა (მოსკოვის მერის — იური ლუჟკოვის ცოლი) შედის. 45 წლის, კომპანია „ინტეკო"-ს მფლობელი წელს პირველად შევიდა მილიარდერების სიაში. ამავე სიაში არიან: ბრიტანელი კრისტინა

გრინი, ავსტრიელი ჰეიდი ჰოტენი, ჩინელი იანგ ხუანი, ესპანელი დები, ესტერ და ალისია კოპლოვიცები. აქვე წააწყდებით ჰინდ ჰარირის — ტერორისტების მიერ მოკლული, ლიბანის ექსპრემიერის, 24 წლის ქალიშვილის გვარს. მას მემკვიდრეობით 1,2 მილიარდი დოლარი ერგო და ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ოჯახურ სამშენებლო, მედია და საბანკო ბიზნესს წარმატებით უძღვება.

ყველაზე შრომისმოყვარე მილიარდერი

„ფორბსმა“ ასევე დაასახელა ყველაზე შრომისმოყვარე მილიარდერები. აღმოჩნდა, რომ „მაიკროსოფტის“ დირექტორი, სტივენ ბალმერი მილიარდერებს შორის ყველაზე შრომისმოყვარე ყოფილა. 51 წლის ბიზნესმენი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა თუ სამიტში, ესწრება ყველა, მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო შეხვედრას და არასოდეს ამბობს უარს, ნებისმიერ ქვეყანაში საკუთარი თვითმფრინავით გაფრენაზე, მხოლოდ იმისთვის, რომ იქ მცხოვრებ მოსახლეობას აუხნას, რატომაა „მაიკროსოფტი“ ყველაზე საუკეთესო. შრომისმოყვარე ბალმერი მაღალანაზღაურებადი მენეჯერი არ გახლდათ. გასულ წელს მისი ხელფასი წელიწადში 620 ათას დოლარს შეადგენდა და ამდენსვე იღებდა ბონუსის სახით. მიუხედავად ამისა, მილიარდერების სიაში ის 43-ე ადგილზეა.

ელენა ბატურინა

ჰინდ ჰარირი


სტივენ ბალმერი

მილიარდერებს შორის თითზე ჩამოსათვლელად არიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც ქონების შეძენა ნულიდან დაიწყეს და ზურგს ოჯახური ბიზნესი არ უმაგრებდათ. ერთ-ერთი მათგანი, ვინც გამდიდრება ნულიდან დაიწყო, ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი „კარტოფილის მეფე“, ჯონ სიმპლოტი გახლდათ, რომელიც საკუთარი მოღვაწეობის დასაწყისში შავ მუშად მუშაობდა.

აბრამოვიჩის ქონება უკანონოდაა შეძენილი

რომან აბრამოვიჩი 1966 წლის 24 ოქტომბერს, სიკტივკარში, „სოვნარხოზის“ (საბჭოთა სახალხო მეურნეობა) თანამშრომლის ოჯახში დაიბადა. წლინახევრის ასაკში დედა, ხოლო 4 წლისას მამა გარდაეცვალა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ის ბიძამ (მამის ძმამ) იშვილა და სკოლის დამთავრებამდე მოსკოვში, მასთან ცხოვრობდა. ახლობლები იხსენებენ, რომ რომანი ძალზე ზრდილობიანი, კომუნიკაბელური და ჭკვიანი ბავშვი ყოფილა.

ერთი ვერსიის თანახმად, ის ინდუსტრიულ ინსტიტუტში სწავლობდა; მეორე ვერსიით კი — ნავთობქიმიის ინსტიტუტში. თუმცა, ნავთობქიმიის ინსტიტუტში ამ ფაქტს არ ადასტურებენ.

პირველი ნაბიჯები ბიზნესში

აბრამოვიჩმა მუშაობა 1987 წელს, „მოსსპეცმონტაჟში“, მშენებლობის მექანიკოსად დაიწყო. თავად სიამოვნებით ჰყვება ხოლმე, ინსტიტუტში სწავლის პარალელურად როგორ ჩამოაყალიბა კოოპერატივი „უიუტი“. ის პოლიმერებისგან სათამაშოებს აკეთებდა. მეგობრები, რომლებთან ერთადაც კოოპერატივი ჩამოაყალიბა, აბრამოვიჩს ბოლომდე შემორჩნენ და მომავალში „სიბნეფტის“ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნა. კოოპერატივის დაშლის შემდეგ, ერთ-ერთ ბირჟაზე ბროკერად მუშაობდა.

კოოპერატივში დამზადებულ სათამაშოებს რუსეთის დედაქალაქის ბაზარზე ასაღებდნენ და კარგ მოგებასაც ნახულობდნენ. მოგვიანებით, 1992-95 წლებში მან 5 საშუამავლო ფირმა ჩამოაყალიბა. თავისი საქმიანობის გამო აბრამოვიჩი არაერთხელ მოხვდა სამართალდამცავი ორგანოების ინტერესის სფეროში. 1992 წელს მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დიზელის საწვავით სავსე, 55 ვაგონის გატაცების გამო. თუმცა, სასამართლო პროცესის შედეგები უცნობია. 1993 წელს რომან აბრამოვიჩმა ნავთობის გაყიდვას მიჰყო ხელი, მოგვიანებით კი მოსკოვში, შვეიცარიული ფირმის, RUNICOM S.A.-ს ფილიალის ხელმძღვანელად დაინიშნა.

აბრამოვიჩი და „სიბნეფტი“

დიდ ნავთობბიზნესში აბრამოვიჩის გადასვლა ბერ-

ეზოვსკის უკავშირდება, რომელიც იმხანად „სიბნეფტის“ დაუფლებისთვის იბრძოდა. 1995 წელს მათ ერთობლივი ფირმა ჩამოაყალიბეს.

მომდევნო 2 წელი აბრამოვიჩისთვის ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა: მან კიდევ 10 ფირმა შექმნა და ყველა მათგანს „სიბნეფტის“ აქციების შესაძენად იყენებდა. 1996 წელს ის „ნოიაბრსკნეფტგაზის“ დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შევიდა (ეს „სიბნეფტში“ შემავალი ერთ-ერთი კომპანიაა) და „სიბნეფტის“ მოსკოვის წარმომადგენლობის თავმჯდომარეც გახდა. „სიბნეფტის“ ხელში ჩასაგდებად აბრამოვიჩმა და მისმა კომპანიონებმა გამოცდილ მეთოდს — „საგირავნო აუქციონს“ მიმართეს. უნდა აღინიშნოს, რომ კანონით ასეთი ხერხით პრივატიზება დაუშვებელი გახლდათ.

1996 წლის სექტემბერში „სიბნეფტის“ სახელმწიფო პაკეტის 19%-ის საინვესტიციო კონკურსი შედგა. გამარჯვებული, აბრამოვიჩის მიერ დაარსებული ერთ-ერთი ფირმა აღმოჩნდა. იმავე წლის ოქტომბერში კი კიდევ 15% შეიძინა. 1997 წლის მაისში სახელმწიფომ „სიბნეფტის“ 51% გაყიდა, ის კვლავ აბრამოვიჩის ფირმამ შეისყიდა და აღნიშნული ფირმის დირექტორთა საბჭოს წევრი გახდა.

ჩუკოტკის გუბერნატორი

2000 წელს მან ჩუკოტკის გუბერნატორის თანამდებობაზე კენჭი იყარა და გაიმარჯვა კიდეც. 2005 წელს პრეზიდენტმა აღნიშნულ თანამდებობაზე მისი კანდიდატურა ხელმეორედ წარადგინა. დუმის დეპუტატებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს. აღსანიშნავია, რომ აბრამოვიჩმა საკუთარი სახსრებიდან 18 მილიონი დოლარი ჩუკოტკის მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად გამოყო. არსებობს რამდენიმე ვერსია, თუ რატომ მოისურვა აბრამოვიჩმა ჩუკოტკის გუბერნატორობა. მისი თქმით, უბრალოდ, ჩუქჩები ებრალებოდა. სხვა ვერსიის თანახმად, მისი დანიშვნა პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რითიც ის ლეგალური პოლიტიკოსი გახდა. არსებობს კიდევ ერთი, ეკონომიკური ვერსია, რომლის თანახმადაც, მომავალში ჩუკოტკის ტერიტორიაზე ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ოქროს მოპოვებას აპირებენ. ჩუკოტკის კიდევ ერთი ბიორესურსი, რომელიც შესაძლოა, აბრამოვიჩის ინტერესებში შედიოდეს, თევზი გახლავთ.

პირადი ცხოვრება

აბრამოვიჩის პირველი ცოლი ოლგა გახლდათ, რომელთანაც დიდი ხნის განმავლობაში არ უცხოვრია. მეორე ცოლთან — ირინასთან მან 15 წლის განმავლობაში იცხოვრა და 5 შვილი შეეძინა. როგორც ამბობენ, აბრამოვიჩის წარმატებული ბიზნესი სწორედ მისი დამსახურებაა და ერთ-ერთი, ყველაზე სარფიანი გარიგება სწორედ მისი რჩევით შედგა.

ქონება

აბრამოვიჩი „სიბნეფტის“ 80%-ს, „რუსსკი ალუმინის“ 50%-ს და „აეროფლოტის“ 26%-ს აკონტროლებს. მის საკუთრებას წარმოადგენს ელექტროსადგურები, ქაღალდის კომბინატები, მსუბუქი და სატვირთო მანქანების დამამზადებელი ქარხნები, ბანკები და სადაზღვევო კომპანიები. როგორც ამბობენ, ის რუსული ბიზნესის 34%-ს აკონტროლებს.

აბრამოვიჩი და „ჩელსი“

2001 წლის ივლისში აბრამოვიჩმა უძველესი ინგლისური საფეხბურთო კლუბის, „ჩელსის“ საკონტროლო პაკეტი შეიძინა და მისი 140-მილიონიანი ვალიც გამოისყიდა. ლონდონის ბირჟაზე გატანილი, კლუბის აქციების ფასი სამჯერ გაიზარდა. ჩუკოტკის გუბერნატორის მიერ უცხოური კლუბის შეძენას რუსეთსა და ინგლისში დიდი რეაქცია მოჰყვა. დადიოდა ხმა, რომ სენსაციური კონტრაქტი მხოლოდ იღბლიანი პიარაქცია იყო. სხვა ვერსიის თანახმად კი ეს გახლდათ აბრამოვიჩის პირველი ნაბიჯი სპორტულ ბიზნესში. მას ახლა „ცეესკას“ მხარდაჭერა აქვს გადაწყვეტილი. მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამ კლუბისთვის გამოყოფილი სასპონსორო თანხა 54 მილიონი დოლარი იქნება.

რომან აბრამოვიჩის ბიოგრაფია ინგლისურ ენაზე უკვე გამოვიდა. ინგლისელმა შოუ-პროდიუსერმა, ბილი გაფმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო დაინტერესებული როკმუსიკოს როდ სტიუარტით, მწერლის, კრის ჰატჩინსისგან შეიძინა უფლება წიგნზე — „აბრამოვიჩი: მილიონერი არსაიდან“ და მასზე მიუზიკლის შექმნა გადაწყვიტა. ბილს გადაწყვეტილი აქვს მუსიკა ელტონ ჯონს შეუკვეთოს. პროდიუსერის ჩანაფიქრით, მიუზიკლმა ევროპის სცენა უნდა დაპყროს.

მზეკვირლები

17.07. – 23.07.2008

უჩვეულო სიტუაცია

კარაქით სავსე ჭა და მამალი ვირის ოინი ანუ შორიდან ასე ჩანდა

უჩვეულო სიტუაციაზე ჩემზე მეტი მოსაყოლი ვის ექნება, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უჩვეულო თქვენ ხართ — ჩემი მგზავნელები, ამდენი უცნობი, მაგრამ ძალიან ნაცნობი და ახლობელი ადამიანი. ვის აქვს ასეთი მშვენიერი, ვირტუალური ქალაქი, თავისი მშვენიერი მცხოვრებლებით? ვის უხსნიან დღეში ასვჯერ სიყვარულს? ვინ ათენებს კვირაში 4 ღამეს იმისთვის, რომ ამ ქალაქმა იარსებოს და გაიზარდოს? რა თქმა უნდა — მე! ჰოდა, ამაზე უჩვეულო რალაა? მოსაყოლი კი იმდენი მაქვს, რომ ჩემი უჩვეულო სიტუაციების დასაწერად მთელი ცხოვრება არ მეყოფა. ჰოდა, როცა ექსპრეზიდენტივით „სახლში წავალ", დავჯდები და მემუარებს დავწერ. ახლა კი თქვენს უჩვეულო სიტუაციებს გავეცნოთ.

მარი Хაშარიძე

ბაფთიანი ბებო

„ზაფხულის ცხელ დღეს დედის ბებია ეზოში, ლეღვის ხის ჩრდილს შეჰფარებია და იქვე ჩასძინებია. დედას კი (მაშინ 12 წლის, ცელქი და მოუსვენარი ბავშვი ყოფილა) შავებში ჩაცმული, მძინარე ბებოსთვის თმაზე წითელი ბაფთა შეუბამს. ბებოს რომ გაუღვიძია, მეორე უბანში, ნათესავთან გადასულა საქმეზე და თან დაუჩივლია — რა ვიცი, ქაა, ცუდ ფეხზე გავიღვიძე თუ ეს ხალხი გაგიჟდა? ჩემს დანახვაზე მეზობლები თვალებზე ხელს იფარებდნენ და პირს იქით აბრუნებდნენო. ავიშვიშებული ბებია ნათესავს სიცილით დაუწყნარებია — ქაა, იმათ კი არა, მეც გიჟი მეგონე, როცა სააღდგომო ბატკანივით წითელბაფთაშებმული მოგოგმანდი, ეს ქვრივი ქალიო. უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩენილი ბებია კი ხელჯოხით გამოჰკიდებია დედას. ბებოს კი ნათესავი მოსდევდა ყვირილით — ქალო, მაშოოო, ეგ წითელი „ბანტი" მაინც მოიხსენი, ქაა... უკან კი ხალხის მხიარული სიცილი მისდევდა. P.S. ახლა დედა ქვრივია,

ნეტავ, იგივე ამბავი რომ მოვუწყო, რას მიზამს? ან ვის გენეტიკას დააბრალებს? განძის მაძიებელი“.

„მოდი, მომახტი“

„ამას წინათ, ბებიას დაქალი ჰყავდა სტუმრად. ჩემი ბიძაშვილი, ნინო, სტუმრად მიდიოდა. ვიდრე წავიდოდა, ბებოს და სტუმარს დაემშვიდობა. ამ დროს ბებოს დაქალი მას დაჭყეტილი თვალებით უყურებდა. ნინო მიხვდა ქალის გაკვირვების მიზეზს, სტუმარმა კი არც აცია, არც — აცხელა და პირდაპირ უთხრა: შვილო, ამ შარვალს ატლასის შარვალი კი არა, „მოდი, მომახტი“ უნდა ერქვასო. ტოპოლინა“.

კარატისტი

„უჩვეულო სიტუაციაში ჩემი ნაცნობი ბიჭები აღმოჩნდნენ. ამ ორიოდე წლის წინ, ზაფხულში, ჩვენს სოფელში, ერთი ქალაქელი, უცხო გოგო ჩამოვიდა. ისეთი ლამაზი იყო, მთელი კვირა იარეს ბიჭებმა დასიცხული ძაღლივით დაქაჩული თვალებითა და გადმოგდებული ენით. მერე ერთს აზრად მისი მოტაცება მოუვიდა და ორღობეში მიმავალ გოგოს 5 ბიჭი ავტომანქანით წინ აესვეტა. გოგოს წარბიც არ შეუხრია (რა იცოდნენ საცოდავმა ბიჭებმა, რომ 6 წლიდან კარატეზე დადიოდა ეს მზეთუნახავი). ისე სცემა საწყლები, ზოგი ღობეზე გადაკიდა, ზოგი კი ტყლაპივით გააკრა მიწაზე. მძღოლი მანქანიდან არ გადმოსულა შიშით, მაგრამ გოგომ არც ის დაზოგა. გასაქცევად მომზადებულს, თავს დაესხა და იმდენი ახლევინა საჭეზე თავი, ერთი კვირა შუბლზე წითელი რკალითა და უცხოპლანეტელის თეფშივით გაბრტყელებული თავით იარა საბრალომ. მერე მობრუნებულმა იკითხა — რომელს ვუნდოდი ცოლადო? როცა „საქმრომ“ იმედის თვალით გახედა, ისეთი ჩააზილა ფეხი

ერთ ადგილას, მეეჭვება, ოდესმე მის სახლში ბავშმა დაიჭყავლოს. უკვე მეორე წელი მიდის, რაც იმ სოფელში მოტაცების შემთხვევა არ დაფიქსირებულა. P.S. იმ სოფლის ყველა გასათხოვარი მანდილოსნის სახელით, მადლობა იმ კარატისტკას. კამელია“.

ამდგარი მიცვალებული

„ჩვენს სოფელში ერთი მოხუცი მასწავლებელი, ნადია მოკვდა. ეს ქალი ისე იყო მარილებისგან მოკაკული, რომ კითხვის ნიშანს ჰგავდა. კუბოში რომ ჩააწვინეს, ხელი და ფეხი აშვერილი დარჩა. შვილებს შეებრალათ, თოკებით, ძალად გამართეს და მაგრად დააბეს. ჰოდა, დადგა გასვენების დღე და როცა პროცესია სასაფლაოსკენ დაიძრა, რყევა-რყევაში, როგორღაც თოკები გაიხსნა და ჩვენი ნადია ამაყად წამოიმართა თავის სასახლეში. ალბათ „იმერულ ესკიზებში“ გინახავთ, — მიცვალებული ადგაო! ეგ რაა? იქ უფრო მაგარი ამბები მოხდა. მოისროლეს საცოდავი ნადია და ვინ საით გარბოდა და ვინ ვის თავზე გადადიოდა, კაცი ვერ გაიგებდა. ბოლოს კი გაირკვა ყველაფერი და არც მიცვალებული დარჩენილა დაუმარხავი, მაგრამ ამ

მამალი ვირი

„უჩვეულო სიტუაცია მედპერსონალს თუ არა, სხვას ვის უნდა შეხვდეს? რომელი არსების მიერ დაკბენელი პაციენტი არ მყოლია — ძაღლის, კატის, ვირთხის, ზაზუნას, ღორის და „დაჟე“ — ცოყვის. ერთ დღეს კი ვირის დაკბენილი კაციც მოიყვანეს. რა თქმა უნდა, ვაქცინაცია ჩავუტარეთ და თან გამოვკითხეთ, როგორ და ვისმა ვირმა დაკბინა. აღმოჩნდა, რომ ამ კაცს დედალი, თეთრი ვირი ჰყოლია, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. იმ დღეს კი მინდორში დაბმულს, მეზობლის მამალი ვირი წამოჰპარვია. ჰოდა, პატრონი გაგანია სიყვარულობის დროს წამოსდგომია თავს. მან თავისი დედალი ვირის შეურაცხყოფა ვერ მოითმინა და სახრის ქნევითა და ყვირილით მივარდა „გასაშველებლად“. ამ გაწევ-გაშველებაში, გამიჯნურებულ-გადარეულმა მამალმა ვირმა გვარიანად დაწიხლა და დაკბინა. ღიმორეულები ვუსმენდით, როცა უცებ ერთმა დარბაისელმა ექიმმა ხმამაღლა ჩაილაპარაკა: იმ მამალი ვირის ადგილზე მარტო კბენით არ დავკმაყოფილდებოდიო. ფინტიკოზა“.

უჩვეულო გასვენებით ნადიამ უკვდავება მოიპოვა (ყველა ხომ გამუდმებით ამ ამბავს იხსენებს). კამელია“.

ქართველები

„ერთ უჩვეულო და „სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა“ სიტუაციას მოგიყვებით. ამ 2 თვის წინ უნივერსიტეტში „ახალგაზრდული გაერთიანება 1978“-ის აქცია მოეწყო სახელწოდებით — „დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე!“ უნივერსიტეტიდან რომ გამოვედი, ერთ-ერთი აქტივისტი ბიჭი მომიახლოვდა, ფერადი ბუშტები გამომიწოდა და მითხრა — მაგარ „ვიდზე“ ხარ, მაგარი „ზმანი“ ხარ და „ვაფშემც“ მაგრად დამევასეო. წარმოიდგინეთ, რომ ის ბიჭი და მისნაირები ქართული ენის სიწმინდის დაცვას გვასწავლიან. პენსიონერი“.

შურისძიება

„ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი და რა გამეფუჭებინა, მხოლოდ იმას ვფიქრობდი. ზაფხული იყო და ბებია-ბაბუასთან ვისვენებდი. ჰამაკში ვიწექი და სუფთა ჰაერზე წიგნს ვკითხულობდი. მოვიდა ნასვამი მამიკო და მყუდროება დამირღვია — წამომაგდო ჰამაკიდან და თვითონ ჩაწვა. ძალიან გავბრაზდი. ჰოოდა, ერთი მხრიდან ჩამოვხსენი ჰამაკი და ბრახ, მამიკო! :-) თათია“.

„ლოსტი“

„ახლა ზღვის ნაპირზე ვსხედვართ, ტალღებია და ამიტომ ზღვაში მხოლოდ გაბედული მამაკაცები თუ შედიან. ჰორიზონტზე გემი გამოჩნდა. მე წარმოვიდგინე, რომ უკაცრიელ კუნძულზე ვარ, სიხარულისგან ფეხზე წამოვხტი და ხელის ქნევა დავიწყე. გვიან შევნიშნე კაცი, რომელიც ჩვენ პირდაპირ ცურავდა, გაკვირვებული მიყურებდა — საიდან მიცნობს ეს ქალიო. თანაც, ჩვენ გვერდით თურმე მისი ცოლი იჯდა და სასწრაფოდ გამოცურა ზღვიდან. ამაზე ბევრი ვიხალისეთ. გემმა კი ისე გადაცურა ჰორიზონტი, ვერც შემნიშნა. ის კაცი და მე მაგარ უცნაურ სიტუაციაში აღმოვჩნდით. აბლახანუმი“.

შეცდომა

„სოფელში, ჩემს მეზობლად თბილისელი გოგო იყო გამოთხოვილი. ჰოდა, ჩემმა ძმაკაცმა შეაბა და იყო მთელი ამბები... ზაფხულობით დასასვენებლად ჩამოდიოდა მისი რძალი და მისი შებმა არც მე გამჭირვებია. დავამუღამეთ, რა, რძალ-მული — ძმაკაცებს გვყვარობდნენ. ერთხელ, ღამით ამ ორის გარდა სახლში არავინ იყო. ნუ, რა თქმა უნდა, გადავიპარე (ჩემი ძმაკაცისთვის ჯერ არ მქონდა ნათქვამი, მისი ნაშის რძალთან თუ დავძვრებოდი). იქ რამდენიმე ხანს დავყავი და შინ წასასვლელად მოვემზადე. კარში გამოვდიოდი და ბრახ, ბრახ, ბრახ! — ვიღაცამ სახეში რამდენჯერმე, რაღაც წამებში მხია და გაიქცა. გამოვეკიდე, მაგრამ ვერ დავეწიე. მეორე დღეს სახეზე „ფინგალი“ მედო. ძმაკაცს რომ შევხვდი, მკითხა, რა მოგივიდაო და მაშინ აეხადა ყველაფერს ფარდა. თურმე, იმ ღამეს ისიც თავის ნაშასთან მიძვრებოდა, იმ გოგოს ქმარი ვგონებივარ და დამალილავა. მაფიოზა“.

გამომცდელი

„უჩვეულო სიტუაციაში 2 კვირის წინ აღმოვჩნდი ბოლო გამოცდაზე. უნივერსიტეტში ერთ ბიჭს მოვწონვარ. იქ მუშაობს, მაგრამ არ დავასახელებ, თუ რა თანამდებობაზე. ჰოდა, შევდივარ უკვე დაწყებულ გამოცდაზე (როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც დამაგვიანდა) და რას ვხედავ? კათედრასთან ეს ყმაწვილი დგას და გამოცდას ატარებს (ლექტორი ცუდად გამხდარა). ჯერ მე გამიფართოვდა თვალები მის დანახვაზე და მერე — მას. კიდევ კარგი, წერითი გამოცდა იყო. მთელი გამოცდა გაწითლებული იჯდა და ცდილობდა, ჩემს დამცინავ მზერას გაჰქცეოდა. იმან არ ვიცი, მაგრამ მე კი მაგრად ვიხალისე. :) პენსიონერი“.

უსაქმური

„ქუთაისში, სასტუმრო „თბილისის“ წინ რამდენიმე მანქანა იდგა. „ვოლგაზე“ ერთი ქუთაისელი იყო მიყრდნობილი. მივიდა პატრული და უთხრა — აქ მანქანის დაყენება არ შეიძლებაო.

— არ მაინტერესებს, — მიუგო ქუთაისელმა.

— გიმეორებთ, აქ მანქანის გაჩერება აკრძალულია! — გაცხარდა პატრული.

— რა ჩემი საქმეა?

— უყურე, ახლა რას ვიზამთ და შენს თავს დააბრალე, — დაემუქრა წესრიგის დამცველი.

— წადი, კაცო, რას შემომიჩნდი? — შუბლი შეკრა ქუთაისელმა.

— მასე, ხომ? — პატრულმა „ვოლგას“ ორივე ნომერი მოხსნა. — ახლა რაღას იზამ? — ჰკითხა „დაზარალებულს“.

— სხვა მანქანას მივეყრდნობი, — მიუგო მან. ოლეგარიო“.

ადამიანი გაცილებით ტკბილია, ვიდრე შედნიერებისთვისაა საჭირო.

თაფლის კასრი

„უჩვეულო სიტუაციაში რამდენჯერმე ვინმეს („მობილი-ზაციიდან“ ხომ გახსოვთ?) გამო აღმოვჩნდი. დაინტერესებული რეჟისორი მაგარ სერიალს გადაიღებდა, მე კი დრამატურგობას დავჯერდები და სერიალ „ცხრაკლიტულში გამოკეტილი სიყვარულის“ პირველ სერიას მოგიყვებით. გრუზინკა ტელეფონით გავიცანი. ჩემი სახლის წინ, ქუჩაში ვიდექი, ჩემი მისამართი ვუკარნახე და მეორე დღეს სტუმრად დავპატიჟე. მოშორებით სწორედ ის ვინმე იდგა და რომ დარწმუნდა, გოგოს ვებაზრებოდი, იმ ღამით 2 მეტრის სიმაღლიდან სახლზე მიკრული ნომერი ჩამომიხსნა და დამიმტკიცა, რომ შეყვარებული ადამიანები მაღლა-მაღლა დაფრინავენ. მეორე დღეს კი გრუზინკას მთელი ნერვები და დეპოზიტი ჩემთან საუბარს და მისამართის გარკვევას შეეწირა. გაცეცხლებულმა, მის მოტანილ ტორტს პირი ვერ დავაკარე და ქაღალდზე დაწერილი მისამართი 4 მეტრის სიმაღლეზე, ხელახლა გავაკარი. მეორე სერია უფრო კურიოზულია: ვინმეზე სხვაუბნელ ბიჭს ეკეტება ჭკუა და მარადიული სამკუთხედიდან ჩემი განდევნა პრიმიტიული, მაგრამ ეფექტური ხერხით



ოპტიკური ილუზია

თუ 15 წამის განმავლობაში ფოტოს დააკვირდები, აუცილებლად დაინახავ ნავსაც

სცადა. პოპულარულ ჟურნალში და არანაკლებ პოპულარულ ტელეარხზე მიუთითა და ჩემი სახელით განცხადება გააკეთა, რომ ვარ თაფლის კასრი და ბუზები ბაღდადიდანაც მოფრინავენ და აქაურმა გოგოებმა იაქტიურონ, თორემ ისე დამკარგავენ, რომ თაფლის გემოს ვერ გაიგებენ. მოკლედ, უკეთეს დახასიათებას ხანუმაც ვერ გარეპავდა. ჩემს მობილურზე ისეთი ამბავი ატყდა, რომ სტატისტიკური მონაცემების სიყალბეში დავრწმუნდი და მივხვდი, რომ 300 ქალზე (ვთავმდაბლობ, თორემ მეტია) ერთი კაცი მოდის (მაინც, როგორ ჰყვარებიათ გოგონებს თაფლი?!). ამიფეთქეს ტელეფონი ადგილობრივმა და საბერძნეთ-გერმანიის ემიგრანტმა გოგონებმა. ნაირ-ნაირი ზომის, წონის, ფერის, შარმის მქონენი მთავაზობდნენ გულს ნისიად, ბითუმად, განვადებით და „ნატურში“. ჩემს კონტრარგუმენტებს ვინ მოუსმინა? ისეთ მაღალ ძაბვაზე იყვნენ ჩართულები, ღამის გადამწვეს მეც და ჩემი დეპოზიტიც. ვინმე კი არა და, თავი აღარ მახსოვდა. ამ ამბიდან 4 თვე გავიდა და დაგვიანებული მკითხველები დღესაც მწერენ, მირეკავენ, იპოვე, ის ერთადერთიო? განძის მაძიებელი“.

„თქვეჩემისა“

„დედაჩემის მამიდა მაგარი „პრიკოლაა“. ადრე „თქვეჩემას“ ვეძახდი. ახლა იმანაც დამიმუღამა და სტუმრად რომ მივალ, მეუბნება: — ვა, მიშკა, მოხვედი, „შეჩემა“?! ერთხელ სტუმრად მყავდა. ჰოდა, დილას გამაღვიძეს, სკოლაში წადიო. მაშინ VIII კლასში ვიყავი. არ წავალ, ცუდად ვარ-მეთქი. ბოლოს, რომ არ მომეშვნენ, გადავვარდი და „გული წამივიდა“. ამ დროს ბებო აყვირდა — ჩქარა, მიმიშვით, ხელოვნური სუნთქვა უნდა ჩავუტაროო. რომ მივხვდი, ბებოს „ზასი“ უნდა დაეცვა, წამოვხტი. დავავლე მის საფულეს ხელი და სკოლაში მოვწეწე. მივრბივარ და მომდევს, მეწევა უკვე. ამ დროს გვერდით ჩამირბინა მეზობლის ბიჭმა და მომაძახა — ბიჭო, გეწევა და სავარცხელი გადააგდეო. სავარცხელი არა, მაგრამ ფული ამოვიღე და საფულე გადავუგდე. მაშინ კი მომეშვა, ჩემი „პრიკოლა“ ბებო, მააააშ! მოკითხვა პრინცესას. 9717“.

მისტიკა

„უჩვეულო სიტუაციაში ბებიაჩემის გამო ხშირად აღმოვჩენილვარ. თავიდან ბოლომდე „ანტიკვარი“ ქალია, მაგრამ ახლა რასაც მოვყვები, მისტიკა გეგონებათ. ზამთრის ერთ ბნელ ღამეს ვეძებთ ბებოს და ვერსად ვპოულობთ. მოვიარეთ სახლი, კარი, ეზო, ღობე-ყორე, ქალი არსადაა. ბოლოს, შევიხედეთ ოთახში და ძირს არ გდია?!. ავიყვანეთ და დავაწვინეთ ფრთხილად ლოგინზე. გონზე არაა ქალი, მაგრამ თბილი აქვს სხეული. იმ ღამეს ვუდარაჯეთ, მაგრამ შიშით კინაღამ დავიხოცეთ. მეორე დღეს, შუადღისას, როგორც იქნა, გონზე მოვიდა და დაიწყო თავისი ამბის მოყოლა, სად იყო ამდენი ხნის განმავლობაში. ვუსმენდი და ვფიქრობდი, ბებიაჩემმა საბოლოოდ გაუბერა-მეთქი. აბა, რა უნდა მეფიქრა? თურმე

ხველა – ქართული

„ჩემი მეზობელი პატარა იყო, როცა საცხოვრებლად რუსეთში წავიდა. ერთ ზაფხულს ჩამოვიდა და საბავშვო ბაღის ამბები გამოვკითხეთ. რუსული კარგად არ იცოდა ჯერ და გვითხრა — ის ბავშვები ქართულად მარტო ახველებენ და იცინიანო. ახლა დიდია და ამ ამბავს ხშირად ვახსენებთ ხოლმე და იცის, რომ ხველება და სიცილი ყველა ენაზე ერთია. აბეზარა“.

ქალი სამოთხეში ბრძანდებოდა, თავისი ქმარ-შვილი უნახავს და ათასი, მსგავსი სისულელე. უცებ სიცილი წამსკდა და ვუთხარი: ე, ბები, ახლა კი დაგვერხა-მეთქი. გაბრაზებული მომიბრუნდა და მომახალა — იქ დარჩენა მინდოდა, მაგრამ პაპაშენმა ჯოხი მომარტყა და გამომაგდო, თუ არ გჯერა, იმ ადგილს გაჩვენებო. აიწია კაბა და მართლა ჰქონდა ერთ ადგილზე სილურჯე. რა უნდა გვექნა? გვინდოდა თუ არა, უნდა დაგვეჯერებინა და ასეც მოვიქეცით. თუმცა, ამ შემთხვევის შემდეგ ხშირად „დატასაობს“ სამოთხეში, მაგრამ უკან ყოველთვის მშვიდობით ბრუნდება. ჰოდა, ამიტომაა 103 წლის. გრუზინკა“.

უზრდელი

„ცოტა სევდიანი და ჩაფიქრებული, ჩქარი ნაბიჯით მივდიოდი ქუჩაში. 15-16 წლის ბიჭმა ველოსიპედით ჩამიქროლა და კინაღამ დამეჯახა. ვერ მოვითმინე და მივაძახე:

— არ შემაჯდა?! იდიოტი!

მან ველოსიპედი მოაბრუნა, ნელი სვლით გამისწორდა და მითხრა:

— მშვენიერო, კი არ შეგაჯექი, კინაღამ დაგეჯახე, მაგრამ არც მაგაზე ვიტყოდი უარს...

არ მახსოვს, როგორ ჩავუტარე კარატეს რამდენიმე ილეთი, როგორ გადმოვარდა ველოსიპედიდან და როგორ ამოვარტყი წიხლი „გამანაწილებელში“, მაგრამ მისი საცოდავი სახე და გახეთქილი ტუჩი კარგად დამამახსოვრდა. კახელო-616“.

პუტკუნა ბებო

„ძალიან პუტკუნა ბებო მყავდა. ჰოდა, ერთხელ პაპას გაუარა გვერდზე, შემთხვევით მხარი გაჰკრა და ააყირავა. — პაპა, ცოტა წონაში თუ არ დააკლებინე, ცუდადაა შენი საქმე-მეთქი, ვუთხარი. — რას ამბობ შვილო, შენ ახალგაზრდობისას უნდა გენახა, რამხელა იყო, სამ ტანგას რომ იყიდდა, გადაკერავ-გადმოკერავდა და თავის ზომა ერთი გამოჰყავდაო. 9717“.

ლენგიზა

„ჩვენთან ერთი კაცი ცხოვრობს, ლენგიზა ჰქვია. ამ კაცს ჰყავს ცოლი, შვილი და რძალი. ამაში გასაკვირი რა არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ლენგიზას და მის შვილს დედა-შვილი ჰყავთ ცოლად. ამდენი ხანია მათ ვიცნობ და ახლაც არ ვიცი, ეს 4 ადამიანი ერთმანეთისთვის ვინ არის. შეწირული“.

ოჯახში, წესრიგისთვის
ერთი ქალია საჭირო.
უწესრიგოებისთვის — ორი.

შორიდან ასე ჩანდა

„საქმე ეხება ჩემს მეგობარს, 35 წლის მამაკაცს, ძალიან კარგ ადამიანს. ბიჭს და გოგოს სიყვარულით შექმნილი, მშვენიერი ოჯახი ჰქონდათ (ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანდა). დაოჯახებამდე მშვენიერი შეყვარებულები იყვნენ (ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანდა). ერთმანეთს თვალებში შესციცინებდნენ. მოკლედ, კარგი ბიჭი და გოგო იყვნენ (ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანდა). დაოჯახების შემდეგ ასევე კარგი შვილი შეეძინათ; ძალიან კარგი, ლამაზი, ჭკვიანი (ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანდა). იდეალური ოჯახი ჰქონდათ (ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანდა) და მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებად ვიფიქრებდით — გაშორდნენ! ვერ ვიჯერებდი და დამაჯერეს. თურმე, ერთ-ერთი ჩვეულებრივი, ოჯახური კამათის დროს ბიჭს თავი ვერ გაუკონტროლებია და გოგოსთვის ხელი გაურტყამს. წავიდა გოგო მშობლების სახლში, დამცირებული და შეურაცხყოფილი. ვერ გაამტყუნებ გოგოს, შეცდა ბიჭი, დააშავა, დაინგრა ნაფერები ოჯახი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ახლა იწყება. მიხვდა ბიჭი, რომ შეცდომა დაუშვა, მართლა მიხვდა და ძალიან ნანობს. შეცდა და დამსახურებულად დაისაჯა. გულჩათხრობილი გახდა. ჩაფიქრდება, ფიქრებში წავა და ამოოხვრას გულს ამოაყოლებს ხოლმე. ბევრჯერ შეუთვალა გოგოს მიყვარხარო და შერიგებაც სთხოვა, მაგრამ... ვერ გაამტყუნებ გოგოს, საშინლად შეურაცხყოფილია... ის გოგო ალბათ კითხულობს „გზავნილებს“ და თუ საშუალებას მომცემს ავუხსნა, კარგი იქნება. შენ ხომ ყოველთვის ჭკვიანი გოგო იყავი (ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანდა). ვერ თუ არ ხედავ, როგორ განიცდის და დარდობს?! ლამაზი ოჯახი ერთ შეცდომას რატომ გადააყოლე? ახლა რა, უკეთესად ხარ? არა მგონია! მაშინ, ქმარი არ გყვარებია. ბავშვი?! იცი, როგორ განიცდის? იქნებ, ამ შემთხვევაში მიტევება ჯობდეს?! იმედი მაქვს, დაფიქრდება გოგო და მისცემს ბიჭს შანსს, იყოს მოსიყვარულე და მზრუნველი მეუღლე და მამა. მეზობელი“.

კურდღელი

„ერთხელ ჩემი დაქალი კოსტიუმირებულ წვეულებაზე დაპატიჟეს, სადაც ყველას განსხვავებულად უნდა სცმოდა და სხვადასხვა პერსონაჟი უნდა განესახიერებინა. ნინიც გამოეწყო ბაჭიის ფორმაში და წავიდა წვეულებაზე. როცა იმ მისამართზე მივიდა, ცოტა გაუკვირდა, რადგან შენობას არაფერი ეტყობოდა წვეულების, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ამაყად გამოაღო კარი. ოდესმე თუ გინახავთ ბიზნესმენების საქმიანი საღამო, სადაც მხოლოდ ა-ლა-ფურშეტი, თეთრი ღვინო და წყნარი მუსიკაა. არ გაგიჭირდებათ იმის წარმოდგენა, თუ რა დაემართებოდათ მათ, კარში „კურდღლის“ დანახვისას. :-) თურმე ამ შტერს მისამართი შეშლია და ამით უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდა. სესი“.

ვენახების მწამლავი

„ჩემი ბიძაშვილი, გიორგი ეუბნება მამაჩემს ჩემს ქმარზე — შენ თუ არ შეგიძლია, ლევანმა შეწამლოს ვენახიო. დედამ ჰკითხა — შენ რომ სიძე გახდები, ცოლოურში ვენახს შეწამლავო? გიომ მეოცნებე თვალები მიაპყრო სივრცეს, მეზობელი სოფლის მიმართულებით, სადაც მისი ოცნების გოგონა ცხოვრობს და დედაჩემს უთხრა: ბიცოლა, ოღონდ ირინა გამომყვეს ცოლად და მთელი ხუნევის ვენახებს შევწამლავო. ეს მართლაც უჩვეულოა, რადგან გიოს სოფლის საქმეები მაინცდამაინც არ ხიბლავს. P.S. გიოს ვკითხეთ, ირინამ თუ იცის, რომ გიყვარსო? გვიპასუხა: კი, VII კლასში, საკონტროლო წერა გვქონდა და მკითხა, რატომ არ წერო? მე კი ვუთხარი, მთელი გაკვეთილი შენ გიყურებ და როგორღა დავწერმეთქი. „გზას“ ირინას ოჯახიც კითხულობს და იქნებ ამან გაჭრას და ირინას გული მოუბრუნოს გიორგისკენ. ელისო“.

„ქორწილი გინდა?“

„ახლა ბებიკოსთან ვისვენებ და არსად მიშვებს. არადა, კვირას ჩემი ტრფობით დამწვარი ჯარისკაცი უნდა მენახა. რა არ მოვატყუე, მაგრამ არ გამიშვა. მერე დედიკოს დავურეკე, ბევრი ხვეწნისა და დარიგების შემდეგ გამიშვა. მაინც, რა არის დედის ინსტინქტი — ყველაფერს მიხვდა. საღამოს რომ დავბრუნდი, ბებიკომ მახარა, ქორწილში ვართ დაპატიჟებული და დედაშენს დაურეკეო. ავკრიბე ნომერი:

— დე, როგორ ხარ? — ვკითხე.

— კარგად, შენ? — მიპასუხა.

— რავი, მეც კარგად, იმან მოგიკითხა, — განგებ არ დავასახელე ვინაობა.

— ვინ იმან? — ვითომ ვერ მიხვდა, ისე მკითხა.

— ვითომ ვერ ხვდები? — ვკითხე და თავში მზაკვრულმა აზრმა გამირბინა: — დე, ქორწილი გინდა? — გავისუსე.

— რა ქორწილი, შვილო? — შევატყვე, აღელდა.

— ქორწილი, დეე, ჩვეულებრივი, 400-კაციანი, ნუ, 300-იანი მაინც.

— რა ქორწილი, თათ, რისი 300 კაცი! ნუ გადამრიე, — უკვე ტიროდა დედიკო.

შემეცოდა და გავუმხილე, რომ ვიხუმრე და ნათესავის ქორწილში ვიყავით დაპატიჟებულები. აქ კი შვებით ამოისუნთქა. არადა, ეგონა, შვილი უთხოვდებოდა. ასე ვაშინებ ხოლმე დედუცის. ლორელაი“.

წესრიგის დამცველი

„უჩვეულო ის იყო, რომ ბაკურიანში, 19-გრადუსიან ყინვაში, გამთენიის 4 საათზე, ღია ცის ქვეშ, ცოცხალი თევზი ვჭამეთ, პირდაპირ მანქანის საბარგულიდან, უპუროდ და უყველაფროდ. თითები მეყინებოდა და მაინც ვჭამდი. თანაც, არ გეგონოთ, იქ დასასვენებლად ვიყავით. არა და არა! ადამიანების სიმშვიდეს ვიცავდით. ელისო“.

დაბნეული

„ერთი ახლობელი მყავს — პაატა. რამეს რომ ჰყვება, თუ ერთხელ გააწყვეტინე, დაებმება ენა და თავს ვეღარ მოუყრის სიტყვებს. ერთხელ ქეიფში ჭიქა ასწია და მასპინძლებს ასე დაემშვიდობა — ამალია ძია და ელგუჯა დეიდა, ჭირი და ლხინი ნუ მოგიშალოთ ღმერთმაო. კახელი სალომე“.

გაყიდული რომანტიკოსი

„ამბობენ, სიყვარული კაცს რას არ ჩაადენინებსო... ჰოდა, ერთ გოგოს ყოველღამე აივანზე ვარდი ხვდებოდა, თან 1 ცალი და წითელი. დღითი დღე ვარდის ზომა იზრდებოდა... ალბათ, ბიჭი ამით ეუბნებოდა, ჩემი სიყვარული ამ ვარდებივით იზრდებაო. მოჰბეზრდა გოგოს გაურკვევლობაში ყოფნა და გადაწყვიტა, ჩასაფრებოდა. ღამე იყო და შიშით კანკალებდა. თან ჯოხი დაიდო გვერდით. გახდა 12 საათი და კარმა დაიჭრიალა. გოგომ შუქი აანთო, მაგრამ ვერ მოასწრო დანახვა.

კარაქით სავსე ჭა

„ეს ამბავი დიდი ხნის წინ, გურიაში მოხდა, ჯერ კიდევ მაშინ, ტექნიკა ახალი ხილი რომ იყო. ჰოდა, ერთ ჩვენს მეზობელს მაცივარი არ ჰქონდა და საკვების შესანახავად ჭას იყენებდა. ერთმა ბავშვმა, მათთან სტუმრობისას კარაქი მოინდომა. წავიდა მასპინძელი, ჭიდან კარაქი ამოიღო და პურზე თხლად გადაუსვა. ბავშვმა კი დედამისს შესჩივლა — ანგელინას ერთი ჭა კარაქი აქვს და მე ცოტა მაჭამაო. ჩუბი“.

ვარდი კვლავ კართან იდო. მეორე დღეს დაურეკეს ამ გოგოს და შეხვედრა სთხოვეს. ბიჭმა იცით, რა უთხრა? წუხელ რომ დამინახე, ძალიან გაბრაზდიო? აი, ასე გაყიდა რომანტიკოსმა ბიჭმა თავი და სამუდამოდ გაიხურა კარი, გოგოს ცხოვრებიდან. მის რეალი".

გურჯაანის ჰაერი

„იცით, რა მოხდა? ერთ თელაველს გურჯაანში მანქანის საბურავი დაეშვა. არადა, „ზაპასკაც" არ ჰქონდა. თელავში ძმაკაცს დაურეკა და „პაკრიშკა" ჩაატანინა — აქაური ჰაერით რომ გავბერო, მანქანა ამიფეთქდებაო. სასაცილო კიდევ ის იყო, მანქანაში რომ ჩაჯდა და ფანჯრები ბოლომდე ასწია, — მეშინია, აქაური ჰაერით რომ ვისუნთქო, რამე არ დამემართოსო. ეჰ, როგორც თხა და მგელი, ისეა თელავი და გურჯაანი. მის რეალი".

YES! YES!

„ცოტა ხნის წინ, საოფისე პროგრამებს ვსწავლობდი. ერთ-ერთ ჯგუფში საშუალო ასაკის ქალი დადიოდა, რომელიც კომპიუტერებთან და საერთოდ, ტექნიკასთან ცოტა მწყრალად იყო. პირველ გაკვეთილზე მასწ-მა ბავშვებს აუხსნა, რომ როცა კომპიუტერის ეკრანზე ფანჯარა გამოვიდოდა და, ან yes უნდა აერჩიათ, ან — no. როცა თეორიის ახსნას მორჩა, პრაქტიკაზე გადავიდა. ქალმა კარგა ხანს უყურა კომპიუტერის ეკრანზე გამოსულ ფანჯარას და როცა ვერ მიხვდა, რა უნდა ექნა, მასწ-ს სთხოვა დახმარება. მახო მასწ-მაც უთხრა — ჯერ მაუსი მიიყვანეთ და მერე yes უთხარითო. თან ცოტა ხნით გარეთ გავიდა. ჰოოოდა, ამ ქალბატონმა კარგა ხნის წვალების მერე მიიყვანა, როგორც იქნა, მაუსი და ჯერ ხმადაბლა უთხრა — yes, მაგრამ უჭკუო „კომპმა" ხმადაბლა ნათქვამი რომ ვერ „გაიგო", უკვე ხმამაღლა გაუმეორა ბრძანება. ბოლოს, ეგეც რომ ვერ „გაიგო", ყვირილზე გადავიდა და მასწი რომ შემოვიდა, yes, yes-ო, მთელი ხმით ღრიალებდა. :) მეცადინეობის ბოლოს „კომპი" რომ უნდა გამოერთოთ, მასწ-მა აუხსნა, მაუსი Shut down-თან მიიყვანეთ და yes-ს დააჭირეთო. ამ ქალმა აიღო მაუსი და Shut down-ს დაადო, გარედან. თან yes-ს ანვებოდა. :) სკლეროზა".

აბა, ჰე!

„ჩემმა ახლობელმა კახამ ინგლისში გაიცნო იტალიელი დინო და თელავში დაპატიჟა. ჩამოვიდა დინო, წაიყვანეს შუამთაში და მთვრალებს გაახსენდათ, რომ დინოს ჰარდროკი უყვარს. სახლში ფონოთეკა მაქვს და მოსასმენად ჩვენთან მოვიდნენ. ერთადერთი თარჯიმანი კახა იყო და დავტანჯეთ. მე და ჩემმა მეუღლემ იმდენი ვიცით, გაქცეულ ინგლისელს მოვაბრუნებთ. კარგად ვიქეიფეთ, მერე ძლივს მოვასწარით, კახას თეფში გამოვაცალეთ და მაგიდაზე დადო „სვანი თავი" და ხვრინვა ამოუშვა. რა ენა, რის ენა, თურმე ლაპარაკი ხელებით და ფეხებითაც შეიძლება. ჰოდა, ყველაფერი გავაგებინეთ დინოს. წასვლისას კახას უთხრა: — მარტო ერთი რამ ვერ გავიგე, „აბა, ჰე" რომ თქვით, რას ნიშნავსო. მაგაზე კი თავი კახას უნდა ემტვრია. ეჰ, დინო, დინო, გესწავლა ქართული, ხედავ, რა სიტუაციაში ამოყავი იტალიელი თავი? კახელი სალომე".

„ნეტავ, შეგჭამოს"

„ახლა მაგარი „პახმელია" ვარ. ჰოდა, დილით დამიძახა ქალმა, რომლის ვალიც მაქვს მაღაზიაში, ვალი მომეციო. არ მქონდა ფული და ვერ მივეცი. ჰოდა, რომ მიდიოდა, დამიძახა — ერთ წუთს გამოდი, ქვემოთ დიდი ძაღლია და ჩამაცილე, არ მიკბინოსო. მე გავიფიქრე — ნეტავ, შეგჭამოს, შენი დედაცმეთქი! თურმე ყოველივე ეს ხმამაღლა გამიფიქრებია ანუ წამომიყრანტალებია. აუუ, იცი, რამდენი მწყევლა? ფუი, ეშმაკს, ეს რა დამემართა?! 9717".

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ნადირობა საპირისპირო სქესზე. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას", მამაკაცები რომ არ დავჩაგროთ, წინა კვირის თემას მათთვის გავიმეორებ: — რა უპირატესობა აქვს უცოლობას?

დასაწყისი იხ. გვ. 9

სულელური ქმედებები

✓ გასული წლის ბოლოს, ტოკიოს ბირჟაზე, ერთ-ერთი კომპანიის თრეიდერს თავის კომპიუტერზე კლავიში აერია და შემთხვევით თითი სხვა კლავიშს დააჭირა. ამ ქმედებით მან კომპანიის აქციები 610 ათასის ნაცვლად, 1 დოლარად გაყიდა და 225 მილიონის ზარალი მოუტანა დაწესებულებას.

✓ ბრიტანეთში, ერთ-ერთი სასტუმროს ნომრების ონლაინ-დაქირავების საიტზე, ნომრის ფასი 0 დოლარი იყო მითითებული. ასეთი ფასდაკლების გამო სასტუმრო კლიენტებს ვერ აუდიოდა. როდესაც შეცდომა გაირკვა, სასტუმროს მენეჯერმა კლიენტებს რეალური ფასის გადახდა შესთავაზა, მაგრამ კლიენტების უმეტესობა სასამართლოში ჩივილს აპირებდა და სასტუმროს მფლობელი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო.

გარდა სულელური გადაწყვეტილებებისა, აღნიშნულმა ჟურნალმა ჭკვიანი საქმოსნების რეიტინგიც შეადგინა, რომელიც წინა კატეგორიასთან შედარებით მოკლეა.

✓ ყველაზე ჭკვიან მეწარმედ ჯერემი ალერი დასახელდა, რომელმაც თავისი კომპანია 360 მილიონ დოლარად გაყიდა. ის საიტების გარჩევის პროგრამულ უზრუნველყოფას ახდენდა.

✓ „ჭკვიანი“ კომპანიების სიაში შესულია Skype, რომელმაც მომხმარებელს ხმოვანი ინტერნეტტელეფონით სარგებლობის საშუალება მისცა. აღნიშნულმა სერვისმა 66 მილიონი ადამიანის ყურადღება მიიპყრო. Skype 2,6 მილიარდ დოლარად გაიყიდა.

<<< 8

მოკლე ჩართვა

რა უპირატესობა აქვს მასათხოვრობას?

• მაგარი უპირატესობა აქვს გასათხოვრობას, ჩემნაირი თათრისთვის. დავტასაობ, სადაც მინდა, ვიცვამ ჩემს გემოზე, ვლოთაობ. როცა გავთხოვდები, მერე მაგრად დამერხვევა. გრუზინკა.

• გასათხოვრობა ჩემთვის სრულ კომფორტს ნიშნავს. საკუთარი თავის მოვლაც კი არ მევალება. ჩემი საქმე სწავლა და გართობაა. ამიტომ, გათხოვებას სულაც არ ჭჩქარობ. თუმცა, ზოგჯერ მეშინია, ჩემი კახური სიდინჯის გადამკიდე, გასათხოვარი არ დავრჩე და ჩემს ერთ-ერთ ნაცნობ პროფესორს არ დავემსგავსო. ქალი ვერც ერთ სულიერს ვერ იტანს და მხოლოდ თავის უცოლო, ხელქვეით ბიჭებზე ამოსდის შზე და მთვარე. ერთადერთი ნათელი წერტილი აქვს ცხოვრებაში — მის ხელში მოხვედრილი, საწყალი სტუდენტებისთვის სისხლის გაშრობა. მის ანაკონდა.

• გასათხოვრობა კარგია იმიტომ, რომ ოჯახის მძიმე ჭაპანს არ ეწევი, ჩიტივით თავისუფალი ხარ და არჩევანის გაკეთების საშუალება გაქვს. ვისაც გინდა, იმას გაეპრანჭები, მაგრამ P.S. ქალს ტვინი რომ ჰქონდეს, არ გათხოვდება. ნიცუა.

• გასათხოვრობას ის უპირატესობა აქვს, რომ თავისუფალი ხარ და არავითარი ვალდებულებები არ გაქვს. სან.

• საერთოდ, რაც არ გაქვს, ის ყველა კარგი. გასათხოვრები შენატრიან გათხოვილებს და — პირიქით. უპირატესობა კი თვალნათელია. მეტი თავისუფლება, ნაკლები პასუხისმგებლობა და ვალდებულებები, მშვიდი ძილი და დღეგანდელი დღით ცხოვრება. გათხოვების უპირატესობებს კი 100 მქონეც არ ეყოფა. :) ასე მგონია და რა ვქნა? გამოუსწორებელი რომანტიკოსი.

• გასათხოვრობის უპირატესობები: გასათხოვარი ქალი არ რეცხავს მამაკაცის ტანსაცმელს, არ ელის, როდის დაბრუნდება ქმარი სამსახურიდან, რომ ერთად ივახშმონ და მთავარი — დასაძინებლად მარტო წვება! კამელია.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ერცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ყურადღება!

გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.

ქალები



1. ვარ 35/176/69, 22 წლის, სიმპათიური, პატიოსანი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მამაკაცს.

2. ვარ 45 წლის, საშუალო სიმაღლის მანდილოსანი. მინდა შევქმნა თბილი, წყნარი და ლამაზი ოჯახი.

3. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, დასაქმებულ, თბილისელ მამაკაცს, სერიოზულს და სინდისიერს, თუ დარჩა ვინმე. დანარჩენი — პირადად.

4. ვარ 43 წლის, ექიმი, მორწმუნე, ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 50 წლამდე ასაკის, დასაქმებული, სერიოზული მამაკაცი.

5. ვარ 24 წლის გოგო, სუფთა წარსულით, განათლებული, დასაქმებული, პატარა და ლამაზი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილ, ყურადღებიან, სერიოზულ და სიმპათიურ ბიჭს.

6. ვარ 31 წლის, 175 სმ სიმაღლის, სუსტი, ნორმალური გარეგნობის ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 35-45 წლის, სიმპათიური, სერიოზული მამაკაცი.

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33-37 წლამდე მამაკაცს. ვარ 32 წლის, პატიოსანი ქალიშვილი. გთხოვთ, გამომეხმაურეთ, სერიოზულად ვისაც გინდათ ოჯახი.

8. მყავს 24 წლის, სიმპათიური მეგობარი გოგო. თუ ვინმეს გაქვთ სურვილი გაიცნოთ, გამოეხმაურეთ. გასართობად ნუ შეეხმიანებით.

9. ისეთი უშნო ვარ და შეუხედავი, არათუ შემიყვაროს ვინმემ, ყურადღებასაც არავინ მაქცევს. გული მტკივა ძალიან. მარი. 32 წლის.

10. მწიფე ყურძნის მტევანივით სავსე ვარ სიყვარულის წვენით და ვფიქრობ, განგება სწორედ ამ გზით მიმანიშნებს ჩემს მეორე ნახევარს. ვარ 34 წლის.

11. გავიცნობ 25-28 წლის, სიმპათიურ და ნამდვილ მამაკაცს, სიმაღლით 178-180 სმ, შავგვრემანს და სპორტული აღნაგობის. დანარჩენმა თავი შეიკავეთ. თამუნა.

12. 34/170/58, მაქვს ქერა თმა და ცისფერი თვალები. ვარ გაცილებული, მყავს 10 წლის შვილი. მინდა ოჯახის შექმნა სერიოზულ, სიმპათიურ მამაკაცთან.

13. გსურთ, ცოლად გყავდეთ მშვენიერი, განათლებული, ქართულ ოჯახში აღზრდილი ქალიშვილი, რომლითაც იამაყებთ? დაურეკეთ, 35-4? წლის, ნამდვილმა მამაკაცმა. გართობა არც სცადოთ.

14. ყველა ეძებს ბინიან, კარგსამსახურიან ქალს. მე არც ერთი არ მაქვს, ამიტომ, მარტო უნდა დავრჩე? ვისაც გეცნოთ ნომერი, არ შეწუხდეთ. 44 წლის.

15. მყავს 34 წლის, საშუალო სიმაღლის, ძალიან სიმპათიური და განქორწინებული. ჰყავს გოგონა. ცხოვრობს რაიონში. ოჯახის შექმნის მიზნით გაიცნობდა ორმოც წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს.

16. ვარ 43/170, მომხიბვლელი მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-53 წლის, დასაქმებულ, მატერიალურად უზრუნველყოფილ, სიმპათიურ მამაკაცს.

17. ვისაც პირველმა ქორწინებამ არ გაუმართლა და სურს მეორედ სცადოს ბედი, დამიმესიჯოს. ვარ გაუთხოვარი. მსურს ოჯახის შექმნა სერიოზულ, დასაქმებულ, 44-47 წლის მამაკაცთან.

18. ვარ 45 წლის, ქვრივი, ახალგაზრდა ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-50 წლის, დასაქმებულ, ბინით უზრუნველყოფილ მამაკაცს. გასართობად ნუ შეწუხდებით.

19. ვარ 36/178, სუფთა წარსულის მქონე, ექიმი მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასაქმებულ, კარგი წარსულის მქონე მამაკაცს.

მამაკაცები

20. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 23-34 წლის, თბილისში მცხოვრებ მანდილოსანს. ვარ 34 წლის მამაკაცი. კახა.

21. ვარ 30 წლის მამაკაცი, ნამდვილი სიყვარულის მაძიებელი. ჯერ მხოლოდ გაცნობისთვის ვარ მზად. ყველაფერს დრო გვიჩვენებს. ერთგულებას და სიყვარულს გპირდებით.

22. ვარ 41 წლის მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით.

23. გამომეხმაუროს ბოლო ნომერში გამოქვეყნებული, მე-10 მესიჯის ავტორი.

24. ვარ 29 წლის, ცოლს გაშორებული. გავიცნობ ჩემსავით თბილ და მოსიყარულე გოგონას, ოჯახის შექმნის მიზნით. სასურველია, იყოს თბილისში მცხოვრები.

25. ვარ 40 წლის, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ 28-35 წლის ქართველ მანდილოსანს, ვისაც არ უნდა მარტო დარჩენა.

26. ვარ 35 წლის. გავიცნობდი კარგი გულის ქალბატონს, რომელიც იქნება პირდაპირი და არა — მატყუარა.

27. ვარ 27 წლის, 180/96, შავგვრემანი, თბილისელი, რუსქართველა, დასაქმებული, უპრობლემო მამაკაცი. გავიცნობ 17-30 წლის გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვადიმი.

28. ვარ თბილისელი, ყველაფრით უზრუნველყოფილი მამაკაცი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 25-30 წლის, თბილისელ, სიმპათიურ, განათლებულ, პატიოსან, არამსუქან, არამაღალ გოგოს.

29. მაღალი, დასაქმებული, თბილისელი, ინტელიგენტი ეძებს ცხოვრების მეგზურს. გამომეხმაუროს მსგავსი თვისებებით დაჯილდოებული, 30-35 წლის, სიმპათიური ქალიშვილი, ოჯახის შექმნის მიზნით.

30. ვარ 34/176/72, მორწმუნე. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 26-28 წლის გოგოს, ლამაზს. ვარ ერთი ჩვეულებრივი ადამიანი. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. გმადლობთ.

31. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 30-40 წლის, თბილისელ, ბინიან ქალბატონს. დანარჩენი — პირადად. კოკა.

32. გავიცნობ ლამაზ და პატიოსან გოგოს, 25 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით. აუცილებლად სოფლელს და ღარიბს. მდიდრებმა და თბილისელებმა თავი შეიკავეთ. ვარ 184/80.

33. გავიცნობ ცხენის წელში (1978) დაბადებულ მანდილოსანს, თბილისელს, მატერიალურად უზრუნველყოფილს, უშვილოს, მაღალს, სიმპათიურსა და განათლებულს.

34. გავიცნობ 25-38 წლამდე მანდილოსანს, რომელსაც შეუძლია სიყვარული. უნდა იყოს განათლებული, სუფთა წარსულით. ვარ 38 წლის.

35. ვარ 46 წლის. ამდენი ხანი არ გამიმართლა ცხოვრებამ. მინდა, შევქმნა ლამაზი ოჯახი. გამომეხმაუროს თბილისელი ქალბატონი, 40-46 წლის. თუგინდ, იყოს ქმარს გაცილებული.

36. ვარ 34 წლის, 176სმ სიმაღლის, მორწმუნე, თავმდაბალი, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 26-28 წლის, ლამაზ გოგოს. თუნდაც — განათხოვარს. უშვილოს.



37. მყავდა ბიძა, ზაური ხეცურიანი, რომელიც დიდი ხნის წინ ცხოვრობდა ოზურგეთის რაიონში. ამბობდა, რომ ჰყავს ქალ-ვაჟი. ძალიან მინდა, მოვძებნო. შემეხმიანეთ. ნინო ხეცურიანი.

38. ვეძებ ზვიად ლომიძეს, ხაშურიდან. სოფელი არ ვიცი. იქნება ასე, 35 წლამდე. სავარაუდოდ — სამხედრო პირია. გამომეხმაუროს.

39. ვეძებ მალხაზ აბრამიშვილს, რომელიც 1987 წელს მსახურობდა ყაზახეთში, ჯარში. მისამართზე: Казахская ССР Город Ленинск-2. в-ч 32971 „Б“. გია.



• ამდენი ხანია ვკითხულობ, როგორ კბენთ და ლანძღავთ ერთმანეთს და დამიჯერეთ, ეს სასიამოვნო და საინტერესო სულაც არაა. უი, ჰო, ბატონო განძის მაძიებელო, მინდა გითხრა, რომ ძალიან საინტერესო ვინმე ხარ და ვიღაცეების სულელურ და შურიან მესიჯებს ნურც წაიკითხავ და ნურც პასუხს გასცემ, რადგან იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მთელი საქართველოს გასაგონად ასეთი სიტყვებით გამოდიან, არა მგონია, ღირდეს რამის ახსნა. ზოლიანი.

• კაკუ დაბრუნებულა, მე კიდევ, ვერ მივხვდი, ნიკმა შემიყვანა შეცდომაში. p.s. არ წახვიდე, პატარავ, ძალიან მომენატრე. სად იყავი? იქნებ შენზე მითხრა რამე... პია.

• პირველები მარი და ყველა მგზავნელს. ძაან მაგრები ხართ და მინდა, მეც თქვენ შორის მოვხვდე. მიხარია, რომ „გზის“ ეპოქაში ვცხოვრობ. მის რეალ, მეც ესპანეთის ფანი ვარ. სჩაკო მაგრად მიყვარხარ და მენატრები.

• გაუ, საქართველოს და ქართველებს! როგორ ხართ? აუ, რამდენ ქორწილს გამოვრჩი. ხონში?! ეგია, ცხოვრება? ეჰ... გუ-ათენი.

• ათენი23-ო, რომ მეუბნები, ქალებს კაცების ნეკნი გაქვთ ვალადო, ჩვენ გავსწორდით, ბრატ. ვაშლი ხომ გაჭამეთ ედემში? თვალები აგიხილეთ. ისე, ევას არ უნდა ექნა ეს და ადამისთვის არ უნდა გაესინჯებინა ვაშლი და რა იქნებოდა დღეს? :-)ასე რომ, ბარი ბარში ვართ. უკარება.

• კამელიას ვენაცვალე, ვიცი არის გულწრფელი./ იუმორით დაამშვენა ჟურნალი „გზის“ ფურცლები./ სიმშვიდისკენ მოგვიწოდებს, რას შევკადრებთ — სწორია./ თელავში კი ბუნტის პონტი ნაღდად მონაჭორია./ ერთად ვდგავართ ლამაზ კლუბში, კახელო და მგელკაცა./ სალო გვიწევს ბიცოლობას, სიყვარულით ეწამა./ კიკოც თურმე გამიბრაზეს, გენაცვალე დაიკო./ არ წახვიდე, მე მსურს შენთან „გზის“ ფურცლები გავიყო./ ლიმონჩიკა, დაგვიბრუნდი, თორემ სევდა მერია./ ინტრიგნული მესიჯები მაინც ვერ მომერია./ ათენელებს ვენაცვალე, ჯიგრები ხართ ყველანი/ და ვინც გინდა, რაც გინდა თქვას, ვერ გაჯობებთ ვერავინ./ დუჩი, სესი და ashley, გაიხარეთ მტრედებო./ მის რეალის გულში მოხვდით, გეფერებით, ჩემებო./ საყვარელო მგზავნელებო, გულწრფელებო, იხარეთ, მის რეალი გენაცვალოთ და ერთად გაიხარეთ! მის რეალი.

• ყველას მივესალმები, — ახლებს, ძველებს და კარგ ხალხს. ცოტა გავქრი აქედან, მაგრამ არა უშავს, მე ისევ თქვენ გვერდით ვარ. ყველას მოვიკითხავ, ვინც მიცნობთ. არავის გულისთვის აქედან არ წავალ, რადგან მე ჯერ „გზის“ ფურცლებიდან გლოვას ვერ ავიტან. ცოცხალი ვარ და აქ ვარ. ვარდენა.

• უკარებას ნიკი შეუცვალეთ და ვოთ ტაკ დაარქვით :-) ტატუსია.

• ამ კვირაში წაღვერში მივდივარ დასასვენებლად და იქიდან არავინ არ ამესიჯებს? ჩორი, მომენატრე, ტინტონტლე. მეტალს რომელი უსმენთ? მპუსია.

• მიყვარხართ ყველა, ვისაც გახსოვართ. მოვიკითხავ სესის, ეშლის, კანიბალკას და

კაკუს. იკ, ჩემი სიხარული ხარ. მიყვარხარ. მაზოხისტკა.

• პრივეტ, ყველას. მე ახალი ვარ, თავს მარტო ვგრძნობ და თუ თქვენც ამის სურვილი გაქვთ, ვიმეგობროთ. ok? როკერა.

• სხვათა შორის, მგზავნელებს არც მე ვიცნობ და სიამოვნებით გაგიცნობდი. ისე, გოგო ხარ თუ ბიჭი? ტატა.

• ახლა ვხვდები, რატომ შეიძლება არ გამიკვირდეს, თუ ტყეში, მოგლეჯილწიფელმოკიდებულმა დათვმა ზებგერითი სიჩქარით ჩამიქროლა. კბილი ასტკივდა და რა ექნა?

• გამარჯობა, მარორიტა, მოგიკითხავთ ყველას დიდი სიყვარულით. განსაკუთრებით — მეგრელებს. არ გეგონოთ, დავიკარგე და არ მახსოვხართ. პირიქით — მუდამ თქვენთან ვარ და დიდი მონდომებით ვეცნობი „გზის“ ყოველ სიტყვას. ცოტათი დავმშვიდდი და ახლა შემოგიერთდით. ყველა მიყვარხართ. თაკლოს განსაკუთრებული მოკითხვა. მეგრელი ლიკა.

• ნოდო სამნიაშვილო, ჭკუაზე მოდი. შენისთანა პატიმრები დასაწვავები არიან. პუტანკაში ნუ ცვლი ცოლ-შვილს. სწორედ შენნაირი პატიმრები უტეხენ პატიმრებს სახელს. დედიკო.

• მენატრები, აგნესა და რამაზ. რამაზ, შენმა მაგარმა ძმაკაცმა გარეკა. ვიღაცასთან აწერს ხელს და ნათია და ბავშვი ფეხებზე დაიკიდა. მაგარია, არა?

• მე ვისწავლე დუმილი ბევრის მეტყველებისგან, მოთმინება — მოუთმენლობისგან და სიკეთე — არაკეთილისგან, მაგრამ, რაც უნდა გასაკვირი იყოს, მე არ განვიცდი არანაირ პატივმოყვარეობას.

• ვინ მამუკა? დაგიჟდით, თქვე ჩე... კავალა ქუთაისელია და ნიკი მათხოვა, რა! და რა გაასივეთ გული ცრუბრალდებებით? მარი, მიყვარხაარ! ვიცი, რომ შენც. კავალა.

• სვანები ყველაზე მაგარი ხალხია! ჩემი შეყვარებული სვანია და მართლაც ფიცხი და ეჭვიანია. ამასთანავე, ვაჟკაცური და უშიშარი. გაუმარჯოს სვანებს!

• როგორც დიდმა მაესტრომ ბრძანა, მე, სითბოსთან და მეგობრობასთან ურთიერთობის მდნეჯერი მოგიწოდებთ, მხოლოდ და მხოლოდ სითბო და მეგობრობა, თორემ გავბრაზდები. ლორელაი.

• განძის მაძიებელო, იცი, როგორ მომწონდი? — „საშინლად“! ახლა კი თითქოს ძაან მაგარის როლი გინდა მოირგო. მე არავის ვიცავ და არც არავის ვლანძღავ.

• 13.07-ს მეც ვულოცავ იუბილეს და ვთხოვ, ნუ დაიკარგება. ლუციფერ, ბრატ, დაგვიანებით, იუბილეს მეც გილოცავ. ტენდერი არ მიხსენო, უცნობო. ოლე, ნუ მაცინებ. გრუზინკა.

• ბოხო, შენს ნომერს სანთლით ვეძებ, თუმცა ჩემთვის კი არა, ანგელოზისთვის. თითქმის ყველა შევაწუხე. შენ ჩემი ბოლი იმედი ხარ. შენს იქით გზა არ მაქვს. გრუზინკა.

• სითბოსა და მეგობრობასთან ურთიერთობის განყოფილება გაცნობებთ, რომ იმ მგზავნელებისთვის, ვინც მარტოა, გაიცემა დიდი სითბო, სიყვარული და მეგობრობა. ლორელაი. გკოცნით.

• პირველი სიყვარული სულ სხვაა. მე ერთი ბიჭი მიყვარს, მაგრამ კარგა ხანია, გათხოვილი ვარ და იმ ბიჭის გულისთვის ოჯახს არ დავანგრევ.

• ბავშვებო, ნაკურთხი ჯვარი დამეკარგა. იმავე ღამეს ღვთისმშობელი გამომეცხადა და ვერ ვიცანი. რა ვქნა? არადა, ის ჯვარი დიდი ხანია, რაც მაქვს. ცირა.

• მის რეალ, ა-ნი თურმე შენზე აფანატებს და რძლობას გვიპირებ. მისი ხათრით მაინც ნუ გვლანძღავ და ეგ კარის მგოსნები მაყარში დაგჭირდება! სენაკელი ტოპმოდელი.

• უცნობო, შენი ნიკი რატომ არ დაწერე? მე არც ერთ მგზავნელს არ ვიცნობ, მაგრამ სიგიჟემდე მიყვარს ყველა. სიამოვნებით გაგიცნობ. გაკოცეთ, მპუაა და ყველა მიყვარხართ. ცირა.

• ყველა რითმავს, ვინც კი ხელში კალმისტარი დაიჭირა. აბა, მე რა დავაშავე? მეც გავრითმავ, ჩემებურად. შური, მტრობა დავივიწყოთ და გვიყვარდეს ერთმანეთი.

• ლუნას უყვარს მაესტრო და დეიდიკო. p.s. განძის მაძიებელო, მანაველო, კამელია, green girl, ნონ სტოპ, გიო-93, ქუთათურო, კახელო სალომე, კიკო, ნიკოლ, ვერმახტ, ფელამუშ, მის რეალ, სესი, ილინ, დუჩი, ვარდენ, უკარება, პატარა მავნე — ვინც გამომრჩით, მაპატიეთ, განა თქვენ არ მიყვარხართ, მაგრამ ვერაფრით ვერ ჩავსვი რითმაში. მეპატიება, ხომ? ლუნა.

• 9717, ძაან მაგარი ადამიანი ჩანხარ. შენს მესიჯებზე „გზავნილებში“ კარგად ვიცინე და ბებოც ავიყოლიე. გაიხარე, ჯიგარი ადამიანი ხარ. გაკოცე. შენი გაცნობა მინდა. ცირა.

• არა, მარტო შენ არ ხარ ასეთი მგზავნელი, რომელსაც არც ერთ მგზავნელთან არ აქვს ურთიერთობა. მე ძალიან იშვიათად ვამესიჯებ. ახლა ნიკიც შევიცვალე. ანანკე.

• „გზაელებო“, კავალი კახელი სულაც არაა. მან ლანძღვა მარით დაიწყო, ჩემით გააგრძელა და თქვენით დაამთავრა. მარის უკვე მოუბოდიშა, მიხვდით? მე ვპატიობ! განძის მაძიებელი.

• მარი, მაპატიე, გვიან გწერ. 2 წელია, „გზას“ ვკითხულობ, მაგრამ პირველად გამიჩნდა სურვილი, მომეწერა. ახლა იცით, რა ხდება? „გზავნილებს“ ვკითხულობდი, უცებ გარეთ გავიხედე და რას ვხედავ? ჩემი თაყვანისმცემელი დგას და გზაზე ბენზინით მოხატული გულისთვის ცეცხლი წაუკიდებია. ჩამდგარა შუაში და მთელი ხმით ყვირის, მიყვარხარო. მე კი ვითომ არაფერი, „გზავნილების“ კითხვა გავაგრძელე. ის კი იდგეს, სანამ არ დაიწვება სიყვარულით. აუ, არ მიყვარს და რა ვქნა? მე „გზა“ მიყვარს, „გზა“! გაიგე, რა! გკოცნით, მგზავნელებო.

• მე უბრალო მკითხველი ვარ, არ ვარ მგზავნელი. არც კავალი ვარ და არც ძველი მგზავნელი. ლაგოდეხელი მამუკა ვარ. გაიფანტეთ ეჭვები. მეტს აღარ დავწერ. ვიღაც ავადაა.

• მგზავნელებს გაუმარჯოს, როგორ ხართ, ხალხო? სესი, ჩემი ნომერი აქვს პარიჟანკას და ლიმონას. სოფვ, მაგარი გოგჩო ხარ. ქალი, სად დამეკარგე? ფელამუშა.

• ბაია, ბიჭი ხარ თუ გოგო? არა, კიკო, არ წახვიდე, პირიქით, სხვებსაც დაანახვე, რომ სიძულვილის მაგივრად სიყვარული აფრქვიონ. პატივი ვცეთ ერთმანეთს, ადამიანებოოო! 9122.

• მის რეალს, პარიჟანკას და ეგეთებს თავი ანგელოზებად რომ მოაქვთ, მაღიზიანებს. გულში ჩაიხედეთ, რაც ხართ. გენაცვალე, კავალა, მაგათი გალანძღვისთვის. დატანჯული გოგო.

• აუ, ბავშვებო, რა კარგები ხართ, რა, პროსტა ხანდახან გული მწყდება, მარ-

ტო ძველებს რომ მოიკითხავთ ხოლმე. არადა, აქ ყველა დავეტევით, ძველებიც და ახლებიც. გაკოცეთ. 9122.

• კიკო და კანიბალკა, დარჩით, რაა... მის რეალი და კახელი სალომე მაგრები არიან და შეეშვით. სესი, ლიმონა, პენსიონერო, პარიჟანკა, გაკოცეთ, დაკარგულებო. მენატრებით. ნიკოლი.

• ლანკას და კიკოს მინდა ვუთხრა, რომ თუ მართლა დატოვებენ „გზავნილებს“, პირველი ადამიანები იქნებიან, რომლებიც უზომოდ მატკენენ გულს. თუ ცოტას მაფასებთ, დარჩით. მაესტრო.

• არა, ქალებში რომ არ მიმართლებს, გასაგებია, მაგრამ ჟურნალისტებშიც? რას მერჩი, ჩემი ცოდვით, მაგარ კაი პონტში გაჩითულო?

• გრუზინკა, იმედია, გამიხსენებ, რომელი ვარ. მენატრები, დამირეკე. ს.

• მიყვარხარ, მიყვარხარ, ყველაზე ძალიან, ჩემო კარგო. ამ ცხოვრებამ დამტანჯა და გამანადგურა, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს. სიყვარულს გაუმარჯოს!

• მიტევებაში სიმართლეს ვეძებ და ვინც არ ეძებს, სუსტი რგოლია! თავი ვანებოთ აბრაკადაბრას, ამდენ უაზრო კაკაფონიას.

• 2 ნომერია, პარიჟანკას ვწერ და მესიჯს არავინ მიქვეყნებს. პარიჟანკა, ნუ ვიკამათებთ, მე ჩემი გემოვნება მაქვს და სტაჟს აქ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მაფიოზა.

• ლუციფერ, ლუნა, ტოპოლინა, თქვენს ნომრებს არავინ მაძლევს და როგორ დაგიკავშირდეთ? მე ვარ ის მგზავნელი, რომელიც არც ერთ მგზავნელს არ იცნობს. გამეცანით, ხალხო, მაფიოზა.

• 26 ივლისი ჩემი კამელიას იუბილეა. ჩემო სიცოცხლევ, მინდა ყველაფერი კარგი გისურვო, რაც შეიძლება, რომ ადამიანმა ინატროს. მე შენი გული ვარ, განა არ იცოდი? გრუზინკა.

• სიტყვა ვერცხლია, დუმილი — ოქრო. ლამაზი სიყვარული, ბედნიერი სიცოცხლე, ჩემო პრინცესავ, ჩემო ეკუნია. ცხოვრება ლამაზია, შენ კი ამ სილამაზის დედოფალი ხარ. კოკა.

• მის რეალ, არ გვსურს მეგრელებს, შენისთანებთან მიწოლა. ნამდვილ იუმორს გასწავლის შენი კახელი ბიცოლა. საიუმორე ტალანტი სალომემ გადაგიწონა! ნიკე.

• გუშინ განძის მაძიებელი გავიცანი, მაგადი ბიჭია. კახ, მე აგიხდენ ოცნებას, 2 თვეში ესპანეთში მივდივარ და დედას გეფიცები, თუ გაზაფხულზე არ წაგიყვანო! ნათუშკები.

• მავნე, შემოგევლე, სად უნდა წახვიდე, არ გრცხვენია? გამიხარდა მაგრად, ძველების დაბრუნება. ყველანი მიყვარხართ. ანარქია, დაბრუნდი, რაა... ძალიან მომენატრე. პატარა ლელა.

• კიკო, არ მინდა, „გზიდან“ წახვიდე და მესიჯები შენი დამთავრდეს. ეს მის რეალი ერთადერთია, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე? ისე, მის რეალის ქადაგებაზე ძაან გავერთე. ჩიპსი.

• ბოროტო „გზაელებო“, მის რეალის ცუდად ხსენება აღარ გაბედოთ, რომელი ხართ მისი იუმორის ფასი? მის რეალი „გზავნილ-იორკის“ მზეა და ყველას გჯობიათ. ვოტ ტაკ, ჩმორებო!

• ვიტალი ჩოჩიევო და რამაზ ზაზაძე, მენატრებით. ვიტალი, შენი დანაბარები უცხო ქალბატონმა გადმომცა. დამირეკეთ. დედა.

• ბოხო, აქ მომწერე: naTaTo18@rambler.ru. ემიგრანტებო, სად ხართ? მომენატრეთ. სიხარულო, მიგიღებთ ჩვენს სამყაროში. სესი, გენაცვალე! კიკო, მენატრები. მავნეს მპუა. green girl.

• ჩემი წასვლით ამ ფერად სამყაროს 1 ფერი დააკლდება. დააკლდება თქვენი სიყვარულით სავსე გოგონა. ბედნიერი ვარ, რადგან ასეთი სიყვარული შემიძლია! მომენატრებით!პარიჟანკა.

• ბოხო, ძალიან გამიხარდება, თუ გაგიცნობ. ნიკოლ, დე, ძალიან მიყვარხარ. ჩემო ფერიებო და რაინდებო, გაღმერთებთ... ჩემს წილ სიყვარულსაც ვიპოვი და დავბრუნდები. პარიჟანკა.

• კანიბალკა და კიკო, მიყვარხართ და ნუ წახვალთ, გთხოვთ! იასამანო, მადლობა, სიხარულო. გაიხარე და ჰაეროვანი კოცნა, ჩემგან. ათენელო მგზავნელებო, მიყვარხართ! კამელია.

• იცოდით, რომ უფრთო ანგელოზები არსებობდნენ? სანამ გრუზინკას გავიცნობდი, მეც არ ვიცოდი! მიყვარხარ, ჩემო ფერიავ. ლუნა, იუბილეს გილოცავ და ბედნიერებას გისურვებ! კამელია.

• ერენიტა რომ ვერ გხედავს, აბა სად ხარ, აუუ, ბოხო! შენს ძებნაში წლები გავა, მერე თმებშიც თეთრად მოთოვს. რომ გიპოვო, ვიცი, შენს თავს, მთელი საქართველო მომთხოვს!

• ეს იუმორის პრინცესა, მაღალ ჰანგებზე გალობდა, წინა ნომერში მოწყალედ, გვეპრანჭებოდა, ქალობდა, მის რეალ „გზასა“ სწუნობდა, მაგრამ „გზა“ მის რეალობდა. კამ-კამა.

• ნათკა, ნიკუ, დემეტრე, მონკა, მაკო, მახო, დედუკა, ძალიან მიყვარხართ, მგზავნელებო, ძალიან საყვარლები ხართ. გკოცნით სუყველას, მუდამ თქვენი მაცო.

• თაის, შენი წასვლა შეუმჩნეველი არ დამრჩენია და მინდა, დაბრუნება მოგილოცო. ძალიან კარგი ადამიანი ხარ. ქეთი, ქუთაისიდან.

• ჩემს კახეთს და კახელებს გაუმარჯოს! ხომ მშვიდობაა, სატახტო ქალაქ თელავში? იყავით მაგრად და გიყვარდეთ სიყვარული. ჩემს კახეთს ვენაცვალე! პატარა კახელი.

• აი, მეც აქ ვააარ, მაგრამ ილინზე ნაწყენი. ჩემო სიხარულო, დამივიწყე უკვე? ყველა მოიკითხე, ჩემს გარდა. ჩორი-ჩორი, სად ხარ? ლელუჩია, წახვედი ბათუმში? როზი.

• ეჰ, ლიფსო, სიცხის ბრალია. ამერია ხელფეხი. კამელიას უყვარს გრუზინკაო და ბაოს უყვარს კამელიაო. შენი მეორე ჩარჩოიანი მესიჯი ვიცანი. უფალი გფარავდეს, მუდამ. ბაო-ბაო.

• საყვარელო სალომე, ვინც ნომერი არ მოგცა, ის არაფერ შუაშია, მე ვთხოვე. ნებისმიერი მგზავნელის მესიჯი უსაზღვროდ გამახარებდა, მაგრამ ახლა რთულ სიტუაციაში ვარ და მაპატიე.

• თუ 1-2 ადამიანს ხუმრობით ნათქვამი სიტყვა ვაპატიე, ე.ი. მასხარად ჩავთვალე. ჯობია, ემოციები აკონტროლოთ, მოკითხვა ყველას, ვისაც ვუყვარვარ. გაკოცეთ. განძის მაძიებელი.

• კობა, როგორ ხარ? მაგრად მენატრები და იმედი მაქვს, რომ მალე ისევ ერთად ვიქნებით, ჩვენ, სამივე. პუტინი.

• კობა, ჯანმრთელობას გაუფრთხილდი და ყველაფერი კარგად იქნება. ხომ იცი, შენზე უკეთესი არავინ მყავს. მე

ყველაფერს ვაკეთებ, რო ჩემამდე მოხვიდე. გკოცნი გულში.

• მის რეალ, იუბილეს გილოცავ, ბედნიერებასა და ულევ სიხარულს გისურვებ, ყველაფერი აგხდენოდეს, რაც გულით გსურს. წარმატებები! ლუნა.

• მატყუარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ერთ დიდ, გიგანტურ, გრანდიოზულ და უპრეცედენტო შტეფსელში.

• ნათათო, ჩემო ბუტია ანგელოზო, უძალიანესად მიყვარხარ, ეს შენც კარგად იცი და არ უნდა გწყენოდა. უზომოდ მენატრები. კიკო, სად დამეკარგე, სიხარულო? სესი, მიყვარხარ. დუჩი.

ამიყვარხარ



• ანტონ, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ყოველთვის გახსოვდეს, ამქვეყნად არის ადამიანი, ვინც შენს დაბრუნებას მოუთმენლად ელის. ეს ჩვენ ვართ, შენი ცოლ-შვილი. ნინო.

• კობა, უშენოდ ცუდად ვარ, უშენოდ ვგიჟდები, უაზროდ მიყვარხარ, უზომოდ მჭირდები, სიშორით ვგიჟდები და ვეღარ ვმშვიდდები, მიყვარხარ იცოდე, უზომოდ მჭირდები. ციო.

• კობა, მიყვარხარ და მეყვარები, მომენატრე, მენატრები, ეს ცხოვრება არის ჩვენი, უშენობა არის ძნელი. გახსოვს? ციო.

ამიღოცავ



• უმშვენიერეს ქალს, ნანა ქურციკიძე-გოგებაშვილს, 21 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაგასწროს ღმერთმა, შენს ქმარშვილთან და საყვარელ ხალხთან ერთად. შენ პირველ რიგში ჩემი რძალი ხარ და მერე — ჩემი უსაყვარლესი, ორი ანგელოზი ძმისშვილის, ნათიას და ანუკას დედა. იცი, რატომ გეუბნები ამას? არასოდეს თქვა — არასოდეს! ხათუნა.

• ჩემს ძვირფას ადამიანებს, ნათია მელითაურსა და ვანო წიკლაურს ვულოცავ გაბედნიერებას. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს. დაე, მუდამ უყვარდეთ ერთმანეთი. დიდი სიყვარულით, ნანული.

• ვალერი, გილოცავ 22 ივლისს, დაბადების დღეს. გისურვებ ლამაზ და მშვიდ ცხოვრებას. მენახე უდარდელი და გახარებული. შენი ტკივილი მალე სიხარულით შეცვლილიყოს. გფარავდეს უფალი. შენი პატარა ეჭვიანი.

• ჩემს საყვარელ დედას, თამარ ანანიაშვილს ვულოცავ დაბადების 66 წლისთავს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდ ხანს სიცოცხლეს. მიყვარხარ და უზომოდ მენატრები.

• ქრისტინა და ნიკა ბურჯალიანებს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ ლამაზ მომავალს. ღმერთი გფარავდეთ. ირმა ბიცოლა.

• ქრისტინა და ნიკა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. არ მოგკლებოდეთ ღვთის წყალობა. მიყვარხართ და მენატრებით, ძალიან. დედიკო.

• 17 ივლისს დაბადებულ ლაშა ხულელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს! ლაშუკა, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ცხოვრებაში ბევრ წარმატებას. გკოცნი. ლელა.

• კობა, გილოცავ დაბადების დღეს, 14 ივლისს. მრავალს დაესწარი, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. ღმერთი გფარავდეს, მუდამ. მიყვარხარ, მენატრები, მალე ჩამოდი, გკოცნი. შენი სიხარული.

• ათენში, ლია ჯიმშიტაშვილს: მსურს მოგილოცო დაბადების დღე და ზედ დავურთო ღვთისმშობლის ლოცვა, შენი ცხოვრების მეგზური იყოს სიყვარული და უფლის წყალობა. მზია.

• ჩემს საყვარელ მულს, მარინა არაბულს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 ივლისს. ღმერთმა მოგცეს გამძლეობა, სიხარული, სიყვარული არ მოგკლებოდეს. ღმერთი გფარავდეს. დიდი სიყვარულით, ლალი.

• ლუციფერს, აპოლონს, ვერმახტს, ყველა მგზავნელს, ვინც ამ დღეებში იუბილარი იყო, ვულოცავ დაბადების დღეს! ფახუცანას კი პატარას დაბადებას ვულოცავ! კამელია.

• დაბადების დღეს, 12 ივლისს ვულოცავთ იზა ჯოჯუა-სიხარულიძეს. დიდი სიყვარულით, მეუღლე ვახო, შვილები ლუკა და ლისი სიხარულიძეები.

• ნატალი, კიდევ მრავალს დაესწარი ჯანმრთელად და შენ როგორც გინდა. შენი ნიკა და ლუკა კიკინა.

• უშენოდ სიცოცხლე უაზრობაა, ჩემო ლამაზო სიყვარულო. ჩემო ეკუნია, გილოცავ დაბადების დღეს. ყველა ოცნების ასრულებას გისურვებ. მადლობა უფალს, რომ არსებობ და მიყვარხარ.

• მედო-მარიამს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. მიყვარხარ, სიხარულო.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ითვითონ ეწერდა ფსიქიკური კითხვის მიმიკა

ყველა ქალის სახე 44 ჯუნთისგან შედგება, რომელთა დაჭიმვითა და მოშვებით მას გრიმასისა და მიმიკის 10 ათასამდე კომბინაციის შექმნა შეუძლია. მამაკაცებისთვის უმჯობესი იქნება, თუ ზოგიერთი მიმიკის წაკითხვა წინასწარ შეეძლებათ.



1. ზიზღი

ნარბები შეჭმუხნილია, ტუჩები მოპრუწული. ასეთი მიმიკის გამოწვევა სულ იოლია, თუ შუბლზე მოდენილ ოფლს ფარდის ბოლოთი მოიწმენდ.



2. შეკავებული რისხვა

გაქვავებული სახე, არაფრის მთქმელი მზერა, ოდნავ გაბერილი ცხვირის ნესტოები. ასეთი მიმიკის გამოწვევას შეძლებ, თუ ყოფილი საყვარლების ჩარჩოში ჩასმულ ფოტოებს ოთახში გამოფენ.



3. შიში

თვალები გაფართოებული, პირი — ფართოდ გაღებული, ნარბები — ოდნავ აწეული. ამ მიმიკის პროვოცირებას იოლად შეძლებ, თუ ტელეფონის ყურმილს აიღებ, ნომერს აკრეკ და ჩასძახებ: — დედა, შენ ხარ? გადმოდი ჩვენთან საცხოვრებლად, რა, ძალიან გთხოვ...

4. გაოცება

თვალები დაელმებული, პირი — ოდნავ ღია. ამ მიმიკის პროვოცირება შეიძლება შემდეგი სიტყვებით: ძვირფასო, დღეს ძმაკაცებთან ერთად საქეიფოდ მივდივარ, მაგრამ საღამოს 9 საათზე უკვე შინ ვიქნები და ერთ წვეთსაც არ დავლევ.

5. ჩუმი სიძულვილი

სახის ყველა კუნთი გაქვავებულია. ამ მიმიკის პროვოცირებას შეძლებ, თუ ეტყვი, რომ მისი ახალი კაბა ზუსტად ისეთია, როგორიც შენს მდივანს აქვს.



6. ეჭვი

წარბები და ცხვირი შეჭმუხნილი, ტუჩები — მოპრუწული, თვალები — მოჭუტული. ასეთ მიმიკას დაინახავ, თუ ეტყვი, რომ წუხელ მთელი ღამე ბიბლიოთეკაში გაატარე და შინ იმიტომ ვერ მიხვედი.

7. ჭირვეულობა

შუბლი — დანაოჭებული, თვალები — მაგრად დახუჭული, პირი ღია და გამოსცემს ტირილისმაგვარ ბგერებს. ასეთ სახეს დაინახავ, თუ ცოლს მანქანის თხოვებაზე უარს ეტყვი.



8. გადაწყვეტილების მილების პროცესი

ტუჩები ოდნავ მოკუმული და წინ წამოწეული, წარბები აწკეპილი, თავი ოდნავ ძირს დახრილი. ასეთი მიმიკის პროვოცირებას შეძლებ, თუ ეტყვი, რომ ხელფასი შეგიმცირეს და არჩევანის წინაშე დააყენებ: ან დასვენება ზღვაზე, ან წავის ქურქი.



9. შურისძიება

ქვეშ-ქვეშა გამოხედვა, პირი ღია, ნიკაპი წინ წამოწეული, წარბები — შეკრული. ასეთ სახეს დაინახავ, როცა ჩხუბის შემდეგ შერიგებას სთხოვ და ეტყვი, რომ მისი დახმარება გჭირდება.

10. ბრაზი

კბილები — დაკრეჭილი, ტუჩის კუთხეები — განზე გაწეული, შუბლი — შეკრული, მუშტი — მოღერებული. ასეთი მიმიკის პროვოცირებას შეძლებ, თუ ეტყვი, რომ დღეიდან სამსახურში აღარ ივლი და საერთოდ, დასვენება გჭირდება.

„ახსნაგანმარტებითი" ბარათები



• „ავტომობილს ნასვამ მდგომარეობაში არ ვმართავდი, ის თავისით მიდიოდა. ამიტომ, ჩემი დასჯა მართებული არ იქნება".

• „პოლიციას კი არ გავექეცი, არამედ — ჩქარი ნაბიჯით გავასწარი".

• „დიახ, ქალაქის მერს, პრეზიდენტსა და ჩემს შეფს უშვერი სიტყვებით ვლანძღავდი, მაგრამ ჩვენ ხომ საბჭოთა კავშირში არ ვცხოვრობთ? ახლა სიტყვის თავისუფლებაა და რასაც მინდა, იმას ვიტყვი".

• „ჩემი ცოლი, გარეთ შიშველი არ გამიგდია, უბრალოდ, მინდოდა, მოვხვეოდი და მეკოცნა. მან კი ეს ვერ გაიგო და ყვირილი ატეხა. ნაჯახით კი კოღოებს დავდევდი. ჩვენ ძალიან კარგი ოჯახი გვაქვს".

• „არ ვიგინებოდი, სულელი ხომ არა ვარ, რომ კონსერვატორიის შენობაში შევიგინო? გთხოვთ, ჩემ მიერ დასახელებული მიზეზი სერიოზულად მიიღოთ".

• „ჩვენ მივედით მოქალაქესთან და ვთხოვეთ, ასანთი მოეცა. მან გვიპასუხა, რომ 3 წელი კარატეზე დადიოდა. შეგვეშინდა და ავტირდით. ცრემლის მოწმენდის დროს შემთხვევით მის თვალზე მომიხვდა ხელი, მოქალაქემ კი ფული თავად მომცა, რომ ცრემლი შემეშრო".

• „როცა სახლის კუთხეში მოქალაქე გ-ს შევხვდი, დავიბენი და იმის ნაცვლად, რომ „საღამო მშვიდობისა" მეთქვა, „ჩქარა, ფული და ოქრო"-მეთქი, ვუთხარი. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ამ დროს ფულსა და ოქროზე ვფიქრობდი.

• „გვიან ღამით ჩემი სახლიდან მუსიკის ხმა კი არ ისმოდა, არამედ სასიამოვნოდ იღვრებოდა".

• „სამუშაო საათების შემდეგ, ლუდის ბარში 6 ლიტრი ლუდის დალევას არავითარი კანონი არ კრძალავს".

• „ავდექი და დირექტორს ყველაფერი პირში, დაუფარავად მივახალე და იმავე ადგილზე მუშტიც მივაყოლე".

• „სამსახურში ნასვამი იმიტომ გამოვცხადდი, რომ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დამაჯარიმებდნენ".

• „ფოკუსნიკს" იმიტომ ვცემე, რომ მან ჯიბიდან ფული ამომაცალა და მაჯაზე საათი შემხსნა. იმის შესახებ, რომ ჩემი ფული და საათი მარჯვენა ყურში მქონდა, მას არაფერი უთქვამს".

• „მე, დაცვის თანამშრომელი ბ-ძე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დღის 2-დან 4 საათამდე დირექტორის მდივანთან ვიწექი. ამის გამო, როგორც მდივანი, ისე მე, ვერაფერს გეტყვით იმის შესახებ, ვინ აიღო საბუთები დირექტორის სამუშაო მაგიდიდან".

• „ხიდიდან იმიტომ გადავხტი, რომ სიცოცხლის უაზრობაში დარწმუნებული ვიყავი. სამაშველო ბრიგადის კატერის ბენზინის ფულსა და მაშველების მორალურ ზიანს 2 წლის განმავლობაში ავანაზღაურებ, რადგან მათი მადლობელი ვარ. ახლა 2 წლის განმავლობაში ჩემს სიცოცხლეს აზრი ექნება".

• „ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვინც ღამის კლუბში ადეკვატურად იქცეოდა. დაცვის თანამშრომელი კი „ვალსის" საცეკვაოდ იმიტომ გავიწვიე, რომ ეს მოდურია და ადეკვატური".

• „დამპალ პომიდორს ფანჯრიდან იმიტომ ვისროდი, რომ არ მჭირდებოდა. ხოლო თუ ეს პომიდვრები „მერსედესს" ხვდებოდა, ამაში მძღოლია დამნაშავე".

• „პლაჟზე ქალებს საცურაო ტრუსს იმიტომ ვხდიდი, რომ მათ სხეულებს თავისუფლად ესუნთქა".

• „ვიცი რა, რომ სიმთვრალეში ძალზე ცუდი ხასიათი მაქვს, დათრობამდე ვიჩხუბე, რომ მერე სიმთვრალეს არ დაჰბრალებოდა".

• „მეზობლის ქათამი ტალახიანი იყო და გადავწყვიტე, მებანავებინა. საამისოდ ქვაბით წყალი დავადგი და შიგ ქათამი ჩავსვი, მაგრამ საქმეს შევყევი და ქათამი ქვაბში ჩამრჩა. მოვითხოვ, რომ მეზობელმა თვითონ აბანაოს ქათმები!"

• „დიახ, მეტროში ხმამაღლა ვყვებოდი უხამს ანეკდოტს, მაგრამ სხვათა შორის, პოლიციელებიც იცინოდნენ".

• „მეზობელს ელტონ ჯონი იმიტომ ვუწოდე, რომ საღამოობით ძალიან ხმამაღლა მღერის და ცოლის საყვედურების მოსმენაში ხელს მიშლის".

• „მოქალაქე ზ-ს ორსულობასთან არანაირი კავშირი არ მაქვს. მას მუცელი ჩემი ჩარევის გარეშე გაებერა".

• „მოხუც მეზობელს ცარიელი ბოთლი მცირე ძალით ჩავარტყი და ძალიან გამიკვირდა, რომ ტვინის შერყევა მიიღო, რადგან არ მეგონა, მას საერთოდ ტვინი თუ ჰქონდა".

• „სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩემი დაბადების დღესთან დაკავშირებით, ჩემი ცოლი ფანჯრის რაფიდან გადმოვარდა".

• „მე, დათო გ-ძე არ გამოვცხადდი სამსახურში იმის გამო, რომ 13-დან 17 ივნისამდე ცოლის მოყვანას ვცდილობდი, მაგრამ ამჯერად არაფერი გამომივიდა. გთხოვთ, გაცდენა მომავალშიც საპატიოდ ჩამითვალოთ".

• „გუშინ სამსახურში სულის საზეიმო მდგომარეობის გამო არ გამოვცხადდი. დილით სიდედრი გავაცილე, რომ გამგზავრება არ გადაეფიქრებინა". ●

მევიოლინე პიჭი, რომელიც „ზღარბად“ გადაიქცა...

როგორ შეიძლება გადაიქცეს ჩვეულებრივი ბიჭი ზღარბად?.. ამისთვის საჭიროა იყოს ნიჭიერი, მუსიკალურ სკოლაში სწავლობდეს და შესანიშნავად უკრავდეს ვიოლინოზე, თან ამავე სკოლაში უნდა ასწავლიდეს რეჟისორის და... მერე ყველაფერი ერთი შეხედვით ჩვეულებრივად განვითარდება: ძმა, იგივე რეჟისორი, დას სთხოვს, ასეთი და ასეთი ბიჭი ხომ არ სწავლობს თქვენთანო. და — კი არის ერთი, მაგრამ ის რას გამოგადგებათ, მაგისი ხმა არ გამიგონია, მხოლოდ უკრავსო... მაინც ნახავენ რეჟისორის ასისტენტები და... ამას ვეძებდით, ეს იქნება ჩვენი ფილმის გმირიო, — დაასკვნის რეჟისორი.

ლელა ჯიყამშვილი



უხეში თმა მქონდა, მაგრამ ისეთი არა, როგორიც ფილმში

ამ ზღაპარივით მონათხრობში ერთი სიტყვაც არ არის გამოგონილი, რეჟისორი ალეკო ნინუა გახლავთ, ბიჭი კი, რომელიც „ზღარბად“ გადაიქცა — **უჩა აბზიანიძე.**

ფილმი „ზღარბი“ გამოსვლის დღიდანვე შეიყვარეს. პატარა ვიყავი, ფილმი რომ ვნახე. ბერტა ხაფავასაგან ნაცემი, ატირებული ზღარბის შემხედვარეს ცრემლები ყელში მომებჯინა. მერე და მერე ის კი გავიგე, რომ ფილმში ადამიანებს მართლა არ სცემენ, მაგრამ დარდი მაინც არ მომშორდა: ასეთი თმის პატრონს, ის ბიჭი რომ იყო (ხომ გახსოვთ, თმა ყალყზე ედგა), ცხოვრებაშიც გაუჭირდება-მეთქი...

დრო გავიდა და როგორც ჟურნალისტმა, მოვძებნე „ზღარბის“ მთავარი გმირი. ისევ ბავშვურად ველოდი, რომ გამოჩნდებოდა ურჩთმიანი მამაკაცი... ამიტომაც ვერ ვიცანი... სულ არა ჰგავს თავის ბავშვობასა და იმ ზღარბივით აბურძგნილ პატარა მევიოლინეს.

ამ ფილმის გადაღებიდან ზუსტად 30 წელი გავიდა

— ამ ფილმის გადაღებიდან ზუსტად 30 წელი გავიდა, — *მიამბობს ბატონი უჩა,* — მაშინ 14 წლისა ვიყავი. ზაფხული იყო, სინჯები რომ გადამიღეს... აღარც კი ველოდი, რომ ვინმეს მოვეწონებოდი და უცებ დამირეკეს, მოდიო. ფილმი სულ ერთ თვეში გადავიღეთ. მერე, ესკიზები რომ ვნახე, თითქოს მე დავუხატავვარო, ისე მგავდა პერსონაჟი...

— **მუსიკალურ სკოლაში სწავლობდით, ვიოლინოს უკრავდით, გაჰყევით მუსიკას თუ მიატოვეთ?**

— კონსერვატორია დავამთავრე, მერე მუსიკალური სკოლაში ვმუშაობდი პედაგოგად... ბოლო წლებია ბიზნესში ვარ და ძალიან მენანება, რომ მუსიკას დავშორდი...

— **მართლა ასეთი ურჩი თმა გქონდათ?**

— უხეში თმა მქონდა, მაგრამ ისეთი არა, როგორიც ფილმში. როლზე რომ ამიყვანეს, გრიმიორს — ზიზი სისაურს სთხოვეს, როგორმე ისეთი ეფექტი მიეღო, როგორიც თქვენ გაქვთ ნანახი ეკრანზე. ყოველ დილით გადაღებაზე მივდიოდი, იქ მაკრატლით, რომელსაც გაზზე აცხელებდნენ, თმას 2-3 საათი მიყენებდნენ. თავის კანი სულ დამწვარი მქონდა. მერე ლაქს დამასხამდნენ და საღამომდე მიძლებდა. მეორე დილით ყველაფერი თავიდან იწყებოდა. კონცერტზე მიმავალს თმა რომ ნელ-ნელა ყალყზე მიდგება, მაგ კადრზე ძალიან ვიწვალეთ... ხან სცადეს, ზემოდან ჰაერის ტუმბო გამოეყენებინათ, რომ თმა „ფეხზე“ დამდგარიყო... არ გამოვიდა, ხან რა მოიფიქრეს, ხან — რა. ბოლოს, რეჟისორის ასისტენტებმა წვრილი ძაფები მომაბეს თმის ძირებზე, თვითონ უკან ჩაცუცქდნენ, ძაფები თითებზე მოიბეს და მე რომ ვუკრავდი, ნელ-ნელა დაიწყეს ძაფების მოქაჩვა. თმაც ამის გამო დადგა ყალყზე. ორი დუბლი გადავიღეთ და ბატონმა ალეკომ — გვეყოფა, ბავშვი ცოდოა, ვნახოთ, რა გამოვიდაო... ნახეს და მეტი არც დასჭირვებიათ ამ კადრის გადაღება.

— **ეს ალბათ ყველაზე რთული სცენა იყო თქვენთვის...**

— ესეც და ტირილის სცენაც. ბატონი ალეკო ერთი კვირა მელაპარაკა, როგორ უნდა მეტირა. მეუბნებოდა: ზაქარიაძე ხომ იცი, რა მსახიობია, ნებისმიერ დროს იტირებდაო... უნდა გაიხსენო მძიმე შემთხვევა, რაც ცხოვრებაში გქონია და აგეტირებაო. მართლაც გავიხსენე რაღაც და ვიტირე...

— **ასეთი რა გაიხსენეთ?**

— მაგას ვერ გეტყვით... სულ ორმა კაცმა იცოდა, რის გამო ვიტირე... ისე ამომიჯდა გული, ძლივს დამაწყნარეს. სხვათა შორის, ეგ კადრი არ შესულა ფილმში. მეორე დუბლი გადაიღეს — თვალებს ხელებით იფარავდი და სახე არ გიჩანდაო...

— **მაინც არ მითხარით, რა იყო ის, რის გამოც ასე იტირეთ...**

— ძალიან პირადულია...

— **მაშინ 14 წლის იყავით და... რა შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი პირადული?**

— თუნდაც სიყვარული...

— **ფილმში თქვენი პარტნიორი და გამამწარებელი ქეთევან ჯავახიშვილი იყო. ხომ არ შეგიყვარდათ?**

— არა, უბრალოდ ვმეგობრობდით. იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს... ისიც უკრავდა, „მზიურის“ მეორე თაობაში იყო... მე „ნერგებში“ ვუკრავდი და ერთხელ ლენინგრადში შევხ-

ვდით კიდეც ერთმანეთს გასტროლებზე. გამამწარებელი ახსენეთ... გახსოვთ, ბერტა ხაფავა რომ მტაცებს კისერში ხელს და მცემს?! გრძელი ფრჩხილები ჰქონდა და ისე დავუკაწრავვარ, რომ კისერი სისხლით მომესვარა. მერე მეფერებოდა, ეს რა გიქენიო...

— მსახიობობა არ მოგნდომებიათ?

— კი, მაგრამ ისეთი რეჟიმი მქონდა, მაგისთვის ვერ მოვიცლიდი. ოჯახსაც ადრე მოვეკიდე. ოცი წლისას უკვე შვილი მყავდა. მე და ჩემი მეუღლე ერთად ვსწავლობდით მუსიკალურ სასწავლებელში. მან მერე უნივერსიტეტის ფრანგული ენის ფაკულტეტი დაამთავრა. მასაც უნდოდა მუსიკას გაჰყოლოდა, მაგრამ მე ვურჩიე, უნივერსიტეტში ესწავლა. მუსიკოსს პირობები სჭირდება. ნორმალური ვიოლინო თუ არფა (მეუღლე არფაზე უკრავდა) ძნელი საშოვნელიც იყო და ძვირიც ღირდა. მუსიკამ მთლიანად შემიცვალა ცხოვრების წესი... არაჩვეულებრივ ადამიანებსაც დამაკავშირა... სასწავლებელში ერთად ვსწავლობდით (ჩემზე ერთი წლით წინ იყო) მე და ზურა შამუგია — ამერიკელი ჯაზმენებიც კი გააოცა, ისე უკრავდა ჯაზს. კონსერვატორიაში ერთად ვიყავით მე და სოსო პავლიაშვილი. მერე ის დაუსწრებელზე გადავიდა... მე ჯარში წავედი, ისიც. სოსო უნიჭიერესი ბიჭია. ჯარში შექმნა ანსამბლი და დიდი წარმატებით გამოდიოდა. ორი წელი ვიოლინო არ ჰქონდა ხელში აღებული. ეს ნიშნავს მუსიკოსის კარიერის დასრულებას, ფორმის საბოლოო დაკარგვას. ის კი დაბრუნდა და რამდენიმე თვეში ისე დაუკრა კონცერტზე, ყველა გააოგნა.

— თქვენ „ნერგების“ შემდეგ ანსამბლში აღარ დაგიკრავთ?

— „დიელოშიც“ ვუკრავდი ერთხანს... მეორე თაობაში, რომა რცხილაძის მერე...

— რომა რცხილაძეს ყველა სპილოს ეძახდა... მისთვისაც ზღარბი ხომ არ იყავით? საერთოდ, ზღარბი ხომ არ შეგრჩათ მეტსახელად?

— ცხადია, შემრჩა, ზოგი ზღარბს მეძახდა, ზოგი — იოჟიკს... რომა და მამუკა ონაშვილი ვნახე ერთხელ და რომამ — ზღარბი, შენა ხარო?! მამუკამ ხელში ამიტაცა, — შენა ხარ, ბიჭო, ზღარბი, როგორ მიყვარს ეგ ფილმიო... რა მიკვირს, იცით? ამდენი წელი გავიდა და ჩემი შვილების თაობისანი და უფრო პატარებიც რომ მხვდებიან, ყველა ერთსა და იმავეს მეუბნება, რომ ეს ფილმი ძალიან უყვართ და ისე მიშინაურდებიან, რომ ზღარბსაც კი მეძახიან ხოლმე... ■

სტალინი სხვადასხვა რაკურსით

ანუ ლონდონელი ქართველის დებიუტი „რუსთაველის“ სცენაზე

მიხეილ თუმანიშვილის აღზრდილი რეჟისორი დავით პაპავა ინგლისის ერთ-ერთ თეატრში წლების წინ, ფესტივალ „საჩუქრის“ შემდეგ მიიწვიეს. ის, თავდაპირველად, მსახიობის ამპლუაში წარუდგა იქაურ მაყურებელს, შემდეგ სპექტაკლის დადგმის საშუალებაც მისცეს. ამას წლების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის — კოლუმბიაში, დიდი წარმატებით დადგმული გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“ მოჰყვა. ახალგაზრდა ქართველმა რეჟისორმა მსოფლიოში სახელის მოხვეჭის შემდეგ, კვლავ სამშობლოში დაბრუნება არჩია. თეატრ „გლობუსის“ შენობა გაარემონტა, იქვე თანამედროვე ხელოვნების ცენტრი დააარსა და ამჟამად რუსთაველის თეატრში სტალინზე სპექტაკლს დგამს. რეჟისორ დავით პაპავას ერთ-ერთი რეპეტიციის შემდეგ შევხვდით.

ირმა ხარშილაძე

— რატომ აირჩიეთ სპექტაკლის თემად სტალინი და მისი ეპოქა?

— თითოეულ ჩვენგანს გვაღელვებს, რატომ აღმოვჩნდით ასეთ ცუდ მდგომარეობაში ქართველები, რატომ არ სრულდება პოლიტიკური დაპირისპირებები, რით ვერ დავაღწიეთ თავი პრობლემებს, რომლებიც არა მარტო ამ ბოლო დროს დაგროვდა. თითქოს საუკუნეების განმავლობაში ცუდი კარმა ადევს საქართველოს. ამის ერთ-ერთ მიზეზად, სტალინის დანაშაულები მიმაჩნია, რომელიც ჩვენსა და ჩვენს შვილებზეც გადმოვიდა. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ბევრს წერენ, თუმცა ვფიქრობ, კიდევ ბევრი რამ დარჩა ამოუცნობი და



სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის — კოლუმბიაში, დიდი წარმატებით დადგა გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“

პასუხგაუცემელი. კითხვები მეც მაწუხებს და სწორედ ამ სპექტაკლსა და თემაზე მუშაობით, გზადაგზა ძიებით, ვცდილობ პასუხების მიღებას. ყველა სხვადასხვაგვარად ხედავს სტალინის პიროვნებას — ზოგი აქებს, ზოგი — ანადგურებს, ზოგი გენიოსს უწოდებს, ვიღაცას მისტიკოსი ჰგონია... ჩემი აზრით, ის ბოროტმა ძალებმა ცუდი მისიის შესასრულებლად მოავლინეს ამქვეყნად.

— პიესის ავტორი ვინ არის?

— ლაშა ბუღაძე, რომელმაც ეს ნაწარმოები დაახლოებით სამი წლის წინ დაწერა. პიესას ლონდონში გავეცანი. ლაშაც იყო ჩამოსული, ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე, დამედგა, თანაც საქართველოში. პიესაში 22 პერსონაჟია. იოლი განსახორციელებელი არ იყო და რუსთაველის თეატრიც იმიტომ შევარჩიე, რომ მის დასში საკმაოდ ბევრი გამოცდილი და ნიჭიერი მსახიობი მეგულებოდა.

— ანუ ამ თეატრში საგანგებოდ კი არ მოგიწვიეს, თავად შეარჩიეთ?

— ათი წელი ლონდონში ვცხოვრობდი და რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ბატონი რობ-

ერტ სტურუა დროდადრო მთავაზობდა, ჩამოვსულიყავი და აქ დამედგა სპექტაკლი. როდესაც საქართველოში დაბრუნება გადავწყვიტე, იმაზეც ვიფიქრე, რით დამეწყო ჩემი შემოქმედებითი საქმიანობა. მერე ლაშას პიესა მომეწონა, რადგანაც ძალიან მაინტერესებდა სტალინი და მისი ეპოქა. ვარჩიე, სწორედ ამ თემით დამეწყო.

— 22 პერსონაჟი ახსენეთ, მაგრამ სპექტაკლში 14 მსახიობი მონაწილეობს. ზოგიერთ მათგანს რამდენიმე როლის შესრულება უწევს. როგორც ვიცი, სტალინიც რამდენიმე სახით ჩნდება სცენაზე...

— სწორედ იმიტომ, რომ სტალინზე ბევრნაირი შეხედულება არსებობს, ლაშამ გადაწყვიტა, ის რამდენიმე პერსონაჟის სახით ეჩვენებინა — თითოეული ხასიათის სხვადასხვა თავისებურებებით. მაგალითად, გვყავს რომანტიკული სტალინი, გვყავს ძლიერი სტალინიც — იმპერიას რომ სჭირდება, ისეთი... ამ სპექტაკლში კარგად ჩანს, რომ სტალინად არ იბადებიან, სტალინს ქმნიან. დედამიწაზე დაიბადა ჩვეულებრივი ბიჭი — სოსო ჯუღაშვილი, რომელიც საზოგადოებამ სტალინად აქცია. რა ხდებოდა ამ ადამიანის სულში, როგორ ტრანსფორმაციას განიცდიდა სემინარიელი, ღმერთის მორწმუნე, პოეტი სოსელო წლების განმავლობაში და რად გადაიქცა — სწორედ ამაზეა ჩვენი სპექტაკლი.

— ეს იქნება უფრო სპექტაკლი-ანალიზი თუ დოკუმენტურ მასალაზე აგებული ისტორიული ჟანრის წარმოდგენა?

— რასაკვირველია, დოკუმენტურ მასალას ვიყენებთ, მაგრამ პოლიტიკური ამბები ნაკლებად გვაინტერესებს. ეს იქნება სპექტაკლი — სიზმარი, მისტიკური აბსურდი. აქ გამოჩნდება სტალინის პიროვნების გაორება, ტრაგიზმი.

— მგონი, ამ სახით სტალინი არავის უჩვენებია სცენასა და ეკრანზე...

— ჩვენ ვიცით მისი პიროვნების შესახებ, ამ სპექტაკლით კი გვსურს, გავარკვიოთ, რა ხდებოდა „მის შიგნით“. ასევე, გვერდს ვერ ვუვლით კომუნიზმის თემატიკას. მოგეხსენებათ, როგორ გვიკრძალავდნენ კომუნისტები რწმენას, წვავდნენ რელიგიურ წიგნებს, კლავდნენ ადამიანებს... ამით კი ღმერთს ებრძოდნენ. ჩემი აზრით, ეს არის შეთქმულება ღმერთის წინააღმდეგ, რაც სპექტაკლში კარგად ჩანს.

— გარდა რამდენიმე სახის სტალინისა, სპექტაკლში სხვა პერსონაჟებიც არიან...

— გვყავს სტალინის მეუღლე, ლავრენტი ბერია; ასევე, ერთ-ერთ პერსონაჟად გვყავს სტალინის მარჯვენა ხელი; სპექტაკლში არიან ჩერჩილი, რუზველტი, ჰიტლერი, ლენინი, კრუპსკაია...

— სტალინის როლისთვის ყოველთვის არჩევდნენ ისეთ მსახიობს, რომელიც სიმაღლით, იერით, ხმის ტემბრით იოსებ ბესარიონის ძის მსგავსი იქნებოდა. რადგან თქვენს სპექტაკლში აქცენტი სტალინის ხასიათის თავისებურებებზე კეთდება, რის მიხედვით და ვინ შეარჩიეთ მისი როლებისთვის?

— საერთოდ, წლების განმავლობაში ისეთ სტალინს წარმოგვიდგენდნენ, როგორიც სჭირდებოდა მაშინ სახელმწიფოს. ჩვენ არ ვიცით, რეალური სტალინი როგორი იყო. მე ნანახი მაქვს მისი დაცვის უფროსის (რომელიც თურმე, კინომოყვარული იყო) მიერ გადაღებული დოკუმენტური კადრები, სადაც სრულიად სხვა სტალინი ჩანს — საბჭოთა ფილმებსა თუ სპექტაკლებში წარმოდგენილისგან განსხვავებული. ჩვენ გვაინტერესებდა ამ ადამიანის სულიერი მხარის წარმოჩენა, ამიტომ სტალინს თამაშობენ — მურმან ჯინორია, დავით კვირცხალია, სოსო აბრამიშვილი, პაატა გულიაშვილი, დავით პაპუაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე...

— სხვადასხვა თაობის მსახიობები? როგორ შეარჩიეთ ისინი? მათთან ხომ არ გიმუშავიათ?

— არ მიმუშავია, მაგრამ თბილისელი კაცი ვარ, თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე, ფაქტობრივად, ამ შენობაში გავიზარდე, თითო სპექტაკლს ბევრჯერ ვნახულობდი და ამ მსახიობების შესაძლებლობები კარგად ვიცოდი. სპექტაკლში სამი ქალი-პერსონაჟი მყავს, რომელსაც ნინო კასრაძე, ნანუკა ხუსკივაძე და ნინო თარხანმოურავი განასახიერებენ. ბერიას როლში დავით უფლისაშვილი, გელა ოთარაშვილი, დათუნა გოცირიძე, ბაჩი ლეჟავა და ირაკლი სანაია არიან.

— პროექტ „დასის“ გამარჯვებული?

— დიახ და, სხვათა შორის, ძალიან ნიჭიერი ბიჭი. სპექტაკლის მხატვარი გახლავთ ასევე ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა გოგონა — ანა ნინუა. მუსიკალურად კი ნიკა მაჩაიძე აფორმებს. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ეს სპექტაკლი თეატრ „გლობუსისა“ (რომელსაც მე ვხელმძღვანელობ) და რუსთაველის თეატრის ერთობლივი ნამუშევარი გახლავთ.

— როდის ვარაუდობთ პრემიერას?

— ალბათ, ოქტომბრის დასაწყისში, რადგან მცირე სცენაზე ვდგამთ, რომელიც ჯერჯერობით დაკავებულია. გარდა ამისა, თეატრ „გლობუსის“ ბაზაზე ხელოვნების ცენტრი დავაარსე, რადგან ვფიქრობ, რომ საქართველოში, უკვე კარგა ხანია, ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვნები საკუთარი შესაძლებლობებისა და პროდუქციის რეალიზაციას ვერ ახდენენ. ამიტომ უნდა ჰქონდეთ ადგილი, სადაც საამისოდ



სტალინს თამაშობენ — მურმან ჯინორია, დავით კვირცხალია, სოსო აბრამიშვილი, პაატა გულიაშვილი, დავით პაპუაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე...

ყველა პირობა შეექმნებათ. ხელოვნების ცენტრი საერთაშორისო ფესტივალებსაც მოაწყობს, მოვიწვევთ უცხოელ სპეციალისტებს, რომლებიც ცენტრის წევრებს მასტერკლასებს ჩაუტარებენ. ჩვენს პროდუქციასაც წავიღებთ უცხოურ ფესტივალებზე ანუ ხელოვნების ცენტრი აღმოაჩენს, შემოიკრებს და გზას გაუხსნის ნიჭიერ ახალგაზრდებს. ქვეყანაში საინტერესო პროექტებით დავბრუნდი და იმედი მაქვს, რუსთაველის თეატრში ჩემი სარეჟისორო დებიუტი საქართველოში განსახორციელებელი კარგი იდეების კარგი დასაწყისი იქნება!

■

ირაკლის ხიდანი

დასაწყისი „გზა“ №24-28

სვეტა კვარაცხელია

ირაკლიმ შემოვლა დაამთავრა და თავის ოთახში შევიდა. მთელი ღამის უძინარს თვალები ელულებოდა. სააბაზანოში გავიდა, წყალი გადაივლო და ლოგინზე მიწვა. ბალიშზე თავი დადო თუ არა, მაშინვე ჩაეძინა, ღრმა, მაგრამ მშფოთვარე ძილით. გაურკვეველ სიზმრებს ხედავდა, ისეთს, მეორე დილით რომ ვერ იხსენებს ადამიანი...

თავდაპირველად ვერ მიხვდა, რამ გააღვიძა. მოეჩვენა, თითქოს მაღვიძარამ დარეკა. სიბნელეში ელდანაცემივით წამოჯდა და მიაყურადა. მიხვდა, ეს მაღვიძარა არ იყო. ეს... ეს ამოოხვრას უფრო ჰგავდა.

თაკოს ამოოხვრას.

თაკოს ამოოხვრას?

სმენა დაძაბა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ნუთუ მოეჩვენა? არა, არ მოსჩვენებია. მას ჩურჩული მოესმა, ჩურჩული და... ფრთხილი ნაბიჯების ხმა. მერე თითქოს თაკოს მოგუდული სიცილი გაიგონა, კიდევ... მამაკაცის გაოცებული შეძახილი.

რა ხდება? იქნებ ეესიზმრება ეს ყველაფერი? სწრაფად წამოდგა, ტანსაცმელი გადაიცვა, პისტოლეტი ბუდეში გაირჭო და ფეხის წვერებზე შემდგარი გავიდა ოთახიდან. დერეფანი შეუმჩნევლად გაიარა, თუმცა იქ ვერავინ დალანდა. ჩურჩულის ხმა დერეფნის ბოლოს, სააბაზანოს გვერდით, კიბის ჩასასვლელთან ისმოდა. კედლის კუთხეს რომ მიუახლოვდა, ფრთხილად გაიხედა. მთვარის შუქზე, რომელიც დახურული ფანჯრიდან აღწევდა, მამაკაცის სილუეტი დალანდა, კართან მიმწყვდეულ გოგონას რომ ეფარებოდა. მაშინვე ვერ შეამჩნია თაკო, მაგრამ თვალი კარგად რომ შეაჩვია სიბნელეს, დაინახა, რომ ბოსის ქალიშვილი მთლად შიშველი იყო. უცხო მამაკაცს კი ზურგიდან ჩაეხუტებინა მისი სხეული და კოცნიდა. თაკო წინააღმდეგობას უწევდა, თან ცდილობდა, არ ეხმაურა.

— ახლავე გამიშვი, შე ნაგავო, ახლავე გამიშვი, თორემ ვიყვირებ! — ჩურჩულებდა გოგონა და მოძალადისგან თავის დაღწევას ცდილობდა.

— მოიცა, რა დაგემართა, შენც ხომ გინდოდა მოვსულიყავი, შენც ხომ გინდოდა ჩემი ნახვა... მოიცა-მეთქი, თორემ...

უცნობი ორივე ხელით ცდილობდა მის დამორჩილებას.

ირაკლიმ ორი ნაბიჯი წინ გადადგა, მარცხენა ხელით პისტოლეტი მისკენ ზურგით მდგარ მამაკაცს დაუმიზნა, ხოლო მარჯვენით ჩამრთველს აჰკრა საჩვენებელი თითი.

— არ გაინძრე! — გულგრილად ჟღერდა მისი ხმა. — ხელი გაუშვი გოგოს და მოტრიალდი! ნელა, ყოველგვარი სისულელის გარეშე, თორემ ტვინს მიგასხმევინებ კედელზე! გასაგებია?

შეშინებული უცნობი მოტრიალდა და ჩაბღუჯული თაკო წინ აიფარა. შიშველი სხეულის დანახვაზე ირაკლი ოდნავ დაიბნა, მაგრამ მალევე მოეგო გონს და პისტოლეტი უფრო მაღლა ასწია.

— გაუშვი-მეთქი, გეუბნები, თორემ შენი საქმე დამთავრებულია. ხომ იცი, გარეთაც დგას ხალხი, მარტო არ ვარ.

ბიჭი ახალგაზრდა ჩანდა, ოცი-ოცდაორი წლის. დამფრთხალი, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, თითქოს გასაქცევს ეძებსო.

— სამამდე ვითვლი, მერე კი ვისვრი, — იყვირა ირაკლიმ, თან ნელ-ნელა წინ წაიწია.

— მესვრი და ამას მოახვედრებ, — ჩაიცინა უცნობმა და ცალი ხელი პირზე ააფარა თვალცრემლიან თაკოს, მეორე ხელით კი დანა დააძრო ჯიბიდან.

— ერთი, ორი... — სამამდე დათვლა აღარ დასცალდა პირად მცველს, რადგან გოგონამ ხელზე უკბინა მოძალადეს, რითაც დრო იხელთა და დაუსხლტა. იგი ყვირილით ამოეფარა ირაკლის ზურგს.

— არ ესროლო, ირაკლი, არ ესროლო, ეს სოსოა, ჩემი მეგობარი, — და მკლავზე ჩამოეკონწიალა მამაკაცს.

გასროლის ხმა გაისმა. უცნობი ადგილზე ჩაიკეცა. გოგონამ კივილი მორთო და იატაკზე განრთხმულ ბიჭს მივარდა. ირაკლიმ პისტოლეტი ბუდეში ჩადო და დაზარალებულისკენ დაიძრა.

— რა ქენი, მოკალი?! მოკალი, არა?! ეს გინდოდა, ხომ?! — განწირული ხმით კიოდა თაკო.

გასროლის ხმაზე ეზოდან დაცვის ბიჭები გამოცვივდნენ და შემოსასვლელ კარზე ბრახუნი ატეხეს.

— მინდოდა, მაგრამ არ მომიკლავს, ჰაერში გავისროლე. დაწყნარდი, ჯობია, ჩაიცვა, — მშვიდად წარმოთქვა მორიელმა და კიბეზე დაეშვა, რომ პოლიციელებისთვის კარი გაეღო.

— როგორ აღმოჩნდი აქ? — პირადი მცველი მხედარივით გადააჯდა სკამს და მის წინ იატაკზე განრთხმულ, ხელბორკილდადებულ სოსო რაზმაძეს დაკითხვა დაუწყო.

— უკანა კარიდან შემოვედი, — სულს ძლივს ითქვამდა იგი.

— მერე? დაკეტილი არ იყო? როგორ შემოაღწიე?

— ამან გამიღო, — ბიჭმა თაკოსკენ გადააქნია თავი, რომელიც ფეხებმოკეცილი დივანზე იჯდა.

— შენ გაუღე? — ირაკლი ახლა გოგონას მიუბრუნდა.

— ჰო, — გაბუტული ბავშვივით

ისროლა თაკომ.

— იცოდი, რომ უნდა მოსულიყო?

— ვიცოდი, ამ დილით ველაპარაკე.

— მერე?

— რა მერე? ნახვა მინდოდა და მოვიდა.

— მე შენ რა გითხარი? რა გელაპარაკე დილით, დაგავიწყდა? — ხმა გაუმკაცრდა პირად მცველს.

— არა, არ დამვიწყებია, მაგრამ...

— რა მაგრამ, რა მაგრამ?! — იყვირა მამაკაცმა.

— რა და, მომბეზრდა ასე ცხოვრება! რას მიყვირი, შენი შვილი კი არა ვარ! — წამოიფოფრა თაკოც.

— ჟიმაობა მოგენატრა, არა? ვერ მოითმინე, ხომ? ნწუ, ნწუ, ნწუ, — თავის კანტურით დასცინა მამაკაცმა, — რა ცუდ დროს მოვედი, როგორ შეგიშალეთ ხელი?!

— არაფერიც არ მომენატრა. უბრალოდ, მინდოდა მენახა, მეტი არაფერი.

— აბა შიშველი რატომ იყავი, ბანაობას ხომ არ აპირებდით ერთად?

— ძალით გამხადა, ვერ გავაჩერე, — ატირდა თაკო, — სულ შემომახია ყველაფერი.

— მართალს ამბობს? — კვლავ სოსოს მიუბრუნდა ირაკლი, — მართლა ძალით გახადე?

— ჰო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... აბა, რისთვის დამიბარა? ღამე მოდიო, კარს ღიას დავტოვებო...

— მე კი არა, შენ მთხოვე, მოვალო. ერთი წუთით გნახავ და წავალო. ასე არ მითხარი?

— ეს დანა საიდან მოიტანე? — გააწყვეტინა ირაკლიმ.

— ვიყიდე.

— რისთვის?

— ისე, უბრალოდ, ჩვეულებრივი სანადირო დანაა, ყოველთვის თან დამაქვს. რა, არ მაქვს უფლება? ამისთვის ვერავინ დამიჭერს, ეს აკრძალული არ არის.

— მაგრამ ამ დანით შენ ადამიანს ყელის გამოჭრას უპირებდი, როგორც მახსოვს, — წარბები შეყარა მამაკაცმა.

— არ ვაპირებდი, მხოლოდ თავის დასაცავად მოვიქეცი ასე, გაქცევა მინდოდა. მისი მოკვლა არც მიფიქრია.

— მაგას პოლიცია გაარკვევს.

ირაკლი წამოდგა და ეზოში გავიდა. უკვე თენდებოდა. თაკო უკან მიჰყვა. მამაკაცმა სახლს შემოუარა. ეზოს უკან მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული, მაგრამ მისი გადალახვა არ იყო ძნელი, რადგან გალავნის კედელთან, გარედან, დიდი ნაძვის ხე იდგა, რომელზე აბობღება და იქიდან გალავანზე გადმოცოცება ნებისმიერს შეეძლო. თავის დროზე ეს არ გაუთვალისწინებია მორიელს.

— რას ეძებ? — დაინტერესდა თაკო.

— მინდა გავიგო, როგორ გადმოძვრა ეზოში.

— მერე? გაიგე?

— გავიგე, — და აუხსნა გოგოს, რასაც ფიქრობდა.

— ნამდვილი დეტექტივივით გამოთვალე. მაგარი ხარ! — აღტაცებით წარმოთქვა გოგონამ.

— ერთ დროს გიგას ვეხმარებოდი კიდეც საქმეების გამოძიებაში, მთლად ეგრეც არ არის, რაღაცები მეც ვიცი. იმ შემთხვევაში მართლაც დეტექტივი ვიყავი, ოღონდ არა წიგნსა ან ეკრანზე, არამედ რეალურ ცხოვრებაში, რაც კიდევ უფრო ცუდია, — ტრაბახი გამოუვიდა პირად მცველს, — ეს რა არის?

გალავნის კედელზე, შუა ადგილას, გაშლილი გაზეთის ზომის პრიალა ქაღალდი იყო გაკრული, რომელზეც ვიღაცას სამიზნე დაეხატა.

— მე გავაკარი, შენ ხომ შემპირდი, სროლას გასწავლიო... წინასწარ გავამზადე.

— მართლა? მერედა, ვერ ხვდები, რკინის გალავანს ტყვია რომ ესროლო,

აისხლეტს და რა მოხდება, ღმერთმა უწყის?

— ჰო-ო, ეგ არ მიფიქრია, მაპატიე, — თაკომ ეშმაკურად გაიღიმა, ფეხის წვერებზე აიწია, მამაკაცს ტუჩებში აკოცა და გაიქცა. ორი ღამის უძინარი ირაკლი ისედაც ძლივს იდგა ფეხზე, კოცნის შემდეგ კი ძლიერად წატორტმანდა და კინაღამ მიწაზე მოადინა ზღარბანი. „ეშმაკმა წაიღოს ეს ბავშვი, რას აკეთებს, რა თამაშს თამაშობს, ნეტავი?!“ — გაიფიქრა და სახეზე ალმური მოედო.

გიგა ორ პოლიციელთან ერთად მოვიდა. თაკოს ის, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მოეჩვენა — საშუალო სიმაღლის იყო, გამხდარი, არაპროპორციულად გრძელი ხელებით; დატალღულ შავ თმაში, აქა-იქ ჭაღარა შეჰპარვოდა; ღია თაფლისფერ თვალებს, აქეთ-იქით მოუსვენრად აცეცებდა, თანაც ცალი თვალი, მეორეზე ოდნავ ღია ფერის ჰქონდა... გოგონა შიშმა აიტანა, ცხოვრებაში პირველად ხედავდა გამომძიებელს, მაგრამ გიგამ დაილაპარაკა თუ არა, შიში მყისიერად გაუქრა. საოცრად თბილი ხმა ჰქონდა გიგას, თბილი და მშვიდი. იგი ჩვეულებრივ პოლიციელს არ ჰგავდა. ამიტომ თაკო დაწყნარდა და დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს.

ნემსაძე ყურადღებით უსმენდა, შიგადაშიგ კითხვებს უსვამდა და ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა.

— მდაა, — თქვა ბოლოს, — რომ იცოდე, ჩემო თამარ, როგორ ბეწვზე ხარ გადარჩენილი...

— თაკო... მე თაკო მქვია. მომწონს, როცა ასე მომმართავენ, არ მიყვარს სახელი თამარი, — თავდახრილმა თქვა.

— ნება შენია, იყოს თაკო. გაიგე, რაც გითხარი?

— გავიგე, მაგრამ არ მჯერა, რასაც მეუბნებით. ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ. რაც შეეხება დანას... სოსოს დანა აქამდეც დაჰქონდა. ის მე არ დამარტყამდა, ირაკლის შესაშინებლად გამოიყენა მხოლოდ.

— დარწმუნებული ხარ ამაში? — თავი გვერდზე გადახარა გიგამ და კითხვით სავსე მზერა მიაპყრო გოგონას.

— რა თქმა უნდა.

— კარგი... მაშინ მე სხვა რამეს გეტყვი და არ გაგიკვირდეს. ირაკლი, შენ რომ დამირეკე და მთხოვე, სოსო რაზმაძეზე რამე გაიგეო, იმწუთასვე დავიწყე მოკვლევა და იცი, რა დავადგინე?

— რა? — ირაკლი სმენად იქცა.

— რა და... ეგ თქვენი სოსო ერთ-ერთი ვიბლიანის ცოლის ძმისშვილი ყოფილა, კერძოდ — ბექასი, უმცროსი ძმის.

თაკოს ფერი ეცვალა. ირაკლის კი ოფლმა დაასხა, ხელები თავზე შემოიდო და ამოიგმინა.

— წამებში მიუსწარი ამ შვლის ნუკრს, თორემ ვიბლიანების წერა გახდებოდა.

— ტყუილია, — დაიჩურჩულა თაკომ და ჩაიკეცა, მუხლებში ძალა წაერთვა.

— მართალია, ჩემო თაკო, მარ-თალი! იმიტომაც გეხვეწებოდა გუშინ დილით, შენთან მოვალო; იმიტომაც დაგიახლოვდა ბოლო ხანებში და იმიტომაც თამაშობდა შეყვარებული კაცის როლს, რომ შენი ნდობა დაემსახურებინა. შენ კი მთლად გაალაღე, სახლში შემოუშვი,

უფრო რომ გაადვილებოდა შენი ნახვა და ყელის გამოჭრა. სხვანაირად ვერ-ანაირად ვერ მოგიდგებოდა. შინიდან რომც გასულიყავი, დაცვა ხომ გამუდმებით გვერდით გეყოლებოდა. მან კი სხვა, უფრო იოლი გზა მოძებნა და გამოუვიდა კიდეც. რომ არა ირაკლი, კაცმა არ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ღამე. არა უშავს, რაც მთავარია, ყველაფერი კეთილად დამთავრდა, როგორც ფილმებში. წავალ ახლა მე და რაზმაძესაც თან წავიყვან. იქ ალაპარაკდება და ყველაფერს გავარკვევთ. მოგვიანებით დაგირეკავ, — გამომძიებელმა ირაკლის ხელი ჩამოართვა და კარისკენ გაემართა.

სოსო რაზმაძე უკვე მანქანაში იჯდა, ორ პოლიციელს შუა და მტრულად იყურებოდა მისკენ მომავალი გამომძიებლისკენ.

— მგონი, აჯობებს, დაცვა გავაძლიეროთ, — მანქანასთან შეჩერდა გიგა და ირაკლის მიუბრუნდა, — ხომ ხედავ, ისევ შეცდომა დავუშვით. ეზოს უკანა მხარე გაუკონტროლებელი დაგვრჩა.

— არ არის საჭირო, მე თვითონ გავაკონტროლებ. ერთ ვიდეოკამერას შევატრიალებ უკანა მხარისკენ.

— წესით, ჩემი ბიჭების ბრალიც არის, რაც მოხდა. ეგ შობელძაღლები, როგორც ჩანს, ადგილიდან არ იძვრიან. ან ერთ ადგილს ტკეპნიან მთელი ღამე, ან სძინავთ. ცოტა მკაცრად მოეპყარი, ნუ მიუშვებ თავის ნებაზე.

— ეგრე ვიზამ, დიდი მადლობა, მეგობარო, — ირაკლიმ მხარზე ხელი დაჰკრა გამომძიებელს და გაუღიმა, — შენს ზარს დაველოდები.

— აუცილებლად დაგირეკავ, — გიგამ კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი და მანქანაში ჩაჯდა.

პირადი მცველი იქამდე გასცქეროდა მიმავალ მანქანას, სანამ მოსახვევში არ მიიმალა, მხოლოდ ამის შემდეგ შემობრუნდა სახლში. თაკო ისევ ისე დახვდა სავარძელში, ფეხებმოკეცილი.

— ახლა მაინც დარწმუნდი, რომ მართალი ვყოფილვარ? — ნაძალადევად გაუღიმა გოგონას.

— არაფერშიც არ დავრწმუნდი, ტყუილია ეგ ყველაფერი. გინდათ, შემაშინოთ, მაგრამ არ გამოგივათ, — ჯიუტად თავისას იმეორებდა გოგონა.

— მომისმინე, პატარავ, შენი შეშინება არაფერში გვჭირდება. რასაც გეუბნებით, სრული სიმართლეა და შეიგნე, სანამ დროა. ახლა კი, წამოხტი და ყავა მოადუღე, თორემ აქვე დავეცემი და ხვრინვას ამოვუშვებ.

თაკოს გაეღიმა, სავარძლიდან ფეხები ჩამოაწყო, ზლაზვნით წამოდგა და სამზარეულოში შევიდა.

სანამ თაკო ყავას ადუღებდა, ირაკლიმ გიოსთან დარეკა და წუხანდელი ამბავი მოუყვა, მერე გურამს ელაპარაკა ნიუ-იორკში. ბოლოს მარის ნომერი აკრიბა და დისშვილი მოიკითხა. როცა ლაპარაკს მორჩა, თავზე ხელები შემოიწყო და თვალები მილულა, ფიქრებმა წაიღო. რამდენიმე წუთიც და... ჩათვლიმა. თაკოს ხმამ გამოაფხიზლა.

— დალიე, სანამ ცხელია, მერე კი გამოიძინე, — გოგონამ სიყვარულით სავსე მზერა მიანათა.

— არა, ახლა არ დამეძინება, შუადღისას ვიზამ მაგას.

— იქამდე რა უნდა აკეთო?

— სროლას გასწავლი, სამიზნე ხომ მზად გვაქვს, — და ცალთვალმოჭუტულმა ეშმაკურად გახედა გოგონას.

— მართლა? არ მატყუებ? — ბავშვივით აჭყლოპინდა თაკო და სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა.

— არ გატყუებ, ოღონდ ერთი პირობით.

— რა პირობით?

— სადილი დღეს შენ უნდა მოამზადო.

— მე-ე? — შეცბა თაკო, — რა უნდა გავაკეთო?

— კარტოფილი ხომ დარჩა? შეწვი და...

— კარგი, მაგას კი მოვახერხებ, ოღონდ სხვა არაფერი მთხოვო.

— აწი დროა, ასეთი რამეები ისწავლო, გასაგებია? — ისევ გაუღიმა მამაკაცმა, თან გამჭოლი მზერა ესროლა, რადგან მომენტალურად მისი შიშველი სხეული გაახსენდა და სისხლი აუდუღდა.

ირაკლიმ სამიზნე შუა ეზოში გადაიტანა, შუაზე გადახერხილ ტყემლის ხეზე დაამაგრა და თაკოს მეცადინეობას შეუდგა. სროლის სწავლებამ მთელ საათს გასტანა. გოგონა ნიჭიერი მოწაფე აღმოჩნდა, უმალ ითვისებდა პირადი მცველის ყველა მითითებას და ისე ზუსტად ისროდა მიზანში, ირაკლისაც კი გაუკვირდა.

— თუ ასე გააგრძელებ, სნაიპერობას მალე შეძლებ, — გაეხუმრა.

თაკომ სევდიანად გაიღიმა.

— რატომ მიღიმი ასე ნაღვლიანად? არ გჯერა ჩემი?

— მჯერა, მაგრამ წუხანდელზე ფიქრი თავიდან არ მშორდება.

— შემთხვევით, ხომ არ გიყვარდა ის ბიჭი? ხომ არ მისტირი? — ჩაეკითხა ირაკლი.

— არა, სიყვარულით არ მიყვარდა, მაგრამ ცოტათი მომწონდა. რამდენჯერ უნდა გამამეორებინო ერთი და იგივე? გაინტერესებს, ვინ მიყვარს? გინდა, გითხრა?

— არ მინდა, — მოიღუშა მამაკაცი.

— ისედაც კარგად იცი, თქმა რა საჭიროა.

— მორჩი, თაკო, გეყოფა! — მაჯაში წაავლო ხელი გაღიზიანებულმა და ძლიერად მოუჭირა.

— გამიშვი, მეტკინა, — ტუჩები გაბუსხა გოგონამ, მაჯა გაითავისუფლა, ნატკენი ხელი წრიული მოძრაობით შეატრიალ-შემოატრიალა, სული შეუბერა და სახლისკენ გაბუტული გაემართა.

ირაკლიმ ერთხანს უყურა მიმავალს, მერე კი თვითონაც უკან მიჰყვა.

დღის განმავლობაში მაინც ვერ გამონახა დრო, რომ დაეძინა. არადა, წესით, დღისით უნდა სძინებოდა, ღამით კი ფხიზლად ყოფილიყო. ისე იყო აფორიაქებული, ადგილზე ვერ ისვენებდა. წარამარა გადიოდა გარეთ და ეზოს ამოწმებდა. ეშინოდა, ნათესავის დაჭერით განრისხებულ ვიბლიანებს რაიმე არ მოემოქმედებინათ.

საღამო ხანს გიგამ დაურეკა და ახალი ამბავი ამცნო: სოსოს ერთი-ორი წამორტყმის მერე ყველაფერი დაუფქვავს; არაფრით გაჩერდებიან, სანამ რომელიმეს არ იმსხვერპლებენ; ან მამას გამოასალმებენ სიცოცხლეს, ან შვილს; უამრავი გეგმა აქვთ მოფიქრებული, თუ ერთი არ გამოვა, მეორეს აამოქმედებენ და ასე გააგრძელებენ, სანამ მიზანს არ მიაღწევენო, — უთქვამს.

— სად იმალებიანო, არ თქვა? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ეგ არ იცის — როცა ჩემი ნახვა უნდოდა, სახლში მოდიოდა ჩვენთანო. როგორც ჩანს, მხოლოდ თვითონ იციან თავიანთი ადგილსამყოფელი, სხვამ არავინ.

— ვითომ მართლა არ იცის? — დაეჭვდა პირადი მცველი.

— არ იცის, არა, მაგას მე ვინმე გამომაპარებს? ეგრევე მივხვდებოდი, რომ მატყუებდეს. ასე რომ, ფრთხილად იყავი, წინ სერიოზულად რთული დღეები გელის.

— გასაგებია, გიგა, გავითვალისწინებ.

ირაკლიმ ყურმილი დაკიდა და თავი სავარძლის საზურგეს მიაყრდნო. რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ასე? ან კი

სანამ შეძლებს თაკოს დამორჩილებას? ისეთი თავნება ბავშვია, დიდხანს ვერ გაძლებს ასეთ მდგომარეობაში, ბოლოს და ბოლოს, ამოუვა ყელში და არავინ იცის, რას გააკეთებს. ნუთუ ვერ შეძლებს პოლიცია კვალის მიგნებას? იქნებ თვითონ ეცადოს, მახეში შემოიტყუოს? მაგრამ როგორ?

— კარტოფილი მზადაა, გავშალო სუფრა? — თაკომ თავი სამზარეულოდან გამოყო. ტანზე ჭრელი წინსაფარი აეფარებინა.

ირაკლიმ ახლაღა დააფიქსირა, როგორ შიოდა და კუჭი აეწვა შიმშილისაგან.

— მანდვე გაშალე, სამზარეულოში, აქეთ ნუ გამოიტან, — უპასუხა გოგონას და ხელის დასაბანად გაეშურა...

პირადი მცველი გამალებული ილუკმებოდა.

— მოგდევს ვინმე? — გაეცინა თაკოს.

— ძალიან მომშივდა, თანაც უგემრიელესია. რაში შეწვი?

— ზეთსა და კარაქში — ორივეში ერთად.

— მაგარია, დიდი მადლობა, პატარავ, — და მამაკაცმა თავისი უზარმაზარი ხელისგული თაკოს პატარა თითებს დაადო, მაგიდაზე რიტმულად რომ ათამაშებდა.

თაკომ თავი ასწია და შეხედა. ჭინკები გასუსულიყვნენ პირადი მცველის თვალებში, თითქოს შესაფერის მომენტს ელიანო.

ირაკლიმ სასწრაფოდ მოაცილა ხელი, ჭამაც შეწყვიტა. მერე მზერა მოაშორა გოგონას და წამოდგა.

— გმადლობ, დიდად ვისიამოვნე, — უხერხულად ჩაილაპარაკა და კარს მიღმა გაუჩინარდა.

თაკოს უცნაურმა ღიმილმა გაუნათა სახე.

თაკო ადრე დაწვა დასაძინებლად. პირადმა მცველმა ჯერ ეზოს შემოურა, გარეთ მდგარ მცველებს გამოელაპარაკა, მერე სახლი შიგნიდან შეამოწმა, ყველა ოთახში შეიხედა. ბოლოს თაკოს კარს მიადგა. გოგონას არ ეძინა. ხელები თავქვეშ ამოედო და ჭერს მიშტერებოდა.

— გადავწყვიტე, გარემო შემემოწმებინა, — შეცვლილი ხმით წარმოთქვა ზღურბლთან მდგარმა, — რატომ არ გძინავს?

— ვერ ვიძინებ, — ხმადაბლა თქვა გოგონამ და თვალებდახრილი საწოლზე წამოჯდა. გამჭვირვალე ღამის პერანგიდან მკვრივმა მკერდმა ურცხვად გამოანათა.

— შუქს ჩაგიქრობ და დაგეძინება, — დაბნეულმა ძლივს ჩაიბურტყუნა და ჩამრთველს თითი ჩამოჰკრა. მერე კარი ფრთხილად მოხურა და თავისი ოთახისკენ გაემართა აფორიაქებული...

მას ცუდად ეძინა. იგი თაკოს ელოდებოდა. ეგონა, გოგონა მოვიდოდა, კიდევ ერთხელ შეეცდებოდა მის ცდუნებას. შემკრთალს გამოეღვიძა, მიაყურადა, ხომ არ მოდისო, მერე ისევ ჩაეძინა, მერე კვლავ გამოეღვიძა.

ის არ მოდიოდა.

„ძალიანაც კარგი, თუ არ მოდის. ჯანდაბას! რატომ არ მოდის?“.

უცნაურია, ის ელოდებოდა, მერე როგორ ელოდებოდა!

არადა, რომ მოსულიყო, აუცილებლად ეტყოდა, წადიო.

მაგრამ ის არ მოდიოდა.

გული დასწყდა, განიხიბლა.

არა, გაბრაზდა.

არა, განრისხდა!

საკუთარ თავზე, საკუთარ მოლოდინზე, გაცრუებულ მოლოდინზე განრისხდა.

ეშმაკი, პატარა ეშმაკი გოგო! რომელიც ჯიუტად უძვრება სულშიც და საწოლშიც. ჯანდაბამდე გზა ჰქონია ამ განებივრებულ ქარაფშუტას.

რას ნიშნავს ეს? რატომ ვერ თოკავს თავს? ხომ არ შეუყვარდა? რა ემართება? ისე ძლიერად დახუჭა თვალები, ფოსოები ეტკინა.

არა, რა დროს ირაკლის სიყვარულია, ბოდვაა ეს ყველაფერი და მორჩა. მას არავინ უყვარს, ვერც ვერასდროს ვერავის შეიყვარებს. იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ნანას ვერ ივიწყებს, მისი აჩრდილი ერთი წამითაც არ შორდება...

გვიან მაინც წაართვა ძილმა თავი. ესიზმრა...

ზღვის სანაპიროზე იწვა, ირუჯებოდა. ნანაც იქვე იყო, მის გვერდით, ოღონდ იდგა. ლამაზი, შიშველი სხეული მზისთვის მიეფიცხებინა და უმისამართოდ იღიმოდა... მოულოდნელად, იქვე თაკო გაჩნდა, თვითონაც არ იცის, საიდან. გოგონა ნანას გვერდით დადგა და ამრეზით შეხედა, მერე ირაკლის მოხედა მაცდურად. ლამაზი, ქალური მკერდი წინ გამოზნიქა და გაუღიმა. შემდეგ თეძოების ვნებიანი რხევით დაიძრა მამაკაცისკენ. ისიც შიშველი იყო, ისე, როგორც წინაღამეს, მთელი სხეული უთრთოდა. ის იყო, მამაკაცი წამოიწია და მისკენ გაიშვირა ხელები, რომ თაკო ადგილს მოსწყდა და კისკისით ზღვაში შევარდა, თან უკან იხედებოდა. მას ნანა მიჰყვა უკან... ორივე ქალი ტალღებს შეერია. ცოტაც და... ორივე გაქრა. შეშინებულ მამაკაცს ის იყო, უნდა ეყვირა, რომ... გამოეღვიძა.

შუბლი ოფლით ჰქონდა დაცვარული. თენდებოდა.

მოულოდნელობისაგან კინაღამ შეხტა, როცა ორი ცხელი ხელისგულის შეხება იგრძნო მკერდზე. საამო ჟრუანტელმა დაუარა. ეს თაკო იყო. ასე უჩუმრად როგორ შემოიპარა, რომ არაფერი გაუგია?! ნუთუ მკვდარივით ეძინა?

— არ დაგეძინა? — ჩურჩულით ჰკითხა გოგონამ.

მან არ უპასუხა.

— ამ ღამით მელოდი, არა?

არც ამ კითხვაზე გასცა პასუხი.

ქალის ხელები ნაზად დაფათურობდნენ მის სხეულზე. ირაკლის დაკუნთული სხეული ჰქონდა, ნავარჯიშები, მაგრამ მაინც დაჭიმა მუცელი...

და სძულდა თავი, სძულდა იმ სურვილის გამო, იმაზე ძლიერი და მამაკაცური მოსჩვენებოდა გოგონას, ვიდრე იყო. ეს იყო სურვილი, მოსწონებოდა ქალს.

თაკო ხელებს არ აჩერებდა, მერე ტუჩებიც აამოქმედა და ოდნავ შეეხო მის მკერდს. ირაკლის გააჟრჟოლა. სუნთქვა შეიკრა. არა, ეს მის ძალებს აღემატება.

არა, ის ამას ვერ მოითმენს, ძლიერია ცდუნება.

არა, დროა, ბოლო მოუღოს მის ამ საქციელს, ასე გაგრძელება არ შეიძლება.

არა, ამ პატარა, თავხედ ნებიერას დინჯი და გაწონასწორებული პირადი მცველი წყობილებიდან გამოჰყავს.

იმოქმედე, ირაკლი!

და მკვეთრი მოძრაობით წამოჯდა. მოულოდნელობისაგან შემკრთალმა თაკომ წონასწორობა ვერ შეინარჩუნა, იატაკზე დავარდა, ღამის პერანგის გულისპირი გადაეხსნა და შიშველი მკერდი გამოუჩნდა. გოგონამ ნიშნის მოგებით დაიხედა ძუძუებზე და თურქივით ფეხებმორთხმული, კომფორტულად მოკალათდა ხალიჩაზე, პირდაპირ ირაკლის ფეხებთან. მერე კი მზერა მასზე გადაიტანა. მამაკაცმა მისი გამომეტყველება ვერ გაიგო. რა იკითხებოდა მასში — სურვილი? სიყვარული? გაღმერთება?

არა, ის არ აჰყვება ცდუნებას. გული გამალებით უცემდა. დაძაბული იჯდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. თუმცა... იცოდა — უნდა წასულიყო, გარიდებოდა პატარას. მაგრამ მისი მზერა უშლიდა ხელს. მზერა ძალზე საწყალობელი იყო, ძალზე დაუცველი. თაკო თვალს არ აშორებდა, სწორედ ისე უყურებდა, ერთგული ძაღლები რომ მისჩერებიან პატრონს. ახლა ოთახიდან გასვლა ხელის გარტყმას უდრის... აბა რა ქნას? იგი ზემოდან დასჩერებოდა რაღაცის მომლოდინე ქალს. ზემოდან ძალზე საინტერესო რაკურსში ჩანდა თაკოს მღელვარე მკერდი. თაკო ქვემოდან უყურებდა. როგორც იქნა, ალაპარაკდა.

— ჩემი არ გჯერა, არა?

— რა უნდა მჯეროდეს? — ირაკლის ნერწყვი ყელში გაეჩხირა.

— რომ შენი შეყვარება შემიძლია.

— რა დამსახურებისთვის?

— შენ ამას ვერ გაიგებ, უგულო ხარ.

არა, უნდა ადგეს და ახლავე გავიდეს, ასე არ შეიძლება, უნდა გავიდეს, ადგეს და გავიდეს ან... ან უბრალოდ, არ გავიდეს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისაკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. რა იყო უტყუარი ნიშანი, რომლის მიხედვითაც, გერმანელი ფაშისტები ქალაქში ცნობების მოსაპოვებლად შეპარულ პარტიზანებს ცნობდნენ.
2. დაასახელეთ ადამიანი, რომელიც რუსეთის დამარცხებასა და დაპყრობას შვიდ კვირაში გეგმავდა.
3. სექსსიმბოლოდ აღიარებულ ამ ამერიკელ ქალს სახის პლასტიკური ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული — ნიკაპში ნახევარმთვარის ფორმის ზღვის ღრუბელი ჰქონდა ჩაკერებული. დაასახელეთ იგი.
4. ვის ეძახდნენ ამერიკელები მეტსახელად ბიძია ჯოს?
5. ერთმა ბიზნესმენმა, ქუთაისის მახლობლად, სოფელ ქვიტირში რესტორანი გახსნა და პირველ საზეიმო სუფრაზე ოტია იოსელიანი მიიპატიჟა. — „რა დროს პურმარილია, ქვეყანა თავზე გვექცევა!“ — უთხრა ბატონმა ოტიამ. რა უპასუხა რესტორნის მეპატრონემ?
6. ვის ეკუთვნის გამოთქმა: „ახ უჟ ეტა მონიკა იავლინსკი!“
7. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ვიდრე არ ჩაუყლაპავს წყვდიადს ყველაფერი, ცხოვრებას ყოველი წუთი უნდა დასტყუო“.
8. ამ დიდ მეცნიერს, მოხუცებულობაში, ყბა-სახის სიმსივნე განუვითარდა. თექვსმეტი წლის განმავლობაში მას 33 ოპერაცია გაუკეთეს და ყბის ნაწილი საერთოდ მოჰკვეთეს, რის გამოც, ის პროთეზს ატარებდა. ამ პროთეზმა იგი მონსტრს დაამსგავსა და ასეც ეძახდნენ. დაასახელეთ იგი.
9. რა არის ნიძიუბასი?
10. რას ნიშნავს სვანურად „მი სი მალატხი“?
11. რა არის ოვერშტაგი?
12. რა არის შურიკანი?
13. რა ეწოდება მანძილს იდაყვიდან შუა თითის წვერამდე?
14. საქართველოს რომელ კუთხეშია გადაღებული მხატვრული ფილმის — „მიმინო“ პირველი ნაწილი?
15. სავარაუდოდ, ვის მიიჩნევენ „არსენას ლექსის“ ავტორად?

ანეკდოტები

***

მოხუცი კაცი ექიმის კაბინეტიდან გამოვიდა და დაფიქრებული სახით კიბეზე ჩამოდის:

— მერწყული? არა, კაცო, სასწორი!.. არა, იქნებ, მორიელი?..

აბრუნდა უკან და ექიმს ეკითხება:

— რაო, შვილო, რა მითხარი?

— კიბო, ბიძაჩემო, კიბო...

***

ნარკუშამ ზღვის სანაპიროზე ბოთლი იპოვა.

— ვაა, შიგნით ასიანი, ჯინი ზის! — თქვა და ბოთლს ხეხვა დაუწყო. გავიდა ერთი საათი, ორი... ნარკომანს სიქა გასძვრა, ძლივს სუნთქავს, ბოთლის შიგნიდან კი ჯინი ყვირილით იხევა:

— საცობი ამოაძვრე, შე დეგენერატო!..

***

სვანმა კატამ კომპიუტერის მაუსი შეჭამა.

***

დედა 16 წლის გოგონას ოთახში შედის და მაგიდაზე წერილს ხედავს: „მაპატიე, დედიკო, მე ჩემს ახალ ბოიფრენდს, ახმედს გავყევი ცოლად. ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ის ისეთი მომხიბვლელია, თავისი სვირინგებითა და საყურეებით, თვალს ვერ მოსწყვეტ. თან, ძალიან მაგარი მოტოციკლი ჰყავს. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ფეხმძიმედ ვარ. ახმედმა მითხრა, რომ ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიქნებით მის ტრაილერში, რომელიც ტყის პირას დგას. გვყოლება უამრავი შვილი. მე ახმედისგან ბევრი ახალი რამ გავიგე. ჰო, ეს მარიხუანა არც ისე ცუდი რამ ყოფილა. ჩვენ აუცილებლად მოვაშენებთ მას ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის, ისინი კი არ მოგვაკლებენ კოკაინსა და ექსტაზს. მანამდე კი იქნებ, მეცნიერებმა შიდსის წამალიც გამოიგონონ, რათა ახმედს ტკივილები ცოტათი მაინც მოეხსნას. დედა, შენ ნუ ინერვიულებ, მე უკვე დიდი გოგო ვარ. ალბათ, ოდესმე ჩამოვალთ და გინახულებთ, ბავშვებსაც განახვებთ. გკოცნი, შენი უსაყვარლესი გოგონა.

P.S. დედიკო, ეს ყველაფერი ხუმრობა იყო. მე მეზობელთან ვარ გადასული. ასეთი წერილი კი იმიტომ დავწერე, რომ მიხვდე, ამქვეყნად გაცილებით უარესი ამბები ხდება, ვიდრე ჩემი საშემოდგომო გამოცდაა, რომელიც დღეს გამომყვა“.

***

ნარკომანი უცნობის კარს მიადგა. ჰგონია, საკუთარ სახლში მივიდა. რეკავს ზარს. კარს შუახნის მამაკაცი აღებს:

— ვა, ბიძა, აქ მე ვცხოვრობ? — ეკითხება გაკვირვებული ნარკუშა.

— არა, ძმაო, აქ მე ვცხოვრობ!

— ბოდიშს გიხდი!

წავიდა. იარა, იარა და ისევ იმ ბინას მიადგა. ზარი დარეკა. კარი ისევ იმ კაცმა გაუღო.

— ვა, ბიძა, აქ მე ვცხოვრობ?

— არა, ძმაო, აქ მე ვცხოვრობ!

— ბოდიშს გიხდი!

წავიდა. იარა, იარა და ისევ იმ ბინას მიადგა.

— ვა, ბიძა, აქ მე ვცხოვრობ?

— არა, ძმაო, აქ მე ვცხოვრობ!

— აუ, რა ყველგან შენ ცხოვრობ, რა!..

***

ერთი ნიანგი მეორეს ეკითხება:

— როგორ არის ნადირობის საქმე?

— ახლახან ორი ზანგი შევჭამე. შენ?

— მე რუსი შევჭამე.

— იტყუები! აბა, ამოისუნთქე!

* * *

ოსი ვალოდა ბავშვობას იხსენებს:

— თავიდან სკოლაში ცუდად ვსწავლობდი და ამიტომაც, დირექტორი მამიდაჩემს ხშირად იბარებდა, მერე კი კარგად დავიწყე სწავლა და დირექტორსა და მამიდაჩემს სხვაგან მოუწიათ შეხვედრის ადგილის ძებნამ.

* * *

— ბრალდებულო, აღიარებთ დანაშაულს?

— არა!

— გაქვთ თუ არა ალიბი?

— ეგ რაღაა?

— მკვლელობის დროს ვინმემ გნახათ?

— მადლობა ღმერთს, არავინ!

* * *

შუაღამისას კაცს ტუალეტში მოუნდება, საპირფარეშოში შედის და თან, საკუთარ მამაკაცურ ღირსებას მოძღვრავს:

— აი, ხომ ხედავ, შენ რომ მოგინდება, მე ვდგები...

* * *

რაჭველები სახლის სახურავს ცვლიან.

— კაცო, მაგ კრამიტებს რო ისვრით, მაგ სიმაღლიდანა, დაიყვირეთ მაინც, ვინმეს თავში არ მოხვდეს!

— ჩვენ რატომ უნდა დავიყვიროთ? ვისაც მოხვდება, იმან იყვიროს!

* * *

ცნობილი მსახიობი ქალი რეჟისორს უყვირის:

— მე ვიცი, რომ ჩემს სიკვდილზე ოცნებობთ, რათა მერე მოხვიდეთ და ჩემს საფლავზე დააფურთხოთ.

— მეტი საქმე არა მაქვს... სად მეცლება იმხელა რიგში ჩასადგომად?!.

* * *

მიხო და მიტო ერთმანეთს ხვდებიან. მიტო ეკითხება:

— როგორა ხარ, მიხო, სახლში ხომ მშვიდობაა?

— არა გვიშავს.

— ცოლი ხომ კარქათაა?

— კარქათაა, მაშ!

— სიდედრიც ხომ კარქათაა?

— კარქათ არის, კარქათ — შაბათს ვასაფლავებთ.

* * *

ძუნწმა შოტლანდიელმა ცოლისთვის საჩუქარი ვერაფრით აარჩია და გამყიდველს ეუბნება:

— მითხარით, გეთაყვა, თქვენ რომ ჩემი ცოლი იყოთ, რას ამოირჩევდით?

— სხვა ქმარს.

* * *

სვანი ბავშვი მამამისს ეკითხება:

— მამი, სამსახურში მანქანით დადიხარ თუ ტუფლებით?

* * *

ყბაშეხვეულ ებრაელს მეგობარი შეხვდა.

— რა მოგივიდა?

— ამწუთას ორი კბილი ამოვიღე.

— შენ ხომ ერთი გტკიოდა?

— ჰო, მაგრამ ექიმს ხურდა არ აღმოაჩნდა.

ჯონჯის საჩარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. კვამლის სუნი. ამიტომაც, დაზვერვაზე წასვლის წინ, პარტიზანები ცეცხლს ახლოს არ ეკარებოდნენ, რათა თმასა და ტანსაცმელზე კვამლის სუნი არ ასვლოდათ.
2. ნაპოლეონი.
3. მერილინ მონრო.
4. იოსებ სტალინს.
5. „ჰოდა, მოვასწროთ ქეიფი!“
6. ბორის ელცინს.
7. ერიხ მარია რემარკს.
8. ზიგმუნდ ფროიდი.
9. ასე ეძახიან იაპონიის იმპერატორის სასახლეს.
10. „მე შენ მიყვარხარ“.
11. საზღვაო ტერმინია და ტალღების საპირისპიროდ გემის მართვას ნიშნავს.
12. მრავალქიმიანი ვარსკვლავის დისკო, რომელსაც იაპონელი ნინძები ხელუცდომლად ისვრიან.
13. წყრთა.
14. თუშეთში.
15. ქართული ზეპირსიტყვიერების ეს ძეგლი (მრავალ ვარიანტად ცნობილი) თექვსმეტმარცვლოვანი შაირით გამართული მესტვირული პოემაა და შექმნილია უცნობი მესტვირის მიერ, XIX საუკუნის ორმოციან წლებში. პოემის ავტორად ზოგი მკვლევარი რაჭველ ანდრია ნადირაძეს მიიჩნევს, ზოგი — ქართლელ გიორგი ქებაძეს.

ძვირფასო მკითხველებო!

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „ჯვრის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა გიორგი ჩიტაიშვილმა გამოგვიგზავნა

გაკრიტიკებენ? – იაგვაგიანად გადაუხადეთ მადლობა...

არსებობენ ისეთი ტიპის მამაკაცები, რომლებსაც ქალებისთვის, გარეგნობასთან დაკავშირებული შენიშვნების მიცემა გამორჩეულად უყვართ. თანაც დელიკატურად, ჩუმად კი არ ეუბნებიან, ყველას გასაგონად უცხადებენ: „ეს კაბა საშინლად არ გიხდება" ან – „ეს შარვალი სად გამოძებნე?!".. საყურადღებოა ის გარემოება, რომ შენიშვნების ავტორი შეიძლება, არა მხოლოდ თქვენი მეუღლე ან მეგობარი, არამედ კოლეგა (მით უარესი, თუ ის თქვენი შეფია), მეგობრის ქმარი ან ახალი ნაცნობიც კი იყოს. ამიტომ ხშირად იბნევით და არ იცით, თავხედი თავის ადგილას როგორ „მოსვათ" ისე, რომ მასთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ. ფაქტობრივად, საყვარელ მამაკაცს თეორიულად უფლება აქვს, თქვენი გარეგნობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს, მაგრამ შენიშვნა-რეკომენდაციები უსათუოდ კორექტულად უნდა მოგცეთ. მუდმივი კრიტიკის შემთხვევაში კი ისლა დაგრჩენიათ, ან საბოლოოდ შეეგუოთ მის ახირებას, ან საწინააღმდეგო მოქმედების სტრატეგია შეიმუშაოთ.

როგორ უნდა მოიქცეთ?

ალბათ, პირველი, რაც თავში მოგივათ, მასთან კავშირის გაწყვეტაა. მაგრამ თუ ეს შარიანი მამაკაცი თქვენთვის ძვირფასია, მაშინ შეეცადეთ, ხელახლა აღზარდოთ. თუმცაღა, ეს ძალიან რთულია. ყველასთვის ცნობილია, რომ ზრდასრული ადამიანი იშვიათად იცვლება. ასეა თუ ისე, ფსიქოლოგებმა თქვენზე იზრუნეს და შეიმუშავეს რჩევათა კრებული, რომელიც შარიან მამაკაცებთან საბრძოლველად და მათზე გასამარჯვებლადაა გამიზნული.

წუნია მამაკაცი

მას არ მოსწონს არც ერთი თქვენი ნივთი. შეწუხებული ამტკიცებს, რომ ატროფირებული გემოვნება გაქვთ და კაბისა და პომადის დამოუკიდებლად შეძენა არ შეგიძლიათ. გარდა ამისა, თქვენი ფიგურის, სახის ნაკვთების, თმის, ფრჩხილებისა და ხმის მიმართაც კი პრეტენზია უჩნდება.

როგორ აიხსნება მისი ასეთი ქცევა?

● თუ ის მაშინაც ასეთი იყო, როცა გაიცანით, მაშასადამე, დაბადებიდან ბუზღუნა ყოფილა. აიტანთ თუ ვერა, ეს თქვენი პირადი საქმეა, მაგრამ გახსოვდეთ: ამ სტადიაზე „ავადმყოფობა" მკურნალობას უკვე აღარ ემორჩილება.

● თუ ის უკმაყოფილოა თქვენი შენაძენით, სავარაუდოა, ამის უკან სულ სხვა გრძნობა იმალებოდეს: შეიძლება, მას თქვენ მიერ ფულის უყაირათოდ ხარჯვა აღიზიანებს და ბანალურ სიძუნწეს ასეთი დახელოვნებული ფორმით ნიღბავს.

● თუ ის, თქვენს გარეგნულ სტილს მეგობრების, მშობლების, მეზობლების, შემთხვევითი ნაცნობების თანდასწრებით სასაცილოდ იგდებს, მაშასადამე, თქვენთან განშორებაზე დიდი ხანია, ოცნებობს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ძალა არ ჰყოფნის. თქვენი ღირსების მუდმივი შელახვით, ქვეცნობიერად (ან შეგნებულად) იმედოვნებს, რომ ერთხელაც იფეთქებთ და თავმობეზრებული, მასთან განშორებას გადაწყვეტთ. მაშინ სუფთა სინდისით გაგეცლებათ.

● თუ გულწრფელად ცდილობს ახალი ფეხსაცმელებისა თუ ჩანთების შერჩევაში მონაწილეობას, გარისკეთ და დაეთანხმეთ. გამორიცხული არ არის, მართლა ზრუნავდეს თქვენს გარეგნობაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთები იშვიათად გვხვდებიან.

● თუ დაბეჯითებით სურს, დაგარწმუნოთ, რომ სუპერსექსუალური კაბები (რომლებშიც საკუთარი თავი ძალიან მოგწონთ) არ უნდა ჩაიცვათ, მაშასადამე, ფარულად ეჭვიანობს და ყველა მისი შენიშვნა თქვენს სიმსუქნესა თუ სიგამხდრეზე — რაც ასეთ კაბებში მკაფიოდ იკვეთება — სინამდვილეში, იმისთვისაა გამიზნული, რომ საკუთარ არასრულფასოვნებაში დაგარწმუნოთ.

● თუკი ახალ ვარცხნილობას გიწუნებთ, უბრალოდ, არ ესიამოვნა, რომ შეიცვალეთ. იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ცვლილება უკეთესობისკენაა, მამაკაცი თავს მოუსვენრად გრძნობს. მას ურჩევნია, ყოველთვის ერთნაირად გამოიყურებოდეთ. თქვენი ერთფეროვნება მისი სიმშვიდის გარანტიაა!

თქვენი რეაქცია

გაბრაზება ან მკვახე პასუხის გაცემა უაზრობაა. შესაძლებელია, ის სწორედ ასეთ რეაქციას ელის ჩხუბის წამოსაწყებად. ამიტომ, პირველ რიგში, მოლოდინი უნდა გაუწბილოთ: თავაზიანად გადაუხადეთ მადლობა წვრილმანებისადმი ასეთი ყურადღების გამოჩენის გამო; დაჰპირდით, რომ ამიერიდან ნებისმიერი ნივთის, სამოსის ან კოსმეტიკის შეძენისას რჩევას აუცილებლად ჰკითხავთ. თქვენი ასეთი რეაქცია მას უსათუოდ გააკვირვებს. მომავალში საყიდლებზე ერთად წადით და შესთავაზეთ, გამოსასვლელი ტანსაცმელი თვითონ აგირჩიოთ. ანგარიშსაც, რა თქმა უნდა, ის გადაიხდის. ეს ვარიანტი შესანიშნავად მოქმედებს ძუნწებზე — ისინი სასწრაფოდ სხვა თემაზე იწყებენ ლაპარაკს, კრიტიკა ავიწყდებათ და კომპლიმენტებით გავსებენ.

შეძლებული მამაკაცი ზოგჯერ უკიდურესად მტკივნეულად აღიქვამს

ქალის ფინანსურ დამოუკიდებლობას. თქვენი ნავაჭრი მას შეიძლება მხოლოდ იმიტომ არ მოსწონს, რომ ის მისი ფულით არ არის შეძენილი. ასეთ დროს ვერაფერს გააწყობთ, გარდა იმისა, რომ ყოველი ამგვარი შენაძენის მერე დაარწმუნოთ ხოლმე — ეს აღარ განმეორდებაო.

საჯაროდ დაცინვის შემთხვევაში, საქმე სერიოზულ ჩხუბამდე ან ფარულად ცრემლების ღვრამდე არ მიიყვანოთ, მაგრამ არც მოუთმინოთ — მკაცრი და შეუვალი ტონით უთხარით: „არ მსურს ამ საკითხის სხვების თანდასწრებით განხილვა. გარდა ამისა, არ გეთანხმები და მოდი, ამაზე ლაპარაკი შევწყვიტოთ“. მთავარია, თავი ღირსეულად გეჭიროთ და მას თქვენი დამცირების უფლება არ მისცეთ.

თქვენი გარეგნობის ან ჩაცმის სტილის აბუჩად აგდებით, ის, სავარაუდოა, სხვა სფეროში თქვენი უპირატესობის კომპენსაციას ახდენდეს. მაგალითად, თუკი თქვენ მასზე გაცილებით ერუდირებული, ნიჭიერი, ამავე დროს, მატერიალურადაც წელში გამართული ხართ; ანდა, მას უფრო ძლიერად უყვარხართ, ვიდრე თქვენ — ის და უკვე აღარ იცის, როგორ მიიპყროს თქვენი ყურადღება. ასეთ შემთხვევაში რაიმე ქმედითის რჩევა ძნელია. თუ მან, ურთიერთობის დასარეგულირებლად, ასეთი გზა შეგნებულად აირჩია, საეჭვოა, ამაზე უარი თქვას.

და თუ, ბოლოს და ბოლოს, არაფერი გამოგდით, მაშინ ისღა დაგრჩენიათ, თქვენც იმავეთი უპასუხოთ.

და მაინც, მამაკაცის მხრიდან გაუთავებელი შენიშვნები იმაზე მეტყველებს, რომ თქვენს ურთიერთობაში სერიოზული ხარვეზებია. ზრდასრული, ნორმალური, შეყვარებული მამაკაცი თავს არასოდეს მისცემს უფლებას, საყვარელი ქალის გარეგნობა გააკრიტიკოს. ■

ჩანთა და ქალის ხასიათი

ქალის ნივთებში არის ისეთი წვრილმანები, რომლებიც პატრონის ხასიათზე მეტყველებს. ამჯერად, ჩანთაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას:

● ვინც პატარა ზომის ხელჩანთას ატარებს, თავდაჯერებული ეგოისტია. მასთან ურთიერთობა არცთუ ისე იოლია. ამ ტიპის ქალს მამაკაცები მასწავლებლებს ადარებენ და არც მაინცდამაინც სწყალობენ.

● ის, ვინც მდიდრულ, დახვეწილ ჩანთას ატარებს, თვითონაც დახვეწილი მანერებით გამოირჩევა; დიდ დროს უთმობს საკუთარ ჯანმრთელობასა და გარეგნობაზე ზრუნვას. სამუშაოს მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ახასიათებს. სიყვარულში რეალისტია და არა ფანტაზიორი.

● დიდი ზომის ჩანთები უმეტესწილად, კარიერისტი ქალის გატაცებაა. განსაკუთრებით სიამოვნებს, როცა მის ჩანთას სასიამოვნო „კომპლიმენტებით ამკობენ“.

● მკაცრი სტილის ჩანთას კონსერვატორი ქალი ირჩევს. ის ელეგანტური ჩაცმის სტილს ანიჭებს უპირატესობას; ჭკვიანია და მასთან ურთიერთობა საინტერესოა.

● თუ ქალი ჩანთას გულზე მიკრულს ატარებს, შესაძლოა, რაიმე მნიშვნელოვანს მალავდეს და გარშემო მყოფთ არ ენდობოდეს.

● თუკი ქალს ჩანთა ცალი კუხით უჭირავს, იგი თავდაჯერებულია. ჩანთის ამგვარი ტარების მანერა, უმეტესწილად, პრეტენზიულ ქალებს ახასიათებს.

● მხარზე გადაკიდებული ჩანთის ტარება ძირითადად მხიარულ ქალებს სჩვევიათ. საერთო ჯამში, ამ ტიპის ქალი კმაყოფილია საკუთარი თავით და ზოგადად, ცხოვრებითაც.

● წელზე მიბჯენილ ჩანთას, კარგი მეოჯახე ქალები ატარებენ.

● ქალი, რომელსაც იღლიაში ამოჩრილი ჩანთა დააქვს, ჩაკეტილი და უთქმელია. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიმვილმა

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

ქ. თბილისი
ოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები



დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-28

გასაოცარი სანახავი იყო ბაღდადი. ანისში მურროჩის ეგონა, რომ მასზე დიდი ქალაქი არ არსებობდა. ბაღდადი კი ანისზე ბევრად დიდი აღმოჩნდა, უფრო მაღალი და ფართო გალავანი ერტყა, ცისკენ აჭიმულიყო მრავალი გოდოლი... მოეჩვენა, რომ ეს ერთი კი არა, ერთად შეერთებული რამდენიმე ქალაქი იყო. თითქოს ქვეყნიერების სხვადასხვა მხრიდან მოეგროვებინათ ეს ქალაქები და ერთ დიდ გალავანს მიღმა ჩაედგათ. ბაღდადის მთავარი ზღუდის მიღმა, კიდევ რამდენიმე გალავანი აღმოჩნდა. ჰასანმა აუხსნა, რომ ასეთი გალავნები ბაღდადის ყველა უბანს ჰქონდა. ასეთი წყობა ომის დროს მიუვალს ხდიდა ქალაქს — მთავარი ზღუდეც რომ დაეძლია მტერს, ქალაქი მაინც აუღებელი რჩებოდა: ჯარი და მოსახლეობა უბან-უბან განაწილდებოდა და ბრძოლას გააგრძელებდა. ქალაქის დასამორჩილებლად მომხდურს ერთიმეორის მიყოლებით უნდა დაეკავებინა ყველა უბანი ანუ ყველა ციხესიმაგრე, რომელიც ბაღდადში აეგოთ. ყველა მცირე გალავნის კარიბჭესთან გუშაგები გამწკრივებულიყვნენ. ისინი ყურადღებით აკვირდებოდნენ ყველა უცხო და საეჭვო ადამიანს. ღამით კი რკინით მოჭედილი მძიმე კარები იკეტებოდა. ჰასანის სასახლეც ერთ-ერთ ასეთ უბანში იდგა. სასახლე დიდი არ იყო, სამაგიეროდ, მკვიდრად იყო ნაგები და გალავანიც ერტყა. უკანა მხრიდან სასახლეს ვრცელი ბაღი მოსდევდა, აუზებითა და ხეხილის ბაღით. ერთი აუზი განსაკუთრებით მოეწონა მურროჩის — ლაჟვარდისფერი, თლილი ქვით იყო მოპირკეთებული, გარს ფრთიანი ლომები ესხდნენ, რომელთა პირიდანაც სქელ ნაკადად მოჩქეფდა წყალი. წყლის ზედაპირზე უცხო ყვავილი ხარობდა, ლამაზად გაშლოდა მრგვალი, მწვანედ მოხასხახე ფოთლები. თავად ყვავილი კი ნაზი ვარდისფერი იყო. ყვავილებს შორის დროდადრო თევზები ჩნდებოდნენ, უეცრად გაიელვებდნენ, წყლის ზედაპირიდან საჭმელს გაიტაცებდნენ და ისევ მიიმალებოდნენ. ხანდახან მკლავისსელა, წითელი და ნარინჯისფერი კოპლებით მოფენილი თევზები გამოჩნდებოდნენ. ისინი არ ანცობდნენ. მძიმედ ამოყვინთავდნენ, ცივი თვალებით ამოიხედავდნენ ზემოთ, მერე კუდს მოიქნევდნენ და ისევ სიღრმეში უჩინარდებოდნენ. ასევე უცხოდ ეჩვენა მურროჩის, ბაღში მყოფი ბოლოჭრელა ფრინველები. ძალიან ლამაზები იყვნენ საჭვრეტად, მაგრამ ხმა ჰქონდათ საზარელი — საბრძოლო ბუკის ხმას აგონებდა მათი ყივილი.

— მართალია, მგალობელი ჩიტები არ არიან, მეც არ მომწონს მათი ხმა, მაგრამ მაინც ვერ შეველევი. ეგ კი არა, რამდენიმეს დამატებასაც ვფიქრობ, — სიცილით უთხრა ჰასანმა.

— თუ არ მოგწონს, რისთვის აჩერებ ბაღში? — გაუკვირდა მურროჩის.

— საშიში ქალაქია ბაღდადი. აქ ყოველთვის უნდა ელოდო მძარცველის, მოშურნის ან ხალიფის მკვლელების თავდასხმას. ამიტომ, ერთგული გუშაგების გარეშე ვერც თავს გაიტან და არც მშვიდი ძილი გეღირსება, — აუხსნა ჰასანმა.

— ბაღდადი სამოთხე რომ არ არის, თავად ვნახე, მაგრამ შენი სასახლის გუშაგები, ის მეხმლენი მეგონა, ჭიშკართან რომ დაყუდებულან, — უპასუხა მურროჩიმ.

— ეს ფარშავანგებიც გუშაგები არიან და თანაც — ყველაზე ფხიზელი. ადამიანს მოისყიდი ან დაღლილს ჩაეძინება, ფარშავანგს კი ვერაფერს გამოაპარებ, ძაღლზე მეტად ფრთხილია — უცხოს დანახვისთანავე ყივილს მორთავს. ხმა თავადაც ხომ მოისმინე?! მძინარე გუშაგს კი არა, მიცვალებულს წამოაგდებს სამარიდან, — გაიცინა ჰასანმა.

გაოცებული დარჩა მურროჩი სასახლის ხილვით. ნეტავ, ასეთი სასახლის, ქონებისა და მრავალი მსახურის პატრონს, რისთვის გჭირდებოდა ვაჭრობა და უცხო ქვეყნებში, ხიფათით აღსავსე გზებით მოგზაურობაო? — იკითხა.

უპასუხა ჰასანმა:

— ბალღობიდან მოუსვენარი ვიყავ, ერთ ადგილას ყოფნა არ შემეძლო და არც ახლა შემიძლია. ჭაბუკობა სულთნის ლაშქარში, მუდმივ ლაშქრობებში გავატარე. არც შავხიფთანიანთა ასისთავობისას ვიჯექი გულხელდაკრეფილი. მრავალი წელი ვიცხოვრე ასე, მაგრამ მაინც არ მომნატრებია რბილი ქვეშაგებელი და ქვის სასახლე. სასთუმლად უნაგირი მირჩევნია, სულს მიხუთავს ქვის კედლები. ღია ცის ქვეშ, კოცონთან მირჩევნია ძილი. მიტომაც ვმოგზაურობ ამდენს.

ჰასანის საცხოვრებლიდან კარგად მოჩანდა ხალიფის სასახლე. ერთ დღეს მურროჩი უცნაური სანახაობის მოწმე შეიქმნა. ჰასანთან ერთად აივნიდან ათვალიერებდა ბაღდადს, როცა სასახლიდან ხალიფის ამალა გამოვიდა. ამალას მოლები, ხოჯები და მუეძინები მოუძღოდნენ წინ. ისინი გაბმული კივილით განადიდებდნენ მის სახელს და ალაჰს ხალიფის სიცოცხლესა და კეთილდღეობას ავედრებდნენ. მერე მოდიოდა არაბულ ულაყზე ამხედრებული ხალიფა. თვალში ეცა მურროჩის ცხენის უჩვეულო სილამაზე და სიფიცხე. შვინდის წნელივით ჩამოქნილი ფეხები ჰქონდა. ომისთვის გაწვრთნილს უჭირდა მოლათა და მუეძინთა ყუნდის უკან მშვიდად სვლა. ბრაზით აბრიალებდა თვალებს და ფლოქვს სცემდა ქვით მოპირკეთებულ მოედანს.

ყორანთა გუნდი მოაგონა მურროჩის ამალის ხილვამ. კუნაპეტი ღამესავით შავი იყო ცხენი და თავად ხალიფაც მთლიად შავში იყო გამოწყობილი. ტანთ ოქრომკედით ნაქარგი შავი ხიფთანი ემოსა, თავზეც შავი, წოწოლა ქუდი ეხურა. წვერიც შავად შეეღება, რისი უფლებაც სელჩუკებში მარტო უმაღლეს მმართველებს ჰქონდათ. მარჯვენა მხარზე სელჩუკთა წესით შეება შავქარქაშიანი ხმალი. მის მარცხნივ და მარჯვნივ მედროშენი მოდიოდნენ. შავად ფრიალებდნენ მაღალ ტარებზე, სელჩუკთა საომარი დროშები.

ხალიფას უკან მისდევდა სალმასურ თორში ჩამჯდარი, მწვანეჩალმიანი გოლიათი.

— ნეჯმ ედინ ილღაზი არის ეგ მხედარი. უკან კი სულთან მოჰამედის, ბიზანტიის იმპერატორ, ალექსი კომნენის, იკონიის სულთნისა და შირვანის შაჰის ელჩები მოსდევენ, — უთხრა ჰასანმა.

მსვლელობის ბოლოს, ხალიფის ცოლები და ხარჭები გამოჩნდნენ. ბევრნი იყვნენ. მათი დათვლაც კი გაუჭირდა მურროჩის. შავ ჩადრებში იყვნენ გამოხვეული დიაცები. თვალების გარდა არაფერი მოუჩანდათ და ერთმანეთისგან მარტო სიმაღლით თუ გამოირჩეოდნენ.

— ქვეყნიერების ყოველი მხრიდან არიან ქალები ხალიფის ჰარამხანაში. არაბი ცოლიც ჰყავს, ბიზანტიელიც, კვიპროსელიც, ჰინდოც, ქართველიცა და სომეხიც. დიდი პატივია ბაღდადის ბატონის მოყვრობა. ზოგი თავად სთავაზობს თავის ქალს, ზოგს თავად რჩევს,

ზოგსაც ყიდულობენ. ხასებს ხომ სათვალავი არა აქვს. ზოგის სახელიც კი არ ახსოვს ხალიფას. ასე ატარებენ წლებს ჰარამხანაში, ვიდრე ხალიფა მათ არსებობას არ გაიხსენებს და რომელიმე თავის ქვეშევრდომს არ აჩუქებს. ისე რომ იცოდე, თავისი ერთი ხასა მეც მიწყალობა, — თქვა ჰასანმა.

— და შენც მიიღე და ცოლად დაისვი? — გაუკვირდა მურროჩის.

— შენ არაფერი გესმის მუსლიმანთა წესებისა. ხალიფის ჰარამხანიდან ქალის მიღება უდიდესი პატივია, ცოლად დასმა კი — არაფერს ნიშნავს. ფატიმა სასახლეშია ნაცხოვრები და კარგად უძღვება ჩემს ახალგაზრდა ცოლებს. მისგან სხვა არაფერი მჭირდება. ისიც კარგად გრძნობს თავს და — მეც. შენ ალბათ გაკვირვებს ჩვენი მრავალცოლიანობა. ქრისტიანთა წესით, კაცს მარტო ერთი ცოლი უნდა ჰყავდეს და ამაშია თქვენი სისუსტე. რამდენი შვილი შეიძლება ჰყავდეს გურჯს?.. ორი, სამი, ხუთი... ზოგს შეიძლება, უფრო მეტიც, მაგრამ მუსლიმანს მაინც ვერ გაეჯიბრება. სულთანი მეომრებს ითხოვს, ისინი კი ის დღევანდელი ცინგლიანი ბიჭები არიან, რომლებიც სამომავლოდ მეომრებად უნდა აღიზარდონ. ესაა მუსლიმანთა სიძლიერის წყარო. ისინი ქვეშის მარცვალივით გამრავლდებიან და მთელ ცისქვეშეთს დაიპყრობენ...

— ბრძენი და ცხოვრების მცოდნე ვარო, მიმტკიცებ და სულ უბრალო რამ არ გცოდნია, — შეაწყვეტინა მურროჩიმ.

— რა არ მცოდნია? — დაიბნა ჰასანი.

— მარტო უსუსურს გააქვს ლელო სიმრავლით. ასეთია ტურა, აფთარი, ვირთაგვა... განა, გინახავს ავაზის ხროვა ან არწივთა გუნდი?.. არ გინახავს და ვერც ნახავდი. არა სჭირია ხროვად ნადირობა არწივსა და ავაზას. ბრჭყალსა და ეშვს გაიხდის ამხანაგად და ისე დაფლეთს მტერს. კატაც კი არ ეძებს ნადირობაში ამხანაგს, მარტოც გადააშენებს ვირთაგვის მოდგმას!.. ორმოცდაათნი ვიყავით ფხოველნი ვეჯინის ციხესთან და შენგან ნაქებ თურქთა ათასეული უკუვაქციეთ. მაშინ მარტო გზის გაკაფვა და ციხეში შესვლა გვინდოდა, თორემ ყველას გავწყვეტდით... რუსთავის ციხესთანაც ვნახე თურქთა ომი. ბაგრატოვანთა უფლისწულმა ისე გაწყვიტა ატ ტავილის ლაშქარი, რომ ამბის წამღებიც არ დატოვა!.. ახლა კი თავად მითხარ, ყოფილხარ ისეთ ომში, თურქებს მცირე ლაშქრით რომ გაემარჯვოთ?! — ცივად თქვა მურროჩიმ.

— ბევრჯერ... არზრუმს, დარბექირს, ნაშიბურს... ყველგან მცირე ჯარით მოვიგეთ ომი და...

— ეგ მუსლიმთა სამეფოებია. იმ მხარეში თუ მოგიგიათ ომი, რომელსაც გურჯისტანს უწოდებ?! — ისევ შეაწყვეტინა მურროჩიმ.

ჰასანი დიდხანს დუმდა და მერე უპასუხა: არაო.

— ვერც გაიმარჯვებდით და თქვენი ბედი, რომ ბარში გიწევდათ ომი, თორემ მთისკენ რომ გელაშქრათ, თქვენი ჯარის გამრავლებას ვეღარც მონათა ბაზარზე ნაყიდი დიაცები გასწვდებოდნენ და ვეღარც ხალიფისგან ნაჩუქარი ხარჭები! — ბრაზით დაასრულა მურროჩიმ და ზიზღით შეაქცია ზურგი სასახლის მოედანზე გაჭიმულ ამალას.

ვენეციელ ვაჭარ გუელმო ბლანკოსა და ჰასანს, დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. გუელმო თითქმის ყოველ წელს ჩამოდიოდა ბაღდადს. ჰასანსაც დაჰყავდა თავისი ქარავანი ვენეციაში. იქ ყოფნისას, გუელმო იყო მისი მასპინძელი და მეგზური. ბაღდადში კი ჰასანი ზრუნავდა თავის ვენეციელ მეგობარზე. ერთიორჯერ ვენეციელსა და ბაღდადელ ვაჭრებს, გაერთიანებული ქარავნით, შორი

ქვეყნებიც მოენახულებინათ. ავღანეთსაც ყოფილან, თრიაქით სავაჭროდ და ჰინდოთა ქვეყანამდეც ჩასულან, იქაური მარგალიტის საძიებლად. ბევრი ხიფათი გადახდენიათ თავს მოგზაურობებისას. მეკობრეთა და გარეულ ნადირთა თავდასხმებიც მოუგერიებიათ, იარებიც მიუღიათ და მძიმე სახადიც მოუხდიათ, მაგრამ შინ მაინც საღ-სალამათნი და თანაც დიდი მოგებით დაბრუნებულან. ახლაც შორი მოგზაურობა ჰქონდა ჩაფიქრებული ვენეციელ ვაჭარს, ჰინდოთა და უფრო შორეული, ჩინელთა ქვეყნების მონახულება გადაეწყვიტა და თან უმცროსი ვაჟი, გვიდოც წამოეყვანა.

უმცროსი ბლანკო ასაკით თხუთმეტი-თექვსმეტი წლის იქნებოდა, შოლტივით მოქნილი, ტანმაღალი ჭაბუკი იყო. შვენოდა მხრებამდე ჩამოზრდილი ოქროსფერი თმა, ახალამოსული ულვაში და ვენეციელთა წესით, ნიკაპზე დატოვებული მეჩხერი წვერი. მამისგან გასხვავებით, გვიდო არ ჰგავდა ვაჭარს, მეომრულად აესხა იარაღი. ქამრის ერთ მხარეს სწორპირიანი, ორლესული ხმალი ეკიდა, მერე მხარეს კი — მოკლე დაშნა. მკერდმუცელსა და მკლავებს სადა ჯავშანი უფარავდა.

ჩინეთის ხსენებამ ჰასანი საგონებელში ჩააგდო. ის და გუელმო ერთი წლის წინ შეთანხმდნენ ჰინდოთა ქვეყანაში მოგზაურობაზე და მაშინ ჩინეთზე არაფერი თქმულა.

— სიტყვის გატეხა არასოდეს გჩვევია, გუელმო. ჩვენ ჰინდუსტანში მოგზაურობაზე დავდეთ პირობა და რატომ ალაპარაკდი ჩინეთზე? — გაიკვირვა ჰასანმა.

— ვაჭრობა ჩემი ოჯახის საგვარეულო საქმეა. ჩემი წინაპრებიც ვაჭრები იყვნენ და მეც მაგ საქმეს მივდევ. ბლანკოების ყველა თაობა უფრო და უფრო შორს მიდიოდა. ჩემი წინაპრების დამსახურებით დადიან ვენეციელთა ქარავნები შორეულ ქვეყნებში. პირველებმა ბლანკოებმა ისწავლეს იქით მიმავალი გზები. ჩემი პაპის პაპა ვენეციის მეზობელ ქვეყნებში ვაჭრობდა. პაპის მამამ ეგვიპტისკენ გაიკვლია გზა. პაპამ ხმელთაშუა ზღვა გადასერა და აკრის ბაზრები მოსინჯა. მამაჩემმა მოსულს და ბაღდადს ჩააღწია. მე ჰინდუსტან-ავღანეთი მოვინახულე. ახლა ჩემი ვაჟის ჯერია. რად უნდა გატკეპნილ გზაზე სვლა?! თვითონაც უვალი ურჩევნია და მეც იმავეს ვურჩევ. დაე, ის იყოს პირველი ვენეციელი, რომელიც ჩინეთს ჩააღწევს, — უპასუხა გუელმომ.

— თავიდან ამოიგდე ეგ აზრი. ბევრმა სცადა ჩინეთს ჩაღწევა და თავი წააგო. ჰინდუსტანსა და ჩინეთს, გადაულახავი მწვერვალები და მცხუნვარე უდაბნო აშორებს ერთმანეთს, დათარეშობენ ველურ თათართა ბრბოები. ისინი ქურთ მეკობრეებზე უარესები არიან. ნუ გექნება მათი გულმოწყალების იმედი. თათრები არავის ინდობენ. ოქროსაც დაკარგავ და თავსაც წააგებ, — გააფრთხილა ჰასანმა.

— არა, სიტყვას არ გავტეხ, მაგრამ შენ რატომ გაღელვებს ჩემი ჩანაფიქრი? შენგან არაფერს ვითხოვ. ჩვენ ხომ ჰინდოთა ქვეყანაში ჩასვლაზე დავდეთ პირობა. პირობას არ გავტეხ. ჩავალთ ჰინდუსტანში, ვივაჭრებთ. მერე, შენ უკან გამობრუნდი, მე და გვიდო კი ქარავანს ჩინეთისკენ დავძრავთ, — მაცდური ღიმილით თქვა გუელმომ.

ჰასანმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. ეშმაკობდა ვენეციელი. კარგად იცოდა მისი ხასიათი და სუსტ წერტილს ურჩევდა: მას ხომ ვაჭრობა და მოგება იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც — მოგზაურობა და შორეულ ქვეყანათა მონახულება.

— ახლაც ხომ არ იტყვი ჩემზე: უპირო კაციაო?! — ჩაურთო გუელმომ.

— ვიტყვი... შენ უპირო და მაცდური კაცი ხარ. იცი, რომ უკან არ გამოვბრუნდები და მარტოს არ გაგიშვებ სახიფათო მოგზაურობაში. მაგრამ ისევ მე ვიზრუნებ შენს სახელზე და შევეცდები, გადაგაფიქრებინო... კარგად დაფიქრდი, გუელმო. საშიშია ჩინეთს მიმავალი გზა. შენ კი შვილიც თან მიგყავს. იმაზე თუ გიფიქრია, რომ შეიძლება, ორივენი დაიღუპოთ? შენ ჩემი ხნის ხარ, კარგიც ბევრი გინახავს და ავიც, მაგრამ რა დაგიშავა მაგ ჭაბუკმა? რისთვის აჩქარებ? გაუშვი, დატკბეს ცხოვრებით. სიკვდილს კი ყოველთვის მოასწრებს, — უპასუხა ჰასანმა.

— ბლანკოთა შორის ჯერ არ დაბადებულა ლაჩარი. უკან დახევაც არ გვჩვევია და ხიფათის მოლოდინი უარს ვერ გვათქმევინებს ჩანაფიქრზე! — იწყინა გუელმომ.

— შემართება ერთია, საქმის ცოდნა კი — მეორე. რა იცის შენმა ვაჟმა ვაჭრობისა ან ბრძოლისთვის თუა მზად? — განაგრძო ჰასანმა.

— ჩინეთს ოქროს მოსაგებად არ მივდივარ. იქით მიმავალი გზა, მათი ბაზრები და საქონელი მაინტერესებს. ხომ უნდა ვიცოდე, რა მომცემს მოგებას მომავალში, რით უნდა დავტვირთო ქარავანი და რის წამოღებას შევძლებ ვენეციაში. ამისთვის იქით გავიღებ ხარჯს. ბრძოლა კი ჩემს ვაჟს ვერ დააშინებს. ომებში არასოდეს ყოფილა. სამაგიეროდ, ვენეციის საუკეთესო მოფარიკავეებთან იწვრთნებოდა და ჩინებულადაც ხმარობს ხმალს, — უპასუხა გუელმომ.

— გამოვცადოთ, ერთი მოფარიკავე მეგულება. ვნახოთ, როგორაა გაწვრთნილი შენი ვაჟი, — მოულოდნელად შესთავაზა ჰასანმა.

— გამოვცადოთ, — უმალ დაეთანხმა გუელმო.

ჰასანმა გაიღიმა, მერე ხელისგულები ერთმანეთს შემოჰკრა და დარბაზში შემოსულ მსახურს მურუჩის ხმობა უბრძანა.

გუელმომ ყურადღებით შეათვალიერა მურუჩი. გააკვირვა მისმა თმამ და წვერმა. მუსლიმანები ხომ სუფთად იპარსავდნენ თავს და წვერსაც ჟღალი ინით ილებავდნენ. მას კი თმაც ჰქონდა, არც წვერი შეელება, არც ჩალმას ატარებდა და თანაც ხმლის შავი ქარქაში ჯვრებით ჰქონდა მოზარნიშებული.

— ვინაა ეს ჭაბუკი?.. თურქი არ უნდა იყოს. უფრო ქრისტიანს ჩამოჰგავს, — მიუბრუნდა ჰასანს.

— მართალი ხარ, გურჯია, — დაუდასტურა ჰასანმა. მერე კი მურუჩის მიუბრუნდა და უთხრა: ეს ჭაბუკი ჩემი მეგობრის ვაჟი და ჩემი სტუმარია; მინდა, ხმალში გამოსცადო, მაგრამ ფრთხილად იყავ, რამე არ დაუშავოო.

— მაგან რომ დამიშავოს? — ჰკითხა მურუჩიმ.

— მაშინ მოგებული შენ დარჩები. ამ ყმაწვილთან დამარცხებული ამხანაგი არ მჭირდება — ეგრეევ გურჯისტანს გაგისტუმრებ, — გაიცინა ჰასანმა და თან გვიდოს ანიშნა: ბრძოლისთვის მოემზადეო.

ვენეციელმა ქარქაშიდან ამოასრიალა ხმალი, დრეკადობა მოუსინჯა და ბრძოლისთვის მოემზადა. მურუჩის კი არც უცდია ხმლის მომარჯვება. მშვიდად ადევნებდა თვალყურს მეტოქის სამზადისს.

— რას აკეთებს?.. ხმალს მოჰკიდოს ხელი და შემებრძოლოს, — ჰასანს გახედა ახალგაზრდა ვენეციელმა.

— ეგ შენ გელის. მიდი, დაუზოგავად შეუტიე, — შეაგულიანა ჰასანმა, მაგრამ გვიდომ უარით უპასუხა: უიარაღოს ხმალს ვერ მოვუღერებო.

მაშინ ხმალი მოზიდა მურუჩიმ, მაგრამ იერიშის მოსაგერიებლად არ მომზადებულა. ძირს დაშვებული ხმლით ელოდა, რას მოიმოქმედებდა მეტოქე. ახლა კი მოთმინებამ უმტყუნა გვიდოს, წინ გაიჭრა და გამეტებით შემოიქნია ხმალი. დარბაზში ფოლადის წკრიალი გაისმა. ამან მიახვედრა გუელმო, რომ მურუჩიმ მოქნეულ ფოლადს, ფოლადი შეაგება, თავად მურუჩის ხმლისთვის კი თვალი არ მოუკრავს.

წკრიალს ჟღრიალი მოჰყვა, რომელიც ქვით მოპირკეთებულ იატაკზე დავარდნისას გამოსცა ვენეციელის ხმალმა.

ხმლის დავარდნისთანავე მურუჩი უკან გადგა. ვენეციელმა კი გაოგნებულმა დაიხედა მარჯვენაზე, მერე კი ხმალს გახედა, რომელიც დარბაზის მეორე მხარეს ეგდო. ის ვერც კი მიმხვდარიყო, თუ როგორ გაუსხლტა ხელიდან ვადა. ხმლის მოქნევისთანავე მარჯვენაში ძლიერი ბიძგი იგრძნო. მერე კი თითები თავისთავად გაეშალა და...

— იარაღი აიღე! — ხმალზე მიანიშნა მურუჩიმ.

გვიდომ ხმალი მოიმარჯვა და ისევ შეუტია, მაგრამ ამჯერად ფრთხილობდა. თავიდან მოკლე ნახტომით გავარდა წინ. მერე უეცრად დაიხია უკან და გრძელ ნახტომში უქნია ხმალი.

ისევ დაიწკრიალა ფოლადმა. მურუჩიმ დარტყმა მოიგერია, მერე ელვის სისწრაფით გადაიხარა გვერდზე და ხმალი ბრტყელად შემოჰკრა მაჯაში.

გვიდომ დაიკვნესა, მაგრამ ხმალი მაინც არ გაუშვა ხელიდან. მერე გვერდზე გადაქანდა და ისევ შემოუქნია.

მურუჩიმ ეს დარტყმაც მოიგერია. უეცრად დააბზრიალა ხმალი, თანაც ისეთი სისწრაფით, რომ მეტოქეს თვალები აუჭრელა. მერე კი მოულოდნელად გააქვავა მარჯვენა. ვენეციელმა მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ ფხა კისრის სიახლოვეს, მხარზე ედო. ამით მურუჩიმ ბრძოლა დამთავრებულად ჩათვალა. უკან გადგა და ხმალი ქარქაშში ჩააბრუნა, მაგრამ გვიდო ნაადრევად მიიჩნევდა შეტაკების დასრულებას. როგორც კი მურუჩი უკან გადგა, ხმალი შემართა და მისკენ გაქანდა.

— შესდექ! — მთელი ხმით შესძახა გუელმომ.

გვიდო უმალ შემობრუნდა და გაოცებელმა შეხედა მამას.

— შესდექ... შენ დამარცხდი. ეს მართლა ბრძოლა რომ ყოფილიყო, მკვდარი იქნებოდი. ნუ ცხარობ, მამაკაცს დამარცხების აღიარება უნდა შეეძლოს, — თქვა გუელმომ, მერე კი ჰასანს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— სად გამოჩხრიკე ეს ქართველი? მონაა თუ მსახური?.. ასეთ მოფარიკავეს ჯერ არ შევხვედრივარ.

— არც მონაა და არც — მსახური, ისევე თავისუფალია, როგორც მე და შენ. საიმედო და ერთგული კაცია. ჰინდუსტანში ისიც გამოგვყვება. ჩინებული მოფარიკავეა და თანაც ბერძნულადაც ლაპარაკობს, მაგრამ ახლა ეგ არ არის მთავარი. დარწმუნდი თუ არა, რომ გვიდო მზად არ არის ჩინეთს მოგზაურობისთვის? — უპასუხა ჰასანმა.

— არა, მეგობარო. შენ განგებ შეურჩიე ჩემს ვაჟს იშვიათი მოფარიკავე. ხომ გითხარი, ასეთ ოსტატს არასოდეს შევხვედრივარ-მეთქი?! კარგად ვიცნობ გვიდოს და ისიც ვიცი, რომ უბრალო მებრძოლს იოლად დაამარცხებდა, შარაგზის მძარცველზე კი ლაპარაკიც არ ღირს — ასეთ ვიგინდარას ორ და სამს ერთად გაუსწორდება, — შეეკამათა გუელმო.

— გამოცდილი კაცი ხარ და იცი, რომ სიცოცხლის დასაკარგავად სამი და ოთხი მტერი საჭირო არ არის, ერთიც კმარა. დანარჩენი იმაზეა დამოკიდებული, სად და როდის გადაეყრები იმ ერთს. თანაც მარტო ფარიკაობა ხომ არ არის საქმე?! სიცოცხლის წართმევა ისარსაც შეუძლია, შუბსაც, ავადმყოფობასაც, გარეულ ნადირსაც, უდაბნოსაც, მდინარესაც... რომელი ერთი გითხრა. მთავარი კი ისაა, რომ შენი ვაჟი მეომრად არ არის დაბადებული. შესანიშნავი ყმაწვილია, ტანადი, ზრდილი, ალბათ განათლებულიც. უშიშარიც ჩანს, მაგრამ ეს ცოტაა, გუელმო. ჩემი ქართველი ამხანაგი მისი კბილაა, მაგრამ მასთან ერთად დაუფიქრებლად დავადგები გზას. ის მეომარია, ავაზა ბუდობს მის სულში. სამაგიეროდ, არაფერი გაეგება ვაჭრობისა. იქნებ შენს ვაჟს მოსდევს ვაჭრობის ნიჭი, მაგრამ ახლა ჩინეთს ვაჭარი ვერ ჩააღწევს. ის გზა მარტო შმაგ მეომარს დაემორჩილება! — თქვა ჰასანმა. მერე კი გვიდოს მიუბრუნდა და განაგრძო:

— მე გეტყვი, რა არის შენი სისუსტის მთავარი მიზეზი: შენში მეომრის სული არ ძევს. მერე... შენ იწვრთნებოდი საუკეთესო მასწავლებელთან. მეც მაქვს

ნანახი ვენეციელთა საფარიკაო სკოლები. შენ დარბაზში ეუფლებოდი ფარიკაობას და თანაც შიშიც არ გქონდა, რომ ვინმე სასიკვდილო ჭრილობას მოგაყენებდა, ამიტომ სიცოცხლისთვის არ იბრძოდი, შენთვის წვრთნა მხოლოდ სწავლა-გართობა იყო. შენ იბრძვი ვენეციელთა წესით, რადგან შეჩვეული ხარ მოპრიალებულ იატაკზე დგომას, ცდილობ, მეტოქეს შორიდან მიაყენო სასიკვდილო ჭრილობა. ამაში ტანადობა, გრძელი მკლავები და ასევე გრძელი ხმალი გეხმარება. შენი მწვრთნელიც მუდამ ჩაგაგონებდა, რომ ეს იყო შენი უპირატესობა, მაგრამ ეგ ილეთები შენსავით იატაკზე გაწვრთნილ ვენეციელთან შერკინებისას თუ გამოგადგება მხოლოდ. ამ გურჯთან ბრძოლისას კი დამარცხებისთვის ხარ განწირული და იცი, რატომ?..

— რატომ? — გამოცოცხლდა გვიდო.

— შეუპოვრობა და მეომრული შემართება გურჯებს ჯიშით მოსდგამთ. შენი მეტოქის ტომი კი ბრძოლისას განსაკუთრებული სიშმაგით გამოირჩევა. ამ გურჯს ომის წესები არც გასართობად უსწავლია და არც თავისი მამაკაცობის დასადასტურებლად; არც იატაკმოპრიალებულ დარბაზებში გაუვლია წვრთნა. ის ომშია დაბადებულ-აღზრდილი. ბალღობიდან ომობდა და იარაღი ისე შეეზარდა მის სხეულს, როგორც ხელი ან ფეხი. ის არ იბრძვის ლამაზი ილეთებით, მაგრამ თავდაც იხილე, რომ ყოველი მისი შემოკვრა სასიკვდილოა. ის არ ცდილობს მეტოქის შორიდან დაჭრას, ახლო მანძილიდან ბრძოლასაა შეჩვეული, წინ მიიწევს, რათა ერთი და ზუსტი დაკვრით მოკლას მეტოქე. ის ან იმარჯვებს ან კვდება, ხმალთაკვეთებაში შობილი ომის შვილია და მარტო ხმალს არ ხმარობს ასე ოსტატურად. დარწმუნებული იყავი, რომ შუბით ან სატევრით შეტაკებისას, ისევე დაგამარცხებდა, როგორც ხმლით... და ის ერთადერთი არ არის. მასავით შმაგი იქნება ყველა მებრძოლი, რომელთანაც მოგიწევს შეხვედრა, ზოგი მეტად შემართული, ზოგი — ნაკლებად; ზოგი მეტი ოსტატობით მოიხმარს ხმალს, ზოგიც — ნაკლებით. შეიძლება ბედმა გაგიღიმოს. ერთი განგმირო... მეორეც.... მაგრამ მესამე მაინც მოგიღებს ბოლოს!.. იმიტომ, რომ ის, რაც შენთვის ვაჭრობაა, მათთვის ბრძოლა და სისხლის ღვრაა. ამით მოიპოვებენ სარჩო-საბადებელს!.. ახლა კი მითხარ: კიდევ გინდა ჩინეთს მგზავრობა? — უთხრა ჰასანმა.

— მამამ უკვე გიპასუხა. ბლანკოებს არა გვჩვევია უკან დახევა! — მშვიდად უპასუხა გვიდომ.

ჰასანს აღარაფერი უთქვამს. გუელმოს ანიშნა: გამომყევიო და დარბაზიდან გავიდა.

ცოტა ხანში სტუმარ-მასპინძელმა ბაღში განაგრძო საუბარი.

— უკვე ვხვდები, რომ ამაოა შენი შეგონება. არ გადაიფიქრებ ჩინეთს მგზავრობას, — თქვა ჰასანმა.

— არ გადავიფიქრებ, — დაუდასტურა ვენეციელმა.

— ცუდ დღეში მაგდებ, გუელმო. იძულებულს მხდი, რომ მეც გამოგყვე ჩინეთს, — ამოიოხრა ჰასანმა.

— არა... ეგ ზედმეტია. ვიცი, რომ მშიშარა კაცი არ ხარ. გამოცდილებაც არ გაკლია, არაფერი სჯობს შენთან შეამხანაგებას, მაგრამ მაინც უარს გეტყვი. მე მინდა ჩინეთის გზის გაკვალვა, შენ ხომ — არა?! — უპასუხა გუელმომ.

— არა, ეგ უკვე გადაწყვეტილია. აქ



ჩემი სტუმარი ხარ და თუ სადმე გამგზავრება გადაწყვიტე, მეც და ჩემი მსახურებიც თან გამოგყვებით. ახლა მარტო ერთი რამ მაინტერესებს: რა საქონლის წაღებას აპირებ ჩინეთს? — ჰკითხა ჰასანმა.

გუელმოს იგივე საქონელი აღმოაჩნდა, რაც ადრე ჩამოჰქონდა ბაღდადისა და ქერმენის ბაზრებზე — ვენეციური ბროლი. ვენეციელ ოსტატთა ჰაეროვან და ნატიფ ნაკეთობებს, განსაკუთრებით ეტანებოდნენ ბაღდადელები. გუელმოს კი ყოველთვის საუკეთესო ბროლი ჩამოჰქონდა ბაღდადის ბაზარზე.

ბროლზე არანაკლებ ფასობდა ჩრდილოეთის ზღვების ქარვაც. ქარვას არაბეთშიც მოიპოვებდნენ. ბაღდადელი ოსტატები კი უჩვეულო ნაკეთობებად აქცევდნენ ძვირფას ქვას, მაგრამ გუელმო კარგად ერკვეოდა ვაჭრობაში და ისიც იცოდა, თუ რით უნდა გაეკვირვებინა ბაღდადელები. მის ჩამოტანილ ქარვას არავინ იცნობდა სპარსეთში. სპარსულისგან განსხვავებით, გუელმოს ქარვა სისხლისფერი იყო. ვენეციელი ვაჭარი საიდუმლოდ ინახავდა მისი წარმოშობის ამბავს, მაგრამ ჰასანს მაინც გამოუტყდა. თურმე ეს ქარვა ვენეციაშიც არ მოიპოვებოდა, შორეული ჩრდილოეთის, მუდმივი თოვლისა და ყინულის ქვეყნებიდან ჩამოჰქონდათ. თავად გუელმო ერთხელ იყო იქ ნამყოფი და უცნაურ, ველურ ადამიანებად აღწერდა იმ ქვეყნის მცხოვრებლებს. თურმე არც ტანსაცმლის კერვა ეხერხებოდათ და არც შენობათა აგება. გრძელთმიანები და წვეროსნები, ცხოველთა ტყავებში გამოხვეულები დაიარებოდნენ. ზოგჯერ უმადაც კი ჭამდნენ ხორცს. ქარვას კი ყინულოვანი ზღვის ნაპირებზე აგროვებდნენ. აღელდებოდა ზღვა და ველურები კაციან-ქალიანად მოედებოდნენ ზღვის ნაპირს ქარვის შესაგროვებლად, რომელსაც აზვირთებული ზღვა ნაპირზე ისროდა. იქაურები ჰყვებოდნენ, რომ ზღვის ფსკერი მთლიანად ქარვის იყო. მათ სათევზაო ბადეებსაც ხშირად მოჰყვებოდა სისხლისფერი ქარვის ნატეხები, ზოგჯერ — ძალიან დიდიც. გუელმოს საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი საზამთროზე მოზრდილი ქარვის ლოდები...

სხვა საქონელიც ჩამოეტანა გუელმოს, რომელიც ძვირად ფასობდა სპარსეთის ბაზრებზე. ეს იყო ჩრდილოეთის ცხოველების თოვლივით ქათქათა თუ კუნაპეტი ღამესავით შავი მელიისა და სიასამურის ბეწვი. კიდევ ერთი განსაკუთრებული საქონელი ჩამოეტანა გუელმოს — ტოლედოს ნაჭედი დაშნები. ამ იარაღს სტილეტს უწოდებდნენ ვენეციელები. მათ სამშობლოში სტილეტი სამკაული უფრო იყო, ვიდრე საბრძოლო იარაღი, მაგრამ სპარსელებმა მალე აუღეს ალღო დაშნებს და ისევე ხმარობდნენ ბრძოლისას, როგორც მშობლიურ ხმალ-ხანჯალს. ერთი განსაკუთრებული თვისება ჰქონდა ამ დაშნას: სამკუთხა იყო და გველის ნესტარივით წვრილი პირი ჰქონდა. პირზე შროშანის გამოსახულება ესვა დამღად, მაგრამ მგლის ლეკვი შეარქვეს სელჩუკებმა. სპარსეთშიც ბევრი დაშნის ოსტატი იყო. საუცხოოდ მიიჩნეოდა ჰამადანს ნაჭედი აბჯარი თუ ხმალ-ხანჯალი, მაგრამ ბრძოლაში უღალატო ხანჯალს, პირის სიფართის გამო, უჭირდა აბჯარში გაღწევა. შემოკვრისას თუ გაკვეთდა, თორემ სხვანაირად ვერაფერს დააკლებდა. მგლის ლეკვის წვრილი პირი კი გველის ნესტარივით ძვრებოდა ჯაჭვის პერანგის რგოლში. მართლაც გველის დაგესლილს ჰგავდა მისით მიყენებული იარა, ოდნავ მოჩანდა კანზე, სისხლიც არ იღვრებოდა, მაგრამ სწორედ იმ შეუმჩნევლობაში იყო მისი საშინელი ძალა. მკერდსა ან მუცელში დაჭრილი ადამიანი აუცილებლად დაიღუპებოდა. თუ მგლის ლეკვი ვერ მოუღებდა ბოლოს, შიგანში ჩაქცეული სისხლი მაინც შეიწირავდა. იმიტომაც მოიწონეს სპარსმა და სელჩუკმა მეომრებმა უცხო იარაღი და კარგ ფასადაც ყიდულობდნენ ვენეციელი ვაჭრისგან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უმღიერესი ემიგრანტები

დაკარგული ქონება – ქშრის საფრავიდან ჩამოცანილი ერთი შუქა მიწა

ხარბინი

წერილი მეცხრე.
წინამორბედი წერილები ის. „გზა“ №16-28

მანანა გაბრიჭიძე

რუსუდან დაუშვილი, *ისტორიკოსი, პროფესორი:*

— ივლიანე ხაინდრავას გარდა, ხარბინში ბევრი მდიდარი და ქველმოქმედი ქართველი იყო. მათ შორის, აღსანიშნავია თამარ გომართელისა და ილიკო მხეიძის ოჯახი. გვარი გომართელი დმანისის რაიონის სოფელ გომარეთიდან მოდის, მაგრამ ამ გვარის წარმომადგენლები იმერეთში, სოფელ გორისაშიც ცხოვრობენ. ამ სოფლიდან არიან ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები: გიორგი და ირაკლი (კაკი) წერეთლები, გოგი წერეთელი, ივანე გომართელი, თამარ დეკანოსიძე, ეთერ ქემერტელიძე და სხვები... ნიკოლოზ გომართელი საშუალო შეძლების ოჯახიშვილი, სოფლის მედიატორი, კარგი ხელოსანი, პატიოსანი და ყველასათვის პატივსაცემი პიროვნება იყო. მან ნიკო სამხარაძესთან ერთად, ადაურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ააშენა. მისი მეუღლე, ელენე მაჭავარიანი ახალგაზრდობაშივე გარდაიცვალა. დაობლდნენ 12 წლის თამარი და 8 წლის გრიგოლი. ნიკოლოზის ძმას — იოსებს და მის მეუღლეს, ანასტასიას შვილი არ ჰყავდათ. მათ თამარი შვილად მიიღეს და 1912 წელს ვლადივოსტოკში წაიყვანეს. იოსებს იქ რესტორანი ჰქონდა და შეძლებულ კაცად მიიჩნეოდა. რამდენიმე წლის შემდეგ იოსებ გომართელი ხარბინში გადასახლდა. როცა თამარი წამოიზარდა, ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა, მაგრამ მან არჩევანი ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარის მკვიდრ ილიკო მხეიძეზე შეაჩერა, რომელმაც ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა ტარტუში. ილიკოს კარგი სასტუმრო და რესტორანი ჰქონდა, 60 მომსახურე პერსონალითურთ. წყვილი კარგად გაწყობილ, სამსართულიან საკუთარ სახლში (რომლის სახურავზეც ღია ვერანდა იყო მოწყობილი) ცხოვრობდა. ილიკო თამარზე 22 წლით უფროსი იყო და ახალგაზრდა მეუღლეს ძალიან ანებივრებდა. მათ ძლიერი ოჯახი ჰქონდათ. სამწუხაროდ, შვილი არ შეეძინათ და ამას ძალიან განიცდიდნენ. სამაგიეროდ, ბევრი ნათლული ჰყავდათ, რომლებსაც ნათლობის შემდეგ როიალით, საძინებელი გარნიტურით, ბრილიანტის ბეჭდებით ასაჩუქრებდნენ და მატერიალურადაც ხშირად ეხმარებოდნენ. ილიკო ძალიან მდიდარი და როგორც ხარბინში მცხოვრებთა უმეტესობა, დიდი ქველმოქმედი იყო — ბევრი აღზარდა და გზაზე დააყენა, ბევრ გაჭირვებულს გაუმართა ხელი.

— ქართულ სათვისტომოსთან თუ ჰქონდათ კავშირი?

— ისინი ხარბინის ქართული სათვისტომოს აქტიური წევრები იყვნენ. თამარი ლამაზი და კოხტა ქალი გახლდათ. მან ერთ-ერთ საღამოზე თამარ მეფის როლი განასახიერა... ჩინეთში კომუნისტების შესვლის შემდეგ, მხეიძეებმა, როგორც თითქმის ყველა ქართველმა ხარბინში, მთელი ქონება დაკარგეს (მათ სახლიც ჩამოართვეს). ილიკომ ეს უბედურება ვერ გადაიტანა და რამდენიმედღიანი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. თურმე, როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, თამარს უთხრა: „მე კი ვკვდები საქართველოს უნახავი, არ მეღირსა სამშობლოს მიწაში დამარხვა და შენ მაინც ეცადე, შენს საყვარელ გორისაში დაბრუნდე“. ქმრის სიკვდილის შემდეგ, თამარი ერთ პატარა ოთახში შეასახლეს, სადაც მასთან ერთად ნინო ამირეჯიბი ცხოვრობდა. ქალები ერთმანეთს ეხმარებოდნენ და ამხნევებდნენ. მათი მეგობრობა თბილისში დაბრუნების შემდეგაც გაგრძელდა.

— თამარს მამასთან, ნიკოლოზთან ურთიერთობა აღარ გაუგრძელებია?

— ნიკოლოზმა, ცოლის გარდაცვალების შემდეგ, მეორე ცოლად ბაბილინა ბარათაშვილი შეირთო, რომელთანაც 5 შვილი შეეძინა: ნატაშა, პიღასი, ელიჩკა, თამარი და ნიკოლოზი (ნიკუშა). მეოთხე შვილს (მოფერებით შურიკო) თამარი დაარქვეს, რადგან მიიჩნევდნენ, რომ უფროსი თამარი ცოცხალი აღარ იყო — ომის შემდეგ, მას ხარბინიდან წერილები აღარ მოუწერია. როცა 1954 წელს, თამარის წერილმა მანჯურიიდან ჩამოაღწია, ქალების შეცხადებამ გომართელების უბანი შეძრა. კონვერტის მეორე მხარეს ეწერა: „ვთხოვ ყოველ ქართველს, ეს წერილი გადასცეს გორისაში, ნიკო გომართელის ოჯახს“. რამდენიმე ეგზემპლარი ჰქონდა გამოგზავნილი და ერთ-ერთმა ჩამოაღწია. 16 აპრილით დათარიღებულ, რუსულად დაწერილ წერილში თამარი მშობლებს ატყობინებდა, რომ ილიკო 1951 წლის 6 ივნისს დაუსაფლავებია და რომ ასეთსავე წერილს, ილიას ძმას — მიშას სწერდა. ბარათის მისამართად ხარბინის ქართული კლუბი იყო მითითებული. როგორც ჩანს, წერილის გადაგზავნა ასე უფრო საიმედო გახლდათ.

— და-ძმები გაიცნო?

— თამარი მხოლოდ უფროს დას, ნატაშას იცნობდა, დანარჩენები კი მას შემდეგ მოევლინნენ ქვეყნიერებას, რაც ის ვლადივოსტოკში გაემგზავრა. ამ წერილის მერე დაიწყო მიწერ-მოწერა ოჯახთან. თამარი ითხოვდა ვიზას, რათა სამშობლოში დაბრუნებულიყო. საბჭოთა კავშირში საზღვარგარეთიდან ჩამოსული ადამიანის ოჯახში მიღება იოლი საქმე არ იყო. მომზადდა საბუთები, რომ უმცროსი დის, შურიკოს ოჯახს შეეძლო მისი რჩენა, ხოლო ვიზის მისაღებად, შურიკოს მეუღლეს — ადამ აბდუშელიშვილს მოსკოვში, გენერალ ასმალოვთან მოუხდა შესვლა და მისი თანხმობით თამარის მოსკოვში ჩამოსვლის თარიღი დადგინდა. 1956 წელს მოსკოვში, თამარს, შურიკო და ნატაშას ქალიშვილი, ლილი ორჯონიკიძე დახვდნენ. შეხვედრა გაუჭირდათ, რადგან იმ დღეს „ატპორიდან“ ორი მატარებელი გამოვიდა და თან, ვინაიდან მათ ერთმანეთი ნანახიც კი არასდროს ჰყავდათ, ამხელა სადგურში, ამდენ ხალხში თამარის ამოცნობა გაუჭირდათ. ლილის თითქოს, გულმა უგრძნო და ერთ ხანში შესულ მანდილოსანს ჰკითხა: ქართველი ხარ-

მხეიძეების სასტუმრო ხარბინში

ილიკო მხეიძე და თამარ გომართელი

თო? — „დიახ“, — აკანკალებული ხმით უპასუხა უცნობმა. ცოტა ხნის შემდეგ კი გულწასულ დებს უცნობი ადამიანები ასულიერებდნენ... თამარს აღარც მამა დახვდა ცოცხალი და აღარც ღვიძლი ძმა — გრიგოლი, რომელიც 1918 წელს, I მსოფლიო ომში, თურქეთის ფრონტზე დაიღუპა. ოჯახის დანარჩენი წევრები თბილად შეხვდნენ და იზრუნეს მასზე. თამარი გორისაში, დედინაცვალთან ერთად დასახლდა, ზამთარში კი ხაშურში, ნატაშას ოჯახში მიდიოდა, სადაც მას დიდი სიყვარულით ხვდებოდნენ — ნატაშას ვაჟი ჯუდუ ორჯონიკიძე და რძალი ვენერა ბანცაძე. ხშირად სტუმრობდა მეორე დას, შურიკოს (საჩხერეში) და ძმას, ნიკუშას (თბილისში). მთავრობამ მას 12 მანეთი პენსია დაუნიშნა. თამარის ნათესავებს ეს თანხა სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ. მათ მანამდე ვერც კი წარმოედგინათ, თუ ასეთი დაბალი პენსია არსებობდა... თამარს ქმრის საფლავიდან ერთი მუჭა მიწა ჰქონდა ჩამოტანილი და ისიც დაეკარგა, როცა მათი სახლი დაიწვა (იმ დროს თამარი თბილისში იყო). ამან მასზე ძალიან იმოქმედა. სიცოცხლის ბოლო დღეები მერჯევში, დის — ელიჩკას და სიძის, ზუბიკა წერეთლის ოჯახში გაატარა. მას დისშვილი ზურიკო და რძალი გუგული ლეჟავა დიდ პატივს სცემდნენ. როცა ცუდად გახდა, საჩხერეში, შურიკოს ოჯახში გადაიყვანეს. მისი მოვლა არ დაზარებიათ შურიკოს და მის ქალიშვილს ირინე აბდუშელიშვილს, რომელიც თამარის ჩამოსვლის შემდეგ დაიბადა და დეიდა მას ისე ზრდიდა, როგორც შვილიშვილს, მაგრამ დაუძლურებული თამარი ძალზე განიცდიდა, სხვისი მოსავლელი რომ გახდა. იგი 1982 წელს, საჩხერეში გარდაიცვალა, მერე კი სოფელში გადაასვენეს და მამის გვერდით, გორისის მიწას მიაბარეს. გომართელების კერას თამარის უმცროსი ძმა ნიკუშა და რძალი ნათელა აზმაიფარაშვილი არ აციებენ. ზაფხულობით კი სოფელს სტუმრობენ მათი ქალიშვილები — ქეთევანი, ნინო და ნინოს ქალიშვილი მარიამ გაბუნია, რომელიც ძალიან ჰგავს ბაბუდას — თამარ გომართელს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ემი უაინჰაუსი

თეატრალური სკოლიდან „უნიჭობის გამო“ გარიცხული გოგონა, რომლის ცვილის ფიგურა მალე მუზეუმს დასამშვენებს!

სკანდალური ბრიტანელი მომღერლის — ემი უაინჰაუსის ცვილის ფიგურა მადამ ტიუსოს მუზეუმის ექსპოზიციას დაამშვენებს. „სკას“ მიმსგავსებული, „საფირმო“ ვარცხნილობითა და ცნობილი სვირინგებით შემკულ ქანდაკებას მუზეუმის დამთვალიერებელი სულ მალე იხილავს.

ემი ჯეიდ უაინჰაუსი 1983 წლის 14 სექტემბერს ლონდონის გარეუბანში მცხოვრებ ებრაულ-ინგლისურ ოჯახში დაიბადა. მამა ტაქსის მძღოლად მუშაობდა, დედა კი ფარმაცევტი იყო. გოგონას ნათესავებს შორის, განსაკუთრებით დედის მხრიდან, ჯაზის არაერთი პროფესიონალი შემსრულებელი იყო. ბებია (მამის დედა) კი ხშირად იხსენებდა ახალგაზრდობის წლებს, როდესაც ბრიტანული ჯაზის ლეგენდარულ მომღერალ რონი სკოტთან რომანი ჰქონდა. ემის მშობლებს მუსიკასთან არაფერი აკავშირებდათ, მაგრამ გატაცებით აგროვებდნენ დიდი მუსიკოსების: დინა ვაშინგტონის, ელა ფიცჯერალდის, ფრენკ სინატრასა და სხვათა ჩანაწერებს. მშობლების გატაცებამ გოგონას მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ემის პოპმუსიკით (მადონა, კაილი მინოუგი და ა.შ.) გატაცების ხანა ათი წლის ასაკში დასრულდა, როდესაც მან Salf`n`Pepa, TLC და ჰიპჰოპისა და R&B-ს სხვა მეამბოხე ჯგუფები აღმოაჩინა.11 წლის ჰიპერაქტიური გოგონა უკვე საკუთარ რეპგუნდს ხელმძღვანელობდა, რომელსაც Sweet`n`Sour დაარქვა და Salt`n`Pepa-ს ებრაულ ვარიანტს უწოდებდა. 12 წლის დამწყებმა მუსიკოსმა, სილვია იანგის თეატრალურ სკოლაში გააგრძელა სწავლა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ემი სკოლიდან გარიცხეს, რადგან „მან თავი ვერ გამოიჩინა“. 13 წლის გიტარაზე უკრავდა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მუსიკას (ძირითადად, ჯაზსა და ჰიპჰოპს) თავდავიწყებით უსმენდა. მისი მუსიკალური თვალსაწიერი სწრაფად იზრდებოდა და მალე ემიმ საკუთარი სიმღერების შეთხზვა და ჩაწერა დაიწყო.

ენი უაინჰაუსი დიდმა შოუბიზნესმა 2000 წელს აღმოაჩინა, როდესაც სულ რაღაც 16 წლის იყო. მისი მეგობრისა და პოპმომღერლის — ტაილერ ჯეიმსის წყალობით, უაინჰაუსის დემოჩანაწერები კომპანიის — Island/Universal მენეჯერთა ხელში აღმოჩნდა. იმ პერიოდში კომპანია ჯაზის ახალგაზრდა შემსრულებლებს ეძებდა. ემიმ კონტრაქტს ხელი მოაწერა და მისი, როგორც პროფესიონალი მომღერლის კარიერაც დაიწყო, მაგრამ სადებიუტო ალბომის გამოშვებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. სამი წლის შემდეგ — 2003-ში, ემიმ მსმენელის წინაშე პირველი სტუდიური დისკი — Frank წარმოადგინა, რომლის მასალის უმეტესი ნაწილის ავტორი თავად იყო. როგორც დისკის თანაავტორი, ფელიქს ჰოვარდი იხსენებს, ჩანაწერის პირველად მოსმენის შემ-

დეგ, მან „მეტყველების უნარი დაკარგა“. „ეს არაფერს ჰგავდა. მსგავსი რამ არასდროს მომესმინა. ემიმ მოახერხა და მრავლისმხილველი, ჯაზის მუსიკოსებიც კი დააფრთხო. სესიაში ძალზე სერიოზული მუსიკოსები მონაწილეობდნენ. როდესაც ემიმ სიმღერა დაიწყო, მათ ერთხმად აღმოხდათ: „ღმერთო, დაგვიფარე!“ კოლეგებისთვის ყველაზე მეტად შოკის მომგვრელი, ემის სიმღერების გულახდილი ტექსტები აღმოჩნდა. სიმღერები კი ძირითადად, მის ყოფილ ბოიფრენდს ეძღვნებოდა, მაგრამ — არა მხოლოდ მას. მაგალითად, ტრეკი — Fuck Me Pumps — 20 წლის ასაკის გოგონებზე მოგვითხრობს, რომლებიც მდიდარი საქმროების ძიებაში, ბინძურ კლუბებში დაეხეტებიან... სიმღერაში — What is it About Men? — ემი მამის ხასიათში გარკვევას ცდილობს და ოჯახური ცხოვრების მიმართ მშობლის გულაცრუების მიზეზებს ეძებს (თავის დროზე გოგონამ მშობლების განქორწინება მტკივნეულად განიცადა).

სოულის, პოპის, რიტმ-ენ-ბლუზისა და ჰიპჰოპის ელემენტებთან შერწყმულმა ოჯახურმა ჰარმონიებმა, მგრძნობიარე და იმავდროულად, ირონიულმა შესრულებამ და შესანიშნავმა ვოკალმა, რომელშიც კრიტიკოსებმა ნინა საიმონთან, ბილი ჰოლიდეისთან, სარა ვოგანთან და მეის გრეისთან მსგავსება დაინახეს, მუსიკალური ინდუსტრიის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ რიგითი მელომანები კიდევ დიდხანს ყოყმანობდნენ: დისკის გაყიდვა სწრაფი ტემპით მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ემი უაინჰაუსის სახელი Brit Awards-ისა და Mercury Music Prize-ის ნომინანტთა შორის მოხვდა, ხოლო ბრიტანელი კომპოზიტორების პრემიის — Ivor Novello — დაჯილდოების ცერემონიაზე ემის პირველმა სინგლმა — Stronger Than me — „საუკეთესო თანამედროვე სიმღერის“ ნომინაციაში გაიმარჯვა.

2004 წლის ზაფხულისთვის ალბომმა — Frank — ბრიტანული ჰიტაღლუმების მწვერვალები დაიპყრო და მას პლატინის სერტიფიკატი მიენიჭა.

სულ მალე, ემი უაინჰაუსი ყვითელი პრესის უსაყვარლეს პერსონაჟად იქცა, მაგრამ ამის მიზეზს, მისი მუსიკა ან სიმღერების მეტისმეტად გამომწვევი ტექსტები როდი წარმოადგენდა... ალკოჰოლმა, ნარკოტიკებმა, სკანდალურმა გამოხდომებმა, სკაბრეზულმა ხუმრობებმა, არაადეკვატურმა ქცევამ და ფანების შეურაცხყოფამ ჟურნალისტებს საკმარისზე მეტი მასალა მისცა იმისათვის, რომ უაინჰაუსის სახელი ყვითელი პრესის ფურცლებიდან არ გამქრალიყო. გაზეთი The Independent მკითხველს არწმუნებდა, რომ ემი მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზით იყო დაავადებული, მაგრამ წამლების მიღებაზე უარს აცხადებდა. თავად მომღერალი კი აღიარებდა, რომ მადასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და „ცოტა ანორექსია, ცოტაც ბულემია“ აწუხებდა... ამბობდა, რომ უფრო მამაკაცი იყო, ვიდრე — ქალი, „მაგრამ — არა ლესბოსელი“; ირწმუნებოდა, რომ მისი მენეჯერები იდიოტები იყვნენ, მარკეტინგი არაფრად ვარგოდა, სადებიუტო ალბომის პრომოუშენი კი — საშინელი იყო.

რაც უფრო მეტად ონავრობდა რეალურ ცხოვრებაში, მით უფრო და უფრო უკან მიდიოდა მისი შემოქმედებითი ცხოვრება. შოუბიზნესის ბოსები ემის ახალ სიმღერებს ამაოდ ელოდნენ. ბოლოს და ბოლოს კი, ალკოჰოლიზმის სამკურნალო კურსის ჩატარება და მუშაობის დაწყება კატეგორიულად მოსთხოვეს. ემიმ სარეაბილიტაციო კლინიკაში დაწოლაზე სასტიკი უარი თქვა და მკურნალობის ნაცვლად, სიმღერების წერა დაიწყო! მისი ახალი სტუდიური ალბომის მაუწყებელი, პირველი მერცხალი, კომპოზიცია — Rehab — მსმენელს იმის შესახებ მოუთხრობდა, თუ რატომ არ სურდა ემის ექიმთა დახმარება. მომღერალი ხშირად ამბობდა, მუშაობას თუ დაიწყებდა, ვეღარაფერი შეაჩერებდა. მას მხოლოდ მოთმინება და ამ მომენტის ლოდინი სჭირდებოდა! სწორედ ასეთ დროს გამოჩნდა ემის ცხოვრებაში დიჯეი და მულტიინსტრუმენტალისტი მარკ რონსონი, რომელმაც რობი უილიამსსა და კრისტინა აგილერასთან პროდიუსერული მუშაობით გაითქვა სახელი. იგი მარკ რონსონს მეორე ალბომის სულისჩამდგმელს უწოდებს. სულ რაღაც 6 თვეში ჩანაწერი მზად იყო და 2006 წლის ოქტომბერში მსმენელმა Rehab-ის პირველი პრომოსინგლი მოისმინა, რომელიც მაშინვე ბრიტანულ ტოპათეულში აღმოჩნდა. მას კვალდაკვალ მოჰყვა Back to Black, რომელიც ბრიტანული ჰიტაღლუმის სათავეში მოექცა. ფირფიტამ ამერიკის მუსიკალურ ინდუსტრიასაც კი დაჩნია კვალი და აშშ-ის პოპჩარტში პირველსავე კვირას, მეშვიდე ადგილი დაიკავა. ეს კი დიდოს წარმატების (მისმა ალბომმა — Life For Rent — ამერიკულ რეიტინგში თავიდანვე მეოთხე ადგილი დაიკავა) შემდეგ, მეორე შედეგია.

ჯაზური ჰარმონიებით გაჟღენთილი სადებიუტო ალბომისგან განსხვავებით, Rehab-მა მსმენელი, XX საუკუნის 50-60-იანი წლების ეპოქაში დააბრუნა. ალბომის შთაგონების წყარო იმდროინდელი სოული, რიტმ-ენ-ბლუზი, როკ-ენ-როლი და ქალთა პოპჯგუფები (კერძოდ, ანსამბლი Shangri-ას) იყო. პროდიუსერის მოვალეობები სალამ რემისა და მარკ რონსონის ტანდემმა იტვირთა. უაინჰაუს-რემი-რონსონის ტრიო კომერციული და შემოქმედებითი თვალსაზრისით, საოცრად წარმატებული აღმოჩნდა. მომღერალმა rit Awards-ის პრემია მიიღო (ნომინაციაში „საუკეთესო სოლო მომღერალი“), ხოლო დისკი Back to Black „საუკეთესო ბრიტანული ალბომის“ ნომინაციაზე წარადგინეს. და ბოლოს, ჟურნალის მკითხველებმა ემი უაინჰაუსი 2006 წლის საუკეთესო ბრიტანელ მომღერალ ქალად დაასახელეს.

ემი უაინჰაუსის წარმატებისა და პოპულარობის კიდევ ერთი დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ მალე მისი

ცვილის ფიგურა მადამ ტიუსოს მუზეუმში, ჯიმი ჰენდრიქსის, The Beatles-ის, ბეიონსისა და ჯასტინ ტიმბერლეიკის ფიგურების გვერდით დაიდებს ბინას. „მოხარული ვართ, რომ ჩვენს ექსპოზიციას ემის ფიგურა შეემატა. იგი თანამედროვე ბრიტანული მუსიკის ხატი და მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავია, რომლის ხილვა ჩვენს დამთვალიერებელს ძალზე გაახარებს“, — ამბობს მუზეუმის გენერალური მენეჯერი ედუარდ ფულერი. ეს პატივი ალბათ სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდება მომღერლისთვის, რომელმაც ცოტა ხნის წინ საკუთარ სახლში გონება დაკარგა და ამის გამო ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს. მწეველ მომღერალს ფილტვებთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს. ექიმებმა ემი კლინიკიდან დროებით გამოუშვეს, რათა გლასტონბერის ფესტივალზე გამოსულიყო და მონაწილეობა მიეღო კონცერტში, რომელიც ნელსონ მანდელას 90 წლის იუბილეს ეძღვნებოდა. კლინიკაში უაინჰაუსის დაბრუნების შემდეგ, ექიმებმა მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს, ამბულატორული მკურნალობა დაუნიშნეს და სახლში გაუშვეს. ემი უაინჰაუსის პრესატაშე აცხადებს, რომ მომღერალი საზაფხულო კონცერტებთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებს: „ემის ბოლო გამოსვლებმა წარმატებით ჩაიარა, ამიტომ იგი დაგეგმილ კონცერტებს არ გადადებს. ჩვენ რამდენიმე გამოსვლას ვგეგმავთ, მათ შორისაა — Bestival, რომელიც სექტემბერში ჩატარდება“. ■



შაკირამ კომპანიასთან Live Nation კონტრაქტი გააფორმა

კოლუმბიელმა პოპვარსკვლავმა შაკირამ საკონცერტო კომპანიასთან Live Nation 10-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ღირებულება 70-100 მილიონ დოლარად არის შეფასებული. შეთანხმების პირობის თანახმად, კომპანია მომღერალს მომსახურების სრულ სპექტრს (ე.წ. „360-გრადუსიანი კონტრაქტი“) შესთავაზებს — ალბომებს გამოუშვებს, სუვენირულ პროდუქციას გაავრცელებს და საკონცერტო ტურებს გაუწევს ორგანიზაციას. ჯერჯერობით არ გასრულებულა კონტრაქტი, რომლის თანახმად შაკირამ ხმის ჩამწერი კომპანიისთვის Epic Records კიდევ 3 ალბომი — ერთი ინგლისულეროვანი, ერთი ესპანურენოვანი და ჰიტების კრებული უნდა ჩაწეროს. ამიტომ კომპანიას Live Nation მომღერლის ახალი ნამუშევრების გამოშვების უფლება ჯერჯერობით არა აქვს. მკითხველს შევახსენებთ, კომპანიას Live Nation უკვე გაფორმებული აქვს გრძელვადიანი კონტრაქტები ისეთ ვარსკვლავებთან, როგორებიც არიან: მადონა, რეპერი Jay-Z და ჯგუფი U2. გავრცელდა ხმები, რომ თითქოს კომპანია, ჯგუფთან The Rolling Stones აპირებს კონტრაქტის დადებას, მაგრამ ჯგუფის მენეჯერმა ეს ინფორმაცია უარყო. ■

დევიდ ფინჩერის ახალი პროექტი

კინოკომპანიის Dark Horse Entertainment და დევიდ ფინჩერის ერთობლივი ძალისხმევით, კომიქსის The Goon („შფოთისთავი“) პერსონაჟებს მაყურებელი ეკრანზე იხილავს. 1999 წელს შექმნილ კომიქსში მოქმედება 1930-იან წლებში ვითარდება. მთავარი გმირი — კუნთმაგარი ჩხუბისთავი თავს განგსტერთა ბანდის წევრად ასაღებს, რომელსაც თითქოსდა, ბანდის მიერ გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანა ევალება. ჩხუბისთავი და მისი მეგობარი ფრენკი დროდადრო მოჩვენებებს, ზომბებსა და შეშლილ მეცნიერებსაც ებრძვიან... პროექტის პროდიუსერმა დევიდ ფინჩერმა კომპანიებისთვის Paramount Pictures და MTV Films უკვე განახორციელა კომიქსის — „შავი ნახვრეტი“ (Black Hole) ეკრანიზაცია. ფილმი მოზარდების ჯგუფის შესახებ მოგვითხრობს, რომლის წევრებიც ე.წ. „ხოჭოთი“ დაავადდნენ. დაავადება კი სქესობრივი კავშირით ვრცელდება. ■

ლივ ტაილერი დანგრეული ოჯახის აღდგენას ცდილობს

ცოტა ხნის წინ მსახიობი ლივ ტაილერი მეუღლეს, მუსიკოს როისტონ ლენგდონს გაშორდა, მაგრამ უკვე აღიარებს, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს აჩქარდა და ახლა ქორწინების გადარჩენას ცდილობს, მანამდე კი დროს მისი ცხოვრების უსაყვარლეს მამაკაცთან — 3 წლის შვილთან ერთად ატარებს. ლივმა შესანიშნავად იცის, თუ რა ახარებს მის პატარას, ამიტომ მზიანი დღე შეარჩია და მილოსთან ერთად, სანტა-მონიკის გასართობ პარკს — Pacific Park მიაშურა. კინოვარსკვლავმა ბავშვობა გაიხსენა, პატარებისთვის განკუთვნილი ატრაქციონით გაისეირნა და მილოზე მეტადაც მოილხინა! ■

შავ-თეთრი ფერები დავით სულიკაშვილის კოლექციაში

დიზაინერობაზე ბავშვობიდან ოცნებობდა. მისი პირველი ნამუშევარი საქორწილო კაბა იყო, რომელიც თურმე, დედისგან მალულად, ფარდისგან შეკერა და მას შემდეგ, დათუნა სულიკაშვილის სახელს არაერთი კოლექცია უკავშირდება. რამდენიმე დღის წინ, სასტუმრო „აჭარის“ კარკასში დათუნა სულიკაშვილის კოლექციის ჩვენება გაიმართა. ორმოცდაათამდე კოსტიუმი სამოდელო სააგენტო „ნატალისა“ და „ამსას“ მოდელებმა წარმოადგინეს... კლასიკური და ყოველდღიური სამოსი, შავ-თეთრი ფერები, მცირე დოზით წითელი — აი, ეს გახლდათ დათუნას კოლექციის სახასიათო შტრიხი.

„ალბათ, ნანგრევებში სიარული მათთვისაც საინტერესო იყო...“

თამუნა პეტრიაშვილი

ჩვენებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის არაერთი ცნობილი სახე ვიხილეთ: ნინო დარასელი, ეკა კახიანი, ნინი ბადურაშვილი, გოგოლა კალანდაძე, ნანიკო ხაზარაძე... დიზაინერს სოლიდარობა კოლეგებმაც გამოუცხადეს: ავთანდილი მეუღლესთან ერთად მოვიდა და პირველ რიგში მოთავსდა. თეონა თავართქილაძე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, რადგან კოდორის ჩვენებისთვის ემზადება, ამ „პაკაზსს“ მაინც არ გამოჰკლებია...

დიზაინერმა, ტენდენციების გათვალისწინებით, ზაფხულის კოლექცია ფერებით „დაათბო“, მაგრამ საყვარელ ფერებს — შავსა და თეთრს მაინც ვერ შეელია...

— დათუნა, ამ ჩვენებით კმაყოფილი ხარ?

— თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, „პაკაზზე“ რამდენი ადამიანი მოვიდა და რამდენმა მითხრა, — მომეწონაო, მაშინ საწუწუნო არაფერი მაქვს.

— რატომ გადაწყვიტე, რომ ჩვენება მაინცდამაინც კარკასში მოგეწყო?

— აქაურობა ძალიან მომეწონა და თანაც, დიდი სივრცეა. როცა მოდელებს ვუთხარით, რომ ჩვენება აქ ჩატარდებოდა, ძალიან გაუხარდათ. ალბათ, ნანგრევებში სიარული მათთვისაც ახალი და საინტერესო იყო (*იცინის*)... წარმოდგენილი კოლექციის შესაქმნელად თითქმის სამი თვე ვიმუშავე. ეს იყო ჩვეულებრივი, „თბილისური ჩვენება“ და პასუხობდა კითხვას: რა ჩავიცვათ დღეს?

— „თბილისურ ჩვენებაში“ რას გულისხმობ?

— ზაფხულში საზაფხულო, ხოლო შემოდგომაზე საშემოდგომო და ა.შ. კოლექციის „პაკაზი“ მხოლოდ თბილისში ეწყობა. წესით, ხალხს ახლა ზამთრის კოლექციას უნდა ვუჩვენებდეთ, მაგრამ ჩვენთან მსგავსი კულტურა არ არსებობს.

— ჩვენებიდანვე თუ გაიყიდა რამე?

— კი, რამდენიმე კაბა უკვე გაიყიდა. სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი ეკა კახიანმა შეიძინა.

— ამჟერად, რა ფერებია მოდაში?

— მოდაში ჭრელი ფერებია. ზაფხულს ისედაც, ნათელი და მხიარული ფერები უხდება, მაგრამ ჩემს კოლექციაში, როგორც ყოველთვის, ახლაც შავ-თეთრი ფერები ჭარბობს.

— ეი. მოდის ტენდენციებს არ ითვალისწინებ?

— შეიძლება, ასეც ითქვას. ვფიქრობ, რომ ფერებს შორის, შავ-თეთრი ყველაზე კლასიკურია და ამიტომაც, ისინი ჩემს კოლექციაში ყოველთვის ჭარბად იქნება... სხვათა შორის, მოდური ტენდენციების მიხედვით, შარვლის სიგრძე საგრძნობლად, კოჭებამდე დამოკლდა, ხოლო სათავემ მაღლა აიწია. მიუხედავად ამისა, ქართველები დაბალწელიან სამოსს მაინც ვერ ელევიან. რაც შეეხება კაბის სიგრძეს, ის ან მაქსიმალურად გრძელი უნდა იყოს, ან ძალიან მოკლე. მოდაში აღარაა დეკოლტირებული მაისურები.

— აქსესუარები კვლავ აქტუალურია?

— ისეთი ჭრელი სამოსია მოდაში, რომ ის დამატებით, ბაფთებითა და მაქმანებით გაწყობას აღარ მოითხოვს. მსგავსი დეტალები სამოსს ძალიან გადატვირთავს. რაც შეეხება ჩანთის მოცულობას, ის შარშანდელთან შედარებით, დაპატარავდა.

— საცურაო კოსტიუმზე რას გვეტყვი?

— საქართველოში იშვიათად მინახავს კარგი საცურაო კოსტიუმი. წელს მოდურია შავი და ყავისფერი „კუპალნიკები“, მაგრამ ნამზეურს ყვითელი და თეთრი ფერი უფრო უხდება.



თავისუფლების ხაფანგი

ტოტალიტარული სექტების წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე ყოველთვის ევროპა, კერძოდ კი — საფრანგეთი, ესპანეთი, ბელგია და გერმანია იდგნენ. საფრანგეთსა და ბელგიაში ტერმინი „სექტა“ ოფიციალურად, საკანონმდებლო დონეზეა დამკვიდრებული.

გერმანიაში სექტებთან ბრძოლის სახელმწიფო კანონი ჯერ-ჯერობით არ არსებობს. საერთოდ კი ეს ქვეყანა ძირითადად, საიენტოლოგიურ ეკლესიას ებრძოდა და დღესაც წარმატებით ებრძვის. 1997 წლის საპოლიციო გამოძიების შემდეგ, გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ მოქალაქეები იმ საფრთხის შესახებ გააფრთხილა, რომელიც ამ ეკლესიას მოაქვს. ამის შედეგად, ბავარიის მიწამ საიენტოლოგიური ოგანიზაციების წევრობის ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობასთან შეუთავსებლობის შესახებ სპეციალური კანონიც მიიღო.

დასაწყისი იხ. „გზა“, №28

კანონის ტერიტორია: ევროპა

გერმანია გამოძიების კუთხითაც ლიდერობს. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსთან — ბუნდესტაგთან შექმნილია ე.წ. სექტებისა და ფსიქოჯგუფების საქმიანობის სპეციალური საგამოძიებო კომისია. მისი რეკომენდაციები კანონმდებელთათვის ძირითადად, დაფიქრების საბაბი უფროა, ვიდრე სამოქმედო მიზანდასახულობა. თუმცა ამ კომისიის მიერ ქვეყნის პარლამენტისთვის 1988 წელს მიწოდებული რეკომენდაციების ნაწილი, რომელთა შორისაც, კონსტიტუციის დაცვის სააგენტოს (საიდუმლო პოლიციის) მიერ საიენტოლოგიური ეკლესიის ფარული თვალთვალიც იყო, ნაწილობრივ შესრულდა კიდეც.

საკანონმდებლო ძალისხმევის თვალსაზრისით, ბოლო წლებში ყველაზე წინ მაინც საფრანგეთი გაიჭრა. ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ 1996 წელს მიიღეს კანონი იმ მოქალაქეების დასაცავად, რომლებიც ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლად იქცნენ. უშუალოდ მთავრობამ კი სექტების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მისია გახსნა.

2001 წლის 31 მაისს საფრანგეთის ეროვნული სათათბიროს დეპუტატებმა თითქმის ერთხმად მიიღეს კანონი, რომელმაც სასამართლოებს, სექტად აღიარებული ნებისმიერი იმ მოძრაობის დაშლის უფლება მისცა, რომლის წევრებიც თაღლითობაში, ნდობის ბოროტად გამოყენებაში, უკანონო სამედიცინო საქმიანობაში ანდა არაკეთილსინდისიერ რეკლამირებაში იქნებოდნენ მხილებულნი. საიენტოლოგიური ეკლესიის შევიწროებაზე საზოგადოებაში გაჩენილი პროტესტის (რომელიც ძირითადად, ამერიკიდან იმართებოდა) პასუხად, საფრანგეთის ხელისუფლებამ ოფიციალური ახსნა-განმარტებებიც გამოაქვეყნა. მასში კერძოდ, ნათქვამი იყო: „საიენტოლოგიური ორგანიზაციის სტრუქტურისა და ფინანსური დარღვევების გამოძიებამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ის, ასტრონომიული შემოსავლების მქონე კომერციული ორგანიზაციაა. ასეთ შემთხვევაში კი ჯარიმები სავსებით კანონიერი და სამართლიანია“. ახსნა-განმარტებებში ისიც ხაზგასმული იყო, რომ სექტების საქმიანობის თაობაზე ეროვნული სათათბიროს ანგარიში „ქვეყნის საუკეთესო იურისტების, მეცნიერების, სპეციალური საპოლიციო ექსპერტების ასოციაციების მიერ მომზადდა“.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებულ ანგარიშში ტოტალიტარულ სექტად ან ამ ნიშნების მქონედ მოხსენიებული 180 ორგანიზაცია თუ ჯგუფი ირწმუნებოდა, რელიგიური ორგანიზაციები ვართო, მათი საქმიანობის ყურადღებით განხილვამ მათი ტოტალიტარული ბუნება და საკუთარი მიმდევრების მიმართ გამოყენებული, იძულების მეთოდების არსებობა დაამტკიცა. ამ ორგანიზაციათა უმრავლესობის საქმიანობა ამა თუ იმ დროს, სასამართლო წესით უკვე იყო განხილულ-დასჯილი. საფრანგეთის ხელისუფალნი ზოგიერთი მცდარი აზრის გაფანტვასაც შეეცადნენ — კერძოდ, საზოგადოებას შეახსენეს, რომ ქვეყანაში დღემდე მოქმედი, 1905 წლის კანონი სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ, სახელმწიფოს საერთოდ არ აძლევს ორგანიზაციის რელიგიური ან არარელიგიური ხასიათის აღიარების უფლებას. ამდენად, საფრანგეთის ხელისუფლების იმაში დადანაშაულება, რომ ის უარს ამბობს ზოგიერთი „რელიგიური უმცირესობის“ რელიგიური სტატუსის აღიარებაზე, უბრალოდ, აბსურდია.

სექტანტობის აკვანში

ევროპის ანტისექტანტურ დოქტრინას მთავარი დარტყმა სწორედ იმ ქვეყანამ მიაყენა, რომლის ხელმძღვანელებიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე სექტებს თავადვე და თანაც, საკმაოდ აქტიურად ებრძოდნენ (ცხადია, ლაპარაკია ამერიკის შეერთებულ შტატებზე, სადაც ტოტალიტარული სექტების 90% თუ არ გაჩნდა, სათავო ოფისი მაინც აქვს). 1993 წელი ამ საკითხში სერიოზული შემობრუნების წელი აღმოჩნდა. ერთ-ერთი წამყვანი საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ცნობით, სწორედ მაშინ, ამერიკის საგადასახადო სამსახურმა და საიენტოლოგებმა საიდუმლო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ამ ხელშეკრულებამ, რომლის სრული ტექსტი დღემდე საიდუმლოდ რჩება, საიენტოლოგებს აღიარებული რელიგიის ყველა უფლება და გადასახადებისგან ყოვლისმომცველი გათავისუფლება მოუტანა. და ეს მაშინ, როცა სულ სხვადასხვა ინსტანციის ამერიკულ სასამართლოს საიენტოლოგების საწინააღმდეგო უამრავი განაჩენი ჰქონდა გამოტანილი.

რუსეთის რელიგიური კვლევების ცენტრის პროფესორ დვორნიკის აზრით, „ხელშეკრულება, თავისთავად, უკვე იმის დასტურია, რომ საიენტოლოგიამ აშშ-ში სახელმწიფო რელიგიის სტატუსი მიიღო და დღეს უკვე არნახული პრივილეგიებითაც სარგებლობს. არადა, ეს ქვეყნის კონსტიტუციის პირველი შესწორების უხეში დარღვევაა“. ბატონ დვორნიკს ამ ფაქტის რამდენიმე აშკარა დასტურიც მოჰყავს. ჯერ ერთი, საიენტოლოგია ერთადერთი რელიგიაა აშშ-ში, რომელიც გადასახადებისგან გათავისუფლების უფლებით არა მარტო საკუთარ რელიგიურ საქმიანობაში, არამედ რელიგიის სწავლებასა და თვით „სულიერ კონსულტაციებში“ აღებული გასამრჯელოს საკითხშიც კი სარგებლობს. 2000 წელს საიენტოლოგთა მაგალითით წახალისებულმა, იუდაიზმის აღმსარებლებმა თავიანთი რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობისთვისაც მოითხოვეს გადასახადებისგან გათავისუფლება, მაგრამ სასამართლოში საქმე წააგეს. მეორე: ყოველწლიურად, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ რელიგიური თავისუფლების შესახებ გაკეთებულ

საიენტოლოგთა ეკლესია

ანგარიშში საიენტოლოგია სულ უფრო და უფრო თვალში საცემ ადგილს იკავებს. მესამე: საიენტოლოგიური „სულიერი“ სკალის უმაღლესი მაჩვენებლები — „ძალაუფლება“ და „სიმდიდრე“ — სრულად ემთხვევა ამერიკული მატერიალისტური კულტურის უმაღლეს მიზნებს. ზოგიერთი საიენტოლოგი, საკუთარი ინტერესების ლობირებასა და ნაციონალური პოლიტიკის საკვანძო ფიგურების პირდაპირ თუ ირიბ მოსყიდვაზე, ამერიკულ სახელისუფლო დერეფნებში ყოველწლიურად მილიონობით დოლარს ხარჯავს.

ამის შემდეგ, ალბათ, გასაკვირი აღარ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ 1997 წლის 27 იანვარს ვაშინგტონმა ოფიციალურად დაგმო ზომები, რომელსაც გერმანია საიენტოლოგების წინააღმდეგ ატარებს, ამ აქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი, სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებულმა, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის დაცვის ბიურომ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც ასახული იყო ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით 1996 წელს შექმნილი მდგომარეობა. ამ ანგარიშში გერმანია უხეში თავდასხმების ობიექტად გვევლინება და ჩინეთთან ერთად, იმ ქვეყნების რიგშია მოხსენიებული, რომლებიც „მოქალაქეების რელიგიურ თავისუფლებას ხელყოფენ“...

დოსიე: ლაფაიეტ რონალდ ჰაბარდი (1911-1986)

საიენტოლოგები მას უბრალოდ რონს ეძახიან, პირადი მიმოწერისას კი „საყვარელი“ აბრევიატურით — LRH — მოიხსენიებენ. თადარიგის ოფიცერმა ჰაბარდმა (ის სამხედრო გემის ხელმძღვანელობამ ზღვაში პირველი გასვლისთანავე ჩადენილი დანაშაულისთვის გადააყენა) მალევე დაასკვნა, რომ „ადამიანების გაკონტროლების ერთადერთი საშუალება მათი მოტყუებაა“. მას ამ პოსტულატის ყოველთვის შიზოფრენიული ფანატიზმით სჯეროდა. 1949 წელს, ნიუ-ჯერსიში გამართულ მწერალი-ფანტასტების ყრილობაზე ჰაბარდმა განაცხადა: „იმისთვის წერა, რომ სიტყვაში „გროში“ აიღო, სასაცილოა. ხოლო თუ ადამიანს მართლა მილიონების შოვნა უნდა, ამისთვის საკუთარი რელიგია უნდა შეიმუშაოს“. ოკულტიზმის ყველაზე საზიზღარ ფორმებში ჩათრეული, საიენტოლოგიის „მამა“ სიცოცხლის ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნამდვილი ანტიქრისტეა. დამტკიცებულია, რომ საიენტოლოგებისთვის ბუდაზე, მუჰამედსა და ქრისტეზე შეუდარებლად მაღლა მდგარი რონ ჰაბარდი სინამდვილეში, პათოლოგიური ცრუპენტელა იყო. მან არა მარტო საკუთარი „რომანული“ ბიოგრაფია კი არ შეთხზა, არამედ

გამუდმებით წერილებით ავსებდა და საიდუმლო თანამშრომლობას სთავაზობდა ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურსაც. ამ უწყებას ჰაბარდი ჯიუტად არწმუნებდა, — „ტვინების გამორეცხვის“ საუკეთესო საშუალება გამოვიგონეო.

ცნობისთვის: რონ ჰაბარდის საიენტოლოგიური ეკლესია

საიენტოლოგიურ ეკლესიას ისეთი ვითომდა დამოუკიდებელი ორგანიზაციები ეკუთვნის, როგორებიცაა „ლ. რონ ჰაბარდის ფონდი“, „ნარკონონი“, „კრიმინონი“, „საიენტოლოგიური საწარმოების მსოფლიო ინსტიტუტი“, „უკეთესი ცხოვრებისა და განათლებისთვის მებრძოლი ასოციაცია“, „მართვის ტექნოლოგიების ჰაბარდ-კოლეჯი“, „დეტოქსიკაციის საერთაშორისო ცენტრი“. საიენტოლოგიის სიმბოლო — გადახაზული ჯვარი — XX საუკუნის ყველაზე ცნობილმა სატანისტმა — ალისტერ კროულიმ შეიმუშავა. საიენტოლოგიის ანკესზე წამოგებული ადამიანი მთლიანად მასზე დამოკიდებული ხდება. დადასტურებულია, რომ საიენტოლოგიური ეკლესიის წევრობა ხშირად ადამიანში დიდ ცვლილებებს, ოჯახის დანგრევასა და მეგობრული კავშირების გაწყვეტას, აგრეთვე, უმძიმეს ფსიქიკურ მოშლილობას იწვევს.

რელიგიური ექსტრემიზმის პოლიგონი

უდავოა, რომ ნებისმიერი სექტისთვის ერთ-ერთ „უგემრიელეს ლუკმას“ რუსეთი წარმოადგენს. მის თვალუწვდენელ სივრცეებში ნებისმიერი ფსევდორელიგიური სწავლებაც კი ზედმეტი გარჯის გარეშე, იოლად იდგამს ფესვს. ძნელი სათქმელია, რისი ბრალი უფროა ეს: სასწაულების არსებობის რწმენის, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სამართლებრივი გაუნათლებლობის თუ იმ კანონების, რომლებიც სექტანტურ თეორიებს დაუსჯელად არსებობის უფლებას აძლევს. 2002 წლის დეკემბერში, ეკატერინბურგში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის — „ტოტალიტარული სექტები — რელიგიური ექსტრემიზმის საფრთხე“ — შემაჯამებელი დეკლარაციის თანახმად, რუსეთში 250-ზე მეტი ტოტალიტარული სექტა და ჯგუფია, რომელთაგან ბევრი — მაგალითად, „სატანის რუსული ეკლესია“ — თავის ანტისახელმწიფოებრივ და ანტიადამიანურ პოზიციას არც კი მალავს.

საერთოდ კი რუსეთში, უფრო მეტად, კომერციულ მაქინაციებსა და თაღლითობაში მხილებულმა სექტებმა მოიკიდეს ფეხი. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ დანაშაულების დამადასტურებელი ფაქტების მოძიება რუსმა სამართალდამცველებმა ვერაფრით მოახერხეს. კერძოდ, „იეღოვას მოწმეების“ რანგის სექტებთან დაკავშირებული ხმაურიანი პროცესებიდან მხოლოდ ერთი თუ დამთავრდა მათთვის არასასურველი გადაწყვეტილებით. ლაპარაკია რამდენიმე წლის წინანდელ

MK

ფაქტზე, როდესაც პეტერბურგის სასამართლომ „იეღოვას მოწმეების“ მიერ ერთ-ერთი საქალაქო გაზეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი არ მიიღო: ამ ორგანიზაციის ადეპტები „იეღოვას მოწმეების“ მისამართით სიტყვა „სექტის“ გამოყენების არამართლზომიერების დამტკიცებას შეეცადნენ.

მიუხედავად ამისა, სულ მალე, მოსკოვში გამართულ სასამართლოზე სექტანტები ნამდვილ ტრიუმფატორებად მოგვევლინნენ — არა მარტო მათი მისამართით გამოთქმული ბრალდების უსაფუძვლობის დამტკიცება, არამედ სასამართლოსთვის საკუთარი „თამაშის წესის“ თავს მოხვევაც შეძლეს. საწყის სტადიაზე პროცესი თეოლოგიურ კამათს მოგაგონებდათ, რომელზეც „აუმ სირიკეს“ ადვოკატები ბრალმდებლებზე ბევრად უფრო ძლიერნი ჩანდნენ. სხვათა შორის, „იეღოვას მოწმეების“ მხრიდან მოწვეულ ადვოკატთა შორის იყო ძალზე ცნობილი კანადელი ვექილი, რომელიც თვით იქ ყოფნის ფაქტით, სექტანტებისთვის სასურველი განაჩენის გამოტანისკენ უბიძგებდა სასამართლოს. მათ კი, ვინც „იეღოვას მოწმეების“ დანაშაულის დამტკიცებას მაინც ცდილობდნენ, მთავარი დარტყმა პოლიტიკურ დონეზე მიაყენეს: 1999 წელს, რუსეთის ტელევიზიით გამოსვლისას, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა დაინტერესებულია, ეს პროცესი „იეღოვას მოწმეებმა“ მოიგონ. საოცარია, რომ რუსეთის პოლიტიკური „მამები“ შეეცადნენ, სუვერენული სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ესოდენ უხეში ჩარევა „ვერ შეემჩნიათ“...

ამრიგად, დღევანდელ რუსეთში ახალ რელიგიურ ორგანიზაციებზე ზემოქმედების ბერკეტები პრაქტიკულად, არ არსებობს. ზოგი ამაში დემოკრატიის პრინციპების გამოხატულებას ხედავს. მაგრამ იმას, რომ ეს სიტუაცია თავისი არსით, „უსაზღვრო თავისუფლების ხაფანგია“, ცოტა ვინმე თუ უფიქრდება. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ზედაპირული მსჯელობა უფრო მომგებიანია. ოღონდ, საკითხავია, ვისთვის?

დოსიე: შრი შრიმად ა.ჩ. ბხაქტივედანტა სვამი პრაბხუპადა

პრაბხუპადა ამერიკაში ჩასული ინდუსია, რომელმაც „ოპტიმიზება“ გაუკეთა, ხოლო უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ — დასავლელ მკითხველს დამახინჯებულად მიაწოდა ინდური ეპოსი. როგორც იმიგრანტი, ის ამერიკას 1965 წელს, 70 წლის ასაკში მოევლინა. თავიდან, ნიუ-იორკის ტომპკინს-პარკში მანტრებს ღიღინებდა. 1996 წელს კი საკუთარი ცენტრი გახსნა და რელიგიური ჟურნალის — Ask to idhead (აღნიშნულ ჟურნალს ის 1952-1956 წლებში ინდოეთში გამოსცემდა) გამოცემა განაახლა. ასე დაიბადა აშშ-ში კრიშნას შემეცნების საერთაშორისო საზოგადოება. 1977 წელს პრაბხუპადა გარდაიცვალა, რამაც ამ საზოგადოებაში სერიოზული შიდა კრიზისი გამოიწვია.

ცნობისთვის: კრიშნას შემეცნების საერთაშორისო ორგანიზაცია

„კრიშნას შემეცნების საერთაშორისო საზოგადოების სწავლება“ 1966 წელს, აშშ-ში ჩაისახა. ტრადიციული რელიგიების (მათ შორის აღმოსავლურისაც) უმეტესობათა სწავლებებისგან ის, პირველ რიგში, მრავალი ასოციალური ნიშნის არსებობით გამოირჩევა. ქრისტიანების ნდობის მოპოვებას კრიშნას მიმდევრები სლავური და სანსკრიტული ენების ნათესაობის ხაზგასმითა და სიტყვების — „ქრისტე“ და „კრიშნა“ გაიგივებით ცდილობენ.

დოსიე: სან მენ მუნი

მუნის პიროვნება, უდავოდ, ცენტრალურია „გაერთიანების ეკლესიის“ სარწმუნოებრივ მოძღვრებაში, რომლის საფუძველსაც დამაარსებლის ზეშთაგონებები წარმოადგენს. სექტის წევრებისთვის მუნი მესიაა და ამით ყოველი მუნიტისა და მთლიანად ასოციაციის საქმიანობა განისაზღვრება. სექტის „წმინდა“ დამაარსებლის ბიოგრაფია კრიმინალური სკანდალებითაა დატვირთული. 1955 წლის 4 ივლისს სან მენ მუნი განსასჯელის სკამზე პოლიგამიისა და სექსუალური გარყვნილებისთვის მოხვდა. მის წინააღმდეგ სულ მცირე, თხუთმეტმა ქალმა მისცა ჩვენება. 1984 წლის ივლისში, გადასახადებისთვის თავის არიდებისთვის, სან მენ მუნს აშშ-ში რამდენიმეთვიანი პატიმრობა და 25 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა მიუსაჯეს. 1992 წელს მუნმა თავი ახალი კაცობრიობის „ჭეშმარიტ მამად“ გამოაცხადა. 1993 წლიდან კი „ახალი აღთქმის“ შემცვლელი „აღთქმის დასრულების ერაც“ გამოაცხადა. მუნი თავის მიმდევრებს შთააგონებდა, რომ „ყველა წმინდანმა, იესოს ჩათვლით, თქვენ უნდა გცეს პატივი, რამეთუ თვით იესომაც კი ვერ შეძლო იმ საქმის გაკეთება, რომელსაც თქვენ ახლა აკეთებთ“.

ცნობისთვის: „მუნის გაერთიანების ეკლესია“

მუნის „ღვთაებრივი პრინციპი“ ქრისტიანობისა და სხვა რელიგიური მოძღვრებებიდან გადმოღებული, აღმოსავლური საკულტო იდეების უხეშ ნაზავს წარმოადგენს. ოჯახს მუნი უწმინდური ძალის შექმნილად მიიჩნევს, რადგან ევამ გველის სახემიღებულ სატანასთან პირდაპირი გაგებით, შესცოდა და ამით კაცთა მოდგმა ხანგრძლივი ტანჯვისთვის გაიმეტა. ქრისტე („მეორე ადამი“), ისევე, როგორც ჩვენი შორეული წინაპრები ადამი და ევა, უცოდველი დაიბადა, მაგრამ თავისი მისიის შესრულება — იდეალურ მიწიერ ქალზე დაქორწინება და ამქვეყნად ცოდვისგან განწმენდილი, „სრულყოფილი“ შვილების გაჩენა ვერ მოასწრო. რადგან მუნიც ასეთივე უცოდველია, ის და მისი ცოლი (ამასთან, არ გაუმხელია, რომ ეს მისი მეოთხე ცოლია) ჭეშმარიტ ოჯახს წარმოადგენენ. ადამიანს მხოლოდ ამ ოჯახში შესვლით შეუძლია გადარჩენა, რადგან მისი ნამდვილი მშობლები და ნათესავები „სატანური“, ცოდვილი სამყაროს წარმომადგენლები არიან. მართალია, მუნი „სრულყოფილი“ შთამომავლობის შექმნაში უშუალოდ არ მონაწილეობს,

მაგრამ ახალგაზრდების სექსუალურ შეთავსებას და მასობრივ ქორწინებებსაც აწყობს. ამ სექტის რიგითი წევრების არსებობა ძალზე უბადრუკია: ისინი ყაზარმულ პირობებში ცხოვრობენ და მთელი დღე მკაცრად რეგლამენტირებული აქვთ; მათ მოვალეობებში ყოველდღიური, მრავალსაათიანი ლოცვები, დაბალკალორიული კვება, ნაკლები ძილი, გუნდური გალობა, რელიგიური ტექსტების მრავალჯერადი კითხვა, სექტის დანარჩენი წევრების გულმოდგინე თვალთვალი, გარეგნობასა და საქციელში სამხედრო წესრიგის დაცვა, „ფანდრეიზინგი“ — შემოწირულობების ქუჩებში აუცილებელი შეგროვება შედის.

უცხოური პრესის მასალების მიხედვით
მოამზადა ***რუსუდან ლებანიძემ***

მინიატიურული მუსიკალური ინსტრუმენტები და ქართულად აღპარაკებული ზანგი

„მეამაყება, რომ ბევრი ჩემი თანატოლის მსგავსად, დროს ფუჭად არ ვკარგავ და საქმეს ვაკეთებ“, — მითხრა ზურა შენგელიამ, რომელიც მისსავე ხელით დამზადებულ მინიატიურულ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, რომლებიც თითებზე ჰქონდა ჩამოკიდებული, „შარდენზე“ გამვლელ-გამომვლელებს სთავაზობდა. გადავწყვიტე, მასთან ინტერვიუ ჩამეწერა, რაზეც სიამოვნებით დამთანხმდა. ინტერვიუ საათზე მეტხანს გაგრძელდა იმ ცნობისმოყვარე გამვლელების წყალობით, რომლებიც ნაკეთობებით ინტერესდებოდნენ, ლაპარაკს გვაწყვეტინებდნენ და ამ მართლაც, ხელმარჯვე ოსტატს უამრავ კითხვას უსვამდნენ.

„22 წლის ბიჭი ოჯახს საკუთარი შრომით ვარჩენ და ამაში სამარცხვინო არაფერია“

თორნიკე ყაჯრიშვილი

— ზურა, რამდენი წელია, რაც ამ საქმით ხარ დაკავებული?

— დედაჩემი და ჩემი და თვითნასწავლი მხატვრები არიან. სახლში ყველა რაღაცით იყო დაკავებული და მეც მინდოდა, რამე მეკეთებინა. 7-8 წლის ვიქნებოდი, როცა მუყაოსგან პირველი სახლი გავაკეთე, შემდეგ — მეორე და ერთ წელიწადში იმდენი მინიატიურული სახლი დამიგროვდა, რომ გადავწყვიტე, მათგან ერთი დიდი ქალაქი „ამეშენებინა“. წებოს ნაცვლად პურის ფქვილისგან დამზადებულ „კრახმალს„ ვიყენებდი და ამიტომაც, სამწუხაროდ, მან დიდხანს ვერ გაძლო — ჩემი „ქალაქი“ დაიშალა... მუსიკისადმი ინტერესი ბავშვობაშივე გამოვამჟღავნე. დედაჩემის ძმა მუსიკოსია და მას კონცერტებზე ყოველთვის დავყავდი. სკოლის დამთავრების შემდეგ მუსიკალურ სასწავლებელში ჩავაბარე, სადაც 4 წელი ვსწავლობდი, მაგრამ მერე, ოჯახში მატერიალური პრობლემები შეგვექმნა და იძულებული გავხდი, სწავლა მიმეტოვებინა. სხვათა შორის, ხუთი დედმამიშვილი ვართ — ოთხი და მყავს. ახლა ორ ინსტუმენტზე ვუკრავ: ჰობოიზე და ბასგიტარაზე.

— მინიატიურული მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნის იდეა როგორ გაგიჩნდა?

— ამისკენ მუყაოს „ნაქალაქარისგან“ დარჩენილმა, გიტარის ფორმის ქაღალდმა მიბიძგა. ამ მუყაოს ნაგლეჯის დანახვისთანავე გავიფიქრე, — გიტარა ხომ არ გავაკეთო-მეთქი? მოგვიანებით კი გამიჩნდა იდეა, ცნობილი მუსიკოსების ინსტრუმენტების ზუსტი, მაგრამ მინიატიურული ასლები დამემზადებინა, მაგალითად, ერიკ კლეპტონის, ჯიმი პეიჯის და ა.შ. სხვათა შორის, ისეთი მინიატიურული გიტარებიც მაქვს გაკეთებული, რომლებიც უკრავს.

— გიტარების ახალ მოდელებსაც ხომ არ ქმნი?

— კი, საკმაოდ ბევრი გიტარის მოდელი გამოვიგონე. დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებდი რომელიმე ფირმასთან და მუსიკალური ინსტრუმენტების მაკეტებზე ვიმუშავებდი.

— ამ ინსტრუმენტებს რა მასალისგან ამზადებ?

— ძალიან ბევრ რამეს ვიყენებ. მაგალითად, გიტარის კორპუსს პლასტმასისგან ვაკეთებ, შემდეგ კი იმ საღებავებით ვამუშავებ, რომლებიც თავად გამოვიგონე (მათ სხვადასხვა ქიმიური შენაერთებისგან ვამზადებ). სიმებად ნეილონის ძაფს ვიყენებ, სიმების დამჭერებად კი — კალას. სხვათა შორის, მუსიკალური ინსტრუმენტების ფირმა „იამაჰის“ კატალოგებიდან სამი ინსტრუმენტი გავაკეთე, რომელიც თბილისის „იამაჰის“ ფილიალმა იაპონიაში გაგზავნა. სამწუხაროდ, იქ მხოლოდ საღებავებით დაინტერესდნენ.

— რამდენ ხანს უნდები ერთი ინსტრუმენტის გაკეთებას?

— ერთი ინსტრუმენტის დასამზადებლად ორი საათი მჭირდება, დღეში სამ გიტარას მაინც ვაკეთებ. გარდა ამისა, თუ კერძო შეკვეთა მაქვს, სამშენებლო კომპანიებისთვის სახლის მაკეტებს, ასევე, მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ტანკებს, სხვადასხვა კომპანიისთვის ლოგოებს, კაფე-ბარებისთვის გარე რეკლამებს და ა.შ. ვამზადებ.

— გიტარის გარდა, კიდევ რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტებს ამზადებ?

— საქსოფონს, დასარტყამ ინსტრუმენტებს, როიალს, პიანინოს, სინთეზატორს, ვიოლინოს, საყვირს, ფლეიტას, ჰობოის და ა.შ.

— ქართულ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე თუ გიმუშავია?

— კი. გამიკეთებია ფანდური, ჩონგური, სალამური, დუდუკი და სხვა. სხვათა შორის, ქართული ინსტრუმენტები ისეთი რთული გასაკეთებელია, რომ არა მგონია, ამ საქმეს ოდესმე მივუბრუნდე.



— გარე რეკლამებს რა მასალისგან ამზადებ?

— ყველაფერს ვიყენებ, რაც იმწუთას მექნება — პლასტმასს, მუყაოს, ხის ნაჭერს, ხან კი უბრალო თოკს. დამკვეთების თქმით, ისინი ყოველთვის ეფექტური გამოდის. ზოგჯერ, მათი კეთების დროს მომდის იდეა, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს. ერთი პერიოდი სამაკეტო კომპანიაშიც ვიმუშავე, სადაც ოთხ ადამიანთან ერთად, სახლის მაკეტი დავამზადე. ამ საქმეს ალღო მალე ავუღე, მაგრამ ვინაიდან ხელფასი ძალიან მცირე იყო, საქმე კი საკმაოდ შრომატევადი, იქიდან მალევე წამოვედი.

— არ გიცდია, ნამუშევრები მაღაზიაში ჩაგებარებინა? ნუთუ, ქუჩაში დგომას ეს არ სჯობს?

— რამდენიმე მაღაზიაში მივედი, მაგრამ მითხრეს, — სანამ არ გაიყიდება, ფულს ვერ მოგცემთო. ასე არ მაწყობს, რადგან შეიძლება, ერთი ან რამდენიმე თვე ისე გავიდეს, არაფერი გაიყიდოს. მირჩევნია, ქუჩაში, ისეთ ადგილას დავდგე, სადაც უცხოელები და ქართული საზოგადოების ის ფენა დადის, რომლებსაც ფული აქვთ. აქ ჩემი ნახელავის გაყიდვის მეტი შანსია. ძირითადად, მაინც შარდენის, პეროვსკაიას და კლუბ „გვირაბის“ მიმდებარე ტერიტორიებზე გავდივარ, საღამოს საათებში. ყოფილა შემთხვევა, როცა დღეში სამასი ლარის ნამუშევრები გამიყიდია, ზოგჯერ კი საერთოდ ვერაფერს ვყიდი...

— შენს მინიატიურულ მუსიკალურ ინსტრუმენტებს რამდენად ყიდი და ძირითადად, ვინ არიან შენი კლიენტები?

— იქიდან გამომდინარე, რომ ამ ინსტრუმენტების თითოეული დეტალის დამუშავება ძალიან დიდ შრომას მოითხოვს, მათ რა თქმა უნდა, იაფად არ ვყიდი, მაგრამ როცა სხვა გამოსავალი არ მაქვს, ზოგჯერ ფასს საგრძნობლად ვუკლებ. საშუალოდ, ერთ გიტარას ორმოც-ორმოცდაათ ლარად ვაფასებ. ჩემს ნამუშევრებს ქართველები უფრო ხშირად ყიდულობენ, მაგრამ სულ იმას მეწუწუნებიან, — დამიკელიო. მოკლედ, მევაჭრებიან (*იცინის*). უცხოელი კი, როგორც წესი, რამდენიმეს ყიდულობს და კარგ თანხასაც იხდის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ინსტრუმენტები ძალიან ბევრს მოსწონს. გამვლელები ხშირად ჩერდებიან და მეკითხებიან, — რა მასალისგან და როგორ ვამზადებ, მაგრამ უმეტესობას ფული არ აქვს, რომ რაღაც იყიდოს. ზოგჯერ, ისეც ხდება, რომ როცა ვიღაცას ჩემს მინიატიურულ ინსტრუმენტებს ვთავაზობ, განსაკუთრებით, „ნაღები“ საზოგადოების წარმომადგენლებს, მეუბნებიან, — „რა დროს გიტაარაა? ნუთუ, ვერ ხედავ, ქვეყანა რომ ინგრევა?“ ან კიდევ: „გიტარისტს ვგავარ?..“ როცა ასეთი პასუხები მესმის, გული მწყდება. ჩემი აზრით, იმაში, რომ 22 წლის ბიჭი ოჯახს საკუთარი შრომით ვარჩენ, სამარცხვინო არაფერია. პირიქით, მეამაყება, ბევრი ჩემი თანატოლის მსგავსად, დროს ფუჭად რომ არ ვკარგავ და საქმეს ვაკეთებ... ჰო, სულ დამავიწყდა, ე.წ. „ტუსოვკებზე“ და ღამის კლუბებში ერთჯერად, მანათობელ სვირინგებს ვაკეთებ, რომელიც მხოლოდ ერთი ღამე ძლებს.

— შენი ნამუშევრების გაყიდვისას რაიმე პრობლემები ხომ არ გექმნება?

— როგორ არა! ვცდილობ, ინსტრუმენტები დაცვის პოლიციის თანამშრომლების გამოჩენისთანავე დავმალო, რადგან ერთხელ წამართვეს და დამიმტვრიეს — ეს გარე ვაჭრობაა... ერთხელ, ერთ-ერთ რესტორანთან ვიდექი და გამვლელ ზანგს ინგლისურად, ჩემი ნამუშევრები შევთავაზე. მან გამართული ქართულით მითხრა: ვა, რა მაგარიაო და ინსტრუმენტებს თვალიერება დაუწყო. თავიდან ვიფიქრე, — ალბათ, ეს სიტყვები დაზეპირებული აქვს-მეთქი, მაგრამ შემდეგ, როცა მითხრა: აი, ასე, კაცურად უნდა იცხოვრო; აბა, ისაა კარგი, რომ სხვას წაართვა და ისე იარსებოო? — გავოგნდი, ქართულად ისე კარგად ლაპარაკობდა. შემდეგ მკითხა, — რა გქვიაო? — ზურა-მეთქი, — ვუპასუხე. — მე ინგლისურად მაიკლი, რუსულად — მიშკა, ხოლო ქართულად — მიშიკო; სად არ მიცხოვრია: ეგვიპტეში, საფრანგეთში და ა.შ. მაგრამ ყველგან ერთი დიდი სოფელია, ადამიანი გაგებით ქართველი და კაცური უნდა იყო; ჩემი სიტყვები დაიმახსოვრე და ნახავ, ცხოვრებაში რამდენ რამეს მიაღწევო. მაშინ გასაყიდად ოთხი გიტარა და ერთი ვიოლინო მქონდა. მიშიკომ ყველა ინსტრუმენტი იყიდა, საკმარისზე მეტიც გადამიხადა და გამომემშვიდობა. აი, ასეთი კარგი ადამიანებიც არსებობენ!.. ■

დღესასწაული ავტომანქანების დაწვით აღნიშნეს

ეროვნული დღესასწაულის — ბასტილიის აღების თარიღის წინადღეს საფრანგეთში 297 მანქანას წაუკიდეს ცეცხლი. პოლიციამ 121 ეჭვმიტანილი დააკავა. ყველაზე მეტი დანაშაული ილ-დე-ფრანსის რეგიონში დაფიქსირდა, იქ 52 კაცი აიყვანეს. ხანძრის შედეგად, მანქანების გარდა, ქალაქ გონესში გიმნაზიის შენობა დაიწვა. როგორც ფრანგული პრესა იუწყება, ასეთივე მასობრივი დანაშაული 14 ივლისს ღამით, შარშანაც მოხდა. 2007 წელს 266 ავტომობილი დაიწვა და მაშინაც, ილ-დე-ფრანსი გამოირჩეოდა — იქ 195 ხანძარი დაფიქსირდა. ■

ღვთისმშობლის „პანტანასას“ ხატს სიმსივნით დაავადებულები შესთხოვენ შემწეობას

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატებს შორის ერთ-ერთია „ყოველთა დედოფალი“ — ანუ „პანტანასა“, რომელიც ათონის წმინდა მთაზე მდებარე, ვატოპედის მონასტერში, კათოლიკონის ჩრდილო აღმოსავლეთის სვეტთანაა დაბრძანებული. ღვთისმშობლის „პანტანასად“ წოდებული ხატის რამდენიმე კანონიკური ასლი არსებობს. 2004 წლის 3 სექტემბერს სასწაულთმოქმედი ხატის ასლი საქართველოშიც ჩამოაბრძანეს. სიწმინდემ, დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ავჭალის ტაძარში დაივანა. საქართველოში დაბრძანებული ასლიც სასწაულთმოქმედებით გამოირჩევა, მისი მადლითა და შეწევნით, დღემდე არაერთი სასწაულებრივი კურნება აღესრულა...

შორენა მერკვილაძე

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი — „ყოველთა დედოფალი“ ანუ „პანტანასა“ — XVII საუკუნეში შეიქმნა. მას განსაკუთრებით, სიმსივნისგან განკურნების ძალა შესწევს, ამიტომ უმეტესად, ამ სენით დაავადებულები შესთხოვენ შემწეობასა და სნეულებისგან განკურნებას. წმინდა დიდმოწამე ქეთევანის ტაძარში დაბრძანებული, „ყოველთა დედოფლის“ ხატის ასლის წინაშე, ტაძრის წინამძღვარი, მამა გიორგი რაზმაძე ყოველი კვირის ოთხშაბათსა და პარასკევს აღავლენს პარაკლისს. მსახურების დასრულების შემდეგ ხდება ზეთის ცხება ღვთისმშობლის „პანტანასას“ ხატის კანდელიდან.

როგორ შეიქმნა საქართველოსთვის „პანტანასას“ ხატის ასლი?

რამდენიმე წლის წინ, პეტრეპავლობის მარხვის დროს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მეუფე იობი და რამდენიმე სასულიერო პირი, ათონის წმინდა მთის მოსალოცად გაემგზავრნენ. მათ შორის, წმიდა დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მამა გიორგი რაზმაძეც იმყოფებოდა. მომლოცველებმა, ათონის წმინდა მთის სხვა სიწმინდეებთან ერთად, ვატოპედის მონასტერში დაბრძანებული, „პანტანასას“ ხატიც მოილოცეს. უფლის შეწევნით, 2004 წლის მაისში მამა გიორგი კვლავ გაემგზავრა ათონის წმინდა მთაზე. როგორც ის იხსენებს, გამგზავრებამდე გაუჩნდა აზრი, რომ თუ მოხერხდებოდა, „ყოველთა დედოფლის“ სასწაულთმოქმედი ხატის ასლი საქართველოსთვისაც დაწერილიყო. ამის შესახებ მეუფე იობსაც ესაუბრა. მან ლოცვაკურთხევა მისცა. თან, ვატოპედის მონასტრის იღუმენთან, ეფრემთან წერილიც გაატანა, სადაც მონასტრის საძმოს, საქართველოსთვის „პანტანასას“ ხატის ასლის დაწერას სთხოვდა. თხოვნას, წმინდა დიდმოწამე ქეთევანის ტაძრის მრევლის წევრები, ონკოლოგიური ცენტრის ექიმები და ავადმყოფები (ათასზე მეტი ადამიანი) აწერდნენ ხელს. მამა ეფრემმა გულთან ახლოს მიიტანა ქართველთა თხოვნა, წერილი წმინდა მთაზე საგანგებოდ შემდგარ, კინოტის კრებაზე განიხილეს. გადაწყდა, რომ საქართველოსთვის დაწერილიყო „პანტანასას“ ხატის კანონიერი ასლი, რომელიც დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ავჭალის ტაძარში დაივანებდა.

მომლოცველებმა, ათონის წმინდა მთის სხვა სიწმინდეებთან ერთად, ვატოპედის მონასტერში დაბრძანებული, „პანტანასას“ ხატიც მოილოცეს

როგორ იქმნებოდა ხატის ასლი

ღვთისმშობლის „პანტანასად“ წოდებული ხატის ასლი 3 წლის მანძილზე იწერებოდა, მისთვის საგანგებოდ აღვლენილი ლოცვების თანხლებით. ბოლო თვის განმავლობაში, მასზე დასვენებული იყო ხატის ორიგინალი და ყოველდღიურად ტარდებოდა საღმრთო ლიტურგია. საქართველოში სიწმინდის გადმობრძანებისას, ვატოპედის მონასტრის იღუმენმა, არქიმანდრიტმა ეფრემმა ბრძანა: „სასწაულთმოქმედი ხატის ასლი ლოცვის თანხლებით შეიქმნა და მას დიდი ძალა აქვს, ჯერ თქვენ არ იცით, რაოდენი დიდი სიწმინდე მობრძანდება საქართველოში, არა მხოლოდ სნეულთა მკურნალი იქნება იგი, არამედ მთელი ერი მისგან განსაკუთრებულ მადლს მიიღებს“...

ჩვენ ირგვლივ ალბათ მართლაც, მრავალმა ადამიანმა დღემდე არ იცის ამ უდიდესი სიწმინდის შესახებ. ისინი კი, ვინც „პანტანასას“ ხატის სასწაულთმოქმედების ძალა და შეწევნა საკუთარ თავზე გამოცადა, მადლობას სწირავენ უფალს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს...

„პანტანასას“ ხატისგან აღსრულებული სასწაულები

ავჭალის ტაძარში დაბრძანებული ხატის წინაშე ლოცვითა და პარაკლისებზე დასწრებით, დღემდე არაერთმა ადამიანმა მიიღო სულიერი

და ფიზიკური კურნება. მლოცველთა შორის, სიმსივნით დაავადებულები ჭარბობენ. მოგითხრობთ რამდენიმე შემთხვევის შესახებ.

ერთ ქალბატონს სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ოპერაცია გარდაუვალი იყო. ონკოლოგიურ ცენტრში მისულმა პაციენტმა შემთხვევით შეიტყო წმინდა ქეთევანის სახელობის ტაძარში დაბრძანებული, „პანტანასას“ ხატის შესახებ. მართლაც, მივიდა ტაძარში და ლოცვით შესთხოვა „ყოველთა დედოფალს“ განკურნება. ოპერაციაც გაიკეთა. მერე ხშირად ესწრებოდა სასწაულთმოქმედი ხატის წინაშე აღვლენილ პარაკლისებს. ნახევარი წლის შემდეგ ჩატარებულმა ანალიზებმა უჩვენა, რომ სრულიად გამოჯანმრთელებულა — სიმსივნის კვალიც კი აღარსად ჩანდა.

იყო ასეთი შემთხვევაც: მშობიარობის შემდეგ ქალბატონმა მკერდში სიმაგრე აღმოაჩინა. ექიმს მიმართა. მან თავდაპირველად, გამაგრებულ რძედ მიიჩნია, მაგრამ მკურნალობის ჩატარების შემდეგ, სიმაგრე კვლავ დარჩა. ავადმყოფმა მამოლოგს მიმართა. ქირურგიული ჩარევა იყო საჭირო, მაგრამ ჩვილს რძით ასაზრდოებდა და ამის გამო, ოპერაციის გაკეთება გადაიდო. წრმენა და იმედი არ დაუკარგავს — სწამდა, რომ უფალი კურნებას მიჰმადლებდა. მასში იმდენად დიდი იყო სასოება უფლის მიმართ, რომ ერთი წლის შემდეგ,

ვაგოპედის მონასტრის კარიბჭე

როდესაც პატარას რძის მიცემა შეუწყვიტა, ექიმთან მისვლაც არ უფიქრია. სწორედ ამ პერიოდში მიუტანა სნეულს დედამ ღვთისმშობლის „პანტანასას“ ხატის კანდელიდან აღებული ზეთი. ორი თვის მანძილზე ისვამდა კანდელის ზეთს კვანძოვან ადგილზე. შემდეგ შენიშნა, რომ მკერდიდან სითხემ გამოჟონა. გამოკვლევამ უჩვენა, რომ კვანძები სრულიად გამქრალიყო...

„პანტანასას“ ხატის პარაკლისზე დასწრებისა და კანდელის ზეთის ცხების შემდეგ მიიღო კურნება მარიამმაც. მას მამა გიორგიმ კანდელიდან ზეთი სცხო. გოგონამ ზეთი ხელისგულზე იცხო, იმ ადგილზე, სადაც კანქვეშ გამაგრებული ბურთულები ჰქონდა. ერთი კვირის შემდეგ ბურთულები უკვალოდ გაქრა.

დაბოლოს, ღვთისმშობლის „პანტანასას“ ხატის ორიგინალის მიერ აღსრულებული ერთ-ერთი სასწაულის შესახებაც მოგითხრობთ.

ათონის მთაზე მოღვაწე თანამედროვე ბერის გადმოცემით, ერთ დღეს ტაძარში ახალგაზრდა კაცი შესულა და „პანტანასას“ ხატის მოლოცვა განუზრახავს. როდესაც ხატს მიუახლოვდა, მოულოდნელად ღვთისმშობელს სახე განათებია და ჭაბუკი რაღაც უხილავ ძალას ხატიდან შორს განუგდია. მან გონება დაკარგა. როდესაც ამ მდგომარეობიდან გამოვიდა, ბერებთან მისულა და მათ წინაშე უღიარებია, რომ მაგიას მისდევდა. თან გულწრფელად და შემუსვრილი გულით მოუნანიებია ეს უმძიმესი ცოდვა...

ფოლკერ ფინკე: «საქართველოს ნაკრების მწვრთნელობაზე სერიოზულად ვფიქრობ»

სექტემბერში, საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უნდა ჩაებას, მაგრამ ჯერჯერობით, გუნდს მთავარი მწვრთნელი არ ჰყავს. ამჟამად, ფეხბურთის ფედერაცია სხვადასხვა კანდიდატურას განიხილავს, მაგრამ ნაკრების თავკაცობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდენტად გერმანიის „ფრაიბურგის“ ყოფილი მწვრთნელი, 60 წლის ფოლკერ ფინკე მიიჩნევა.

გერმანელმა ქართველების მენტალიტეტი ჯარგად იცის

ლამა თაბაგარი

შეგახსენებთ, ფინკეს საფეხბურთო კარიერა „ჰაველსეში“ დაიწყო, სადაც ის 1969 წლამდე თამაშობდა. მოგვიანებით, მან გამოსვლა „ჰანოვერშენში“ გააგრძელა, რომლის შემადგენლობაში 1974 წლამდე ირიცხებოდა, ამის შემდეგ კი ფეხბურთის თამაშს საერთოდ შეეშვა და ხელი მწვრთნელობას მიჰყო: თავდაპირველად „შტელინგენს“ თავკაცობდა, რომელიც მან 1984 წელს, ქვემო საქსონიის მიწის ლიგამდე მიიყვანა; 1986-1990 წლებში, გერმანელი მწვრთნელი სათავეში „ჰაველსეს“ ჩაუდგა და მას მეორე ბუნდესლიგის საგზური მოაპოვებინა, რაც კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი მიღწევა გახლდათ; 1991 წელს ფინკე „ნორდერშტეტის“ მთავარ მწვრთნელად მოგვევლინა, სადაც გატარებული ერთი სეზონის შემდეგ, უკვე „ფრაიბურგი“ ჩაიბარა, რომელსაც 2007 წლამდე ხელმძღვანელობდა. ფინკემ „ფრაიბურგი“ 1993, 1998 და 2003 წლებში მეორიდან პირველ ბუნდესლიგაში გადაიყვანა, ხოლო 1995 და 2001 წლებში გუნდს უეფას თასის საგზური მოაპოვებინა.

აღსანიშნავია, რომ ფოლკერი გერმანული პროფესიული ფეხბურთის ორი რეკორდის მფლობელია. კერძოდ, მის გარდა, ზედიზედ 16 წლის განმავლობაში, ერთსა და იმავე გუნდში არავის უმუშავია. ამასთანავე, ფინკე ერთადერთი სპეციალისტია, რომელმაც ერთსა და იმავე კლუბს პირველი ბუნდესლიგის საგზური სამჯერ მოაპოვებინა, შემდეგ კი მეორე ბუნდესლიგაში სამჯერ ჩამოქვეითდა, მაგრამ მთავარი მწვრთნელის პოსტი მაინც შეინარჩუნა...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოწვევით, გერმანელი სპეციალისტი ცოტა ხნის წინ თბილისში იმყოფებოდა. მან ამ ვიზიტთან დაკავშირებით განაცხადა:

— ქართულ ფეხბურთს საკმაოდ კარგად ვიცნობ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს — ნოდარ ახალკაცს უკვე მესამედ ვხვდები და ნაბიჯ-ნაბიჯ ვცდილობთ გავარკვიოთ, თუ რამდენად რეალურია მომავალში ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა. სწორედ ამიტომ დავთანხმდი წინადადებას, რომ მოსალაპარაკებლად თბილისში ჩამოვსულიყავი.

ფინკეს თქმით, საქართველოში სტუმრობა არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული გუნდის თავკაცად მისი დანიშვნის საკითხი გადაწყვეტილია:

— ჩვენ საკითხს პროფესიონალურად ვუდგებით და მანამ, სანამ ყველა დეტალს არ შევათანხმებთ, წინასწარი დასკვნების გაკეთებისგან თავს შევიკავებთ. თუმცა, თავად თბილისში ჩამოსვლის ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელობაზე სერიოზულად ვფიქრობ.

კითხვაზე, თუ რამ შეიძლება გერმანელ სპეციალისტს საქართველოს ნაკრების თავკაცად დანიშვნაში ხელი შეუშალოს, ფინკემ შემდეგი პასუხი გასცა:

— მომავალი თანამშრომლობის სისწორეში ორივე მხარე 100 პროცენტით უნდა დავრწმუნდეთ. ჩვენ გვსურს, ყველა წვრილმანი გავითვალისწინოთ. ფეხბურთში გარკვეული საიდუმლოებები არსებობს, რომელზეც საჯაროდ ლაპარაკი გაუმართლებლად

მიმაჩნია. მთავარია, ადამიანებს შორის ნდობა არსებობდეს, რათა მუშაობის წინაპირობა შეიქმნას. მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ფეხბურთელებისთვის საკუთარი ხმის მიწვდენას შევძლებ.

მაშინ, როცა ფინკე „ფრაიბურგს“ ხელმძღვანელობდა, ამ გუნდში საქართველოს ეროვნული ნაკრების რამდენიმე წევრმა ითამაშა. გერმანელმა სპეციალისტმა აღნიშნა, რომ ქართულ ფეხბურთს სხვა უცხოელ სპეციალისტებზე უკეთ იცნობს:

— სხვა უცხოელი მწვრთნელებისგან განსხვავებით, ქართულ ფეხბურთს კარგად ვიცნობ. „ფრაიბურგის“ თავკაცობისას ლევან კობიაშვილთან, ალექსანდრე იაშვილთან, ლევან ცქიტიშვილთან, გიორგი კიკნაძესთან, ზაზა ზამთარაძესთან და ოთარ ხიზანეიშვილთან დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი და ვცდილობდი, თითოეული ქართველი მოთამაშის ფსიქოლოგიას ჩავწვდომოდი, გამეგო, თუ რით სულდგმულობდა ქართული ფეხბურთი...

ფოლკერ ფინკეს, ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარ პრობლემად გუნდში მიმდინარე თაობათა ცვლის პროცესი მიაჩნია:

— ნებისმიერი მწვრთნელისთვის, რომელიც საქართველოს ნაკრების თავკაცად დაინიშნება, მთავარი პრობლემა გუნდში მყოფ ფეხბურთელებს შორის ასაკობრივი ბალანსის დაცვა იქნება. აღსანიშნავია, რომ თქვენს ეროვნულ გუნდში 21-28 წლის ფეხბურთელთა თაობებს შორის 7-წლიანი ჩავარდნაა და ამ საკითხის მოგვარება იოლი ნამდვილად არ იქნება...

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელ სპეციალისტს ეროვნულ გუნდებში მუშაობის გამოცდილება არ აქვს, მას კარგად ესმის, თუ რა განსხვავებაა კლუბსა და ნაკრებში მოღვაწეობას შორის:

— ცხადია, რომ ნაკრებსა და კლუბში მუშაობას შორის დიდი სხვაობაა. ამ შემთხვევაში, ლაპარაკია არა მხოლოდ იმაზე, რომ ეროვნულ გუნდში ფეხბურთელი მხოლოდ რამდენიმე დღით ჩამოდის, არამედ საქმე მათ კლუბებში მეთვალყურეობასაც ეხება. გარდა ამისა, თითოეული მოთამაშე, მოწვევის შემთხვევაში, ნაკრებში უნდა „მოფრინავდეს“. აგრეთვე, ფეხბურთელები მუდმივად უნდა გრძნობდნენ, რომ კლუბებში თამაშისას ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან და კონტროლდებიან. „ფრაიბურგში“ ყოფნისას სხვადასხვა ეროვნული ნაკრების ბევრ ფეხბურთელთან მიწევდა მუშაობა და მათ მთავარ მწვრთნელებთან კონტაქტი ხშირად მქონდა. საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, როლები შეიცვლება. მერწმუნეთ, ჩემი მთავარი ამოცანა იქნება ის, რომ მოთამაშე კლუბსა და ნაკრებს შორის არ „გაიჭყლიტოს“. სწორედ ამიტომ, ხან კლუბმა უნდა დათმოს და ხან — ნაკრებმა.

სხვა უცხოელი მწვრთნელებისგან განსხვავებით, ქართულ ფეხბურთს კარგად ვიცნობ

ფინკემ, რომელიც „ფრაიბურგს“ დანარჩენი გერმანული კლუბებისგან განსხვავებულ ფეხბურთს ათამაშებდა, საკუთარი საფეხბურთო ფილოსოფიაც გაგვიზიარა:

— „ფრაიბურგში“ ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია ბურთის კონტროლს, მოკლე გადაცემებს, კომბინაციურ და ტექნიკურ თამაშს ეფუძნებოდა. გუნდში ორი დაჯგუფება მყავდა: ქართული და ჩრდილოაფრიკული. ორივე მათგანი ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებით გამოირჩეოდა. მაგრამ მთავარია ისიც, რომ ეფექტი არ დაიკარგოს და გუნდი მხოლოდ შეტევით არ შემოიფარგლოს, რადგან მატჩის მსვლელობისას საჭიროა, მეტოქეს დაცვითი ხაზის ხისტი თამაში დაუპირისპირო.

აღსანიშნავია, რომ გერმანელმა ჩვენი ფეხბურთელების მენტალიტეტი კარგად იცის და ეს არც დაუმალავს. მან აღნიშნა, რომ ლევან კობიაშვილი კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, ფეხბურთელმა წლების განმავლობაში ტექნიკურად ითამაშოს და ამავე დროს, მოწინააღმდეგეს ორთაბრძოლებში არაფერი დაუთმოს. ალექსანდრე იაშვილის თაობაზე, რომელიც „ფრაიბურგში“ ფინკეს ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ფეხბურთელად მიიჩნეოდა, გერმანელმა თქვა:

— ჩავლილმა ევროპის ჩემპიონატმა დაამტკიცა, რომ ფეხბურთში წარმატების შანსი მხოლოდ ტანმაღალ მოთამაშეებს არ აქვთ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ნოდარ ახალკაცმა, რომელიც ფინკეს ეროვნულ სტადიონზე ახლდა, განაცხადა, რომ პარალელურად, მოლაპარაკება ნაკრების მწვრთნელობის კიდევ ერთ კანდიდატთან — აბრაამ გრანტთანაც მიმდინარეობს. მისივე თქმით, ქართულ მხარეს სურს, ებრაელი სპეციალისტი ვითარების გასაცნობად თბილისში მოიწვიოს, მაგრამ ამ ვიზიტის დეტალები ჯერ დადგენილი არ გახლავთ. ■

სისხლისმსმელი ბანდის მრავალეპიზოდიანი საქმე და ვერსიები მარტოხელა ფიასახლისის ვერაგული მკვლელობის შესახებ

სამართალდამცველები ამბობენ, რომ ამ ბანდის სინდისზე უმძიმესი დანაშაულები, არაერთი საღისტური მკვლელობა და გაუბედურებული ოჯახია. ბანდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში, 2002-2003 წლებში დათარეშობდა. მის შემადგენლობაში 9 მამაკაცი და ერთი ქალი შედიოდა, ყველაზე ახალგაზრდა წევრი კი 19 წლის გახლდათ.

გამოძიების ოქმებში, ბანდის ლიდერად 34 წლის კახაბერ ოსიაშვილია დასახელებული. ამავე ცნობების თანახმად, ის ცოცხალი აღარაა — დაჯგუფების წევრების აყვანისას ჩატარებული სპეცოპერაციისას, სამართალდამცველებმა მისი ლიკვიდაცია მოახდინეს. საქმის მასალების მიხედვით, სწორედ ოსიაშვილმა შემოიკრიბა ირგვლივ თანამზრახველები (თავდაპირველად, 4 ადამიანი) და მათ მყარი, შეიარაღებული დაჯგუფების ჩამოყალიბებაზე მოელაპარაკა. მალე ჯგუფს ახალი წევრები შეემატნენ და საბოლოოდ, ის, სტაბილური შემადგენლობის, კარგად ორგანიზებულ ბანდად ჩამოყალიბდა, რომლის ძირითად მიზანს შეძლებული ოჯახების დაყაჩაღება, ამ გზით სოლიდური თანხის დაგროვება და როგორც მოგვიანებით, თავად გამოტყდნენ, მოგროვილი ქონებით საზღვარგარეთ გამგზავრება წარმოადგენდა. მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევდნენ და თუკი ვინმესგან წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ, ადამიანის სასტიკ ფიზიკურ შეურაცხყოფასა და წამებით მკვლელობასაც არ ერიდებოდნენ. ყოველივე ამისთვის სათანადო აღჭურვილობაც ჰქონდათ მომარაგებული — ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, დიდძალი საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი ნივთიერებები, ნიღბები, ხელკეტები და წებოვანი ლენტები... როლები და ფუნქციები მკაცრად ჰქონდათ განაწილებული და ეს წესები ლიდერის მეგობარ ქალზეც — 23 წლის ირინა ნოზაძეზეც ვრცელდებოდა. მას ბანდის კუთვნილი იარაღის შენახვა, ნაყაჩაღარი ნივთების დამალვა, კონტროლი და რეალიზება ევალებოდა.

ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმეტესობა სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, ბევრი ამბავი გაუხმაურებელი დარჩა. გამოძიების ინფორმაციით, პირველი დანაშაული, რომელიც ბანდამ ჩაიდინა, სამტრედიის რაიონში მოხდა. შუაღამისას, ისინი ვინმე მერაბ ტორაძის ოჯახს დაესხნენ თავს. თავზარდაცემული და აღელვებული ოჯახის უფროსი შეეცადა, შეიარაღებული ბოროტმოქმედებისთვის შიშველი ხელებით გაეწია წინააღმდეგობა და მაშინ, როცა ერთ-ერთი თავდამსხმელის იარაღის ლულას ხელი წაავლო (ალბათ, წართმევის მიზნით), მეორე ბოროტმოქმედმა მას უკნიდან, ზურგში დაუშინა ავტომატის ჯერი და ადგილზევე მოკლა. ამ ფაქტს ოჯახის სხვა წევრებიც — მოკლულის ცოლი, ქალიშვილი და დისშვილი შეესწრნენ. ყაჩაღებმა მათი მოკვლაც სცადეს, იარაღიდან თითოეულს ესროლეს, მაგრამ ისინი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ. ბოროტმოქმედებმა სახლი პირწმინდად გაძარცვეს, თავიანთი ავტომობილი ნაყაჩაღარით დატვირთეს და დანაშაულის ადგილიდან მიიმალნენ...

მორიგი თავდასხმისას, ბანდის წევრებმა — ზაზა კაკუშაძემ და ოთარ გაბაიძემ ექიმები — ცოლ-ქმარი ნინო და მიხეილ სანოძეები გამოასალმეს სიცოცხლეს. ბოროტმოქმედებმა წინასწარ გაარკვიეს, რომ მათი ვაჟიშვილი — ზაალ სანოძე რაიონიდან გასული იყო და შინ მხოლოდ მისი ხანში შესული მშობლები იმყოფებოდნენ. მძინარე ცოლ-ქმარს 6 შეიარაღებული ყაჩაღი დაადგა თავს და ისედაც შეშინებულებს დაემუქრნენ, რომ საწოლშივე ჩაცხრილავდნენ, თუკი მათ მოთხოვნებს არ დაემორჩილებოდნენ. სანოძეებს ქონების გადარჩენის ინსტინქტმა სძლია და თავდამსხმელებს ძვირფასეულობის გადაცემაზე უარი უთხრეს. თქვეს, რომ არც ფული და არც ოქროულობა ებადათ. მასალების მიხედვით, ასეთი პასუხით გაღიზიანებულმა ოსიაშვილმა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ორივე იატაკზე გადაათრია, შემდეგ კი თანამზრახველებს მიუთითა, მათთვის ხელ-ფეხი გაეკოჭათ. ბოროტმოქმედებმა დაზარალებულებს პირი სკოჩით აუკრეს და ამის შემდეგ, მიხეილ სანოძეს ცოლის წამებისთვის აყურებინეს. ქმარმა ამას ვეღარ გაუძლო და ბოროტმოქმედებს იმ კარადაზე მიანიშნა, სადაც ფულსა და ძვირად ღირებულ ნივთებს ინახავდნენ. ბანდიტებმა იქ 3.900 დოლარი და ოქროს სამკაულები იპოვეს, მაგრამ ამას არ დასჯერდნენ და სახლიდან სხვა ძვირად ღირებული ნივთებიც გაიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ ნიღბებით იყვნენ, მაინც მიიჩნიეს, რომ დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ცოლ-ქმრის დახოცვა იყო საჭირო და ორივე ჩაცხრილეს...

ასეთივე ვერაგული დანაშაული ჩაიდინეს კოხრეიძეების ოჯახში. მაშინ დაყაჩაღებას არა მარტო ოჯახის უფროსის სიცოცხლე, არამედ იმ დროს დანაშაულის ადგილზე მყოფი მეზობლის ჯანმრთელობაც შეეწირა — ლალი აბაშიშვილი ყაჩაღებმა მძიმედ დაჭრეს, მაგრამ ის სიკვდილს დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა. რაც შეეხება ოჯახის უფროსს, დავით კოხრეიძეს, ყაჩაღებმა, წინააღმდეგობის გაწევის გამო, მას ტყვიები თავსა და გულმკერდის არეში დაახალეს. ბანდის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში ყველაზე საინტერესო სწორედ ეს კონკრეტული ეპიზოდია. საქმე ისაა, რომ მომხდარი ფაქტის ირგვლივ, გამომძიებლის მიერ წარმოებული დაკითხვებისას, კიდევ ერთი შემაშფოთებელი დანაშაული წამოტივტივდა: მაშინ, როცა ფაქტობრივად, საქმე გაუხსნელი იყო და გამოძიებას ეჭვმიტანილებიც არ ჰყავდა, დაზარალებულმა მზია კოხრეიძემ სამართალდამცველებს განუცხადა, რომ ერთ-ერთი დამნაშავის ვინაობა იცოდა. მისი თქმით,

მართალია, ბოროტმოქმედს ნიღაბი ეკეთა, მაგრამ ის ხმითა და სილუეტით მაინც ამოიცნო. ქალბატონის მიერ დასახელებული პიროვნება მისივე მეზობლის — ამ შემთხვევამდე 11 დღით ადრე გარდაცვლილი ნადეჟდა წერეთლის ნათესავი, ნიკოლოზ ცისკარიშვილი აღმოჩნდა. დაზარალებულმა გამომძიებელს ისიც უთხრა, რომ ცისკარიშვილმა მისი ოჯახი არა მათი ქონების დაუფლების მიზნით, არამედ შურისძიების გამო დააყაჩაღა.

მზია კოხრეიძე:

„ჩემი ოჯახი სიმდიდრით არასდროს გამოირჩეოდა და დარწმუნებული ვარ, აქ ყაჩაღებს ფული არც ეგულებოდათ. სახლში შუაღამისას შემოცვივდნენ. ფული და ძვირად ღირებული ნივთები მოგვეცითო, — კი დაიყვირეს, მაგრამ ჩვენს პასუხს არც დალოდებიან, პირდაპირ სროლაზე გადავიდნენ. უმისამართოდ ისროდნენ. ჩვენთან მეზობლის ქალი იყო გადმოსული და ტყვიებს ვერც ის გადაურჩა... ყველგან სისხლი მოთქრიალებდა... გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი — ჩემს ფეხებთან მეუღლე უსულოდ დავარდა. დავინახე, სისხლი თავიდან წასკდა... როცა დარწმუნდნენ, რომ მოკლეს, აღარაფერი უთქვამთ, ისე გაცვივდნენ სახლიდან და გაიქცნენ. მათ სახლიდან არაფერი წაუღიათ და სწორედ ამიტომ არ მეპარება ეჭვი, რომ შურისძიება ამოძრავებდათ. მით უმეტეს, ერთ-ერთი მათგანი ვიცანი. სწორედ მან დაიყვირა, — ფულიო! იმავე წამს გამიელვა თავში ცისკარიშვილის გვარმა, მაგრამ მაშინ ამაზე ფიქრი არ შემეძლო — გაუბედურებული, სიკვდილს თავადაც თვალებში ვუყურებდი. მოგვიანებით, როცა მეხსიერებაში ყველაფერი აღვიდგინე, მივხვდი, რომ ის ცისკარიშვილი იყო. ვიცოდი, რასაც წარმოადგენდა და მჯეროდა, უკან არაფერზე დაიხევდა. მით უმეტეს, როცა ამის საბაბი ჰქონდა... ამ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, მისი ოჯახის წევრებთან შელაპარაკება მომივიდა, რადგან ისინი თავიანთი ნათესავის და ჩემი მეზობლის — ნადეჟდა წერეთლის გარდაცვალების გამო ჩემს ოჯახს ჩირქს სცხებდნენ. ნადეჟდა წერეთელი ჩემ გვერდით ცხოვრობდა. ის ხნიერი, გაუთხოვარი, მარტოხელა ქალი იყო. არ ვიცი, ოჯახმა რის გამო ჰკრა ხელი, მაგრამ ფაქტია, წლების მანძილზე არავინ აკითხავდა, არავის აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდა ან რით არსებობდა. მისი ერთადერთი პატრონი მე გახლდით. ნადეჟდასთან ყოველდღე სასმელ-საჭმელი მიმქონდა და თუკი რაიმე დასჭირდებოდა, ვეხმარებოდით. ამის გამო, ჩვენს ოჯახს ემადლიერებოდა. ერთ დღეს დამიძახა და მითხრა, — როდის რა დამემართება, არავინ იცის და არ მინდა, ჩემი სახლ-კარი ჯიბგირების ხელში ჩავარდესო (თავის ნათესავებს გულისხმობდა). იცოდა, ბოლო დროს მის ქონებას თვალი რომ დაადგეს და ყველაფრის ნაყიდვას აპირებდნენ, ნადიასთან შეუთანხმებლად. ამის გამო საცოდავი ქალი ძალიან წუხდა და მითხრა: რაც შეიძლება ჩქარა, ჩემი ქონება შენს სახელზე უნდა გადავაფორმო. შენს ოჯახს ჩემზე დიდი ამაგი აქვს, თქვენს მეტი არავინ მაბადია და ამაზე დიდ სიკეთეს ვერაფერს გაგიკეთებთო. თავი შევიკავე, რადგან ვგრძნობდი, ეს ამბავი შარს გადამყრიდა, მაგრამ მან თავისი მაინც არ დაიშალა. მისმა ნათესავებმა ეს ამბავი ნადიას გარდაცვალების შემდეგ შეიტყვეს და ისე გაბრაზდნენ, რომ მკვდრის დამარხვაც აღარ უნდოდათ. მისი დაკრძალვის ხარჯები ჩვენ გავიღეთ. ნადიას ნათესავებმა ჩხუბი ატეხეს და მთელ ჩვენს გვარს ჩირქი მოსცხეს. იმ დღეებში ნიკოლოზ ცისკარიშვილიც ჩამოვიდა. ის ნადიას დის მულისშვილია. ნადიასგან მასზე ბევრი რამ მსმენია. ამბობდა, — თავზე ხელი აქვს აღებული, დაჯიბგირობს და საკუთარ ოჯახსაც კი საცოდავ დღეში აგდებსო... ცისკარიშვილი ყველაზე აგრესიულად იქცეოდა და დაიქადა კიდეც, — ამ საქმეს ასე არ დავტოვებთო...“

საქმეში არსებობს ნადეჟდა წერეთლის ნათესავების ჩვენებებიც, რომლებიც მთელი ამ სკანდალის მიზეზად სულ სხვა გარემოებას ასახელებენ.

დარეჯან წერეთელი, გარდაცვლილის და:

„ჩემი და თავისებური ქალი იყო. ახალგაზრდობიდანვე დამოუკიდებლობა და ლიდერობა უყვარდა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ჩვენს ოჯახს ის უძღვებოდა. როცა გავთხოვდი, მშობლებმა ლანჩხუთში სახლი მიყიდეს, ეს კი მამაჩემმა ნადიას დაუტოვა, ანდერძით... თავისი რთული ხასიათის გამო, ჩემი და მარტო დარჩა. ის, რომ თითქოს ყურადღებას არ ვაქცევდით, სინამდვილეს არ შეესაბამება. დიდი მანძილი გვაშორებდა ერთმანეთს და ბუნებრივია, ყოველ კვირაში ვერ ვხვდებოდით. მას არაერთხელ შევთავაზე, ჩემთან გადმოსულიყო, მაგრამ უარი მითხრა, — სახლ-კარს უპატრონოდ ვერ მივატოვებო. კოხრეიძეებთან მისი ახლობლობის შესახებ ვიცოდი. სხვათა შორის, მიხაროდა კიდეც, იმედიანად ვიყავი. ამ ოჯახის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ ჩემი დის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, აზრი შემეცვალა... იმ დღეებში კოხრეიძეები ძალზე საეჭვოდ იქცეოდნენ, აფორიაქებულები იყვნენ. ნადია ხანში შესული, მაგრამ ჯანმრთელი ქალი იყო. ყველას გვიკვირდა და ვამბობდით, — ასე უეცრად რა დაემართა-თქო? მზია კოხრეიძეს ვუსაყვედურე, — დროზე რატომ არ გაგვაგებინე, თუ ცუდად იყო ან საავადმყოფოში რატომ არ წაიყვანე-მეთქი? მიპასუხა: „დილით კარგად იყო; დღის მანძილზე რამდენჯერმე მივაკითხე და საღამოსაც ვინახულე. სწორედ მაშინ მითხრა, — მგონი, მოვიწამლე, რაღაც გული მერევაო“. მზიას, როგორც თვითონ ამბობს, დაუმშვიდებია: გაგივლის, თუ არა და, სოდიან წყალს დაგალევინებო. ისიც თქვა, — რამდენიმე წუთით სახლში გადავედი და როცა ნადიასთან მივბრუნდი, უკვე მკვდარი იყო; შესასვლელთან, ბეტონზე, კართან ეგდოო... გაავრცელეს ხმა, თითქოს, გული გაუსკდა... ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ მიცვალებულს არ გვანახვებდნენ, ძალიან გაფუჭებულიაო. ვიფიქრე, — დაკრძალვის დღეს მაინც ვნახავ, რა დონეზეა გვამი გაფუჭებული-მეთქი, მაგრამ არც მაშინ მოგვცეს ამის უფლება: როცა სუდარის გადახდა დავაპირე, მზია მომვარდა და ხელი მკლავში წამავლო, — არ გინდა, მძიმე სანახავიაო. ვერ მოვითმინე და გადავხადე — მიცვალებულს მთელი თავი რაღაც ქსოვილებითა და ბინტებით ჰქონდა შეხვეული, სახის არც ერთი ნაკვთი არ უჩანდა. კივილი ავტეხე: მიცვალებულს არ დაგაკრძალვინებთ, აქ რაღაც ცუდი ამბავია — ინფარქტით გარდაცვლილს თავის ასე გადახვევა რატომ დასჭირდა-მეთქი? იმდენი მოახერხეს, რომ მე წამლებით გამაბრუეს, ცხედარი კი დაკრძალეს... ფაქტი იყო, იმ სახლის გადაფორმების გამო, ჩემს დას რაღაც უბედურება მოსწიეს. ქონება უკვე გადაფორმებული იყო, მაგრამ როგორც მოგვიანებით შევიტყვე, კოხრეიძეებს ფული დასჭირდათ და როგორც ჩანს, იმ სახლის გაყიდვა ჩაიფიქრეს; ჩემი და კი — მათთვის ხელი რომ არ შეეშალა — თავიდან მოიშორეს... ჩემმა მეუღლემ თავის დისშვილს — ნიკა ცისკარიშვილს და ასევე, სხვა ნათესავებს დაკრძალვის დღეს დაურეკა და მათ ამ ამბის გარკვევაში დახმარება სთხოვა... მზიას შეეშინდა, რომ ეს საქმე ასე არ ჩაივლიდა და თავისი ოჯახის დაყაჩაღების ფაქტი კარგად გამოიყენა — პოლიციას ჩემი მულისშვილის, სრულიად უდანაშაულო ადამიანის გვარი დაუსახელა...“

ზემოთ აღნიშნულ ბანდასთან ნიკოლოზ ცისკარიშვილის მჭიდრო ურთიერთობა გამოძიებამ დაადასტურა, მაგრამ ამას თავად ბრალდებული და მისი ახლობლები კატეგორიულად უარყოფდნენ. სასამართლო პროცესზე, ცისკარიშვილის ბანდასთან კავშირი არც დანარჩენმა განსასჯელებმა დაადასტურეს, მაგრამ ისინი თავად ბანდის არსებობასაც უარყოფდნენ და არც ჩადენილ დანაშაულებს აღიარებდნენ. სამართალდამცველებმა ბანდის 5 წევრი, ასევე, ირინა ნოზაძე სხვადასხვა დროს, სპეცოპერაციებისას აიყვანეს, დანარჩენებმა კი მიმალვა მოახერხეს. წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში ბრალდებულებმა დანაშაულებში მონაწილეობა დაადასტურეს, მაგრამ პროცესზე ყველაფერი სამართალდამცველების მხრიდან ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლით ახსნეს. კაკუშაძეს და გაბაიძეს პირველი ინსტანციის სასამართლომ 20-20 წლით, ცისკარიშვილს — 22 წლით, უგრეხელიძეს — 17 წლით, მეტრეველს — 18 წლით, ხოლო ირინა ნოზაძეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლო განაჩენი ზემდგომ ინსტანციებში რამდენჯერმე გასაჩივრდა, მაგრამ მასში ცვლილება არ შესულა. რაც შეეხება წერეთლების ოჯახში მომხდარ ფაქტს, როგორც შევიტყვეთ, დარეჯან წერეთლის განცხადებისა და აქტიურობის შედეგად, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ გამოძიება ამაზე შორს არ წასულა. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზის ბიურომ დაზიანებები არ დააფიქსირა, დარეჯან წერეთელი კი დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნაზე მიუთითებდა, რომელშიც ნადეჟდა წერეთლისთვის თავის არეში ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანებების შესახებაა ლაპარაკი. მიუხედავად ამისა, მტკიცებულებების არარსებობის გამო, სამართალდამცველებმა დანაშაული არ დაადასტურეს... ■

„ეს საქმე საჯარო განხილვის საგნად უნდა იქცეს" – აცხადებს ბრალდებულის დედა, ეკა ბესელია

გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი — ეკა ბესელია ხულიგნობის მუხლით ბრალდებულ შვილს უდანაშაულოდ აცხადებს და სამართალდამცველების დასჯას მოითხოვს. როგორც ცნობილია, ბესელიას 15 წლის ვაჟიშვილს — რატი მილორავას პროკურატურამ მაღაზია „ოსკართან" მომხდარი ხულიგნობის ფაქტის გამო ბრალი წაუყენა, თბილისის საქალაქო სასამართლომ კი აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო — 2.000 ლარი უკვე შეუფარდა. ბრალდებულის დედა ამ ამბავს პროტესტით შეხვდა და პოლიციისა და პროკურატურის მხრიდან სამოხელეო დანაშაულის ნიშნებსა თუ სამსახურებრივ სიყალბეზე ალაპარაკდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ბესელიამ და მისი შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა — ლილი გელაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს. *„ეს საქმე საჯარო განხილვის საგნად უნდა იქცეს და ყველა დოკუმენტი, რაც საქმეში დევს, საქვეყნოდ გამომზეურდეს. სახეზეა აშკარა პოლიტიკური ანგარიშსწორება არა მარტო პოლიტიკოსების, არამედ ბავშვების მიმართაც. ბრალს ვდებ პოლიციის სამმართველოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და თბილისის პროკურატურას. ყველა პირი, ვინც ამ ანგარიშსწორების საქმეშია ჩართული, სისხლის სამართლის წესით უნდა დაისაჯოს"*, — აცხადებს **ეკა ბესელია**. მისი თქმით, საქმეში არსებული მტკიცებულებები გაყალბებული და ფალსიფიცირებულია, მოწმეთა ჩვენებები კი ზემოქმედების შედეგადაა მიღებული. მათ შორის, ბესელია დაზარალებულსაც გულისხმობს. ამბობს, რომ მას დაჭერით დაემუქრნენ და მისი შვილის გვარი ჩვენებაში დააფიქსირებინეს. ადვოკატ გელაშვილის თქმით, მილორავას გვარი საქმეში ადრეც ფიგურირებდა, ოღონდ — მოწმის სტატუსით.

„ეს მომენტი ანგარიშსწორებისთვის კარგად გამოიყენეს. როცა ნახეს, რომ ეკა ბესელიას შვილს რაღაც დანაშაულთან ეპიზოდურად შეხება ჰქონდა, ორთვე-ნახევრის შემდეგ, იგივე მოწმეები ამ საქმეზე კვლავ დაიბარეს და ჩვენებები ხელმეორედ, ამჯერად, მილორავას საწინააღმდეგოდ დააწერინეს", — აცხადებს **ლილი გელაშვილი**.

„მას 7 წლის შვილი უპატრონოდ დარჩა"

ადვოკატები პროკურორის დასჯას მოითხოვენ

ადვოკატებმა თბილისის პროკურატურის პროკურორის — სალომე ჯანუაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება მოითხოვეს და ამის შესახებ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს. მათი პროტესტის მიზეზი ადვოკატ ლევან პატარქალიშვილის დაკავებაა. მას ბრალი ზეგავლენით ვაჭრობაში ედება. ბრალდების მხარე, პატარქალიშვილს, მისი დაცვის ქვეშ მყოფის სასარგებლოდ, საპროცესო შეთანხმების მიღწევის მიზნით, ზემდგომ პროკურორთან შეხვედრასა და გარიგების მცდელობაში ადანაშაულებს... ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის — კახა ასლანიშვილის თქმით, პატარქალიშვილის დაკავება სინამდვილეში, პროკურორ სალომე ჯანუაშვილის პირადი დაინტერესებისა და ანგარიშსწორების მიზნით მოხდა. *„ამისთვის პროკურორმა არაერთი მტკიცებულება და ჩვენება გააყალბა. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მოწმის ცრუჩვენებისა და სამსახურებრივი სიყალბის მუხლებით უნდა აღიძრას. ის, რომ სახეზე პირადი ანგარიშსწორებაა, აშკარაა. ეს ყოველივე მას შემდეგ დაიწყო, რაც სასამართლო პროცესზე პატარქალიშვილსა და ჯანუაშვილს შორის შელაპარაკება მოხდა. მაშინ ჯანუაშვილი მას დაემუქრა, მოგვიანებით კი განსასჯელის მეგობარი დაიბარა და პატარქალიშვილის საწინააღმდეგო განცხადება დააწერინა. ადვოკატის უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები რეალურად არსებობს, მაგრამ მასზე განგებ ხუჭავენ თვალს. სასამართლო პროცესზე პირადად ვიტვირთე პატარქალიშვილზე თავდებობა, მაგრამ მოსამართლემ არც კი მომისმინა"*, — აცხადებს **ასლანიშვილი**. ცნობილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ პატარქალიშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა. კახა ასლანიშვილის თქმით, მოსამართლეს ასეთი გადაწყვეტილება ბევრი ფაქტორის გამო არ უნდა მიეღო. *„გარდა იმისა, რომ წინასწარი პატიმრობის შესაფარდებლად საქმეში არავითარი სამართლებრივი, ფორმალური საფუძველი არ არსებობდა, გასათვალისწინებელი იყო ოჯახური მდგომარეობაც: პატარქალიშვილს 7 წლის შვილი უპატრონოდ დარჩა, რადგან მისი მეუღლე საზღვარგარეთ იმყოფება"*, — აღნიშნავს **ასლანიშვილი**.

BMW-ს ახალი „მეშვიდე სერია“

ინტერნეტში გავრცელდა ახალი BMW-ს („მეშვიდე სერიის“) პირველი ფოტოები და ინფორმაცია მისი მახასიათებლების შესახებ. მანქანა კონცეპტუალური CS-ის დიზაინერული გავლენით შეიქმნა, რაც უპირველეს ყოვლისა, წინა და უკანა ფარებსა და რადიატორის ცხაურს ეხება. მისი სიგრძე 5,07 მეტრია, ხოლო სიმაღლე — 1,48. „მეშვიდე სერიის“ BMW-ს 8 სმ-ით გაზრდილი ბორბლების ბაზა ექნება, რომლის საერთო სიგრძეც 3,07 მეტრს შეადგენს, ეს კი მგზავრებს მეტ კომფორტს შეუქმნის. კონსტრუქციაში ალუმინის დეტალების გამოყენების მეშვეობით, ავტომობილის მასა 1,9 ტონამდე შემცირდება. ალუმინი გამოყენებული იქნება სახურავზე, კაპოტზე, კარებზე, ძარას გვერდითა პანელზე და სხვა ნაწილებზე. BMW-ს ფლაგმან სედანს დაუმონტაჟდება ძრავები, რომლებიც უკვე სხვა მოდელებზეც გამოიყენეს. აგრეთვე, იგი ჰიბრიდულ ტრანსმისიასაც შეიძენს. მოდელზე — 750i — 4,4-ლიტრიანი, V8 ტიპის, 407 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ორტურბინიან ძრავას დაამონტაჟებენ, 740i-ს ბიტურბოს ექვსცილინდრიან, 326 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე მოტორს, ხოლო 730D დიზელ-ვერსიას 3-ლიტრიან, 245 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბოდიზელს დაუყენებენ. თითოეული ზემოთ დასახელებული მოტორისთვის გათვალისწინებულია 6-საფეხურიანი სიჩქარის გადაცემათა ავტომატური კოლოფი, რომლითაც „მეშვიდე სერიის“ წინა თაობაა დაკომპლექტებული. აგრეთვე, სედანს მოძრაობისთვის საჭირო კიდევ რამდენიმე ახალი სისტემა ექნება: ადაპტური კრუიზ-კონტროლი, ფეხით მოსიარულეთა გარჩევის ფუნქციის მქონე ღამის ხედვის სისტემა, წინა შუშაზე ხელსაწყოების მაჩვენებლების მაპროექტირებელი სისტემა და აგრეთვე, პირდაპირ ავტომობილიდან ინტერნეტში ჩართვის საშუალება. ■

„მაზდის“ სიახლე

კომპანია „მაზდამ“ კონცეპტ-ავტოს — Kazamai — პირველი ფოტოები გაავრცელა. ეს არის კომპაქტური კროსოვერის პროტოტიპი, რომელსაც მიმდინარე წლის 26 აგვისტოს, მოსკოვის საერთაშორისო ავტოსალონზე წარადგენენ. მის დიზაინში გამოყენებულია კონცეპტის — Nagare — სტილისტური ელემენტები: რადიატორის ცხაური, მძლავრი წინა ფრთები და ეფექტური შტამპი კარებზე. Kazamai სპეციალურად მოსკოვის ავტოსალონისთვის შეიმუშავეს. ეს კონცეპტ-ავტო ახალი სრულამძრავიანი ტრანსმისიითა და ახალი თაობის პერსპექტიული ძრავათია აღჭურვილი. დაწვრილებითი ტექნიკური მახასიათებლები ოფიციალური პრემიერის შემდეგ გახდება ცნობილი. მოსკოვის პრემიერიდან რამდენიმე თვის შემდეგ, „მაზდის“ კომპაქტური კროსოვერის წინასერიულ ვერსიას დეტროიტის ავტოსალონზე წარადგენენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ ავტომობილის საფუძვლად როდსტერის — MX-5 — უკანაამძრავიანი პლატფორმა იქცევა. ■

ბულგარეთში საბჭოურ „ჩაიკებს“ აუქციონზე ყიდიან

ცოტა ხნის წინ, ბულგარეთში გამართულ სპეციალურ აუქციონზე გაიტანეს საბჭოთა ეპოქის დროინდელი, სხვადასხვა მოდელის 66 ლიმუზინი, რომლებითაც უცხოელთა დელეგაციებს ემსახურებოდნენ (მაგალითად, ფიდელ კასტროსა და ფრანსუა მიტერანს). წარმოდგენილ ავტომობილთა შორის იყო 20 „ჩაიკა“. ამ მანქანებით კერძო კოლექციონერები (რუსეთიდან, გერმანიიდან და ავსტრიიდან) დაინტერესდნენ. 1959-1988 წლებში გამოშვებული საკოლექციო „ჩაიკების“ საწყისი ფასი 5-დან 23 ათასამდე ბულგარულ ლევს (შესაბამისად, 2,5-დან 11,5 ათას ევრომდე) შეადგენს. ავტომობილების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა ქვეყნის ეროვნული გვარდიის ფონდში გადაირიცხება. ■

ეირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	I კვ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასაბეჭდების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საagენტო
ელვა

ქ. თბილისი
თოსლების ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

1 „ფოლკს-ვაგენის“ მოდელი
2 დასარტყმა მუსიკალური ინსტრუმენტი
3 ინდოელი მწერალი
4 თავისუფლების კუნძული
5 რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი
6 კვამლი
7 იაპონური ჭიდაობა
8 მაღალი კოშკი
9 აზერბაიჯანის დედაქალაქი
10 კატისებრთა ოჯახის მტაცებელი
11 ჩეხური ავტომობილი
12 ყინულის მთა
13 ნიკარაგუის დედაქალაქი
14 საერთო ევროპული ვალუტა
15 ქვეყანა აფრიკაში
16 სწრაფი გადადგილება ფეხით
17 ვაშლის ღვინო
18 რუსეთის სანდორმაცო საფეხბურთო
19 თოფის სამიზნე
20 მომღერალთა გუნდი
21 სასწავლებლის ტიპი
22 ინფორმაციის ერთეული
23 მაგარი ქანი
24 შიშველი სხეული ხელოვნებაში
25 რუსი ილუზიონისტი
26 კნოპი
27 სპუნგის მეტყველი მეცნიერება
28 სირაქლემის სახეობა
29 გერმანული სპორტსაქონლის ფირმა
30 „ჰამლეტის“ პერსონაჟი
31 ფერფლისფერი მდინარე
32 ღამის ფრინველი
33 დიდი ბოთლი
34 ძველი ქუთაისი
35 კინოფილმში ჩართული სხუმრო ტრიკი
36 მამლების ჩხუბი
37 საოჯახო ელექტროხელსაწყო
38 ვაშლის ღვინო
39 ქვეყანა ევროპაში
40 ჩერჩეტი
41 თმის საღებავი
42 დროის მონაკვეთი ჰოკეიში
43 ფერფლისფერ ქვების წონის ერთეული
44 ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. მარაკანა; 2. მაჟალო; 3. რენესანსი; 4. კარაბადინი; 5. ნინო; 6. ოკა; 7. კაპელანი; 8. ლისაბონი; 9. აჯიკა; 10. მანდილი; 11. მონეტა; 12. მალამო; 13. მინსკი; 14. დანა; 15. დეკადა; 16. შოვი; 17. დიონისე; 18. ხოჭო; 19. ნანტი; 20. ორბი; 21. კია; 22. კედარი; 23. ალბინოსი; 24. კოლბა; 25. სომი; 26. ნოხი; 27. პაბი; 28. სეირი; 29. ბაბუინი; 30. პანამა; 31. ბახალა; 32. ვენახი; 33. ერბო; 34. ლაზი; 35. ჟოკეი; 36. იო; 37. ომანი; 38. კოზაკი; 39. ამური; 40. რია; 41. იოკო; 42. პო; 43. სიონი.

სურათებზე: ჟან რენო; ჟულიეტ ბინოში.

სუფევს თუ არა თქვენში „სიკეთის გენი“?

1. დავუშვათ, რაღაც გარკვეული თანხა გაქვთ. შეგიძლიათ, თუ არა, რომ ამ თანხის ნახევარი მეგობრების, ოჯახის წევრების, თქვენთვის საყვარელი ადამიანის საჩუქრებში დახარჯოთ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

2. თქვენი რჩეული საკუთარი პრობლემის შესახებ გიყვებათ, მაგრამ ეს ნაკლებად გაღელვებთ, რადგან საკუთარი საზრუნავიც საკმაოდ გაქვთ. აგრძნობინებთ თუ არა რაიმით მას, რომ მისი პრობლემა საერთოდ არ გაინტერესებთ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

3. თქვენი რჩეული საკმაოდ სუსტად თამაშობს კარტს (ჭადრაკს, ჩოგბურთს...). ზოგჯერ დაუთმობთ თუ არა, იმისათვის, რომ სიამოვნება მიანიჭოთ მას?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

4. ყოფილა შემთხვევა, როცა სრულიად უმიზეზოდ გიქიათ თქვენი მეორე ნახევარი, მხოლოდ იმიტომ, რომ სიამოვნება მიგენიჭებინათ მისთვის?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

5. გიყვართ თუ არა ვინმეს გამასხარავება?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

6. გაქვთ თუ არა გამყოლი გული ანუ წყენა დიდხანს მიგყვებათ თუ არა?
ა) დიახ — 0;
ბ) არა —1.

7. შეგიძლიათ თუ არა მოთმინებით მოისმინოთ ახლობლის მსჯელობა იმ საკითხზე, რომელზეც მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკუთარი აზრი გაქვთ;
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

8. ახერხებთ თუ არა საკუთარი შესაძლებლობების პრაქტიკაში გამოყენებას?

ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

9. შეწყვიტთ თუ არა თამაშს, თუკი შეატყობთ, რომ აგებთ?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

10. ყურს დაუგდებთ თუ არა მოწინააღმდეგის არგუმენტებს, თუკი დარწმუნებული ხართ საკუთარ სიმართლეში?
ა) დიახ — 0;
ბ არა — 1.

11. ხალისით უსრულებთ თუ არა ახლობლებს თხოვნას?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

12. შეგიძლიათ თუ არა გაამასხარაოთ საყვარელი ადამიანი — ხუმრობით დაუწუნოთ მას გარეგნობა (ჩვევები, ასაკი და ა.შ.)
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1;

ტესტის შედეგები

8 და მეტი ქულა: თქვენ ზედმიწევნით თავაზიანი, კეთილმოსურნე ადამიანი ბრძანდებით და ამიტომაც მოსწონხართ სხვებს. ირგვლივ მყოფებთან კეთილი ურთიერთობების დამყარების უნარით გამოირჩევით და ამიტომ, ბევრი მათგანი ცდილობს თქვენთან დაახლოებას. ეს შესანიშნავია. თუმცა, თქვენმა გადაჭარბებულმა კეთილშობილებამ შესაძლოა, ზოგჯერ ცუდი სამსახური გაგიწიოთ, თუკი ცხოვრების გზაზე უპატიოსნო, ცრუ და უცერემონიო ადამიანს გადაეყრებით. ინერციით, თქვენ ამგვარი ადამიანის კეთილგანწყობილების მოპოვებასაც შეეცდებით, მაგრამ ეს მხოლოდ დაგამცირებთ როგორც ირგვლივ მყოფთა, ასევე მის თვალში. უფრო მეტიც: გარდა იმისა, რომ ის არაფრად აგდებს თქვენს კეთილშობილებას, გამოვლენილ სიკეთეს ის თქვენს სისუსტედ აღიქვამს და ამის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას ეცდება.

5-დან 8 ქულამდე: შეიძლება ითქვას, რომ თქვენი სიკეთე „შერჩევითი“ ხასიათისაა. ზოგიერთი ადამიანისადმი თქვენ უსაზღვროდ დიდ სიკეთეს ავლენთ, ზოგიერთს კი საკმაოდ უგულოდ ექცევით. ამის გამო, ირგვლივ მყოფებს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული წარმოდგენა ექმნებათ თქვენზე. მათ, ვისაც კარგად ეპყრობით, სიამოვნებთ თქვენთან ურთიერთობა, დანარჩენებისთვის კი თქვენთან ურთიერთობა უსიამოვნო აუცილებლობაა. ეცადეთ, თქვენ შინაგანად საოცრად კეთილი ნატურის კონტურები უფრო მეტად გამოავლინოთ გარეგნულად. ეს ხელს შეგიწყობთ სოციალური კონტაქტების მოგვარებაში.

4 და ნაკლები ქულა: გულწრფელად რომ გითხრათ, ირგვლივ მყოფებს უმძიმთ თქვენთან ურთიერთობა, ამით განსაკუთრებულად თქვენი ახლობლები იტანჯებიან. აშკარად არ გამოირჩევით კეთილმოსურნე და გულღია ხასიათით. ვინაიდან გამუდმებით ნეგატიურ გრძნობებს აფრქვევთ, თავადაც იმავეს იმკით. მართალია, ამ მოჯადოებული წრის გარღვევა გაგიჭირდებათ, მაგრამ ყველაფერი საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოთ. მაგალითად: ეცადეთ, რომ უფრო თავაზიანად მიმართოთ მაღაზიის გამყიდველს, ქათინაური უთხრათ მეზობელს და ა.შ. გულკეთილობა ხომ ის თვისებაა, რომლის საკუთარ თავში აღზრდაც ადამიანს ხელეწიფება. ასე რომ, ნუ გაუშვებთ ამ შესაძლებლობას ხელიდან!

ჰოროსკოპი

(17 - 23 ივლისი)

ვერძი:

შესაძლოა, საცხოვრებელის გამოცვლა მოგიხდეთ, რაც საყვარელ ადამიანთან ან ოჯახის რომელიმე წევრთან კამათის საბაბი გახდება. გირჩევთ, ეს კვირა დასვენებას დაუთმოთ და ბუნებაში გახვიდეთ.

ჯუჯი:

სახლის საქმეებით თავს ზედმეტად ნუ გადაიღლით. მატერიალური პრობლემების მოსაგვარებლად ძველი კავშირების აღდგენა დაგჭირდებათ. უქმე დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ტყუპი:

ეს კარგი დროა დასვენებისა და მოგზაურობისთვის. მჭევრმეტყველებითა და მომხიბვლელობით არაერთ თაყვანისმცემელსა თუ თანამოაზრეს მოაჯადოებთ და თქვენთვის ხელსაყრელ წინადადებაზე დაიყოლიებთ.

ქიბრიტი:

საქმეებისა და ურთიერთობების მოგვარებისას ინტუიციას მეტად მიენდეთ. ამგვარად თავს აარიდებთ ორაზროვან პრობლემას. ამ პერიოდში სჯობს, ხშირად გახვიდეთ ბუნებაში და რიგიანად დაისვენოთ.

ფიფქი:

მოუფრთხილდით დაგროვილ კაპიტალს და მას უყაირათოდ ნუ დახარჯავთ. დაღლილობის მოსახსნელად კარგია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ. საქმიანი შეხვედრები კი ჯობს, დროებით გადადოთ.

ჭანჭური:

ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვებს. კარგია, თუ ამ კვირას დასვენებას დაუთმობთ და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას მოაგვარებთ. ახალი სპეციალობების დაუფლება კარგ მატერიალურ შემოსავალს მოგიტანთ.

ლომი:

ოჯახის წევრებთან ურთიერთობა განწყობილებას აგიმაღლებთ და თავდაჯერებულობას შეგმატებთ, ხოლო მეგობრებისა და საყვარელი ადამიანის მხარდაჭერა ახალი იდეების ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ.

ობობა:

შინ მეტი დრო დაყავით და ეცადეთ, ოჯახური პრობლემები მოაგვაროთ. ამგვარად, მშობლებთან და მეუღლესთან კამათს თავიდან აიცილებთ. ერიდეთ მხიარულ თავყრილობებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.

ებენეზერი:

შეეცადეთ, არ გაიფუჭოთ ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, განსაკუთრებით კი მეუღლესთან. თავი აარიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და დაეხმარეთ ადამიანებს, რომლებსაც მხარში ამოდგომა სჭირდებათ.

ოხრეს ჩეჭ:

ამ კვირაში თქვენს მომხიბვლელობას გვერდს ვერავინ აუვლის. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები კომპლიმენტებითა და საჩუქრებით აგავსებენ. შესაძლოა ახალი სასიყვარულო რომანი წამოიწყოთ.

ბეჭედი:

საქმეში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ. შეეცადეთ, გარშემო მყოფებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მოგვაროთ. კარგია, თუ შაბათ-კვირას დასასვენებლად ბუნებაში გახვალთ.

ოლეგზანტი:

მატერიალური პრობლემების გამო, ბევრი გეგმის განხორციელებას ვერ შეძლებთ. საყვარელი ადამიანი და ოჯახის წევრები მხარში ამოგიდგებიან და თუ საჭირო გახდება, მატერიალურ დახმარებასაც გაგიწევენ.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

5	9	8	1	7	4	2	3	6
3	7	1	2	8	6	4	9	5
6	2	4	5	3	9	1	7	8
7	4	9	8	1	2	6	5	3
1	8	5	9	6	3	7	4	2
2	6	3	4	5	7	9	8	1
4	1	2	3	9	8	5	6	7
8	5	6	7	4	1	3	2	9
9	3	7	6	2	5	8	1	4

3	8	9	7	4	6	2	1	5
7	4	1	5	2	8	6	3	9
6	2	5	3	9	1	4	8	7
8	5	6	4	7	3	9	2	1
4	1	3	9	6	2	5	7	8
9	7	2	8	1	5	3	4	6
5	9	4	1	3	7	8	6	2
2	3	7	6	8	9	1	5	4
1	6	8	2	5	4	7	9	3

7	3	8	6	4	9	2	1	5
9	2	4	5	1	8	6	3	7
6	1	5	7	3	2	9	4	8
1	6	9	4	8	7	5	2	3
3	5	7	1	2	6	8	9	4
8	4	2	3	9	5	7	6	1
2	7	1	9	5	4	3	8	6
5	9	3	8	6	1	4	7	2
4	8	6	2	7	3	1	5	9

* მარტივი

		6	8				2	3
	5		7			1		
		2		6				8
		9			1		8	
	8		3	7			1	
	7			8		3		
5				4		7		
		4			7		5	
6	1				8	2		

** საშუალო

		8			6	5		
	3			1				6
	5			4				
4			6	2				9
		6		7		3		
7					3			8
				6			5	
3				5			1	
		7	9			4		

*** რთული

		8			1		5	
			6					8
	1				7			2
	5				2	7		
		4	7			9		
		1	8		9		4	
8			9				3	
7					3			
	3		4			6		

ფოტოკუიიოზები



საბა SABA

პირველი ელიტური სახლი გუჩამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ღიმღელე — გუჩამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თვთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში